


52
1958/2

თარგმანი
ბიბლიოთეკა

6
1958

საქართველოს

საქართველო



ლიტერატურული-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუკნალი
საქართველოს საბჭოთა მფრელების
კავშირის აჭარის განყოფილების
ოკბანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ. რმშვა—ტქტომბერს დიდება (ლექსი) 3

ი. რშრშა—ჩემი და (მოთხრობა) 5

ხ. ვარდოშვილი—მდუმარება (ლექსი) . 11

წ. ჯალალონია—გულა (ლექსი) 12

მ. გორბილაძე—ცაცა (მოთხრობა) . . . 13

ძ. მუშვია—მე მხოლოდ... ველი
გაზაფხულს (ლექსები) 21

ჯ. ჯაყელი—თავდასრული ფალავნები
(მოთხრობა) 23

მ. კერძევაძე—მე ვფიქრობ (ლექსი) . . 32

ნ. ბაბრიჩიძე—ის ბიჭი (ლექსი) 33

ბ. ურუშაძე—ჩემი სოფელი (ლექსი) . . 34

ბრ. ჩხანიძე—უპირო (მოთხრობა) . . . 35

დ. ხუროძე—მე რომ მიყვარდა (ლექსი) 43

მ. მონოლი—მე ვნახე ატომური ბომბით
მოკლული (მოთხრობა) თარგმნა
ს. თურნავამ 44

ს. მარუაძე—რად არ აცვია მთვარეს
კაბა (ლექსი) თარგმნა შ. შუბლაძემ 49

7600

6

1958

დღეები და აღამიანები

პ. ლორია—წინათ და ახლა 51

რ. სხვინთარიძე—საბჭოთა მეურნეობის
დაბადება 58

ნოვა
ოპოპობერი
დეკობერი



კრიტიკა და პუბლიცისტიკა

- შ. ქურდიძე—ეროვნულ თავისებურებათა
შესახებ ქართულ მოთხრობაში . . . 63
- გ. ხუბაშვილი—პასუხის პასუხი . . . 72
- ხ. ახვლედიანი—აჭარის ისტორიისა და
დღევანდელი მდგომარეობის სარკე 76

კლასიკური მემკვიდრეობა

- შრ. შილერი—ტრაგიკული ხელოვნები-
სათვის (გერმანულიდან თარგმნა
რუგოშვილმა) 80

ს კ ო რ ტ ი

- გ. ალექსიძე—ფენბურთელთა მსოფლიო
ჩემპიონატის გარშემო 90

წიგნის თარო

- ბ. თეთრაძე—პატრიოტული ლექსები . 93
- პ. ცქვიტარია—„საქართველოს კომკავ-
შირი დიდი სამამულლო ომის პერი-
ოდში“ 94

რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, გ. სალუქვაძე (პემგ. მდივანი),
ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

შოთა რუჟა

ოქტომბერს დიდება

სამშობლოს მინდვრები
თვალუწვდომელები,
თავთუხებს რომ ისხამს
ოქროსფერს,
ეს — იმან მოქარგა
დაბები,
სოფლები,
დიდება, დიდება ოქტომბერს!
ლატაკთა ქოხებში
შიმშილი წიოდა,
წელზე ფეხს იდგამდა მაშვრალი,
ლატაკთა ქოხებში
გულები სტკიოდათ
და იყვნენ დარდისგან გამშრალი.
ნევაზე „აერორას“
ზალბების ქუხილმა
დაამხო მონობის უღელი,
ეს ოქტომბერია —
რომ იხსნა
უღლისგან
რუსიც,
ჩინელიც,
უნგრელიც.
მე ვნახე კრემლის წინ
მებრძოლთა მჭიდროთა
ჩახჩახა დროუები გაშლილი,
ოქტომბრის შემდეგ გვაქვს
მშვიდობა
და ხალხთა ურღვევი კავშირი.

ეს წლები განვლილი
პარტიის გეგმების
სიბრძნეს და დიდებას
ღალადებს,
სამშობლო არ გვქონდა —
შეგქმენით,
ბალებით,
ქარხნებით
დავხატეთ.

არა თუ უბრალო
ნაბიჯის გადადგმა,
ეს იყო ხმა საკაცობრიო,
მას შემდეგ თანდათან,
თანდათან,
თანდათან
მშრომელებს ეძლევათ მსოფლიო!
დე, ხალხთა სანუკვარ
იმედებს დასახულს,
მშვიდობის ზეიმი
მოჰქონდეს,
დიდება გაზაფხულს,
ხალხების გაზაფხულს,
გულების გაზაფხულს, †
ოქტომბერს!



ილია ჩხეიძე



დიდი ხანია გულით დავატარებ სანუკვარ სურვილს: დავწერო რაიმე ჩემს დაზე, დავწერო რაღაც განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი...

მაგრამ როგორ, რანაირად, როცა აქამდე უბრალო ძმური სიტბოს გამოხატვაც ვერ მომიხერხებია ხეირიანად?!

ერთადერთი სააღერსო სიტყვა, რომლითაც ჩვეულებრივ მიემართავ დას, არაფრით ჰგავს ბაგეზე მომდგარ უამრავ ნაზ, მწყაზარ სიტყვებს.

ეს სიტყვაა „წრიბა“.

— წრიბა, დილა მშვიდობისა!

— წრიბა, საუზმე გამიწყვე, მეჩქარება!

— წრიბა, სად არის ჩემი ცისფერი ჰალსტუხი?..

ისიც თავისი ნათელი, ციმციმა თაფლისფერი თვალებით კეთილად

იღიმება, უსიტყვოდ მისრულებს თხოვნას, ბოლოს კი, თითქოს საყვედურით, დააყოლებს:

— წრიბა ვარ, ხომ?!..

და აი მე ვწერ ჩემს დაზე, თუმცა მთელ ამ ამბავში არაფერია განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი.

მოხდა კი ეს ამბავი მეზობელ ზღვისპირა ქალაქში, სადაც მიპატივებული გიყავით მამიდაშვილის ქორწილზე.

გადაწყდა ოჯახიდან მე და ჩემი და წავსულიყავით.

ქორწილი, ჩვეულებისამებრ, შაბათს იყო დანიშნული, მაგრამ ლიამ ორი დღით ადრე გაითავისუფლა თავი სამსახურიდან.

ვეზვეწე, მოიცადე, ბარემ ერთად წავიდეთ-მეთქი. ყურიც არ მათხოვა.

— თქვენ, მამაკაცებს, მხოლოდ გამზადებული გიყვართ... ოღონდ ანიშნეთ და ყველაფერი სუფრაზე გაჩნდება... იმას კი არ იფიქრებთ, რა ჯაფა ადგებათ საწყალ ქალებს... არა, მამიდას სახლში მე სტუმარივით ვერ გამოვცხადდები...

— ჰო, კარგი, წრიბა!.. შენ რომ საქმე აიცილინო, ავად გახდები.

იმ საღამოსვე გაპყვა გემს.

შაბათს მეც ჩავედი.

ყველაფერი მზად იყო.

ეზოში უზარმაზარი სეფა გაეშალათ.

ჩემი სიფრიფანა, ჰაეროვანი დაიკო პეპელასავით დაფარფატებდა საქორწილო სუფრას.

არ ვიცი როგორ, რანაირად, მაგრამ მთელი ამ მზადების გამგებელი გამხდარიყო. თვით ყველაზე გამრჩე, მეოჯახეობით გამორჩეული ქალებიც კი არ თავილობდნენ მიემართათ მისთვის:

— ლია, ერთი დახედეთ!

— ლია, საცივი გადავდგათ?..

— ლია, ჯერ ღომი ჩავზილოთ?

— ლია, ერთი წუთით!..

ისიც ყველგან ასწრებდა, ყველას მოსაწონ პასუხს აძლევდა...

არ შევუღლები ჩვენებური, ისედაც გრძელი და დამქანცველი ქორწილის აღწერას.

განთიადისას, როცა სუფრა სანახევროდ აიშალა, მომსახურე ქალთა დასიც აღდევრძელეს. მაგრამ თამადის სიტყვის შემდეგ სადღევრძელო რამდენადმე ცალმხრივად წარიმართა. მექორწილენი თითქმის მარტოოდენ ჩემს დას უხდიდნენ მაღლობას. არ იშურებდნენ გულწრფელ ქებას, ფრთიან სიტყვებს. უხერხულობაში ჩავარდნილ ლიას მზერა ხან ერთ ქალზე გადააქვს, ხან მეორეზე... სახეზე ეტყობათ, მათ სრულებით არ სწყენიათ, ასე რომ მოხდა. მხოლოდ კეთილად იღიმებიან და რამდენადმე დაბნეულად მაღლობას იხდიან ლიასთან ერთად.

და აი, ვხედავ, ამ ზღვა ხალხში კიდევ ერთი წამოდგა ფეხზე. იგი აქამდე არც, კი შემიმჩნევია. არ ვიცი ამ დილით საიდან მომხვდა თვალში. შესაძლოა

არც ახლა მიმეჩქვია ყურადღება, რომ ახალგაზრდა... კუზიანი არ ყოფილიყო. ეტყობოდა, ღრმა შინაგანი ბრძოლა გადაეხადა, ვიდრე სიტყვის თქმას გადაწყვეტდა. ღვინით სახვე ჩაის ჭიქა ნერვულად გადაჰქონდა ხელიდან ხელში.

უცებ, გაფითრებულ, მტანჯავი მოლოდინით დაღმეჭილ მის სახეს მკრთალი ღიმილი გადაეფინა, თვალებში ცეცხლი აუკიაფდა.

ლიამ, როგორც კი შენიშნა ამ ახალგაზრდას სადღეგრძელოს თქმა სურს და არ აცლიანო, რამდენიმე ნაბიჯით მისკენ გადაინაცვლა.

ხმაურსა და ღრიანცელში არ მესმოდა, თუ რას ამბობდა კუზიანი, მაგრამ მე გარკვევით ვხედავდი მის ანთებულ თვალებს, უეცრად წამოწითლებულ სახეს, მთრთოლავ ბაგეებს, რაღაც გულმხურვალე სიტყვებს რომ წარმოთქვამდა.

ირიყრაყა.

სტუმრები დაიშალნენ.

მხოლოდ, ერთგან, როგორც ეს ღვინის შემდეგ ხდება ჩვეულებრივ, რამდენიმე კაცი კიდევ იჭყიპებოდა ღვინით. სუფრაზე, მოგვხსენებათ, ყოველთვის რჩება ისეთი, რომელსაც სურს წარმოთქვას, მისი აზრით, უმართებულოდ გამორჩენილი სადღეგრძელო, კიდევ დალიოს ან უბრალოდ იმას-ლათოს, რომ ამ მასლაათში ენაც მოიფხანოს და ღვინის ალბიც გაინელოს.

ამ ჯგუფში შევნიშნე ის ახალგაზრდაც.

ისევ ლაპარაკობდა ხმამაღლა, გატაცებით, თან თვალებით ვიღაცას ეძებდა მოუსვენრად.

ეს ჯგუფიც საკმაოდ შეთხელდა, მაგრამ ახალგაზრდა მაინც არ სცილდება სუფრას.

ვხედავ, როგორ მიდიან მასთან დარბაისელი, თმაშეჭალარებული ქალი და ტანმაღალი, ნაწნავებიანი გოგონა და რაღაცას ელაპარაკებიან, ემუდარებიან.

— დედა, თავი დამანებე!... ნანული, გუბნები მომეშვი! — იძახის იგი და ისევ ჭიქას ეპოტინება.

დედა და დაი მაინც არ ეშვებიან. ახლა უკვე ხმამაღლა ეხვეწებიან აღარ დალიოს მეტი, რომ უკვე გათენდა, რომ ხალხს აწუხებს...

— როგორ, მე ვაწუხებ ვისმე? — წამოიყვირა მან. — რაკი ასეა, ამ წუთში! — და ფეხზე წამოიჭრა აღელვებული, სახელანძული, შეიძლება ცოტა გაბოროტებულიც.

ამ დროს საიდანღაც ისევ გამოჩნდა ლია. იგი მივიდა ახალგაზრდასთან და თავისი პატარა თეთრი ხელი ფრთხილად, ნაზად დაადო მხარზე.

— როგორ გეკადრებათ, თამაზ, როგორ გეკადრებათ... დაბრძანდით, ისიამოვნეთ რამდენიც გენებოთ.

თამაზი ისევე მოულოდნელად დამშვიდდა, როგორადაც აღელდა. ერთხანს გაუძძრევლად იდგა თვალებზე მაჯააფარებული, შემდეგ, თითქოს ერთბაშად დათვრაო, წაბარბაცდა, მკლავები დედასა და დას გადახვია და ჭიშკრისაკენ გაემართა.

სამ თუ ოთხ საათს მეძინა ალბათ.

გარეთ ისმის სუფრის ალაგებაში გართული ქალების გადაძახება, ერთ-მანეთზე დახვეწებული თეფშების ჭახანი, დანა-ჩანგლის ჩხრიალი, ცარიელი ბოთლების წკრიალი...

— შენ რა, ხეზე გეძინა?

— მოდი, მოდი თამაზ.

— ა, სკამი ეგერ, თუ გინდა.

— არა, გმადლობთ.

— ჰო, კარგი, ჩამოჯექ!

— მე ისე... იქნებ დახმარება გინდათ...

— როგორმე უშენოდაც მოვახერხებთ.

ისევ თეფშების ჭახანი, დანა-ჩანგლის ჩხრიალი, ცარიელი ბოთლებისა და ჭიქების წკრიალი.

— სტუმრებს ძინავთ?

— ჰო! — ავდებით უპასუხებს ვილაც. — რა კითხვაა?!

საუბარი ისევ წყდება.

— ოჰ, დილა მშვიდობისა, თამაზ!

ეს უკვე ლიას ხმაა.

— გამარჯობათ, გამარჯობათ! — ცოტაოდენი ღუმლის შემდეგ, — თქვენ რა, სულ არ გიძინიათ, ლია?

— ჯერ არა მაქვს უფლება... დაბრძანდით, დაბრძანდით.

— გმადლობთ.

გადის ალბათ ერთი წუთი...

ორი...

სამი...

— იცი რა, ლია?!. მე დედასა და ნანულის გავაღვიძებ... თქვენ კი დაისვენეთ... სახეზე გეტყობათ, როგორ დაილაღეთ...

— არა, ნუ წუხდებით, თამაზ...

— კი, კი... ასე აჯობებს... თქვენ ყველაზე მეტი იმუშავეთ... დედა სულ თქვენს ქებაშია... ჩვენზე, მეზობლებზე მეტად ლიამ ივარგაო...

— გადაჭარბებულია...

— ნანულიც ასე ამბობს... მასაც ისე შეუყვარდით, პირდაპირ... თუმცა რა დროს ესენია... თქვენ უნდა გამოიძინოთ, ლია. — და შემდეგ სხვა, გაუბედავი ხმით დაუმატა. — სალამოს... სალამოს კი, თუ თქვენი სურვილი იქნება, კინოში დაგბატოყებთ... თქვენ და... ნანულის.

— გმადლობთ... სიამოვნებით, მაგრამ...

— როგორც გენებოთ!

— მაინც რა სურათი გადის?

— „სიყვარული და ცრემლები“.

— ჰო, კარგი სურათია.

— აქებენ. მე ჯერ არ მინახავს.

„ტყუის“ — გავიფიქრე მე რატომღაც.

— იცი რა, თამაზ... თუ თავის წამოწევა შევძელი, წამოვალ... აუცილებლად წამოვალ...

დის პასუხი ამჩატებული მეჩვენა. სადღაც გულის სიღრმეში წყენამაც

გამკრა: „ან ის რად პატივებს, ან ეს რად თანხმდება.. რა დროს კინოა!“.

თავის აწევა ლიას მართლა გაუჭირდა. სულ სამი საათის მიძინებული იყო.

დაებარებინა: თამაზი თუ მოვიდეს, გამალვიძეთო.

დროზე რომ გამეგო, ნამდვილად არ დაეანებებდი გაეღვიძებინათ.

ასე მგონია!

„ნაწული უგუნებოდაა... ვერ მოდის“ — მოიბოდინა თამაზიმ.

ლია მარტო წაჰყვა კინოში.

არ დაგავიწყდეთ: ეს ის ლიაა, რომელიც უცხო ვაჟთან ორ-სამჯერაც კი არ ყოფილა კინოში. თუ ყოფილა, ისიც ვისთან? ერთ შავტუხა ბიჭთან, რომლის სიყვარულს ასე ფაქიზად და მალულად ინახავს გულში სასკოლო მერხიდან.

არ დაგიმაღავთ, მე თითქმის გავბრაზდი.

მეორე დღით ლია გასამგზავრებლად მოემზადა.

ჩემს განკარგულებაში კი ერთი დღე კიდევ იყო.

სახელდახელოდ გასაცილებელი სუფრა გაიწყო. თამაზიც მოვიდა.

სამი დღე-ღამის ჯაფა ლიას საკმაოდ დატყობოდა. შეფერთხილი, უსხივო ჩანდა, ამიტომ ძალისძალათი ცოტა ღვინო დავალევივით.

მართლაც მალე ცარიელ ღიმილად იქცა, მისებურად აკისკისდა.

— როგორ სვამთ მამაკაცები ამდენ ღვინოს! თავში ამივარდა... წრუწუნას დღეში ვარ პირდაპირ! — ამბობს ლია და ერთის ამბით იხსენებს „ჩხიკვთა ქორწილს“.

მისი განწყობილება ყველას გადმოგვედო.

— აი, ლია იცინის. ცოტა დალია და იცინის, — ამბობს თამაზი. — დედასა და ნანულის კი სხვა ხასიათი აქვთ.

— მაინც?

— მგონი ახალ წელს... ჰო, ახალ წელს, როგორღაც, ჩვენ სამნი დავრჩით სახლში. რომ არავინ გამოჩნდა, მივუჯექით სუფრას... თითო ჭიქა დავალევივით და დათვრენ... სასაცილო იცით რა იყო?.. ტირილი დაიწყეს... დიახ, მე ვიცინოდი, ისინი კი ტიროდნენ...

უნებურად ლიას გადავხედე.

სხივიან თვალებში შეკავებული ცრემლი უკრთოდა. გადავიხარე და მარმარილოსავით გათილ, ნათელ შუბლზე ვაკოცე.

ამასობაში სტუმრებიც შემოგვემატნენ. ამიტომ ლიას გაცილება ნავსადგურში მარტო მე და თამაზის მოგვიხდა.

უცნაურად გახალისებული თამაზი ლაპარაკობდა, ხუმრობდა.

ლია გულიანად იცინოდა.

მე კი თითქმის ყურს არ ვუვდებდი. მთელი ჩემი ყურადღება მიპყრობილი იყო მგზავრებისაკენ, რომლებიც რაღაც დაუფარავი ცნობისმოყვარეობით გვაკვირდებოდნენ. ეს გადამეტებული ყურადღება რატომღაც მაღიზიანებდა. გემის გავსლამდე კიდევ მთელი ნახევარი საათი იყო.

არ ვიცი რატომ, უცებ წასვლა გადავწყვიტე, ლიას სახლში მოკითხვა დავაბარე და გადავკოცნე.

თამაზიც გამოემშვიდობა.

მოვდიოდით მდუმარედ, თავჩალუნულნი.

ჩემს ქვევას რომ ჩავუკვირდი, განწყობილება სულ გამიფუტდა. „რად ვატყინე გული ამ საბრალო ბიჭს, რად წავართვი უნეტარესი წუთები, რომლებიც, ალბათ, მის ცხოვრებაში მეტად აღარ განმეორდება?!“

სინდისის ქენჯნამ შემაწუხა. ამიტომ პირველსავე გზაჯვარედინთან გამოვემშვიდობე თანამგზავრს და ხალხს შევეერი.

ნელ-ნელა მივაბიჯებდი და, დრო რომ გამეყვანა, ვიტრინებს დავუწყე თვალიერება უაზროდ.

ორი კვარტალიც არ მქონდა გავლილი, რომ გემმა საყვირი მისცა.

უნებურად შევჩერდი, მაგრამ ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ისევ გზა განვაგრძე.

მესამე საყვირი ქალაქის შუაგულში, პარკში შემომესმა. ახლა კი გულმა არ მომიტმინა და ისევ ნავსადგურისაკენ გავეშურე.

ის-იყო, სანაპირო ქუჩის გადაჭრა დავაპირე, რომ ადგილზე გავშეშდი.

სანაპიროს გასწვრივ აღმართულ მოაჯირს მკერდით მიყრდნობოდა თამაზი. გრძელი მკლავები გრანიტის ფართო ბორდიურზე დაეწყო და ნიკაპს-ქვემოთ შემოეკეცა.

დაღვრემილი თვალებით შორს, ზღვის სივრცეს მისჩერებოდა. ეტყობოდა მთელი არსებით ჩაძირულიყო ამ უსახდვროდ ვრცელ, ლაყვარდოვან სტიქიაში. მთელ მის კიდე-განზე არც ზევით, არც ქვევით, მისთვის ახლა არ არსებობდა არაფერი, გარდა მზის სხივებში მოლივლივე თეთრი, ქათქათა გემისა, გავარვარებულ ჰორიზონტზე თანდათან რომ დნებოდა.

არ ვიცი, რას ფიქრობდა თამაზი მაშინ, მაგრამ იმის თქმა კი დანამდვილებით შემიძლია, რომ მისი ფიქრები, მარტოდ დარჩენილი გულის უხმო ყვირილი მიჰყვებოდა იმ თეთრი, ქათქათა გემის ყველაზე ნაზ და ჰაეროვან მგზავრს...

მე საჩქაროდ გამოვბრუნდი, რომ თამაზს არ შევემჩნიე.



ხაჩიჰონ ჰაეროშვილი

მ ღ უ მ ა რ ე ბ ა

ზღვა ბურუსით დანაბური —
წევს გნოლივით განაბული.
არ გაისმის ზვირთთა ჩქამი,
ჭავლიც არ კრთის ნაზ კამკამით.
ზღვას წყვილია დასწოლია,
არც სიო ფრენს, არც თოლია.
მღუმარება სუფევს ზღვაზე,
ცა შავდება — ჯანლით სავსე,
და წყვილადის ფრთებით ბურავს
სიბნელეში მკრთობ შუქურას.
სიჩუმეა ირგვლივ მკვდრული,
ზღვა იძინებს გალურსული.



ნორა ჯაღალონია

გ უ ლ ო

თუ აღუდღები, კმარა ლოდინი,
თორემ დღეები ჩუმად მიდიან,
რამ დაგადუმა, გულო, ლოდივით,
როცა ძარღვებში ცეცხლი მინთია.

ჩემი სიცოცხლის ფესვი მოგანდე,
როგორც მთა ანდობს აპრილს ღიღილოს,
ერთი ისეთი ლექსი მოვარდეს,
რომ საქართველომ ჩაიღიღინოს.

მე სისხლად მომაქვს სიტყვა შენამდე,
უთქმელი ლექსი გულის წყლულია,
და მეც სიმღერა ისე მწყურია,
ვით ნადირობა მშიერ შევარდენს!



მიხეილ გოგობილაძე

ც ა ც ა

იმ დღეს ქალაქში უჩვეულოდ ჩამოცხა. ზღვისპირა პარკში ადრე გამოვედი.

მართლაც დიდებული რამ არის ჩვენი ბულვარი, მით უფრო ზაფხულში. ირგვლივ ყველაფერი მწვანესა და ყვავილებშია ჩაძირული. ჰაერი გაუღვინთილია ზღვისა და მცენარეთა საამო სურნელებით. ვის არ შეხვდებით აქ, მოსკოველსა თუ ციმბირელს, ლენინგრადელსა თუ უცხოელს. მათი უმრავლესობა ფოტოაპარატების ობიექტივში იჭერს ჩვენს თვალწარმტაც ხეივანებს, მშვენიერ გაზონებს, ლარივით გაჭიმულ ქუჩებს. რაოდენი სიამოვნება გეუფლება, როცა მოსწონთ ის, რაც შენ გიყვარს, რაც შენს საკუთრებად მიგაჩნია. ჩვენი ქალაქი, ჩვენი ბუნება, ჩვენი ზღვა, ჩვენი მზე...

ჩემკენ გამოქანებულ ფერად ბურთს ხუთიოდე წლის ხუჭუჭთმიანი ბიჭუნა გამალებით მოსდევდა.

— ვია, არ დაეცე! — გააფრთხილა ბიჭუნა ქალიშვილმა.

უცნობი ისეთი კარგი, ისეთი მიმზიდველი იყო... ბურთი არ შევაჩერე, მინდოდა ქალიშვილი გიას რაც შეიძლება ახლოს მოჰყოლოდა.

ბურთი გრძელ სკამს გაცდა და გაზონებში შეიჭრა.

სანამ ბიჭუნას ბურთი გამოჰქონდა, ქალიშვილი საკმაოდ მომიახლოვდა.

ჩვენი ქალაქი არც თუ ისე დიდია. ახალგაზრდები თითქმის ყველანი ვიცნობთ ერთმანეთს. ეს ქალიშვილი კი... აშკარაა, სტუმარი იყო, წინათ არ მენახა. როცა მის მიმზიდველ სახეს ვაკვირდებოდი, ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს აქამდე მაკლდა რაღაც აუცილებელი, მაცოცხლებელი. „აი ის, რაც მაკლდა“, შევნიშნე და ვიგრძენი ახლა მისი გამოჩენისთანავე.

უცნობი ქალიშვილი შეტრიალდა და პლაჟისაკენ წავიდა.

საკვირველია, საკვირველი. ორიოდე წუთში უცნობი ქალიშვილი ჩემს არსებაში ისე ერთბაშად შემოიჭრა, რომ ადრინდელი ყველაფერი დაჩრდილა.

არ ვიცოდი რა მეღონა, როგორ გავცნობოდი, როგორ გამეგებინებინა ჩემი და გამეგო მისი. მთავარი იყო მოესმინა. რატომღაც მწამდა, რომ შემდეგ დავიმსახურებდი მის ყურადღებას.

პლაჟზე გავედი.

ცაცა ნაპირთან იდგა, კამკამა ზღვას გაცქეროდა. გიას ვილაც ხნიერი ქალი მშვიდ ზვირთებში აბანავენდა.

მიახლოება გამიძნელდა, მაგრამ სხვა რა გზა იყო.

ქვიშის ხმაურზე მოიხედა.

ჩვენი თვალები კვლავ წააწყდნენ ერთმანეთს.

ბავშვურად უმანკო სახეზე მკაცრი გამომეტყველება გამოეხატა.

— მაპატიეთ. თავხედობად ნუ ჩამითვლით, გარწმუნებთ...

არც მომისმინა, ცივად შეტრიალდა და გამშორდა.

წამოვედი დაღონებული. იქ, ზღვისპირას, დამრჩა რაღაც განსაკუთრებული, ჩემთვის აუცილებელი. მინდოდა დავბრუნებულიყავ, დავბატონებოდი, არავისთვის დამეთმო, მაგრამ... ყოველი ნაბიჯი მამშორებდა მას.

მეორე დღეს ლენინის ქუჩით გიასთან ერთად ისევ შემოვიდა ბაღში. როგორც კი შემინიშნა, გაზონები გადაჭრა, ბამბუკის ხეივანს შემოუარა და ზღვაზე გავიდა.

რატომ გამიბრბის? რატომ არ უნდა, რომ გამეცნოს? იქნებ...

არა, ასეთ ვარაუდებს ჯობს ყოველივე უშუალოდ მისგან გავიგო. ბოლოს-დაბოლოს, უნდა მიმიხვდეს, უნდა მენდოს.

მეორე ცდაც მარცხით დამთავრდა. არ მომისმინა, ახლოსაც არ გამიკარა, ზურგი შემაქცია, ბავშვს ხელი მოჰკიდა და ქალების პლაჟისაკენ წავიდა.

ერთადერთ იმედად გია შემრჩა, პატარა გია. თუკი მას შევიჩვევდი, შემდეგ იქნებ...

ახალი შეხვედრისათვის საგანგებოდ მოვემზადე...

რისინი ჩვეულებრივ ნაშუადღევს გამოჩნდნენ.

როგორც კი ბაღში შემოვიდა, გიამ ბურთი წინ გამოიგდო და კისკისით დაედევნა. ცაცა ბამბუკის ხეივისაკენ ველარ გადაუხვევდა, ძალაუნებურად ბავშვს უნდა გამოჰყოლოდა.

— გია, აბა, ჩემამდე თუ მოაწვდინო! — წავახალისე მოახლოებული ბიჭუნა. არც მან დააყოვნა და ბურთი ჩემკენ გამოაქანა.

ბურთი დავიჭირე. დარტყმა მოვუწონე, ხელი ჩამოვართვი. ხუჭუჭ თმებზე მივუალერსე. ასე გავიცანით ერთმანეთი. შემდეგ ვერცხლისფერი სათამაშო რეზოლვერი ვაჩვენე.

— მოგწონს? გინდა გაჩუქო? — შევეკითხე.

ბავშვის მაგივრად მისი მოციმციმე, გაბრწყინებული თვალები მეტყველებდნენ: ორივე ხელს მოუთმენლად სათამაშოსაკენ იწვდიდა.

— სროლა იცი?

— ვიცი, ვიცი! — მოუთმენლად მიპასუხა.

თასმით ჩამოვკიდე. სასროლი ქაღალდები ჯიბეში ჩავუყარე, ბურთი მივეცი, ფუნთუშა ლოყებზე მივეფერე და გავუშვი.

ცაცა შადრევანს იქით პატარა მოედანზე იდგა, ჩვენკენ ზურგშექცევით. მხოლოდ მაშინ მოიხედა, როცა მიახლოებულმა გიამ სროლა ასტეხა.

— ეგ რა გიქნია, გია, რატომ გამოართვი, ახლავე დაუბრუნე! — ხმადაბლა, მაგრამ მკაცრად უთხრა.

გია გაჯიუტდა. მზად იყო ნაჩუქარი ცრემლით დაეცვა.

მათი დავის მონაწილე რომ არ გავმხდარიყავ, იქაურობას გავეცალე, გიასაც შევეუმსუბუქე მდგომარეობა.

მეორე დღეს მოხდა ის, რასაც მოველოდი. დამინახა თუ არა, ბიჭუნა მაშინვე მომვარდა და გულისტკივილით შემომჩივლა, „ტყვია“ აღარ მაქვსო. ჯიბე კვლავ სასროლი ქაღალდებით ავუვსე, თან დავპირდი, „ვაზნებს“ არ მოგაკლებ-მეთქი. არც ეს ვაკმარე; ჯიბიდან პრიალა სათამაშო ხანჯალი ამოვიღე და ისიც თასმით წელზე ჩამოვკიდე.

— შენს ლამაზ დეიდას თუ ვინმე აწყენინებს, — გავაფრთხილე ბიჭუნა, — იარაღით უნდა დაიცვა. ხომ დაიცავ?

— დავიცავ. — დამეთანხმა გია, ხანჯალი მოსინჯა, რევოლვერი მოიმარჯვა.

ასე დავმეგობრდით მე და გია და, შეიძლება ითქვას, შევიყვარეთ ერთმანეთი.

გიას ჩემთან მუდამ მოუხაროდა. ერთად დავეძებდით ფერად ქვებს, ვეჯიბრებოდით „სროლაში“, ვთამაშობდით ბურთს. შევპირდი, თუკი დეიდა ნებს დართავდა, ცურვასაც ვასწავლიდი.

ვამჩნევდი, რომ ცაცას აღიზიანებდა ჩემი და გიას ურთიერთობა, მაგრამ კერპობას მაინც არ თმობდა, არ მელაპარაკებოდა, ჩემთან ახლოს არ მოდიოდა.

ერთხელ მე და გია ბურთის თამაშს დიდხანს შევჩიოთ. დაღამდა, ბაღში ელნათურები აანთეს. ჩვენ აბაზანების მხარეს, ასფალტზე მაინც ვაგრძელებდით „ორთაჭიდილს“. ცაცამ ბიჭუნას რამდენჯერმე შეახსენა, დროა სახლში წავიდეთო, მაგრამ გია ერთსა და იმავეს უპასუხებდა, „სახლში არ მინდა, ძიასთან თამაში მირჩევნიაო“...

რაკი დარწმუნდა, მის ნებისყოფას ვებრძოდი, ცაცა მოთმინებადაკარგული მომიახლოვდა.

— იცით, ბავშვის დაძინების დროა, თქვენ კი...

მისმა მთრთოლვარე ხმამ, ცრემლებით სავსე თვალებმა ერთბაშად დამიმორჩილა. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა მიმზიდველი, რა შეუდარებელი იყო. ეტყობოდა, თავისივე მღელვარება აწუხებდა, უნდოდა დავეტუქსე, გავეკიცხე, მაგრამ ამავე დროს თავს იჭერდა, თვალს მარიდებდა, განშორებას ჩქარობდა.

— მაპატიეთ. — ძლივს ამოვილაპარაკე. — დამშვიდდით. გეფიცებით, მყუდროებას მეტად აღარ დაგირღვევთ, პარკში ფეხს აღარ შემოვდგამ.

წავიდნენ. გია ხშირად ჩერდებოდა, ხელის დაქნევით მეთხოვებოდა. ხალხს რომ შეერივნენ, შევნიშნე, ერთხელ ცაცამაც მოიხედა. მე იქვე ვიდექი, სადაც დამტოვეს.

ვუთხარი, აღარ შეგხვდები-მეთქი, მაგრამ განა დარწმუნებული არ იყო, რომ მასთან დიდხანს განშორებას ვერ შევძლებდი?

ზაფხულის მოკლე დამეებიც კი მეტისმეტად გრძელი მეჩვენებოდა. მოუთმენლობა მიპყრობდა, ვიდრე გათენდებოდა, ვიდრე ნაშუადღევ მოაღწევდა. ასე მძლევედა მისი ნახვის სურვილი.

ჩემი სიტყვა მხოლოდ ნაწილობრივ შევასრულე. გაზონებს მივეფარე და ვაკვირდებოდი, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მათზე, შადრევანთან რომ ვერ შემნიშნავდნენ. ცაცას განსაკუთრებული ვერაფერი შევნიშნე. გიამ ირგვლივ მიმოიხედა, ალბათ, დამეძებდა.

იგივე განმეორდა მეორე დღეს.

თვალს შორიდან ვადევნებდი. მოწყენილობა თითქოს ცაცასაც დაეტყო. არ ვიცი, იქნებ ასე იყო, იქნებ მომეჩვენა. ირგვლივ მიმოიხედა, გიას რაღაც უთხრა, ნაყინის სავაჭროსთან მიიყვანა, შემდეგ ხეივნები შემოიარეს, ბოლოს პლაჟზე გავიდნენ.

ჩინური ქოლგით ვიცანი, ქვიშაზე განმარტოებით იჯდა. გია ნაპირთან ჭკუეშპალობდა.

მივუახლოვდი.

ქვიშის ხმაურზე ქოლგა გადასწია, ამომხედა და...

ტუჩებზე ღიმილი გამოეხატა.

მის გვერდით დავჯექი, არ მივსალმებოვარ.

— ო, რა აბეზარი ყოფილხარო. — მითხრა და ისევ გაიღიმა.

თვალეში წყრომით აღარ ევსებოდა. სახეზე შეშფოთება და უსიამოვნება აღარ ეხატებოდა. ვულზე მომეშვა. შეიძლებოდა დამშვიდებოდა, გულწრფელად გველაპარაკა.

ვინაობა არ გამიმხილა. — რა საჭიროაო, — მითხრა. გავიგე, რომ თბილისელი იყო, საშუალო სკოლა წელს დაემთავრებინა.

— სწავლის გაგრძელებას არ აპირებთ? — შევკვივითხე.

— ამისათვის ხომ საწარმოო სტაჟია საჭირო, — მიპასუხა.

თვალეში ჩაეხედე.

თვალეები ჩვენი ზღვის ფერი ჰქონდა. ისეთივე მოკამკამე, მშვიდი, უძირო.

ჩვენი საუბარი გიას გამოჩენამ შეწყვიტა. ბიჭუნა მომვარდა, გადამეხვია, გადამკოცნა, „ვაზნები“ მომთხოვა.

ცაცა გვიყურებდა და იღიმებოდა, ვამჩნევდი, რომ სიამოვნებდა ჩემი და გიას თბილი ურთიერთობა.

— დისშვილი უფრო მოყვასია, ვიდრე მისი დეიდა, — გავეხუმრე, როცა მარტოდ დავრჩით.

— გია ჩემი დისშვილი არ არის, — შემისწორა ცაცამ. — ის ჩემი შვილია.

— შვილი? — სიცილი ამივარდა.

— რატომ იცინით? — მისაყვედურა. — არ გჯერათ, არა? თქვენი ნებაა, შე კი მართალს გეტბნებით. — ისეთი ხმით მითხრა, ძნელი იყო მის გულწრფელობაში დაეჭვება, მაგრამ ასაკი? ცაცა 12-13 წლით უფროსი თუ იქნებოდა გიაზე.

პლაჟზე საღამომდე დავრჩით. სასაუბრო არ შემოგვლევია.

გამოთხოვებისას გაცილების ნება არ მომცა.

— რა გაეწყობა, ვიმედოვნებ ხვალინდელი დღით, — ვუთხარი გამომწვევად.

— განა აქვს რაიმე მიზანი?

ყოველი ახალი შეხვედრის შემდეგ მეჩვენებოდა, რომ მასში უნდობლობას თანდათან ბოლო ეღებოდა. მიკვირდა მხოლოდ ერთი რამ—არასოდეს არ დაინტერესებულა ჩემი ვინაობით. ნუთუ მისთვის სულ ერთია ვინ ვარ, რას წარმოვადგენ? შეუძლებელია! იქნებ მოკრძალება აიძულებს ცნობისმოყვარეობა არ გამოამჟღავნოს?

მაგრამ ნე მინც გავაგებინე ჩემი ვინაობა.

ცაცამ გაიღიმა და ნიშნისმოგებით გადმომხედა.

— რატომ მეუბნებით? მე არ ვაპირებ თქვენს ოჯახთან დაახლოებას, ჩვენი ურთიერთობა უბრალო ნაცნობობას არ გასცილდება, ხომ გითხარი, 'შვილიცა' მყავს და ქმარიც.

როგორ, ნუთუ ეს შესაძლებელია? ნუთუ გია მისი 'შვილია'? არა, წარმოუდგენელია. აშკარა ტყუილია, ქალიშვილებს სიამოვნებთ, როცა აზვიადებენ, აჭიანურებენ, როცა ვაჟებს საზრუნავს მატებენ, თორემ ცაცა... დღეს პირველად ხომ არ ვხვდები. ორი კვირა იქნება, რაც ერთმანეთს ვიცნობთ. ყოველდღე თვალეში ჩავცქერბი. განა ვერ ვხედავ მასში მომხდარ ცვლილებებს? აშკარად ვატყობ, რომ სიამოვნებს ჩემთან ყოფნა. თუმცა ხან სევდას ვამჩნევ, აი მაშინ, როცა თვალეები ჩაუშუქდება და ოცნებით შორს გაიჭრება. აშკარაა, რაღაც აწუხებს, რაღაცას ფარავს. მერყეობას რომ დაძლევედეს, თავის ბედს რომ მომანდობდეს... თუმცა ეს ყოყმანი ბუნებრივია, მასში საკვირველი არაფერია. წინდახედული ქალიშვილი არასოდეს არ აჩქარდება, კარგად შეაფასებს, შეამოწმებს და, როცა დარწმუნდება...

გამიკვირდა, ბაღში მარტოდ რომ დავინახე. ბავშვს ხომ არაფერი შეემთხვა-მეთქი, გავიფიქრე. მივეგებე, გია მოვიკითხე

— გია დედაჩემმა ტბაზე წაიყვანა, მეც მთხოვეს თან გავყოლოდი, მაგრამ, როგორც ხედავთ...

ის, რაც უთქმელი დარჩა, მის ზღვისფერ თვალეებში ამოვიკითხე.

პლაჟზე გავედით.

ზღვაზე გასეირნება შევთავაზე. ცაცა უყოყმანოდ დამეთანხმა.

გემბანზე ავედით.

თბომაგალი სანაპიროს გაჰყვა. ჩვენს თვალწინ იშლებოდა ლაყვარდოვანი მთები, ამწვანებული გორაკები, თეთრად მოქათქათე, მრავალსართულიანი შენობები. ქობულეთამდე ჩავედით. ცაცა თვალს ვერ აშორებდა ბუნების შეუღარებელ სანახებს.

მხოლოდ ერთი რამ არ მომწონდა. ცაცა ჯერ კიდევ თქვენობით მომმართავდა, ვინაობასაც არ მიმხელდა, თითქოს მისი წარსული საიდუმლოებით იყო მოცული.

გულს მაინც არ ვიტეხდი, ეჭვებს არ ვიკარებდი.

დღის ბოლოს ოფიცერთა სახლის ეზოში საცეკვაოდ შევედით.

ცხრა საათზე წასვლა ისურვა. გავაცილე. ლენინის ქუჩას გავყვევით. დიდი სახლის დერეფანთან შეჩერდა. მადლობა გადამიხადა, ხელი გამომიწოდა. ვატყობდი, განშორება მასაც ეძნელებოდა.

„წადიო“, მითხრა, თვალი გამომამყოლა.

ბაღში დავბრუნდი. ხეტიალი დავიწყე. შემდეგ ზღვას მივაშურე. მინდოდა რაღაც გამეკეთებინა, მოზღვავებული ენერგია გამეფანტა, დავქანცულიყავ. ტალღებს შევეჭიდე, შორს შევეცურე.

ლამით ამინდი შეიცვალა. კოკისპირული წვიმა არც მეორე დღეს შეწყვეტილა. პარკში შეხვედრახე ფიქრი ზედმეტი იყო. სახლში მისვლა თავხედობა იქნებოდა. მოუთმენლად ველოდი გამოდარებას.

7600



გამოიღარა. ცაცა მაინც არ ჩანდა. ორი დღე პარკის შესასვლელთან დარა-
ჯივით ამაოდ ვიდექი. ბოლოს, იმ ეზოს მივამუტრე, სადაც უკანასკნელად დავ-
შორდი.

— ჩემთან მდგმურად იყვნენ, ორ კვირას დარჩნენ. შემდეგ დეპეშა მიიღეს
და გამგზავრებაც უცებ გადაწყვიტეს, — მითხრა მოხუცმა ქალმა. მათი მისა-
მართი სადღაც ჰქონდა, მაგრამ ვერ ნახა.

უცნაურ დაბრკოლებას წავაწყდი. ყველაფერი წიგნებში წაკითხულს ემს-
გავსებოდა. ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი თვალთაგან გამიქრა ისე,
რომ მისი ვინაობა არ ვიცოდი. ვეძებო? როგორ? ქუჩა-ქუჩა ვიწყო ხეტიალი?
თბილისი დიდი ქალაქია, შევხვდები? მივანებ?

ან რატომ წავიდა უსიტყვოდ?

მოუხვეწრობამ შემიპყრო. გადავწყვიტე თბილისში მეცადა ბედი...

ავვისტოს ბოლო თბილისში გავატარე, მაგრამ ცაცას ვერსად შევხვდი.
გავიდა მთელი წელიწადი. ზაფხულში, როგორც კი სახელმწიფო გამოც-
დები ჩავაბარე, ისევ მივამუტრე თბილისს და ისევ ამაოდ.

მიიღია ზაფხული. ცაცა კვლავ არ ჩანდა.

ერთხელ ამხანაგს მთავარ ფოსტაში შევეყევი. იგი მუდამ აქ იღებდა ბარა-
ბებს. ამჯერად წერილი არ აღმოჩნდა.

— არც ჩემს სახელზეა? — სხვათაშორის ვკითხე თანამშრომელს.

სახტად დავრჩი, „არისო“ რომ გავიგონე. კონვერტს დავხედე. ცაცასგან
იყო. მოუთმენლობამ დამძლია, მაშინვე გავხსენი.

„ჩვენი განშორებიდან დიდი დრო გავიდა, — წერდა ცაცა, — მაგრამ
თქვენზე ფიქრს თავს ვერ ვაღწევ. სული ისე მაქვს დამძიმებული, თითქოს
თქვენს წინაშე დანაშაული ჩამედინოს, მაგრამ ეს ხომ ასე არ არის. არ მქონია
შემთხვევა ვინმესთვის უსიამოვნება მიმეყენებინოს. მუდამ ვცდილობდი სხვის-
თვის ტვირთი შემემსუბუქებინა, ჩემით შეღავათი ეგრძნო... თქვენ კი,
თქვენ... რატომღაც მეჩვენება, ჩემით უკმაყოფილო ხართ. თუ ეს ასეა, გთხოვთ
მაპატიოთ. რა ვქნა, არაფრით შემიძლია გულისტკივილი შეგიძსუბუქოთ.

გახსოვთ, პლაჟზე გითხარით, ქმარი მყავს-მეთქი. თქვენ რატომღაც არ
დაიჯერეთ. გია ჩემი შვილია-მეთქი რომ ვთქვი, თქვენ სასაცილოდ არ გეყოთ.
მაგრამ ერთიც სიმართლე იყო და მეორეც. აი, როგორ მოხდა ეს...

ჩემს მეზობლად ცხოვრობდა დედა-შვილი. ერთმანეთისაგან კედელი
გვყოფდა. კედელიც არა, მხოლოდ კარები. ჩვენი ოჯახები ერთმანეთს
ისე იყო შეთვისებული, როგორც ერთი დედ-მამის შვილები. მამები არ გვყავ-
და, სამამულო ომში დაკვარგეთ. ვაჟმა რომ სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავ-
რა, მაშინ მეშვიდე კლასის მოსწავლე ვიყავი. ის სამუშაოდ ყაზახეთში გაემ-
გზავრა. შემოდგომაზე გავიგეთ, რომ დაქორწინდა. ფოტოსურათებიც მივიღეთ.
შემდეგ იგი დაქვრივებული დაბრუნდა. თან ჩამოიყვანა პატარა გია. ბავშვი
ისეთი კარგი იყო, რომ ყველა მოგვხიბლა.

გიას მამა ბევრს მუშაობდა. სამსახურის შემდეგ ოთახში გამოკეტილი წიგ-
ნებს კითხულობდა და რაღაცას წერდა. გვიან გავიგეთ, რომ დისერტაციას ამზა-
დებდა. ყველას მოსწონდა მისი შრომისმოყვარეობა, ენერგიულობა, სიძნე-
ლეებს არ უშინდებოდა, მუდამ დიდზე, განსაკუთრებულზე ფიქრობდა და
მიზანსაც აღწევდა. დისერტაცია წარმატებით დაიცვა.

დედამისმა საუბარში „ჩემო სარძლოო“, მითხრა. მე გაკვირვებული დავრჩი, კიდევ მეტი, შეურაცხყოფილიც. სიბრაზისაგან ცრემლები მომერია. მათთან შესვლა შევწყვიტე. საქმეში დედაჩემიც ჩაერია. — „ანგელოზივით ბიჭია, ჭკვიანი, კეთილი“...

— რის ბიჭი, — შევეკამათე დედაჩემს, — რვა წლით ჩემზე უფროსია“.

— ეგ არაფერია, შვილო. — დამამშვიდა დედამ. — მამაშენი ცხრა წლით უფროსი იყო ჩემზე, მაგრამ განსხვავება ჩვენს შორის არ იგრძნობოდა. თუ გინდა ბედნიერი იყო...

რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ დედაჩემი არ ცდებოდა.

გულის დამბლით დედა გარდაეცვალა. უბედურება ასე მოულოდნელად შეიჭრა მის ოჯახში. მწუხარება დიდი იყო, დაჰკარგა არა მარტო ძახლობელი ადამიანი, არამედ მეგობარი, გიას მომვლელი და აღმზრდელი. მამაკაცს დაბნეულობა დაეტყო, მარტოობა ტანჯავდა. მისთვის აუცილებელი იყო თანაგრძნობა, მზრუნველობა.

საშუალო სკოლის დამთავრების წინ მისი წინადადება მივიღე... მე უკვე მზად ვიყავი მისთვის და გიასათვის ყველაფერი გამეკეთებინა. ასე გაიღო კარები, რომელიც ჩვენს ბინებს ერთმანეთისაგან თიშავდა. შემდგომშიც ბევრჯერ განმისჯია ჩემი მოქმედება და დასკვნა მუდამ ერთი იყო — სამართლიანად გადავწყვიტე! დარწმუნებული ვიყავი, რომ ისინი ბედნიერი იქნებოდნენ და, პირიქით, მე მეყოლებოდა ღირსეული, კეთილშობილი, ყურადღებიანი მეუღლე, რომელსაც თავდავიწყებით ვეყვარებოდი, მექნებოდა წმინდა, ურთიერთგაგებაზე დამყარებული ოჯახი. ცხოვრებაში ცოტა რამ გამომეცადა, სამაგიეროდ ჩემთვის გაკვეთილი გახდა სხვისი გამოცდილება, ის, რასაც სხვების ურთიერთობაში ვხედავდი ან მესმოდა.

იმ ზაფხულში ბათუმში ჩამოვედი და შენ შეგხვდი. დანარჩენი, რაც მოხდა, შენთვის ნათელია. ჩვენ დავეშორდით. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, მე არ ვულალატებდი გიასა და №-ს, მე არ ვულალატებდი ჩემს ადრინდელ რწმენასა და გადაწყვეტილებას. თბილისში დაბრუნებულს თან ჩამომყვა წარუშლელი ძოგონებები შენზე, ბათუმზე... ქორწინების დღეს გიამ თავისი ხანჯალი და რევოლვერი მახუჭა. წარმოიდგინე, როგორ ვუყვარვარ მას, რაკი ამ ნივთებს შეეღია.

აი, ზია, მოვიხადე ჩემი ადამიანური მოვალეობა. დაუფარავად გაგაგე-ზინე ყველაფერი. არ მინდა ჩემზე უმიზნოდ იფიქრო, მეძებო, ან აუგად მომიგონო. შენი ტანჯვა რას შემმატებს, პირიქით, მინდა გამარჯვებული, ცხოვრებით კმაყოფილი იყო. მჯერა ასეც იქნება. ირგვლივ მიმოიხედე, ყველგან ვარდ-ყვავილნარი ბიბინებს... ცაცა ლალიძე.“

* * *

გამიძნელდა იმ აზრის შეგუება, რომ ცაცა სამუდამოდ დაგვარგე. ამაოდ ვეძებდი სტრიქონებს შორის სანუგეშოს. განაჩენი გამოტანილი იყო. ის სხვას ეკუთვნოდა.

მე მაინც მსურდა მასთან შეხვედრა, თუნდ ერთი საათით. მინდოდა ჩამეხედა მის ზღვისფერ თვალებში, მომესმინა მისი ტკბილი ხმა. ახლა, როცა ჩვე-

ნი განშორებიდან ამდენი დრო გავიდა, მინდოდა მეკითხა, ნამდვილად ბედნიერი არის თუ არა.

ოქტომბერში თბილისში მომიხდა გამგზავრება.

ცაცასთან ასე ახლოს ვიყავი. ძალიან მსურდა მენახა, მერყეობას კი თავს მაინც ვერ ვაღწევდი, რაღაც მბოჭავდა, რაღაც მაბრკოლებდა. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტე მომენახა.

კარი ძაძვებით შემოსილმა მოხუცმა ქალმა გამიღო.

— ცაცა ან პატარა გია აქ ცხოვრობს? — შევეკითხე.

მასპინძელს სახეზე გაკვირვება და დაბნეულობა გამოეხატა.

— მობრძანდით, — მიმიწვია. — გია საბავშვო ბაღშია, ჩემი ცაცა კი...

ის იყო კარებს გავცილდი, რომ მეორე ოთახიდან ჩვილის ტირილი გაისმა.

მოხუცი იქით გაემართა.

„იქ, ალბათ, ბავშვია და მას ზია ჰქვია“, გავიფიქრე. წამით წარმოვიდგინე — ცაცას კალთაში ჩვილი ჰყავს ჩაგორებული, ეალერსება და ამ სახელს უთვალავჯერ იმეორებს, სახელი აგონებს განვლილს: ბათუმს, ზღვისპირა ბაღს, თბომაველით სეირნობას...“

ცნობისმოყვარეობამ დამძლია მენახა პატარა. მოხუცს თან გავყვები.

როგორც კი მეორე ოთახში ფეხი შევედგი, ადგილზე გავშეშდი.

თალხში ჩაძირული ტახტიდან იმ ადამიანის ორეული შემომტყეოდა, რომელსაც მთელი წელიწადი დავეძებდი. იქვე, სხვა ნივთებს შორის, იდო ბავშვის სათამაშო რევოლვერი და ხანჯალი.

მოხუცმა აკვანს საფარი გადახადა. ბავშვმა დედისეული, მეტყველი თვალებით შემომხედა.

გვერდითი კარი გაიღო. ოთახში შემოვიდა საშუალო ტანის, ნაადრევად გაჭალარავებული მამაკაცი. მოახლოებულმა სათვალე მოიხსნა, დაქანცული, სევდიანი თვალებით შემომხედა, ხელი გამომიწოდა.

— თქვენ იცნობდით ცაცას?

— დიახ.

— საიდან?

— ბათუმიდან.

— ნდაა, — ამოიხვნეშა, ტახტზე ჩამოჯდა, თავი ჩაქინდრა. — ივლისში

გარდაიცვალა, ვერაფერი ვუშველეთ, მწვავე მიელოიდური ლეიკემია აღმოაჩნდა, სხვაგვარად თეთრსისხლიანობას ეძახიან. — ყრუდ ამოილაპარაკა, ათრთოლებული ხელი იქვე დაწყობილ ტანსაცმელს ისეთი გრძნობით გადაუსვა, გეგონებოდათ, მიძინებულ უსაყვარლეს ადამიანს ფრთხილად ეალერსებო.



ქსენია მჟავია

მე მხოლოდ შენი ვარ მადლობელი

მე მხოლოდ შენი ვარ მადლობელი,
მოხვედი, გულში შუქივით გაჩნდი,
ვიგრძენ სიცოცხლე რარიგ მიყვარდა,
იმ დღიდან ჩემში გულდია ბავშვი
უეცრად გაქრა, გაუჩინარდა.

მერე ფიქრები,
ღამე უძილო,
ხან ტკბილი, ხანაც კაეშნიანი,
გიშრის თვალეზი ღრმა და უძირო,
ცივი და მაინც ალერსიანი..

როგორ ვიღარდო,
როგორ ვინაღვლო,
ანდა გულიდან როგორ გამეშვი,
შენ განთიადის მაცნედ მოხვედი
ჩემი ცხოვრების სიანკარეში.

იმ დღიდან ქვეყნად სიმღერით დავალ,
დავალ კი არა, ფრთასხმული მივქრი,
შენ სულ სხვაგვარი ჩამიდგი ძალა,
შენ გამამდიდრე განცდით და ფიქრით.

ისევ მხვდებიან ვარდები გზაზე,
თვალმშვენიერნი, დამატკობელნი,
მე მაინც შენზე ოცნება მავსებს
და მხოლოდ შენი ვარ მადლობელი!

ველი გაზაფხულს

ამაღამ, ვიცი, ვერ დავიძინებ,
 მთვარევ, ვერ მნახო წამწამდახრილი!
 ეს განა ზამთრის ქარი სისინებს?
 გაღიმებული მოდის აპრილი.
 მე მისი ჩქარი ფეხისხმა ვიცან,
 მოდის ღულილით და აზვირთებით,
 ზეიმობს ზეცა,
 ირთვება მიწა
 და გასაშლელად ფეთქავს კვირტები.
 განა თოვს?
 განა წვიმის ხმა მესმის?
 იღვიძებს, მღერის დედაბუნება!
 და გაზაფხულის სუნთქვა ჩამესმის,
 მომეგებეო, მეჩუროჩულება.
 დაჯდები აქვე, სარკმელის ახლოს,
 ან სკამს დავიდგამ ღია კარებთან,
 ასე მგონია, მძინარე მნახოს,
 გზას ამიქცევს და გამეპარება.
 მე მინდა დილამ მომისწროს ფხიზელს,
 ვერ დავიძინებ, ვერ დავისვენებ!
 ნორჩი ბალახის სურნელი ვიგრძენ
 და დაორთქლილი მიწის სისველე.

* * *

...და ვიდრე გული გასაფრენს ეძებს,
 ვიდრე ამ მინდვრებს ხარბად დავივლი,
 პირველი სხივი მეზნევა მკერდზე,
 შემომანათებს დედის თვალივით;
 მოაქვს ამბორი სიყვარულისა,
 სუნთქვა სიკეთით სავსე გულისა...
 არ დაგებინდოს ეს მზე აროდეს,
 სამშობლოვ, შუბლი ნურც დაგლაროდეს!
 დედის ღიმილი,
 დედის ალერსი,
 ესოდენ სათნო,
 ესოდენ წმიდა,
 შენში ჰყვავიან,
 შენში ხარობენ
 და მარად შენში ცოცხლობდნენ მინდა.



ჯამალ ჯაყელი

თავდახრილი ფალავნები

სატევრის ტარზე ხელდაყრდნობილმა ბებერმა ლომმა არღუნ მეციხოვნემ იხმო ჯავარდენა და უბრძანა სტუმრების დაპატიება.

— მამა დავითის შთამომავლებმა ბრძოლაც ვიცით და ლხინიც, რაინდო!.. მიბრძანებია გვანცას ქორწილი... — თქვა და პატრონის ხელი დაჭკრა ბეჭებზე. მოკრძალების ნიშნად თავდახრილი ჭაბუკი უკანვლით მიუახლოვდა კარებს და კიბეზე დაეშვა. გალავნის მესერთან ცხენი ფრუტუნებდა და ფლოქვებით მიწას ჩიჩქნიდა, ვერცხლის სამკაულებით ასმულ ლაგამს აჩხარუნებდა და თახთახებდა.

ჭაბუკი ცეცხლივით მოევლო შევარდენას. აფთრის მუხლი მოიბა ცხენმა. ჯაყის ღელეზე ერთი ნახტომით გადაფრინდა და გვალვისაგან გაფიცული გზამტვრის კორიანტელში ჩაკარგა.

— მამული ბედნიერია შენისთანა ვაჟკაცების მოიმედე!.. — თქვა არღუნმა და თუთუნი გააბოლა. ირგვლივ მოჩანდა პურის ყანები, კრამიტის სახურავით გადალანძული სახლები, შიშველი ბორცვები...

სადღაც შორს, ჩალიბრულ ჰორიზონტზე ქულა ღრუბელი გადმოივრანდა. სატევარზე ცალხელჩამოსვენებული მოხუცი გაჰყურებდა მას და თვალწინ ედგა ბრძოლის სურათები...

აწყურის ხანძარი...

ბაიბურდის დესპოტის მხეცური ყინი...

ბაიახტრის ლაგამდაგლეჯილი ულაყები...

მარბიელები...

და თითქოს ხატის წინაშე მუხლი მოიყარაო, გულზე ჯვარდინად დაიწყო ხელები და წარმოთქვა:

„დედაო სამცხევე, შენი ცისა და მიწის მადლი იყოს თავდები ჩვენი უმფოთველობის, ტკბილი ძილის, შრომის, ლხინის და ქორწილების... თორემ თურქ მარბიელებს ისიც მოადედლებს, ცხრაღარიანი მახვილი მთელმა ქვეყანამ ერთად რომ იშიშვლოს...“

* * *

არლუნს ეახლნენ დაპატივებულნი. საქორწილო დარბაზში მსცოვან მამათა გვერდით ჩაირიგდნენ ჩიხტიკოპიანი დედანი. ყველაფერი ფერადი ხალიჩებით იყო გადახატული. დარბაზის გუმბათში უზარმაზარი მოოქროვილი შანდალი ნათელს აფრქვევდა ალთა ქროლვაში. კენარი ასულები თეთრტანა ფერიებზევით ირხეოდნენ შანდლების შუქზე. მომაჯადოებლად უკრავდნენ სირმიანი ჩოხოსნები. ჰანგი ხან განელდებოდა, ხანაც საგმიროდ აათრთოლებდა გულს.

არლუნი წამოდგა. რაღაც სურვილი ეხატებოდა სახეზე. თითქოსდა გადაადნა სიმი საკრავიერს. მიწელდა ჰანგი. მსცოვანმა ზარი გააწკარუნა. კარებს მოადგა კრავივით უწყინარი მსახური კრავა.

— უხმეთ! — ბრძანა და ჭროლა წარბი აგრიხა დარბაისელმა. ბრძანება გასაგები იყო. სასიძოს მოლოდინში გაფაქიზებული გვანცა შემოიყვანეს. გვერდით ამოსდგომოდნენ თეთრხსხასა აბრეშუმებში ალერწამული ასულნი. ნაირფრად ციმციმებდა მათი ჩიხტიკოპების ლალი და ფირუზი. შუაში დაისვეს გვანცა, არლუნის ერთადერთი ქალიშვილი.

მორცხვობდა ნატიფი გვანცა. ლაწვებს შინდის ალი შემოსწოლოდა, გულს ბედნიერება...

ცა-ფირუზივით შუბლნათელი ფირუზა მზრუნველობას არ აკლებდა დასავით საყვარელ გვანცას. თანშეზრდილები ერთმანეთის თვალებში დაუსრულლებელ სიყვარულს ხედავდნენ.

ენტო სანთელი.

ყუყუნებდა ყუყუნა თვალები...

აზარფეშები სუფრის თავზე დატორტმანობდნენ...

მეფობდა წუთები ქორწილისა. სიძე-მაცრიონის შეგვიანება თუ ჩააფიქრებდა ხანდახან ჭადარა დარბაისელთ.

წითელი ატლასითა და თეთრი აბრეშუმით გულისპირამოქარგული მკერდმძღარი გვანცა თავისი ძმის — ჯავარდენასა და ფირუზას ცეკვით ტკბებოდა. თანაც უკვირდა, რატომ არ ჩანს, სად წავიდაო კახა, ჯავარდენას ძმადნაფიცი. კახას კი საყვარულო კოშკურები დაეთვალიერებინა და სახლში ბრუნდებოდა.

მუდამ უფრთხოდა კენარი ფირუზა ჯავარდენას პირდაპირ მზერას, მაგრამ ახლა, ჭაბუკის გაშლილ მკლავებში მკერდის მორცხვმა მიმოტანამ მომაჯალი ნეტარი ბედნიერების ნათელი დააყარა მის ქალწულებრივ უმანკობას. და კარებს მოადგა კახა!..

როგორც კი შეხედა ფირუზამ მოსულის ნაღვლიან სახეს, შეეცოდა. ამ შეცოდებამ გააბრუა და დაარეტიანა იგი.

შეწყდა დაფი და დაირა. ჯავარდენამ მკლავებზე გადაისვენა ფირუზა. შეკრთნენ ასულნი. თითქოსდა წელში გადაიმტვრა ჩონგურთა წყება. წამოდგნენ დედანი.

— განიყვანეთ, ფრთხილად განუხსენით მკერდი. ნამი ეპკურის ცისიერი. ფირუზა ჰაერზე გაიყვანეს.

— დაილოცოს გამჩენის სახსენებელი... ქალი სუსტი არსებაა, ვერც ნეტარების გრძნობას იმორჩილებს და ვერც უსიამოვნების მოწოლას, — წარმოთქვა ჯავარდენამ და გვანცას მიმართა:

— მიხედვით ფირუზას, გულს რამ ბოღმა აქვს შემოწოლილი.
რა იცოდა ჯავარდენამ, რომ კახას ფირუზას სიყვარული წაჰკიდებოდა.
ლხინი განაგრძეს. არღუნმა, სამშობლო ქვეყნის სადღეგრძელო რომ და-
ლია, ფირუზა მოიკითხა.

— მოკეთდა, წყაროსთან მოასვენესო ხალიჩაზე, — უთხრეს.

ჩონჩხიანმა ტყემ ლეგა ნისლი გაცოხნა და ხევისაყენ გადაუძახა. ტატ-
ნობზე შერჩენილი ქულა ღრუბლიდან სავსე მთვარე ისე გამოცურდა, რო-
გორც ფიქრებიდან ფირუზას შუბლი. გული უთრთოდა რატომღაც. მიმოიხე-
და. ქალიშვილები შემოცლოდნენ, უკეთ მოისვენოსო. მასთან მხოლოდ გვან-
ცა დარჩენილიყო, საპატარძლოდ გამზადებული ასული.

— ჩემი ძმა ძალიან გიყვარს, ფირუზ?

— ძალიან, ჯავარდენას დავიწყება არ იქნება. — ჩურჩულით თქვა და
თვალები დახარა.

— კახასაც ჰყვარებიხარ.

— რა ვქნა. ცოდო-ბრალი განა დამედება?

— ამბობენ, თბოლმა გულმა ძლიერი სიყვარული იცისო, გადახვეწილი-
სამ კი წრფელი და უმანკო. შენ კი ორივე შეგძლებია.

— რა ვიცი...

ფირუზა თბოლიც იყო და გადახვეწილიც... მისი მამა მარბიელ თურქთა
წინააღმდეგ ბრძოლაში დააკვდა მესხეთის მიწას და არ დასთმო ის. ფირუზა
კი ჯაყის მეციხოვნემ წაიყვანა და აღზარდა შვილივით. გვანცასა და ფირუ-
ზას დებევით უყვარდათ ერთმანეთი.

დარბაზში ისევ ილხენდნენ.

არღუნმა კვლავ შეაყდარუნა ზინზილაკები.

კარებს მოადგა კედამოსილი მსახური კრავა.

— ვბრძანებ მომეახლონ კახა და ჯავარდენა.

ჭაბუკებმა მუხლი მოიყარეს მსცოვნის წინაშე.

— საერთო ლხინის დროს უფრო მეტი სიფრთხილე გვმართებს. ცალი
ხელით რომ ფიალა გვიჭირავს, ცალით მახვილს უნდა ვფერავდეთ... მიხედვით
საგუშაგოთა. ჯაყის წყალზე დაუბატიყებელი ოსმალოები თუ გადმოვლენ
სარბევად, დაიჭირეთ და შეჰყარეთ ახორში. მთვარიანი ღამეა, არ ააწიოკონ
ვისიმე ოჯახი...

ჭაბუკნი უსიტყვოდ ჩამოურიგდნენ საგუშაგოებს და იცავდნენ სამცხეს
უსინდისო სტუმართაგან.

ფირუზა და გვანცა კვლავ წყაროსთან, ხალიჩებზე ნებივრად ისხდნენ.
ზოგჯერ საბედისწერო ჟრჟოლა აიტანდა მათ და ხმას ჩაუწყვეტდა.


— ფირუზა, მეშინია, წავიდეთ, აგრილდა კიდეც...

— მეც მეშინია, წავიდეთ, გვანცა...

წასვლა დააპირეს. ორღობეში გამოჩნდა ორი ბოროტი ლანდი... ისინი
ნისლივით უხმოდ მიუახლოვდნენ ასულებს და შეიპყრეს. ამ დროს რატომ-
ღაც დარბაზი სდუმდა ხავსიან ყორღანვით. ფირუზას წინაშე მედიდურად
წამოიმართა ოსმალო. ქალმა იცნო ის...

— ხომ შეგიპყარ, ჩემო ბებულა. ბევრი იფარფატე, მაგრამ ვერსად წამი-
ხველ. გახსოვს, რომ არ დამინდე?..

ოსმალომ მკლავზე გადაისვენა ქალი და ცხენზე აიტაცა.



ისინი ნისლივით გაქრნენ. ორღობეში მიიღია მათი ლანდები.

— ფირუზა და გვანცა მომიყვანეთ აქ! — ბრძანა არღუნმა, მაგრამ მათი კვალი ვეღარსად ნახეს.

სასახლემ დაიძვირა მხიარულება. გამწარდა ლხინი. დაირახტა ცხენები უმაღლესად.

არღუნი ხმალ-აბჯარს ირტყამდა. ჭაბუკნი უზანგებზე შემართულიყვნენ. უნაგირზე დაჯდომას გული არ უთმენდათ.

სადღაც წყვედიადში დარეკა თოფმა. იცნეს მახარობელი... მაგრამ არღუნს ვეღარაფერი გაახარებდა. სასიძოსა და მისი მაცრიონის მოახლოება სიხარულის ნაცვლად ცეცხლს უკიდებდა მის ბებერ გულს.

მახარობლის თოფმა კვლავ დაიგრილა. მოახლოვდნენ მექორწილენი. წინ თემისთავი მოუძღვებოდათ. მათ მოსდევდნენ დედანი და მამანი. თეთრ ცხენს მოაგელვებდა სასიძო ჯავახა — სათნო გვანცას შეხვედრის მოლოდინში გულში სიცოცხლე გათენებოდა.

ისინი ცხენებიდან ჩამოხტნენ... ბებრები დარბაისლურად მიესალმნენ მასპინძლებს. ახალგაზრდებმა მუხლი მოხარეს არღუნის წინაშე. მასპინძელთა შორის არღუნ მეციხოვნე, მისი ვაჟი ჯავარდენა და ძმადნაფიცი კახა პირქუშ მეომრებს ჰგვანდნენ. სტუმრებს უკვირდათ მათი ასეთი გაპირქუშება. ჯავახას თვალები გვანცას დაეძებდა და მისი გამოუჩენლობა გულს უღონებდა.

სტუმარი თემისთავი სიტყვაძვირობდა.

მაცრებიც გაყუჩებულიყვნენ, თითქოს იგრძნეს — დიდი რამ უბედურება იყო მოსალოდნელი.

არღუნს ჭროლა წარბები გადაენასკვა, შუბლზე ღარები დასდებოდა. აზრის ნამუშევარს თვალები ჩაელურჯებინა. კახა და ჯავარდენა თოფებივით დატენილიყვნენ... და სულშეგუბებულებს ხმაც გაეკმინდათ. რა პასუხი გაეცათ სასიძოსათვის... ორი ასული ვერ დაიცვეს, მამულს როგორღა დაიც...

— ჯავახა! — მოულოდნელად გაისმა არღუნის ბოხი ხმა, თითქოს ბებერმა ლომმა დაიღრიალაო. ბოღმიანი მასპინძლებისა და გაოგნებული სტუმრების ყურადღება ერთბაშად მოხვეჭა ამ დაძახილმა.

— ჯავახა! — კვლავ გაისმა არღუნის ხმა და ჯაყის ციხის ჩალიბრულმა ქონგურებმა ამაზრზენი ექო დააბრუნეს.


ჯავახა მიუახლოვდა სახელოვან სასიძამროს და ცალი მუხლი მოიყარა, ხოლო მარჯვენა ხელი გულზე რომ დაიდო, პატივისცემის ნიშნად თავი დახარა.

არღუნმა სანაცვლოდ ხმალი დააძრო ქარქაშს, შემართა და...

— ადექ, შემართე ხმალი! — და ცალი წარბი აგრიხა არღუნმა.

თვალის დახამხამებაში წამოიშრათა ჯავახა და არღუნი ვერ გამოერკვა — თვალებს ხმალმა აასწრო, ვაჟკაცმა თუ ორივემ ერთად.

— კარგი ჭაბუკი ხარ. შევიტყვე, სამშობლო გყვარებია მშობელივით, ხოლო გვანცა — სიცოცხლესავით!.. რომ შეგეცილონ, მაჩვენე, როგორ დაიცავ მათ ღირსებას!.. და ორი ელვა აღმოხდა ორ ფოლადს. ნაპერწკლები დაჰყარა სატევრებმა. ბებერი ლომი შეება მოხეთქილ ჭაბუკს. სატევრებს ჭახანი გაჰქონდათ. გააფთრდა ჯავახა. შემოჰკრა... სასიძამრომ ფარი უმარჯვა და ფო-



ლადი ჯვარედინად გადაარტყა ფოლადს. არღუნს მუხლი გაელუნა და ნაბიჯით გვერდზე მიდგა. სუნთქვა გაიხშირა და შეუტია. სასიძოს ოფლი ჩამოუგორდა საფეთქლებიდან და გულისპირის თასმებთან შეინასკვა...

ზვავსავით მოსდგა არღუნს... მიეძალა ჯავახა... ნაპერწკლების ცეცხლი წაეკიდა სატევრებს. და იბრძოდნენ სასიძო-სასიმამრო. მაყრად მოსულმა თემისთავმა ხანჯალი შემართა, მათ შორის ჩამოიქნია და ამ სიტყვებით გაჰყარა მებრძოლნი:

„ნაცად მებრძოლს სატევარი გაუცვდება, დაუხარჯავ ღონეს კი — გაუტყდება... შეგრჩეთ მარჯვენი, ყრმავ და ბებერო!“.

ჯავახამ იარაღი ჩააგო და სასიმამროს პატივსაცემად ცალ მუხლზე დაეშვა თავდახრილი. არღუნმა ღომის ფაფარივით ჩამოშლილი ჭადარა თმები გადაიყარა და ჯავახას წამოდგომა უბრძანა. სასიმამრომ მას შუბლზე აკოცა და უთხრა:

— ჭირს ლაჩარი გაურბის, ბოღმა შეუძლოს გულს წაეკიდება... ვაყკაცი ხარ და უნდა დაიცვა სამშობლოსა და მშობლის ღირსება, სატრფოს ღირსება...

საქორწილოდ მოსულ ჯავახას დაეუფლა მებრძოლის განწყობილება. ხოლო როცა გაიგო, გვანცა მოიტაცესო ფირუხასთან ერთად, ბრძოლის სურვილით დაიტენა და ჩახმახივით შეიმართა. მას გვერდით ამოუდგა არღუნის გაყი — ჯავარდენა...

* * *

ბაიბურდის დესპოტი თურქი სარდალი ბაიახტარს ბრძანებას უმეორებდა: „...გასათათრებლად ყველა ღონე ეძიე. ხალხი ჯერ დააშინე, თუ გინდა ნოგენდოს. სახლები ცეცხლს მიეცი, მთელი სამცხე — ხმალს. გაათათრების შემთხვევაში დაპბირდი უზრუნველი ცხოვრება და უხალთუნები. ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში კბილებს დაგთხრი, ხოლო შემდეგ...“

და ყელში საჩვენებელი თითი გამოისვა, რითაც უსიტყვოდ აგრძნობინა, რომ თავს მოგკვეთ და სულთნის წინ გავაგორებო.

შემობრუნდა ბაიახტარი და ჩაფიქრდა.

შანდალზე სანთელი ენთო, ხოლო ბაიახტარის გულში — ცეცხლი. დავალება დიდი იყო. სამცხეზე უნდა ჩაეჭდო დესპოტის კლანჭი, უნდა დაეხარჯა ცეცხლი და სისხლი.

...და მოახსენეს, რომ ისინი იგვიანებდნენ.

„ალბათ ვერ მოიტაცესო“ — გაიფიქრა ბაიახტარმა და ალაჰს შემწეობა სთხოვა, მის პატივსაცემად „ბისმილა“¹ სთქვა.

როცა ბაიახტარი ამ მდგომარეობაში იყო, თურქი მტაცებლები მითქარუნობდნენ და მიჰყავდათ ორი ასული. კვნესოდა გვანცა, ჩაელეწა ლამის ფერდები. ფირუხას გულსაც შეეობა დარდი და შიში. დნებოდა ნაზ ასულთა დაწვებზე ცრემლი. დაღლილმა ფირუხამ თვალი გააჰყიდა. თურქს ჩექმის ყელში დანა ჩამოერტო. მთვარის ნათელში ციაგობდა მოზარნიშული ტარი. ფირუხამ ხელი გააპარა დანისაკენ, ამოაძრო ისე ჩუმად, თითქოს კარაქს ბეწვი ააცალაო. დანის ტარი შავრად ჩაბლუჯა და შიშისაგან ყბა შეეკრა.

კვლავ მიგელავდა თურქის ცხენი ქაფმორეული. წუწკმა მუცელში გამ-

1) ბისმილა — მაჰმადიანური ლოცვის საწყისი.



ქოლი სიცივე იგრძნო. თვალი დაუბნელდა. ფირუზა ცხენის ფაფარს ჩაეხლო-
 უჭა... კვლავ გამეორდა ამაზრზენი სიცივე... მხედარი ცხენზე გადაეკიდა.
 უზანგმა ფეხი არ მისცა განწირულს. კვლავ მიგელავდა ცხენი, კვლავ ჯიუ-
 ტობდა უზანგი ვიწრო. გზატყვევებზე მიხატუნობდა თურქი, უპატრონო
 გვამად რომ დაეგდო ცხენთა სატორავზე. ვერა შენიშნა მეწინავემ, გაცხარე-
 ბით რომ მიაგელვებდა ცხენს. ცოტა რომ გაიარა, გზას პირუტყუ დაადგა ამხანა-
 გის საძებრად. როცა გაკიტრული ნახა, შეშინებული თვლები ცას მიაპყრო
 და სამუდამო სასუფეველი უსურვა. შემდეგ კეფა მოიქეჭა და სახე დაემანჭა.
 ჯერ მიცვალებული გასჭვრიტა, მერე მთვარე... მერე გვანცასაკენ გააპარა
 მზერა ქურდულად. ეტყობოდა, საიდუმლო განზრახვა ჰქონდა. მთვარე ღრუბ-
 ლებიდან გამოცურდა და უხვად გაანათა იქაურობა. გვანცამ ამოიკვნესა და
 შეხედა თათარს.

— რას მომიჩერებხარ, ან რა გაკვნესებს? — და თავისთვის ჩაილაპა-
 რაკა:

— ღმერთმანი, ახლანდელი ტყვეები ურჩები არიან!..

— სანამ არ გამოგიცდია, მანამ ვერ მიხვდები ტყვეები ურჩები არიან
 თუ თვინიერები...

— ლამაზო ბრიყვო!.. შიშვლად მიგიყვან ბაიახტართან... ვერ ეღირსები
 სულთნის სარეცელს!..

— ისემც ნუ გელირსა სიკეთე, პირბნელო!

გათენებისას პატრონთან მიაღწია ნადავლიანმა მხედარმა. ერთიც მედი-
 ღურად შესძახა, მოვედიო. ყარაული მიეხალა ბაიახტრის კარებს:

— მოვიდა, მოიყვანა...

— მომეახლოს, მიბრძანებია!

თათარმა მუხლი მოიყარა პატრონის წინაშე და თავი დახარა.

— მე ფირუზას მოყვანა დაგავალე, ვინ მოგიყვანია ეს? — ბოღმამ ამო-
 ხეთქა ბაიახტარს.

ეს უფრო გულის ამოკვნესა იყო ჩაბნელებული სულიერი სამყაროდან,
 ვიდრე მუქარა.

შეცბა წუნკალი. მან მადლობის მაგივრად წკებლა დაიმსახურა. გვანცას
 შეხედა. ქალს თმა ჩამოძენძოდა და ნაწამები სახე ისე მოუჩანდა, როგორც
 ღრუბლის ხორაში მთვარე მიბნედილი. ბაიახტარი მიუახლოვდა, მათრახის
 ტარით ნიკაპი აუწია და...

როცა ქალს დალაღები შუბლზე გადაეშალა, მადლიანად ამოანათა თეთრ-
 ყირმიზმა სახემ. გრძელი, შავი წამწამები დინჯად აზიდა და თვლები ნადვლი-
 ანად მიაპყრო ბაიახტარს. ქართული შნო და ლაზათი ავსილიყო ამ უსაზ-
 ღვროდ საყვარელ თვლებში.

* * *

მხცოვან არღუნს შეატყობინეს, რომ ასკერი სამცხის საბოლოო დასარ-
 ბევად ემზადებოდა. დინჯ მეციხოვნეს ფეხი კუნძზე ჩამოედო, მუხლს იდა-
 ყვით დაყრდნობოდა და ფიქრობდა.

ჯავახას ქორწილის ჩაშლამ, გვანცას გატაცებამ, ფირუზას უგზო-ცკელოდ დაშენამ გულის ჭრილობა გაუხსნა მოხუცს და ბოლომთ მოწამლა ის. ხმაღზე დაიხედა. მხოლოდ ხმაღს შეეძლო ამ ბოლოს წარეტყვა. მუჭით მიწა აიღო და ხალხისკენ შეტრიალდა.

— ჭაბუკნო, მშობლებმა შექმნეს სამშობლო, მამებმა შექმნეს მამული... ჩვენ იმათი სისხლისა და ხორცის ნაწილი ვართ, ამ მიწაში გვიდგას ფესვები... გაგვიტამამდნენ მომხედურები... შეილებს გვტაცებენ და მიწას გვეცილებიან, გვართმევენ, რაიცა მათ არ მოუციათ... დავიცვათ მშობლისა და მამულის ღირსება! ვფიცავ ამ ხმაღს გაუტყვეთელს...

— ვფიცავთ!!! — სიტყვა აღარ დაამთავრებინეს არღუნ მეციხოვნეს და შემოეჯარნენ თვალცეცხლიანნი.

— გავაგდოთ მტერი სახლიდან! — დაიგუგუნა მანვე და ხმაღებს ელდა ეცათ.

წამით გაშეშდნენ მეომრები. ბრძოლის წყურვილით გაბრუებულნი თითქოს საღდაც გამარჯვების რწმენას სინჯავდნენ. ვაღმა კი... ხრიოკ ბეჭობზე ღვარივით მოედინებოდა ფარა. საამოდ ისმოდა ეყვანთა ჟღარუნი. ბეჭობის ფერდობზე შეფენილ სოფელს ვახშმის სამზადისში თავზე კვამლი ასდიოდა. ძაღლის წკავწკავი ცუდად ენიშნა არღუნს. ეყვნის ჟღარუნში ქალის კივილი დაესო ზეცას. ცხენზე შემართულმა ხევისაკენ გადაიხედა. წამის განმავლობაში ფიცრულ სახლს ცეცხლი შემოეხვია.

აღმა გარუჯა საღამო-ბინდი და არღუნის გული. სახლს ჭერზე ეკიდებოდა, სოფელს — გულზე.

სამცხის მიწაზე ცეცხლი ენთო.

* * *

გვანცას მშვენიერებით დაბრმავებული ბაიახტარი მუხლზე დაცემული იმეორებდა:

— ჯაყის პირიმზევ, მე შენი გული უთქმელ სიმდიდრეს მირჩევნია!.. ჩემი სატრფო ხარ, მრავალთა შორის პირველთაგანი! სამცხეს გავციდი, სასახლეს ავიგებ!

— მე კი უთქმელ სიმდიდრეს მირჩევნია ჯავახას გული.

— ამიერიდან ის შენს სახელს ველარ წარმოთქვამს, ვინაიდან ჩემგან მოელის შეპყრობა და თავის მოკვეთა.

— არასოდეს!..

თხოვნამ და მუქარამ რომ არ ვასკრა, ხვეწნას მიმართა:

— ხელმწიფეო ჩემო, მიბრძანე და აღსრულდების ყველა სურვილი, როგორც ღვთაების!..

— გიბრძანე და უნდა ასრულდეს სურვილი ჩემი: განმერიდე!

ელდნაკრავმა ბაიახტარმა საჭიროდ სცნო უკანდახევა. გვანცას ერთხელ კიდევ შეხედა კარებთან მიახლოებულმა. ქალს განრისხებულ ღვთისმშობელივით შეეკრა წარბები და გულში აფთარი ჩაესვა.

გამწარებულმა ბაიახტარმა სამუშაო ოთახს მიაშურა, მაგრამ მას გაფითრებული ასკერი წინ გადაუდგა და სცადა მოეხსენებინა:

— სამცხეს გრიგალი წამოუქროლა...

— რას ამბობ?

- გზა ფლოქვებმა გადაჩეხა-მეთქი...
- ჰოდა, რა გჭირს? — დასძახა უღროსმა სიმკაცრით.
- განუზრახიათ თათრების ამოწყვეტა სამცხის მიწაზე.
- ჩვენ თუ გაგვრეკენ, სხვა მოვა! სამცხეს თათარი დაებედა.
- გააფთრებულან...

— ნუ ჰყეფ! შიშმა ვის უშველა! ესლავე შეატყობინეთ არზრუმს, აგვიჯანყდნენ-თქო. საბოლოოდ მოვათვინიეროთ ეს ციხედქცეული ძველი ქვეყანა. მას ახალი სული უნდა ჩაედგას, ახალ ციხედ უნდა იქცეს.

შიკრიკი ელვის უსწრაფეს მოევლო ცხენს და არზრუმის გზას დაეკრა დახმარების სათხოვრად.

მოსდგნენ არღუნის პირქუში რაინდები. მოთარეშეთა ბანაკს ცეცხლი მოედო. ბუდედანგრეული კრაზანებივით იკბინებოდნენ მოთარეშენი. წამსვე ჩაურიგდნენ სათოფურებს. არ ცხრებოდა ხოცვა-ჟლეტა.

ბაიახტარი ბრძანებებს უხვად იძლეოდა. არღუნი კი ცხენზე წამოძართულიყო და უხმობდა მტრების მოთავეს — ხმაღში იწვევდა, მაგრამ ცალად რჩებოდა მთასა მყვირალ ირემივით. იბრძოდნენ სამცხელები და აოტეს შობხვდურები. მტრებმა იხუვლეს მესხეთისაკენ, სადაც დაბანაკებული ასკერი ეგულეზოდან. ბაიახტარი დროშის მაგივრად ხმალს მიაჩხვებდა ცხენდაცხენ... მებრძოლებმა გზა გადაუჭრეს და ორ-ორი ჩამოირიგეს... ჯავახა ლომივით გააფთრდა და მორკინალთ ხმლები დააყრევინა. მაგრამ როდი ილეოდა კრაზანები. კახას გაუცვდა მახვილი. ჯავარდენამ, როცა მტრის სატევარს ფარი უმარჯვა და მოპირდაპირეს მოქნევა დაასწრო, მიმოიხედა, არღუნის მოწონების ღიმილი მოძებნა, მაგრამ ამაოდ, არღუნი არსად ჩანდა.

თავშუა გაჩეხილი ასკერი რომ გადააწვინა, წინ გაიჭრა არღუნი და ბაიახტარს შეება. გამოცდილი მკლავით ხმალს საწერელივით ხმარობდა. ლამის მოუღალღოს მკლავი თათარმა, ლამის იხელთოს დრო და მიეძალღოს... მაგრამ ბებერმა ლომმა ჭაბუკივით შეარხია ბეჭები, მკლავი შემართა და ისეთი ძალით მოუსვა, თითქოს ბაიახტარს გოგრა სდებოდეს ბეჭებზე...

და ჯავარდენას რომ გახედა, შეკრთა, რამ წაიღო მისი გული და გონება, რამ მოხვეტაო მისი ყურადღება. ხელით მოიჩრდილა თვალები და ხრიოკ ბორცვს გაუსწორდა. ცხენი დაოთხილი მოტორავდა და მოჰყავდა ქალი ანგელოზი.

- ფირუზა! — შესძახა ჯავარდენამ და ცხენიდან ხელში გადმოიტაცა.
- სად არის გვანცა?
- გვანცა მომაკვდავ, ნაცემ დაბალთანაა. ჭრილობას ჰბანს და უხვევს.
- შენ როგორ მოხვედ ფირუზ?!
— ეს გრძელი ამბავია. ვუშველოთ სამცხეს. ბაიბურდის დესპოტი აღმოფოთებულა... მოემართება გაწვრთნილი ასკერით...

— ნუ ღელავ, მზექალო. ცოფმა რა გვიყო, ღვარი რას გვიზამს...

ფირუზა მაინც ვერ დაამშვიდა ამ სიტყვებმა. კახას გაუსწორა თვალები. დევივით თათარს შებოდა. ქალმა შეჰკივლა და ჯავარდენას სთხოვა მიშველებოდა...

* * *

დღეგმა მოუსწრო მებრძოლებს. არღუნის ბრძანებით ბაიასტარის თავი შარგილზე წამოაგეს და გზად დაახვედრეს ბაიბურდის გაწვრთნილ ლაშქარს. მოსდგა და მოსდგა ახმახი ასკერი.

შეიძრა სამცხე.

გაიმართა ბრძოლა ფიცხელი.

მეომრებს ბრძოლის სულით აღანთებდა არღუნის ხმა:

— შვილებო, მუდამ გქონდეთ მშობლის გავონება... მშობელი სამცხეა და ვუშველოთ მას. ცეცხლი არ ჩაქრეს სათოფურებში, გამარჯვების რწმენა არ დანეღდეს გულში...

გახანგრძლივდა ბრძოლის ცეცხლი.

ილეოდნენ მომხვედურები.

ილეოდნენ დამხვედურებიც...

ღღეს ღამე ცვლიდა, ღამეს — დღე...

დღეგმამ წარეცხა მიწაზე სისხლი...

* * *

მზე რომ ამოვიდა, სამცხე მიწის სისველის ორთქლში გაეხვია...

არღუნი ტანსაცმელშემოხეულ, სისხლის წვეთებშემხმარ, მრავალჯერ წაქცეულ, მაგრამ ამდენჯერვე ბრძოლის ცეცხლით წამომართულ გმირს ჰგავდა. ჯავარდენა კი თავდახრილი ფალაგანივით დასჩერებოდა მიწას. ბეჭთან გახეთქილიყო პერანგი და ჭრილობა ბროწეულივით გაპობოდა.

ჯავახას ეტყობოდა, რომ ერთზე ათი მოსულიყო. ლომი ბრძოლას გაელახა. მაგრამ ვერ დაეჩოქებინა.

კახა კი... კახაც მათთან იყო. მკერდი გაუღელა... გადაეწყვიტა სიკვდილის შემდეგაც ზურგი არ ეჩვენებინა მტრისათვის და ბეჭებზე დაცემულს ხელი ხმლის ვადაზე შეყინვოდა.

არღუნი თითქოს დაობლდაო კახას სიკვდილით, კრიჭა შეკვროდა, დანა პირს არ უღებდა.

ფირუზამ ახლა იგრძნო კახას სიყვარულის ძალა! ჯავარდენას მკერდზე მიაყრდნო თავი და აქვითინდა.

აკენესდა საკრავიერი.

ჯავახამ გვანცა ცხენზე აიტაცა და აღმოსავლეთს გახედა. მზე ნალვლიანად გადმოსცქეროდა ბრძოლით გათელილ ველს. შორს კი ისევ მოჩანდა შავი ღრუბელი...

მაყრები შემოლევოდა ჯავახას, მაგრამ მტერიც აღარ ეგულებოდა სამცხის მიწაზე.

ჭირნახული მექორწილენი თავდახრილი მიაცილებდნენ პატარძალს.



მერი კეჩევაძე

მე ვზიქრობ

ბევრჯერ გავტეხე ბურთით ფანჯარა,
ბევრჯერ გავწყვიტე თოკი სარეცხის,
ვიყავი ცელქი და კაფანდარა,
ეზოში ქვებზეც ბევრჯერ დავეცი.

ხან შუბლზე მაჯდა კობები წყვილად,
ხან ცხვირი მქონდა გადატყაული,
დიდების რჩევა გვიღირდა ჩირად
და სულ ვცელქობდით მე და ნანული.

ასე ცელქები ვიყავით, ჰოდა,
იყო ბავშვობა ხალისის მფენი.
მე მხოლოდ მაშინ დავდინჯდი ცოტა,
როს სიყვარული ვიგრძენი შენი.

იმ ბავშვობიდან არარა დამრჩია...
ალარც მე ვცელქობ, ალარც ნანული.
ეზოს სხვაგვარი აცვია ფარჩა,
გულში კი ბუდობს ის სიყვარული.

მაინც მიწია ჩემმა ცელქობამ:
დაგკარგე შენ და გაქრა ბავშვობაც.
მე ვფიქრობ, ვფიქრობ ასე უშენოდ
ხომ არ ჩამივლის ახალგაზრდობა.



ნელი ბაბკიჩიძე

ი ს ბ ი ზ ი

თურმე აღარ ხარ ისეთი პატარა,
სოფლელი ფეხშველა ბიჭი,
თურმე გენატრება შარა და ავდარი,
და დიდი ცხოვრების თავიდან დაწყება გიჭირს.
სად იყავ, რა იყო, რა მოხდა, რა არი,
სად დავრჩა ის ბიჭი,
სოფლელი ფეხშველა ბაღლი,
მე მიყვარს ის ბიჭი, შენ არა, ის არი მთავარი,
და ჩემი ბრალია, დაკარგვა იმისი,
მე არ შევეშველე დაღლილს.

მას ახსოვს

ბალახის ღერებზე ასხმული მარწყვი და
გველისგან ნაჭამი მარწყვების გემო,
ჩვენ ერთად გვციოდა,
ჩვენ ერთად გვაწვიმდა,
სადა ხარ პატარა,

ცელქო მოსარჩლეო ჩემო...

მე მიყვარს ის ბიჭი, შენ არა, ის არი მთავარი,
ვინ იცის, იმაზე ფიქრები რად დამებედა,
იქ დარჩა, სოფელთან რომ ერთი მაღალი მთა არი,
თუ მამამ დასაჯა და არ გამოუშვა დედამ.

შენ მოხველ და ჩუმად მიყურებ დაღლილი თვალებით,
იქნებ შინ ისა ხარ და მხოლოდ სხვა წვიმა გაწვიმს.
თუ ის ხარ, მითხარი, სად იცის ლამაზი ქამები
და როდის ავასხათ ბალახის ღერებზე მარწყვი.



გიორგი ურუშაძე

ჩემი სოფელი

მუდამ ნათელმზიანი მიყვარს ჩემი სოფელი,
მისი აღმართ-დაღმართი წვიმით დარეცხილი;
მომხიბვლელი საღამო,
მთვარიანი ღამე და
დილით ჭალისპირები ნამით შევერცხილი.
აქ ყოველი ბილიკი, ორღობე თუ მცენარე, —
ყველა წყარო, მინდორი, ზეგანი თუ ხევი,
ჭადარი და მის ძირას ია პირმომცინარე
ყველა მშობლიურია,
გულში ჩასახვევი!
მიყვარს ჩამოხუნძლული ვაზი ცოლიკაურის
და „ნაცარა“ ვაშლის ხის გადმოხრილი ტოტი...
რთველი, მაჭრის ჩუხჩუხი,
ქვევრის მადა ფარული
ჩემი მიწა, —
ბადაგი თაფლივით რომ მოდის.
აქ ხომ ჩემი ბავშვობა ყველა ხეზე ხატია
და მიწას ამჩნევია ჩემი შრომის წვლილი.
მიყვარს ჩემი სოფელი და კრიალი მისი ცა:
თან ბახმაროს უბიდან დილის მზის სიცილი.
მიყვარს ჩემი სოფელი, ცისკარი პირმცინარე,
მიყვარს მისი ნაღური, ყანები თუ ხევი, —
მისი ცელქი წყარონი
და ჩუხჩუხა მდინარე,
მისი თეთრი ალვები, გულში ჩასახვევი.



ბრიგოლ ჩხაიძე

უკირო

ასალო და ყარამანი შორეული მოყვრები იყვნენ. სხვადასხვა სოფელში ცხოვრობდნენ, მაგრამ ერთმანეთს არ ივიწყებდნენ.

— კაი ბიჭია ყარამანი, ბევრი დრო გვიტარებია ერთად. — გაიხსენა ასალომ.

— თქვენმა თავის ხეთქამ... ღვინო გიყლაპავთ და ვარჰალალო გიძახიათ, ესაა დროსტარება? — შეუტია ყარამანზე განაწყენებულმა ელვასიმ ქმარს. — მერე ვისთან გიტარებია დრო? ყარამანა უპირისთან — დღეს რომ დაგპირდება და ხვალ მოგატყუებს?.. შარშანწინ რომ ასი თუმანი ვასესხეთ, ას-ას მანეთობით გამოგვაჭამა. ესაა მისი კაი ბიჭობა? ხომ არ დაგვიწყნია? სამასი მანეთი ჯერაც არ მოუცია. ზის მისთვის არხეინად, ყურსაც არ იბერტყავს. იმასაც ნახავ, თუ არ წაგვართვას.

— მოითმინე, ელვასი, რა გინდა, ხელი გავუმართე, იშოვის და მომცემს, ხომ ვერ ჩამოვახრჩობ?..

— უცადე, სანამ ყარამანა შენ ფულს მოგიტანდეს. ახლავე წადი... არა, ვითომ რატომ უნდა შეარჩინო ყარამანას ჩემი ნაშრომ-ნაოფლარი?! ღმერთო კი მომკალი, რა სჭირს იმას სხვისი შესაწევნი?

— არა ელვასი, არ შეგაწევე, მაგრამ თუ არ აქვს, კაცს სულს ხომ ვერ ამოვხდნი. რაც არ მიკადრებია, იმას ვერ ვიკადრებ. წასვლით კი წავალ, მოველაპარაკები. იქნებ კიდევაც მომცეს.

ასალომ ბევრი აღარ დააყოვნა და ყარამანისას გასწია. ყარამანი მიეგება, ოჯახობით მოიკითხა, ფულის დაგვიანებისათვის ბოდაში მოუხადა და იქვე ჭადრის ჩრდილში დასვა. სახელდასხელო სუფრაც გაშალა.

— ჯერ ეს ვიკმაროთ, ასალო ჩემო, ამასობაში ქალები სამუშაოდან დაბრუნდებიან და... დღეს რაღაც შეუძლოდ ვარ, ეზოდან არ გადავსულვარ, თანაც ეს დალოცვილი ჭადრის ჩრდილი წამალზე უფრო მიხდება.

სამზადიდან კეცის მჭადი და ერთი ყველი მოიტანა. დასტეხა, დაბალ მაგიდაზე დააწყო, შემდეგ პრასის წნილი და თავწატეხილი დოქით კუპრით შავი ღვინო მოაყოლა; მაგიდას დაბალი, სამფეხა სკამები მიუდგა და



სტუმარი მიიწვია. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა, დაცალა სავსე დოქი. ყარამანმა ცარიელ დოქს ხელი დაავლო, მაგრამ ასალომ არ დაანება, ველარ დავლევო. აღარც ყარამანს დაუძალებია და მიტოვებულ საუბარს დაუბრუნდნენ.

— იმას მოგახსენებდი, ასალო ჩემო... ჩემს ქარინას შენცკარგად იცნობ...

— კი, ბატონო, როგორ არა, — დაუკრა კვერი ასალომ.

— ჰოდა, მისი ქებით თავს არ მოგაბეზრებ, მაგრამ თუ კი ვინმეა ჩვენს სოფელში გასათხოვართავანი, ისეთი კაცის ღირსი, თვალში რომ მოგხვდეს და მოგეწონოს, ნამდვილად კია ჩემი ქარინა.

— ჰო, კი ბატონო!

— ტანადობა არ აკლია და თვალადობა. სიტყვა კაი იცის და პასუხი. მეოჯახეა და რანაირი, შენც იცი, ეკა რომ გარდამეცვალა, ქარინა ერთი ცი-და გოგო იყო და ახლა ჩემი ოჯახის გამხარებელი მაგია. რა ოჯახშიც შევა, წაქცეულიც რომ იყოს, უსათუოდ ფეხზე დააყენებს. მართალია, უმადლესი ვერ დავამთავრებინე, მარა რით ჩამოუვარდება უმადლესდამთავრებულს?.. არაფრით. ან კი რა საჭიროა უმადლესის დამთავრება. აგერ მეზობელმა დაამთავრა. რაღაც ნიშანიც კი მიუკრავს მკერდზე, მაგრამ რა გამოვა იმისგან? — არაფერი. ხარჩოს ვერ გაგიკეთებს და ღომს ვერ დაგიზღვს. აბა საცივზე ჯვარი გწერია. ამას წინათ წვეულებაში სუფრის გაწყობა დაავალეს დაედება ფრჩხილები, წაესვა პომადა, ჩაეცვა თეთრი ხალათი, შევხედე, ექიმი მეგონა. რაი მერე?! შემოიტანა ინდაურის საცივი. წამოჰკრა ვილაყას ხელი და ზედ თავზე გადამასხა. ბოდიშო, მომძახა. თუ იცი, ბოდიში მიმგელიდა მე?

ჰოდა, ასალო ჩემო, ნათესავი და მოკეთე შენ მყავხარ. ვიცი, გული შეგტკივა, თუმცა ქარინას გათხოვა ჯერ არ უგვიანდება, მაგრამ... მე ისეთი კაცი ვარ, ყველაფერი დროული მიყვარს. იქნებ ვინმე შესაფერი სასიძო მოგეძებნება, მაგიერი პატივცემა ჩემზე იყოს.

— ხა, ხა, ხა! — გადაიხარხარა ასალომ. — ყარამან! მაგი როგორ გეკადრება, მაჭანკლობას მთავაზობ, შე კაცო? შენს ქარინას ახლა ერთი კი არა, ორი შეყვარებული ეყოლება.

— არა, ასალო, მასეთად არ გამიზრდია, ვერ გამიბედავს.

— მეც მეგონა ვერ გამიბედავდა, მაგრამ უკითხავად გათხოვდა და შერიგება მე თვითონ მახვეწნია. უმჯობესია თვითონ აირჩიოს თავის საბედო, რა დროს მაჭანკლობაა, ან რომელი მაჭანკალი მე მნახე? ამ ქვეყანაზე თუ ვინმე პატიოსანი და გულმართალი კაცია, ჩემი თავი მგონია. ჩემფერი კაცი მაჭანკლად არ გამოდგება. მაგი უპირო და უქნარა კაცის საქმეა.

— ესაა, კაცო, შენი კეთილმოყვრობა? — გაწყრა ყარამანი, — ქეიფში და სმა-ჭამაში ყველა კაი ბიჭია, შენ საქმე თქვი, საქმეში უნდა გამოდგე კაცი. შენ რომ მეზობელი გყავს, იმისთანა სასიძო ამ მხარეში არ მოიძებნება. ბეყანაზე გეუბნები. ჰოდა, იმასთან შუამავლობაზე უარს როგორ მეტყვი. თუ ქარინა მისი დასაწუნია, ვნახავ ვის შეირთავს უკეთესს.

— ბეყანი?... ბეყანი მუყაითი და პატიოსანი კაცია. ზოგიერთივით არალ-თარალი არაა. მართალია, თვალტანადობით ვერავის გააკვირვებს, მაგ-

რამ რაცაა, ოქროა. ანგარიშიანი კაცი ხარ, კაი საქმისთვის მივიგნია, უნდა, ისეთი სიძე გეყოლებოდა. გამრჯეა, ქალის შენახვა არ გაუჭირდება.

— ღმერთო კი მომკალი, რა სჭირს ჩემს ქარინას ვინმეს შესანახავი, მისი ტოლი მეაბრეშუმე და მეჩაიე მთელ რაიონში არ მოიპებნება.

— კი მარა, მოსწონს შენს გოგოს ბეჟანი?

— რაიო? რომელ მოწონებაზე მელაპარაკები, ვინ კითხავს გოგოს?! საქმე ისაა, მე მომწონდეს. მე თუ მინდა, გოგოს კიდევ მოეწონება და კიდევ შეუყვარდება.

— თუ ასეა, რა მეთქმის... საქმე სანახევროდ მოთაგებული გქონია. მიუგზავნე ვინმე და მეც შეგაწვევ სიტყვას.

— როგორ გეკადრება, ასალო ჩემო! რას ჰქვია მივუგზავნო. მაგას ვიკადრებ?! ეს სხვათაშორის გითხარი. იქნებ ისე მოგეხებინებია, ვითომ მე არაფერი ვიცი, თორემ ჩემგან მიგზავნა რას მიქვია, ხომ მომეჭრა თავი.

ასალომ ჩიბუხის ფერფლი აუჩქარებლად გამობერტყა ხის კუნძზე, ხელახლა გატენა, ჩამოკვესა და გააბოლა, გონებაში რაღაც თავისთვის ასწონ-დასწონა. ყარამანს დახმარება შეპირდა და წასასვლელად წამოდგა.

ყარამანმა ჯიბიდან სამი ასიანი ამოიღო, ასალოს გადასცა, მადლობა გადაუხადა და ჭიშკრამდე მიაცილა.

* * *

ღამდებოდა, ასალომ ეზოს ჭიშკარი რომ შეაღო. ყურმა წკმუტუნითა და კულის ქიცივით შეეგება პატრონს და, რაკი მიხვდა მეფერებო, უფრო გათამამდა, ნაბიჯი არ მოაცვლეგინა. ელვასი აივანზე ასვლამდე მიეგება ქმარს. როგორც კი შეხვდა, მაშინვე შეატყუო გადაკრულში იყო. აკეცილი წინსაფარი შეისწორა და ხმამაღლა შესძახა:

— უიმე, აგი შეჩვენებული საქმეზე გავგზავნე და როგორ გამობრუყულა? შვავი ჩავასკდა მაგ მუცელში. ყელში როგორ არ გაგეჩხირა ყარამანა უსინდისოს პურ-ღვინო?

— რა იქნა, რა მოხდა, ელვასი, რას აგინებ საწყალ ყარამანს? თვითონაც იცი, მშვენიერი ბიჭია. ამას ხედავ?..

ჯიბიდან ტკიცინა ასმანეთიანები ამოიღო და ელვასის ცხვირწინ აუფრიალა.

— ჰო, ვხედავ... ერთი შენა ხარ ბიჭი და მეორე ყარამანა გადაყრუებულნი. ნეტავ, არის ვინმე ისეთი, თქვენი ბიჭობა რომ ახსოვდეს? — დაუწია ხმას ელვასიმ.

— შენც დაგავიწყდა ჩემი ბიჭობა? მაშ კარგი...

თითის ქნევით დაემუქრა.

— რაღა გიჭირს, იტრაბახე, რაკი ყარამანიდან თავი დაგიძვრენია. მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, გვეშველა.

— მოიცა, ჯერ სადა ხარ, ერთი ახალი ამბავი მოგიტანე. შენ იცი და შენმა ქალობამ...

— რა ამბავი მომიტანე, თქვი ბარემ, მეჩქარება, ხბო მოსაყვანი მყავს და ძროხა მოსაწველი.

— საჩქარო არაფერია, ჯერ საქმეებს მიხედე, მერე გეტყვი, — დაუყვავა ასალომ.



ვლავსიმ საქმე რომ მოათავა და ოდაში შევიდა, ასალო უკვე აზრებინა და ხვრინავდა. თვითონაც მალე დაწვა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა. ლოგინში დიდხანს ტრიალებდა, სცადა გაეღვიძებინა, მაგრამ ვერ მოახერხა. როგორც იქნა, ჩაეძინა. დილით მამლის ყვირილმა გამოაღვიძა, ლოგინიდან თავი წამოჰყო და ასალოს ნელი ხმით გამოელაპარაკა.

— ასალო, გესმის? რა იყო, კაცო, რა ამბავი მომიტანე, არ იტყვი?

— რა დროს ამბავია, ქალო, ხომ არ გაგიჟდი, ღმერთი არა გწამს, მაცალე ძილი.

— ძილი კი არა, რამდენი ხანია გათენდა, თუ რაიმე სათქმელი გაქვს, თქვი, ნუ ვადამაყოფე.

— მაცალე ძილი, ქალო...

— გაცალო?!.. რას ქვია გაცალო, მუშა კაცს ახლა ორი ნაპირი უნდა ჭონდეს გატანილი, შენ საბნიდან ვერ გამომძვრალხარ. ადექი ჩქარა, სიცოცხლე ნუ გეზარება.

ასალოს შეეშინდა, ამ უთენია მართლაც არ წამომადგოს ლოგინიდანო და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა:

— ყარამანის ქარინას იცნობ?

— ვიცნობ.

— მოგწონს?

— რა უშავს, გვარიანია.

— თუ გვარიანია და კაია... შევროთო ჩვენს ბეჟანს.

— რომელ ბეჟანს?

— რომელსა და ჭრელს. რომელი გვყავს ბეჟანი? ჩვენი ბრიგადირი რომაა.

— ერთი ამას დამიხედე, მიშოვა საქმე. რაში მეპიტნავენა მე ქარინასა და ბეჟანის გათხოვა-მოყვანა. ეს მაცლია ახლა ყარამანა უპიროს საქმეში ჩავერიო ამ გახურებული მუშაობის დროს.

— შე კაი ქალო! ხომ გაგიგონია: კარგი ქენი, ქვაზე დადე, ვაიარე— წინ დაგხედებო. ამაზე კარგ საქმეს რას გააკეთებს კაცი?

* * *

მალე დაიმართოხელეს ბეჟანი. ცხელი ხაჭაპური, ჩაციებული ჩხავერი მიართვეს და შორიდან დაუწყეს მომავალი ოჯახის შექმნის ამბავი.

— უცოლო კაცი, ჩემო ბიძია, ცალუღელა ხარია. არც ისე ბავშვი ხარ შენ ახლა, რომ არ გაგეგებოდეს. — მოუქნია ბადე ასალომ.

— მერე და გოგოა ისეთი, ისეთი, რომ ცივ ქვაზე დავასახლებს.

— მარტო მისი თმები ღირს ერთ ქალად, იქნებ შენც იცნობ ყარამანის ქარინას?

— ვიცი, ვიცნობ. არაა დასაწუნი გოგო, მაგრამ მაჭანკლობით ქალი რომ მოვიყვანო, სასაცილოდ არ ვეყოფი ბიჭებს. ასეც რომ არ იყოს, ხომ ხედავ რა დღეში ვართ. ვისა აქვს ახლა ცოლის შერთვისი თავი. სულის მოსათქმელად არ გვცალია.

— შენგან არ მიკვირს, ბეჟან! არა, ბიძია, გაგიგონია ოდესმე ჩემი მაჭანკლობა? აი ისე კარგი მინდა შენთვის, იმ გოგოს თურმე. შენც იცნობ, იცოდე არ წააგებ.

ასალო და ელვასი სულმოუთქმელად უტევდნენ ბეჟანს და, როგორც იქნა, დაითანხმეს და წაიყვანეს ბეჟანი ქარინას დასანიშნავად. დატრიალდა ყარამანი. გავიშვითა ნიშნობა. აივსო სუფრა შემწვარითა და მოხარულით, გაჩაღდა სადღეგრძელოები.

ბეჟანმა ქარინასაგან მოკრძალებული თანხმობა მიიღო, ხელზე ოქროს საათი წება და დანიშნა.

* * *

ჰაერში მსუყე შემოდგომის სუნი ტრიალებდა. ახლოვდებოდა ქორწილი.

ბეჟანისა და ყარამანის ოჯახები ღლითიღლე საქორწილო ხორავით ივსებოდა, მაგრამ...

— ასალო ბიძია, ყარამანს შემოუთვლია, თუ არ დაგეზაროს, მინახულეო. — ჭიშკრიდან გასძახა ასალოს ყარამანის შემონათვალი მეზობლის ბიჭმა.

— ნეტავ რა დაემართა?!.. ხომ მშვიდობაა? კი! ვეახლები, აუცილებლად ვეახლები. — ადგილიდანვე მიიძახა უკვე გზაზე მიმავალ ბიჭს.

მეორე ღღეს მოგვიანებით გადმოვიდა ეზოდან და ყარამანისაკენ გაემართა.

— რა იყო, ყარამან, ხომ მშვიდობაა. გამარჯობა შენი! — მისვლისთანავე მიიყარა ასალომ.

— მოდი, დაჯექი, მომენატრე, ასალო ჩემო. რომ არ შემომეთვალა, ისე არ აპირებდი ჩემი ამბის კითხვას თუ?

— რა იყო, მოხდა რამე?

— რაღა დაგიმალო, საქმეც იმაშია, რომ მოხდა.

— რა?!

— შეგაწუხებ კაცი, შენთან სირცხვილი ვჭამე, მაგრამ რა გაეწყობა, ასე გამოვიდა...

— რა გამოვიდა, ვერაფერი გამიგია?

— ბეჟანას ქალს ვერ მივცემ. ერთი სოფლელი, გაუთლელი ბიჭია.

— რა სთქვი?!

— ჰო, ბეჟანას ქალს ვერ მივცემ-მეთქი.

გაუმეორა პასუხი ყარამანმა.


— ხომ არ გაგიყდი, ყარამან?! — ზეზე წამოვარდა ელდანაცემი ასალო. — დანას მიყრი კისერში? მეზობელს მტრად მიხდი?

— რა ვქნა, ასალო, მამა ვარ და... უკეთესი სასიძო ვიშოვე, ქალაქელია, „პობედა“ ყავს, სახელი თუ გაინტერესებს, ნიუტონი ქვია, იმას უნდა მივათხოვო, საქმე გადაწყვეტილია, ნიშნობაც გვქონდა.

— შენი სიტყვა? ნამუსი? ვინა ხარ შენ? კაცი მეგონე, ფუ შენს კაცობას.

ყარამანმა კარგად იცოდა თავისი დანაშაულის სიმძიმე, თორემ სხვა დროს შეფუთობებს არავის შეარჩენდა. ახლა რა ექნა აყალ-მაყალის ატეხა, ასალოს სამუდამოდ მომღურება არ უნდოდა და გაბრაზებულმა ნაძალადეგად შეიკავა თავი.

— ნუ იფურთხები, შე კაცი, ამაზე უარესი არ მომხდარა თუ? ახლა



დამავალე და საათი უკანვე ჩააბარე, ბოდში მომიხადე. ქალის მეტი რაა ქვეყანაზე, სხვა შეერთოს. დანიშნულები კი არა, ჯვარდაწერილები იყრებინან.

— ვაიმე, ჩემო თავო! — იტყვიცა ასალომ შუბლზე ხელი. — რა მიყო ამ უნამუსომ, სადლა გამოვეყო თავი! ახია ჩემზე. რომელი მაჭანკალი მე ვიყავი! ფუი შენს კაცობას.

ბევრი ეცადა ყარამანი, მაგრამ არ იქნა, ასალო ვერ დააშოშმინა.

* * *

...როგორც კი პლანტაციიდან დაბრუნდა, ბეჟანს ხელ-პირიც არ დაუბანია, ისე მიიბრინა ასალოსას. იცოდა, ასალო დაბრუნდა და ქარინას ამბავს მოიტანდა, მაგრამ როგორც კი შეხედა ელვასისა და ასალოს, მაშინვე ელდა ეცა. ენის წვერს კბილები მაგრად დააჭირა, პირში წყალდაგუბებულებით დაეშვა სკამზე და აქეთ-იქით თვალების ცეცება დაიწყო. დუმელში ხანდახან ქურდულად თუ შეაპარებდნენ ერთმანეთს მზერას, მაშინვე მომდურავებით პირს მიიბრუნებდნენ.

ფანჯრები უეცარმა ელვამ გაანათა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

— დეიქეცი და დეინგერი ბარემ! — დაარღვია ოთახის მყუდროება ასალომ.

— ყარამანისას, ყარამანისას გასკდა მეხი და მეწყერი, — მიაყოლა ელვასიმ.

— რა მოხდა, ასალო, რა ამბავია? — შეშფოთებით იკითხა ბეჟანმა.

— რა უნდა მომხდარიყო, ბიძია, ხომ გავიგონია სიბერემდე სიქაჩლო, მე ჩემი დამემართა, თორემ შენ რა გიჭირს, ახალგაზრდა კაცი ხარ, ქალის მეტს რას იშოვი, პურ-ღვინო მზად გაქვს. ახლა, ვისაც ინებებ, ის წამოგყვება. სწორედ მოულოდნელი ამბავია, მაგრამ უპირო ყარამანიდან რაა გასაკვირი? უარი შემოგითვალა... შენ კი არ გიწუნებს, ბიძიკო, მაგრამ სოფელში ვერ გავატხოვებო...

ამ სიტყვების გაგონებას, ტყვია რომ მოხვედროდა ბეჟანს და იქვე გაეთავებინა, ის უჯობდა.

— ვინ მიუხდა სახლში, კალთას ვინ აგლეჯდა, საქვეყნოდ თავი მომჭრა. გამიშვით, მე იმას ვუჩვენებ სეირს, საკალანდო ღორივით დავკლავ, ეს რა მიყო იმ უნამუსომ?..

— მოითმინე, ბიძია, დაწყნარდი, აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია. სხვებს შინ მოყვანილი ქალი გაქცევიათ, მაგრამ თავი კი არ მოუკლავთ, სხვა შეუერთავთ. არ ვარგა მასე! — ეცნენ გაცხარებულ ბეჟანს ასალო და ელვასი.

— სად მიბრინარ ამ ლუსკუმში, ვერ ხელდავ ქვეყანა იქცევა? სად ნახავ ახლა ყარამანა პირშავს.

— გაუშვი, გაუშვი! მოკლას და გაათავოს ის უპირო, სწორედაც სიკვდილის ღირსია, აბა არა?

ცაცხანებდა გაბილბილებული ელვასი და თანაც ბეჟანს ხელს არ უშვებდა, მართლა არ მოკლას ყარამანიო.

— დედაკაცო, გააჩერე მაგი სამიწე ენა, ნუ ატარტალებ, თორემ მოგჭრი ძირში. რას ქვია კაცი მოკლას!

— რაც მომივიდა, სულ თქვენი ბრალია, თქვენ გამაბრიყვეთ. ვყოფილვარ ბეჟანა, სამაგიეროს ერთი ხუთად გიზღავთ. ესაა თქვენი მეზობლობა?

— რას ქვია ჩვენი ბრალია, კარგი გვინდოდა, არ იქნა და თავს ხომ ვერ ჩამოვიხრჩობთ?.. დეწყნარდი, ბიძია, ხალხი ჭრელია, გაიგონებს და მართლაც თავი მოგეჭრება, — შეუტია ასალომ.

ბეჟანმა დრო იხელთა, ხელიდან დაუსხლტა ელვასისა და ასალოს, დაქრა ფეხი და გარეთ გავარდა.

დილაადრიან ფოსტალიონმა * * * ყარამანს დასახსნელი წერილი მიუტანა, მანეთიანი გადაახდევინა და ერთი ჭიქა ჭაჭის არაყიც გადაჰკრა, გაიხარეო, მიამახა და გზას ღიღინით შეჰყვია. ყარამანმა წერილი ქარინას გადასცა.

— წამიკითხე, გოგო, ვისგანაა.

— ნიუტონისგანაა. — დარცხვენით უბასუხა ქარინამ.

— ნიუტონის? შეუტრცხვეს ვაჟაკობა, მომჭრა თავი სოფელში, დასახსნელი წერილი გამომიგზავნა?.. წაიკითხე! ვნახოთ, რას იწერება.

ქარინას პირზე ბროწეულისფერმა გადაჰკრა. გაუბედავად დაიწყო კითხვა.

„ჩემო პატივცემულო, ყარამან ბატონო! მე ბოდიში... მე დიდი ბოდიში თქვენს წინაშე“.

— როგორც ვატყობ, მაგას ღვინის სუნი უდის.

— მაცალე, მამა!

„მე გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ ცუდი სიმთვრალე ვიცი“.

— აა, ხომ ვითხარი ღვინის სუნი უდის-მეთქი! — კვლავ შეაწყვეტინა კითხვა ყარამანმა.

„აბა რას უნდა მივაწერო ჩემი იმდამინდელი საქციელი. მე ალბათ აღრვევ შევიგნებდი ჩემს დანაშაულს, მაგრამ ბებურას ყანწმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ჩამოვედი ქალაქში თუ არა, საქმე სწორად განვჭვრიტე“.

— რაო? რას მიედ-მოედება, თუ იცი?

კვლავ შეეჩხირა კითხვაში ყარამანი ისედაც დაბნეულ ქარინას.

„ამხანაგებმა უმადლეს სასწავლებელში შესვლა და სწავლის გაგრძელება მირჩიეს. ეს აზრი მეც მომეწონა. განცხადება ფილოსოფიურ ფაკულტეტზე შემაქვს. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, მომავალ ფილოსოფოსს რა თანაგრძნობა უნდა გაუწიოს უბრალო სოფელში გოგომ.“

გთხოვთ თქვენი ქალიშვილი წინანდელ საქმროს მიათხოვოთ. მე სულითა და გულით ვუსურვებ მომავალ ბედნიერებას!

თქვენგან დაუვიწყარი ნიუტონი“.

ყარამანს სიმწრის ოფლი დაასხა. მუხლები მოეკვეთა.

ახლა უკვე ნათლად დაინახა, რომ მის საქმეს ღვინის კი არა, ძმრის სუნი უდიოდა. ხმამაღალი სიტყვის თქმა ვერ გაბედა, ჩუმად იკვნეტდა ტუჩებს. ბოლმისაგან გული უსივდებოდა. ქარინა მდულარე ცრემლებით სტიროდა.

ყარამანი ახალ თადარიგს შეუდგა. ღამით, ისე რომ არავის ენახა, მიიპარა ასალოსას... მაგრამ ქადაგად დავარდნილ ელვასისთან ყარამანის დიპ-

ლომატია გამოუწვევავ ქოთანივით დაიშალა. რა არ იღონა, ქრთამიც კი სცადა, მაგრამ ამაოდ. ვერ მოახერხა მათი მოდრეკა.

— უპირო კაცთან რა საქმე მაქვს! — გესლიანად მოუჭრა სიტყვა ასალომ.

ხაფანგში მომწყვდეული ყარამანი უკან არ იხევდა.

— გინდათ სამუდამოდ დამკარგოთ არა?... ბატონი ბრძანდებოდეთ. არ მკირდება თქვენი შველა. მე თვითონ მოვუვლი მაგ საქმეს.

ყარამანი გათენებამდე წამოვიდა ასალოს ოჯახიდან. შინ დაბრუნდა. ახალი გვგმა შეადგინა, ლაითანხმა სილიბისტრო ქერქეტაძე და ბეჟანს მიუზღავნა.

ბეჟანმა შორს დაიჭირა. ქვა აავლო და თავი შეუშვირა.

— ოქროდ რომ გადაიქცეს, მაინც არ შევირთავ... ვთქვი და გავათავე. ჩემი სიტყვა ბეჭედია. ყველამ იცოდეს — ბეჟანი სიტყვის კაცია, სინდის-ნამუსი აწუხებს.

დილად გაჭირვებულა ბეჟანი, ცივ უარზე იდგა, მაგრამ სილიბისტროსთან არაფერი გაუვიდა.

— შევირცხვეს თავი, სიტყვა გამატეხინე.

ხელის ჩაქნევით დაეთანხმა ბეჟანი.

ღვინობისთვის კვლავ ძალაში შევიდა. რთველი მოთავდა თუ არა... ქორწილი გააჩაღეს.

იწვია სტუმრები ყარამანმა. დაკლა დეკეული, მუსრი გაავლო ინდაურებს, ქათმებს, გოჭებს. ქარინა სადედოფლოდ მორთო.

ბეჟანმაც დაატრიალა ძმა-ბიჭები, დაიხმარა მეზობლები, ეცადა, სირცხვილი არ ეჭამა და სუფრა ჰურ-ღვინით აავსო.

ბეჟანმა მაყრიონი ცხენებზე შესხა და წინ წაუძღვა. როგორც კი გასცდნენ სოფელს, მახარობელი აფრინა.

მახარობელმა გაქაფული ლურჯა ყარამანის ჭიშკართან მიაგელვა, თოფი დასცალა.

გამოცვივდნენ სეფიდან მექორწილენი.

— მოდიან, მოდიან! ნეფე მოდის!

მახარობელმა მოფუსფუსე ხალხში ყარამანი დაინახა, რომელსაც ხელში ანთებული ჩირაღდანი ეჭირა, ცხენი ყალყზე შეაყენა და ბეჟანის შემონათვალი ლექსად მიაძახა:

შენ უპირო ყარამანი!

ახლა ხომ ვართ ბარი-ბარში,

ქორწილი მაქვს — სხვა სოფლიდან

გოგო მომყავს ცოლად სახლში.

ადვილიდან ელვის სისწრაფით მოწყვიტა ცხენი და მაყრიონისათვის საგანგებოდ გაჩირაღდნებულ გზაზე უკანვე გაქუსლა.



ქვემო ხეობა

მე რომ მიყვარდა

აღარ იცვამდი სხვა კაბას მგონი
და არ გიყვარდა ფერთა არევა.
იყო ზღვისფერი, ვით კაბადონი,
შენ რომ გშვენიოდა გადასარევედ.

როცა გემოსა, ასე მეგონა,
არ მქონდა ეშხი მე სხვა ნახული,
ეს იყო მაშინ, როცა, გოგონავ,
ჩემში შემოხველ, ვით გაზაფხული.

დავშორდით... თმაში სსივები ამხელს,
რამდენმა წელმა გადაიარა,
ახლა შემთხვევით ზღვისპირას გნახე
და განმიახლე ძველი იარა.



მეჩვენებ მოხლო

მე ვნახე ატომური ბომბით მოკლული

არ ვიცი, ქალბატონი მასულა ნამდვილად ასე მოხუცებული თუა. წლოვანების კითხვა ვერ გავბედე. იგი ტანმოხრილი, სახედანაოკებული, თვალეზიჩავარდნილი ქალია. ამის მიზეზი მძიმე სამუშაო, სიღატაკე და სასოწარკვეთილება უნდა იყოს. მაგრამ დღეს მსოფლიოს ქალებს შორის განსაკუთრებით ამ პატარა იაპონელზე ვფიქრობ, რომელსაც თავისი ვაჟიშვილი მეტად უყვარს.

მასულა სანს — ქალბატონ მასულას — შევხვდი გასული წლის ზაფხულში, სამხრეთ კუნძულებზე, იეცუს ნავსადგურთან, სადაც მისი ოჯახი დაბადებიდან ცხოვრობს. იგი სახლობს ნავსადგურის უკან, ერთ-ერთ ძველ სახლში, ოკეანიდან 50 მეტრის დაშორებით. აქ აღზარდა მან ხუთი შვილი, მათ შორის სამი ვაჟი. ამ ქალმა მომაგონა ჩემი ქვეყნის დედები, რომლებიც პარიზის გარეუბნებში ღარიბულ ქონებში ცხოვრობენ; მომაგონა ქვანახშირის აუზის მუშები თავიანთი დაღვრემილი სახეებით. ეს ქალი ისეთივე მამაცი, უდრეკი, მშვიდი და ერთგულია, როგორც ჩვენი ქვეყნის ქალები. იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე შეუსვენებლივ მუშაობდა, ახლახან ცოტა ფული იშოვა, მაგრამ რა ფასი აქვს ამას!

ვინახულე აგრეთვე მისი ვაჟი სანეირო, რომელსაც არასოდეს დავივიწყებ. იგი 31 წლისაა, ეტყობა, წინათ კარგი სანახავი იყო, ახლა კი საშინელი შესახედავია.

„დრაგონ დელაშანსუ“

1954 წლის პირველ მარტს სანეირო მასულა თევზმჭერ გემ „დრაგონ დელაშანსუ“ გუშავად იღვა. გემის ეკიპაჟის ყველა წევრი მეზღვაური იყო. 14 მარტს „დრაგონ დელაშანსი“ ნავსადგურ იეცუში დაბრუნდა, რის შემდეგ ეკიპაჟის არც ერთი წევრი ზღვაზე აღარ წასულა. ზოგი მიწისმუშა გახდა, ზოგი კი მექანიკოსი. ეკიპაჟის წევრები შეშინებული არიან, ძალა აღარ შესწევთ, რადგან მარჯნის კუნძულებზე (ბიკინსა და ენივეტოკზე) ამერიკე-

ლებმა პირველად ააფეთქეს წყალბადის ბომბი და „დრაგონ დელაშანსი“ ამ ატომურ ჯოჯოხეთში მოხვდა.

ეკიპაჟის ყველა წევრს ერთმანეთი მეტად უყვარდა. კაპიტანი ძლიერ ფრთხილი იყო, თანახმად ადმირალის ბრძანებისა, უშიშროების ზონა წინასწარ გამოანგარიშებული ჰქონდა. გემზე გუშაგად დგომის დროს, სანჯირომ აფეთქების შემდეგ სინათლე დაინახა. რადიოაქტიური სხივები საოცარი სისწრაფით ვრცელდებოდა ზღვის ზედაპირზე, მაგრამ მაშინ იგი ვერ მიხვდა საქმის ვითარებას. სანჯირომ მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ გაიგო, რაშიც იყო საქმე. 14 მარტს პანიკით შეპყრობილი გემის მთელი ეკიპაჟი ნაპირზე გადმოვიდა.

— თვალები დამიბნელდა, — მითხრა მან, — ლოყები შემიშუბდა, პირი აღარ მიჩანდა. კისერი და ხელები დამისივდა. თავიდან ფეხებამდე გავშავდი. როცა რომელიმე საგნის აღებას მოვიწოდებოდი, ხელები არ მემორჩილებოდა, თანდათანობით მიცვალებულს ვემსგავსებოდი.

სანჯირო ატომური ბომბის აფეთქების შედეგად რადიოაქტიური სხივებით დაავადდა. ხიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვის შემდეგ იაპონიის საავადმყოფოები იცნობენ ატომური ბომბით დასახიჩრებულთ. ახლა ატომური ბომბით გამოწვეული ავადმყოფობა კვლავ განახლდა. აქ ომის მსხვერპლზე როდია ლაპარაკი, არამედ იმაზე, თუ როგორ იღუპებიან ადამიანები ატომური ბომბის გამოცდის შედეგად. აი, სარეცელზე სანჯიროს ამხანაგი — მეთევზე კუბოიამა კვდება. თვით სანჯირო კი საოცარ ფენომენს წარმოადგენდა. მას ჭამის მადა აღარ ჰქონდა, თმები თანდათანობით სციოდა, დასუსტებულ ხელებს ვერ ღწევდა, ხესავით მიძიმე, დადამბლებული ფეხები ჰქონდა. სანჯირო რადიოაქტიური სხივებით იყო შეპყრობილი.

— რვა თვეს ვიწექი საავადმყოფოში, — მითხრა მან, — თავზე მუწუკები დამაყარა, საშინელი ქავილი მტანჯავდა. მარცხენა მხარე ყოველთვის ელექტროდენით დამუხტული მეგონა. გავშავდი, ცოცხლად ვიხრწნებოდი. მარცხენა თვალი განუწყვეტლივ მეცრემლებოდა, ხელებზე კანი მეცლებოდა. ხანიტარი ქალი ჩვირით ჩამოივლიდა და მაძრობდა კანს. ძნელია ყოველივე ამის წარმოდგენა. ფეხები შავი ლაქებით იფარებოდა. თვითეული ლაქა საშინლად მტანჯავდა.

ეს აგონია თექვსმეტ თვეს გავრძელდა. სანჯირო ექვს თვეს ელოდებოდა განკურნებას. შემდეგ მას ამაზე ფიქრიც დაავიწყდა. კუბოიამა უკვე გარდაიცვალა. კუბოიამას ამხანაგები კი ძლივსლა დადიოდნენ. საბედნიეროდ სანჯიროს დედა ჰყავდა.

დედამისი თვეში ორჯერ მიდიოდა მის სანახავად. იეცუდან ტოკიომდე დიდი მანძილია, რაც მას ძლიერ უძნელებდა მოგზაურობას. უპირველეს ყოვლისა მოგზაურობისათვის საჭირო იყო ფული, მაგრამ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ დედას ფული არ გააჩნდა და ხშირად სესხულობდა. ქალს უნდა გადაეღახა მრავალი მორალური და მატერიალური სიძნელე, დედა ჩამოდის ხოლმე შვილის სანახავად, დიდი ხნის დუმლის შემდეგ ტირობს იწყებს. იგი თექვსმეტი თვის განმავლობაში მოგზაურობდა იეცუდან ტოკიომდე, ყოველთვის განხენეებული იყო სხვა დედების მაგალითით. მას ბევრი ცუდი ამბავი დაატყდა თავს. სანჯიროს საცოლეს არ ჰყოფნის მოთ-




შინება, იგი მომავლად სანჟიროს განშორების წერილს უგზავნის. სახლში ყოველდღიურად იზრდება გადასახადი. ერთ დღეს ეს მორალურად და ფიზიკურად დაცემული ადამიანი შინ ბრუნდება. ამერიკელებმა აღუთქვეს, რომ მას მიყენებულ ზარალს აუნაზღაურებდნენ, მაგრამ დოლარები საქმეს როდი ეხმარება.

მას შემდეგ, რაც სანჟირო დაავადდა, დედა იძულებული გახდა მუშაობა დაეწყო ბრინჯის პლანტაციებში. მას ყოველწლიურად ოჯახში რამდენიმე იენი უნდა შემოეტანა. მის შვილს სანჟიროს უყვარდა იეცუს საავადმყოფოს სანიტარი ქალი, უნდოდა ცოლად შეერთო იგი. ორივე იტანჯებოდა, მაგრამ ამაოდ. ეს შეუძლებელი იყო. შეძლება სილატაკემ შეცვალა. ატომური ბომბების აფეთქების შედეგად დაავადებულთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ერთდროული „დახმარება“ გაუწია, თვითუღ მათგანს 4.500 დოლარი მისცა. ამ „დახმარებამ“ ახალგაზრდებს ჯანმრთელობა და სიმშვენიერე მაინც ვერ დაუბრუნა. მათ მაინც არ გაუჩნდათ ახალი თაობა. ისე როგორც „დრაგონ დელაშანსის“ ყველა მეზღვაურმა, სანჟირომაც კარგად იცის, რომ იგი უნაყოფოდ დარჩება, რადგანაც რადიოაქტიური სხივების წვიმის ფერფლმა დაავადა.

სისხლი ღენას არ წყვეტს

დადგენილია, რომ ატომური ბომბით დაზიანებულთ სისხლი სდით. იეცუში ბომბი არ ჩამოვარდნილა, ომი არ ყოფილა, მაგრამ ზარალი მოაქვს მომავალი ომისათვის მზადების მიზნით ატომური ბომბების გამოცდას. იაპონიამ მთელ მსოფლიოში პირველად განიცადა ატომური თავდასხმის საშინელება. ამიტომ მან კარგად იცის, რას უქადის კაცობრიობას ატომური ბომბის ჩამოგდება. ხიროსიმასა და ნაგასაკის მაგალითი მარტო მოსაგონარი როდია, ეს გაფრთხილებაცაა ყველასათვის. უნდა ვიცოდეთ, რომ ატომური ომი — ეს არის საზიზღრობა. წარსულ ომში მინახავს მკვდრები, მინახავს ადამიანების დამწვარი, დასახიჩრებული გვამები, მაგრამ ხმამალა უნდა განვაცხადო, რომ იმაზე საშინელი არაფერია, როცა ატომური ბომბით დაზარალებული სიკვდილს ელოდება.

ვნახე საავადმყოფოები, სადაც იწვნენ ავადმყოფები, რომლებიც თორმეტი წლის წინათ დაზიანდნენ ატომური ბომბის აფეთქების შედეგად. გაწაბებულნი, ისინი ბლუჯა-ბლუჯად იგლეჯდნენ თმებს. როცა თმები ცვენას იწყებს, ეს იმის ნიშანია, რომ სიკვდილი ახლოვდება. გარდა ამისა, ვნახე ახალგაზრდა გოგონა, რომელიც ლოგინად იყო ჩავარდნილი. როცა ნაგასაკში ატომური ბომბი ჩამოავდეს, იგი მაშინ შვიდი წლისა თუ იქნებოდა. წლების განმავლობაში მას არაფერი უგრძნია. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ატომით გამოწვეული ავადმყოფობა ტანში გაქვს გამჯდარი და დიდხანს ვერ გრძნობ. პატარა კუმიკო ამ ავადმყოფობის ტყვე გახდა. ერთ დილას, როცა იგი თმებს ივარცხნიდა, სავარცხელს თმების მთელი ბლუჯა ჩამოჰყვა. მან კარგად იცოდა, რომ სიკვდილი ახლო იყო, ვერაფერი გადაარჩინდა, და ერთხელ მაინც დაიყვრა. რამდენიმე



კვირის შემდეგ სამკურნალოდ წავიდა საავადმყოფოში. მას თავზე ჰქონდა ეგზემა, გრძობდა ძლიერ დაღლილობას, ჰქონდა განუწყვეტელი ფალარათი, გულისრევა, საშინელი წყურვილი. ბომბი რომ ჩამოაგდეს, იგი მაშინ ხუთი წლისა იყო. შესაძლოა, ეს გოგო მაშინვე არ დაზიანებულა, რადიაცია ხომ თავის მოქმედებას უტბად არ ამქლავნებს. ათი წლის შემდეგ, როცა იგი დიდი გოგო გახდა, საშინელი ამბავი გაიგო. იგი ატომით დაზიანებულთა სიაში მოხვდა.

ატომით გამოწვეული ავადმყოფობა ძლიერ საოცარია. ექიმებმა დაამტკიცეს, რომ ატომური ბომბით მოკლულთა სისხლი არ დედდება. არის შემთხვევა, როცა მთელი კვირის განმავლობაში მკვდრებს განუწყვეტლივ სისხლი სდით.

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ტოსიკო სავარაზე ვფიქრობ. ეს იყო 1947 წლის ზაფხულში, როცა იგი ხიროსიმას საავადმყოფოში დაწვა. ტოსიკო ამ ქალაქში დაიბადა. როცა ბომბი ჩამოაგდეს, იგი აფეთქების ადგილიდან 1.200 მეტრზე იმყოფებოდა. მას ღღესაც ახსოვს ეს საშინელი ამბავი. იგი მშვიდად მიყვება, თუ როგორ დაზიანდა, როგორ გაუჩნდა სახლს ცეცხლი და როგორ გაიქცა სახლიდან. როცა მის მიერ განცდილ პირველ ატომურ ღამეზე გელაპა-რაკებათ, გაცეხული რჩებით.

მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა. ტოსიკო თავს კარგად გრძობდა. 1951 წელს უეცრად საშინელი დაღლილობა იგრძნო, განსაკუთრებით ფილტვები აწუხებდა. იგი საავადმყოფოში დააწვინეს. უფროსმა ექიმმა, მედიცინის დოქტორმა ირო სიეეტომ დაუსვა დიაგნოზი: ტოსიკო დაავადებულია რადიაქტიური სხივებით. ეს შემთხვევა სისხლის გაწყალების კატეგორიას მიეკუთვნება. ექიმმა მისი განკურნება შესაძლებლად მიიჩნია, დაუწყეს მკურნალობა, რომლის შემდეგ საავადმყოფოდან გასწერეს... 1953 წელს მას კვლავ ახალი რეციდივები აღმოაჩნდა, ისევ საავადმყოფოში დაწვა. გაუსინჯეს სისხლი და გამოირკვა, რომ სისხლის თეთრი ბურთულები ოცი პროცენტით გადიდებულიყო... რამდენიმე თვის მკურნალობის შემდეგ კვლავ გასწერეს. მაგრამ ეს მხოლოდ ხაფანგია. ამ ხნის განმავლობაში ტოსიკო გათხოვდა, ეყოლა ორი ბიჭი. ისინი სხვებსავე სკოლაში დადიან, ფიზიკურად ძლიერი არიან, მაგრამ გონივრულად ვერ განვითარდნენ და მასწავლებელმა ისინი საექიმო შემოწმებაზე გაგზავნა. ხიროსიმას ხუთ საავადმყოფოში არის სპეციალური განყოფილებები, სადაც მხოლოდ რადიაქტიური სხივებით დაავადებულ ადამიანებს მკურნალობენ.

სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ სავარაზე შვილების გონებრივი დაჩლუნგება იმას გამოუწვევია, რომ მათი გაჩენის დროს დედა ატომიზებული ყოფილა. ასეთ ავადმყოფებს აქვთ დიდი თავი, დიდი თვალები, სუსტი მხედველობა, მიწებებული ყურები. როგორც ცნობილია, ატომური ბომბი დაყოვნებით კლავს ადამიანს. ამჟამად ტოსიკო კვლავ საავადმყოფოშია. თანამედროვე მედიცინა ყოველ ღონეს ხმარობს მის გადასარჩენად. გადაუსხეს სისხლი, მაგრამ ამაოდ, მაინც ვერ განიკურნა. აძლევენ ამერიკულ აბებს, მაგრამ არც ამ ღონისძიებამ მოიტანა სასურველი შედეგი. კვირაში ორჯერ უსინჯავდნენ სისხლს, მაგრამ უშედეგოდ. ერთხელ ექიმს შეეკითხნენ:

— რას იტყვი, ბატონო, პატარა ტოსიკო განიკურნება?
ექიმმა მხრები აიჩეჩა, ერთხელ კიდევ გადახედა თავის დოსიეს, ღრმად ჩაფიქრდა, ადგა და ლულულულით წავიდა.

ეს იმიტომ, რომ მან კარგად იცის, ასეთი ავადმყოფები არ იკურნებიან, ავადმყოფი სიკვდილს ვერ აცდება.

კვლევიან თორმეტი წლის შემდეგაც

მას შემდეგ, რაც ხიროსიძისა და ნავასაკზე პირველი ატომური ბომბები ჩამოაგდეს, ხალხი საშინლად იტანჯება. დღეს იქ ნანგრევები აღარ არის. მართალია, ახალი სახლები აუშენებიათ, მაგრამ ადამიანებს მეორედ ვერ გააჩენენ. ატომური ბომბი კაცობრიობას საშინელ სიკვდილს უქადის. მართალია, ჯერ ჩვენ არ ვიცით, სად მოხდება უბედურება, მაგრამ მოვალენი ვართ ვებრძოლოთ ამ უბედურებას.

ბატონო კაპიტალისტებო!

კარგად ვიცი, რომ თქვენ ამისათვის არ ფიქრობთ, თქვენ კვლავ ომის ისტერიით ხართ შეპყრობილი, მე კი მესმის, რომ ომი საშინელი რამ არის. გულახდილად უნდა გითხრათ, მას შემდეგ, რაც ხიროსიძა და ნავასაკი ვინახულე, დიდი პასუხისმგებლობა ვიგრძენი. ვიცი, რომ ატომური შეიარაღება, რომელიც ახლა გაფაციცებით მიმდინარეობს, კატასტროფამდე მიგვიყვანს.

იაპონიის პრესა კვირამი ორჯერ იუწყება იმ მოქალაქეთა გარდაცვალებას, რომლებიც ატომური ბომბით დაზიანდნენ. შედგენილია მიცვალებულთა სპეციალური სია, სადაც დასმულია ნომერი და თარიღი. გამოანგარიშებულია, რომ 1945 წელს ხიროსიძაზე ერთდროულად ატომური ბომბისაგან ორასი ათასი კაცი დაიხოცა, ყოველ წელს კი თანდათანობით ორასი-სამასი კაცი იხოცება. ეს უბედურება კვლავ გრძელდება. სულ სხვაა ჩვეულებრივი ბომბი. ვიტყვი, რომ ასეთ ბომბს ბევრი ადამიანის მოკვლა შეუძლია, მაგრამ მისი მოქმედება მაშინვე წყდება. სულ სხვაა ატომური ბომბი, იგი არასოდეს არ წყვეტს თავის მოქმედებას, მის მიერ გაშვებული რადიაცია ყოველთვის სიკვდილს თესავს.

არსებობს თუ არა რაიმე საშუალება ატომური ბომბის წინააღმდეგ? ამის საუკეთესო საშუალებაა — უარვყოთ ატომური ომის იდეა. იმ დროს, როცა ჩვენს ქვეყანას ატომური იარაღით ემუქრებიან, ატომურ თავდასხმას უმზადებენ, დროა ერთხმად შევსძახოთ: „არა, არავითარ შემთხვევაში!“

ფრანგულიდან თარგმნა სერგო თურნავამ.



სამუილ მარხაქი

რად არ აცვია მთვარეს კაბა

სმარბიული ხალხური ზღაპარი

ნახევარმთვარე მივიდა თერძთან,
 ცაში კი არა, ძირს, მიწიერთან.
 — გთხოვ შემიკერო კაბა მოდური,
 რომ ცაზე იმით ვიყო მორთული.
 დათანხმდა თერძი. არ დაიზარა,
 ზომა აუღო, კვლავ დაიბარა.
 თორმეტ დღეში კი, დახე, რა მალე
 ორჯერ და მეტად დასრულდა მთვარე.
 და კაბაც თითქოს ჩანს გამოცვლილი,
 ისე გასუქდა ის დალოცვილი.
 ლამის ატირდეს საბრალო თერძი:
 ეს ვინ მამასხრებს ეშმაკის კერძი!
 თქვენს ბრწყინვალეებს შეცვლია სისქე,
 ანდა ქსოვილმა მოიკლო იქნებ!
 თუმცა ჯერ ვერაფერს ვერ ვიტყვი მტკიცედ...
 კარგი! მაშ ზომას ავიღებ ისევ.
 დღეს ღამე ცვლიდა, ღამეებს დღენი,
 თერძი არ იყო წუთის გამცდენი.
 არც მთვარე მდგარა უქმად გარეთა,
 იმ ხანად იქცა სავსე მთვარედა.
 აი, იზომავს ვიწრო ტანსაცმელს,
 იწყევლება და ბრაზით ცახცახებს:
 გაიძვერა ხარ, შე ავაზაკო!
 რა პირით უნდა მელაპარაკო.
 სამ დღეში როგორ, მითხარი აბა,
 რად გახდა ვიწრო და მოკლე კაბა!
 სდუმს თერძი, იცის სიტყვით რას გავა,
 სად შეუძლია მთვარესთან დავა.
 აუღო ზომა, რას გახდებოდა,

დღესასწაულიც ახლოვდებოდა!
 და განა კაბა ვიწრო დატოვა,
 კვლავ დაარღვია, გააფართოვა.
 საცაა მალე მორჩება საქმეს,
 მაგრამ აქ მთვარეც მოადგა სარკმელს.
 მთვარე კი არა, ვიწრო ნამგალი,
 თურმე იკლებდა ამ დროს საწყალი.
 მთვარე სად იყო, — რაღაც ნაწილი,
 მრგვალი ზურგი და ზედ რქა აწვდილი.
 თერძი სიბზრაზით აცახცახებდა,
 — გეყოფა ჩემი მასხრად აგდება!
 შენს მამებლად სულელ თავს ვთვლიდი,
 შენ კი ფიგურას დღე-დღე იცვლიდი.
 ხან საესე იყავ, ბურთის მაგვარი,
 ხან არშინივით მჭლე და გამხდარი.
 ამოა შრომა დასაგმობია.
 ისევ უკაბოდ დარჩე სჯობია!

თარგმნა შალვა შუბლაძემ.



ღღეჭი და ღრმობა

პაკიან ლოკია

წინათ და ახლად

დილაა. მაღალი მთების ოქროსფრად აელვარებული მწვერვალები მზის მალე ამოსვლას გვპირდებიან.

გუშინ დილით მსუბუქად თოვდა. თეთრად გადაბეტილ ტყემლის ყვავილებს ლაღად ეფინებოდნენ თოვლის სიფრიფანა ფანტელები, მაგრამ შაქარყინულივით ზედვე აღნებოდნენ.

ზამთარ-ზაფხულის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გაზაფხული იმარჯვებდა და უძლური ზამთრის სუსხიან შემოტევას იგერიებდა.

გლეხები ამბობდნენ:
— უფრო გვიან გაზაფხულზეც გვიანახავს თოვლი, მაგრამ ჭირნახული არ დაზიანებულაო.

წინა დამით გვიანამდე არ დაწოლილან აქაურები დასაძინებლად. სოფლის სკოლაში ჩვენმა აგიტბრიგადამ საღამო-წარმოდგენა გამართა და ყველას იქ მოეყარა თავი.

ღარობა გამოიყურება ეს პატარა სოფელი. წაფრებულნი და სახურავ-აგლეჯილი სახლები უდგათ, ვიწროდ და საწყლად ცხოვრობენ. ოთხწლიანი სკოლა, რომელიც ახლახან გაუხსნიათ, უვარგის შენობაშია. ოცამდე ბავშვისათვის მოუყრიათ აქ თავი, მაგრამ იმათგან მხოლოდ ხუთი-ექვსი თუ მეცადინეობს ხეირიანად. მასწავლებლები ბედს ემდურებიან, აშკარად საყვედურობენ: აქ ექიმბაშებსა და მკითხავეებს მეტი დაფასება და მოწონება აქვთ, ვიდრე ექიმსა და ჩვენო.

„სახელითა ღვთითა, მამისა ძითა, სულისა წმინდითა“, — ბუტბუტებს ექიმბაში სნეულის საწოლთან ჩაჩოქებული და ამით ფიქრობს განკურნოს იგი.

მაინტერესებს: საიდან იცის მაჰმადის მორწმუნე ექიმბაშმა ასეთი შელოცვა? სამეზბით ხომ ქრისტიანები იწყებენ ლოცვას?

— არა, მეუბნება ექიმბაში, — ჩვენი წინაპრები ასეთი სიტყვებით იწყებდნენ შელოცვას და ამით კურნავდნენ ავთვალცემულსა და შიშნაკრავ ადამიანებს. — ეს მას სჯერა და სარწმუნოდ მიაჩნია, თუმცა წინაპრების ქართველობა არ სურს იწამოს.

რა გაეწყობა. დამპყრობთა სამასი წლის ბატონობას შეეძლო უფრო მეტად დაემახინებინა დაპყრობილთა სული და გული. დიდი მადლობა იმ დედებსა და მამებს, რომლებმაც თავიანთი სიმტკიცითა და მომხედურთან შეუბოგარი ბრძოლით თავიანთი შვილებს მშობლიური ქართული ენა არ დაავიწყეს და დედა-საქართველო არ დაუკარგეს.

...უამინდობას ხელი არ შეუშლია გლეხებისათვის. წითელი დროშა და საპირველმამისო ლოზუნგები გამოიტანეს, თოხებითა და ბარებით შეიარაღდნენ და ყანაში სიმოერით წავიდნენ.

თოვა მალე შეწყდა. მისის მზემ გადმოიხედა და დედამიწას გული გაუთბო.

ჩვენ მაღალი მთის კალთებს შევყე-
ვით და სოფელ წაბლანას ვესტუმრეთ.

აქ ახალი სკოლა აუგიათ. ფიჭვის
შენობას ჯერ კიდევ ასდის საკმელის
სუნი. მოსწავლეების სიმრავლით ეს
სკოლაც ვერ დაიგვეხნის. ეტყობა, არც
თუ ისე ინტერესებთ სწავლა, მოლა-
ხოჯებისა უფრო სჯერათ და სწამთ, ყუ-
რანი წმიდათა წმიდად მიაჩნიათ, მაგ-
რამ... სკოლაში სიარულს და სწავლა-
განათლების მიღებას სავალდებულოდ
ხდის კანონი და... და რა ქნან, ბევრმა
კი დიდი ხანია ზურგი შეაქცია ხოჯა-
მოლებს და მათი აღარაფერი სწამს.

წუხელ აქ გავმართეთ „სეირობა“.
დავდგით პატარ-პატარა პიესები. წავი-
კითხეთ ლექსები. ყველანი დიდი აღტა-
ცებით შეხვდნენ ამ სანახაობას. კიდევ
ამოდით და გაგვახარეთო, გვითხრეს
მოხუცებმა. ახალგაზრდები ხომ სულ
არ გვშორდებიან. ბნელი სახლების
ვიწრო სარკმლებიდან ქალები იჭირი-
ტებიან, მაგრამ მივიხედავთ თუ არა
მათკენ, მაშინვე გაქრებიან.

საბრალო ქალები! მერე, როგორ
დაინტერესებული არიან ახალი ცხოვ-
რების გაცნობით! მე ვიტყოდი, მამაკა-
ცები უფრო კონსერვატორები არიან
ამ კუთხეში, ვიდრე ქალები...

...მზის გადმოხედვას დავასწართ და
ისე გავყევით ხიხაირისაკენ მიმავალ
ბილიკს. თვალწარმტაცი ბუნებაა, ცამ-
დე აწვედილი მთები ამაყად გადმოგვეყუ-
რებენ მაღლიდან. მისი ფერდები ფიჭ-
ვისა და ნაძვის ხეებითაა შემოსილი.
აქა-იქ წიფლისა და მუხის ხეები ჩამდ-
გარან გოლიათებად. ქვემოთ მდინარე
სხალთა მიგრიალებს და დიდრონ მო-
რებს მიაქანებს. მოჩანს მაღლობზე წა-
მომდგარი სახლები პატარა ეზოებითა
და ხეხილის ნაშენით. ახალგაღვიძებუ-
ლი ფრინველების ჭიკჭიკი და ჟრიაშუ-
ლი აორკეცებენ ჩვენს შთაბეჭდილებას.

ბილიკი უფრო და უფრო ვიწროვდე-
ბა, ზოგან სავსებით წყდება და იკარ-
გება. საკვირველია, როგორ ცხოვრობენ
ასე უგზოუკლოდ! როგორ ეზიდებიან
პირნახულსა და სარჩოს?

ჩვენს გარდა არავინ მიდის ამ ბი-
ლიკით. ერთადერთი, ვინც ამ გზაზე
ენახეთ, ახალგაზრდა ვაჟი იყო. იგი
ხევიდან ამოვიდა და გვისაყვიდურა:
რატომ აგორებთ ქვებს ფერდობზე, ხომ

იცით, იქ პირუტყვი ძოვს და შეიძლე-
ბა დაამარცხოთო. ჩვენ მას ბოდიში
მოვუხადეთ და მას შემდეგ ბიჭებს გა-
სათოთად ქვა აღარ დაუგორებიათ.

სოფელ კვატიანში ვიკითხეთ — რა
მანძილია ხიხაირამდე?

— ერთი საათისა იქნებაო, — გვიბა-
სუხეს. გამოცდილებით ვიცით, რას
ნიშნავს ერთი საათის გზა. ზოგი სამ
საათშიც ვერ გალევს მას.

მიანც იმედია. სამ საათში თუ მივე-
დით, იმასაც მიღწევად ჩავვითო-
ერთი კვირაა ვმოგზაურობთ და ვადა-
დლილი ვართ. ერთადერთი სვანი ქალი-
შვილი ბაბი იოსელიანი ყოჩაღობს.
იგი ყველაზე წინ მიდის და უკვირს,
როცა რომელიმე ჩვენგანი ჩამორჩება
და დადლილობას მოიმიზეზებს.

არ მოველოდით, ისე მალე ავედით
ხიხაირში. თითქოს შორეული ექსპედი-
ცია დაგვესრულებინოს, ისე გამარჯვე-
ბულად ვგრძნობთ თავს. რაიონშიც არ
სჯეროდათ, თუ ამდენი ბარგი-ბარბა-
ნით ამოდენა გზას გავივლიდით და აქ
მოვალწევდით (ჩვენ თან მიგვქონდა
როგორც საგზალი და ტანსაცმელი,
ისე სცენის მოწყობილობა და რეკვი-
ზიტი).

ყველა სოფელზე უფრო მოგვეწონა
აქაურობა. აქეთ-იქიდან გადმომდგარი
მაღალი მთები, ფერდობებზე გაშენე-
ბული სოფელი, დიდრონი კაკლის ხეე-
ბი, გიჟმაჟი მდინარე და ცივი წყარო-
ები.

ცოდგაა ასეთი სოფელი ასე ჩამორ-
ჩენილი და მივიწყებული იყოს, გზა არ
ჰქონდეს და კულტურა აკლდეს.

შევედით სოფელში. ასე უცნაურად
და მოულოდნელად ჩვენი სტუმრობა
ყველას გაუკვირდა. შემოგვევივნენ
ადგილობრივი სკოლის მასწავლებლები.
გვეკითხებიან ქალაქის ამბებს, გვთხო-
ვენ წიგნებსა და ყურნალ-გაზეთებს.
თემსაბჭოს თავმჯდომარე, ძვალმსხვილი
და არწივივით ამაყი ვაჟკაცი, ნაცნო-
ბივით შეგვიგება და გაიხარა.

— თქვენი ჭირიმი, ბიჭებო, თქვენი,
რომ ამოდით და გამახარეთ. — გვითხ-
რა მან. — რამდენი ხანია ვეხვეწები
ჩვენს მასწავლებლებს, ერთი სარამო
მოაწყეთ, რაიმე პიესა დადგით-მეთქი,
მაგრამ არ შევბიან. გუშინ პირველი
მანისი ვიზეიმეთ და ერთი რაიმე გასარ-

თობიც ვერ ვუჩვენებთ ხალხს. აბა დღესასწაულს გართობის გარეშე რა ელფერი აქვს? ვითომ დღეისათვის შეგპირდნენ, რაღაცას მოგაწყობთო, მაგრამ ეტყობა ახლაც არ არიან მზად.

ჩვენ მივხვდით, რატომ ესამოვნათ ასე განსაკუთრებით აქაურ მასწავლებლებს ჩვენი მისვლა. გამოტყდნენ: მართალია, თავმჯდომარეს შეგპირდით სალამოს მოწყობა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, არც ძალები გვყავს და არც საჭირო მასალა მოგვეპოვეთო, გვითხრეს.

...სკოლის შენობა საესეა ხალხით. მთელ სოფელს მოდებია ჩვენი მისვლისა და „სეირობის“ გამართვის ამბავი და წამოსულან. ხის ბოძებზე შემდგარი შენობა საქანელასავით ირწყევა. გვეშინია იატაკმა არ გვიდალატოს.

მაგრამ ყველაფერი რიგზეა. შენობამაც გაუძლო ხალხის სიმრავლეს და ჩვენც ავიტანეთ თითო პიესის ოროჯერ გამეორება.

მეორე დღეს სოფლის ქალებმა საიდუმლოდ, მასწავლებელი ქალის პირობით, შემოგვითვალეს: ერთი ისეთი „სეირობა“ ჩვენც გავიმართეთო. ჩვენც სულითა და გულით გვინდოდა ეს, მაგრამ ვერ ვებედავდით. ერთ-ერთ სოფელში კინალამ პროფოკაცია მოგვიწყვეს ხოჯებმა ასეთი გამბედაობისათვის. ქალების მოთხოვნა და ჩვენი შიში თემსაბჭოს თავმჯდომარეს გაეუზიარეთ.

— რაო? — მაუზერზე დაიდო მანხელი. — ვინ გაბედავს პროფოკაცია მომიწყოს! თქვენ ნუ გეშინიათ. მე ვარ ჰასუხისმგებელი. თუ მაგ სალამოს მომიწყობთ და ჩვენ ქალებსაც ასეირებთ, შეგკითხნით თქვენი პატივისცემა. — და განკარგულება გასცა წარმოდგენაზე მხოლოდ ქალები მოეწყვიათ, მამაკაცები კი სცენის უკეთ მოწყობაში დაგვხმარებოდნენ.

ეს სალამო უფრო საინტერესოდ ჩატარდა. სკოლის შენობა ვერ იტივდა ქალებს. სალამოს დაწყებამდე ჩვენ მოკლე საუბარი ჩაატარეთ. ვილაპარაკეთ საყოფაცხოვრებო საკითხებზე, გავაცანით ქალაქის მუშებისა და მოსამსახურეთა მდგომარეობა, ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელობა.

ღამის პირველმა საათმა მოატანა, მაგრამ ქალები მაინც საყვედურობდნენ, მამაკაცები უფრო მეტი ასეირეთო.

გვთხოვდნენ გვემდერა, გვესამა (გვეცეკვა), გვეთამაშა... რამდენადაც შესაძლებელი იყო, შევასრულეთ მათი მოთხოვნა. ჩვენი ბრიგადის წევრმა ახალგაზრდა პოეტმა მუჰამედ მეგრელიძემ თავისი ლექსები წაიკითხა, ბაბი იოსელიანმა იცეკვა, ძმებმა ჯინჯარაძეებმა სახუმარო სცენები შეასრულეს; მთელმა ბრიგადამ ერთად იმღერა და ადგილობრივი სკოლის მოსწავლეების გამოსვლით სალამო დაგამთავრეთ. პირველი და მეორე კლასების მოსწავლეთა მიერ წაკითხულმა ლექსებმა ქალები აღაფრთოვანა. სიხარულით უბრწყინავდათ თვალები, როცა თავიანთ შვილებს სცენაზე გამოსულს ხედავდნენ.

— ძალიან მადლობელი ვარ, ბიჭებო, თქვენი. — გვითხრა მეორე დღეს თემსაბჭოს თავმჯდომარემ. — სამასი ავიტატორი ვერ გამიკეთებდა ამოდენა საქმეს.

მართალი იყო თავმჯდომარე. ერთბაშად დაეტყო სოფელს ცვლილება. ქალები კვლავინდებურად აღარ უფრთხოდნენ მამაკაცებს, ბავშვები ჩვენს მიერ სცენაზე წარმოთქმულ ლექსებსა და სიმღერებს იმეორებდნენ.

მეორე დღეს სოფელ ვიწროებში გავმართეთ სალამო-წარმოდგენა.

სალამოს მარტო მამაკაცები და ბავშვები დაესწრნენ. ქალები გარედან იჭვრიტებოდნენ, მაგრამ შემოსვლას ვერ ბედავდნენ. ჩვენ აქაც მოვიწყადინეთ ქალებისათვის ცალკე „სეირობის“ გამართვა, მაგრამ ამ ინიციატივას არცთუ ისე გულთბილად შეხვდა ზოგიერთი გავლენიანი პირი და იძულებული გავხდით განზრახვაზე ხელი აგველო.

ჩვენს მიერ შემოვიღო სოფლებს შორის ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში უჩამბა აღმოჩნდა. აქ პატარა კლუბიც აეგოთ და სალამო-წარმოდგენებმაც მართავდნენ. ქალები მამაკაცებთან ერთად მოვიდნენ და პირველ რიგებში დასხდნენ. მოსწავლეებიც საკმაოდ მომზადებული გამოვიდნენ და ახალნასწავლი ლექსები წაიკითხეს. ამ სოფლის დაწინაურების მიზეზი ჩვენთვის ადვილი ასახსნელი იყო. ქალაქსა და რაიონის ცენტრთან კარგი გზითა და ტრანსპორტით დაახლოებული სოფელი არ შეიძლებოდა არ ჩამოულიყო საერთო ცხოვრების ფერხულში.



ჩვენმა სააგიტაციო ბრიგადამ იმ წლებში ზედიზედ ოთხჯერ შემოიარა მთიანი აჭარის ბევრი სოფელი და თანისი მუშაობის კვალი დატოვა. ამ მოგზაურობის დროს ჩვენ ვამჩნევდით, თუ როგორ სწრაფად იზრდებოდა მოსახლეობის მიდრეკილება სწავლა-განათლებისადმი, ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი, საბჭოთა კულტურისადმი.

მაგონდება ერთი შემთხვევა:

მარტის სუსხიანი დღე იყო. თოვდა. ღორჯომის თემსაბჭოს ერთ-ერთ სოფელში საღამო გაემართეთ. აქაურებს ასეთ სანახაობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ, ამიტომ მეტად გაიხარეს, აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ, მოქმედების დროს ჩვენთან სცენაზე მოდიოდნენ და გვეხვეოდნენ. მეორე დღეს ამ სოფლის ქალებმაც მოიწადინეს „სეირობის“ ნახვა. მოგვიზავნეს მასწავლებელი ქალი და გვთხოვეს „სეირობის“ მოწყობა, მხოლოდ დღისით, საიდუმლოდ, მათ მიერ შერჩეულ სახლში.

დავთანხმდით და მზადებას შევუდექით. ოთახში, სადაც ჩვენ ზეწრებით სცენის ადგილი გამოვყავით, ორმოცამდე ქალი შეგროვდა. ვინაიდან აშკარად მათთან გამოსვლას დაგვირდით, ფარდის შიგნიდან გავაცანით ჩვენი ამოსვლის მიზანი და „სეირობის“ პროგრამა.

ვიწყებთ წარმოდგენას. სცენაზეა მუჰამედ მეგრელიძე, მეგრეივარ მე. იმართება დიალოგი... მაგრამ აი უცებ აშრიალდა კაბები და ჩვენი დარბაზი დაცარიელდა. კარებთან მხოლოდ ერთი ბერიკაცი ზის და მოგვჩივრებია. არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ, ავდგეთ და გავიდეთ თუ... აბა რა გქნათ?

ვუტყქვრით მე და მუჰამედი ერთმანეთს და თვალებით ველაპარაკებით.

— გავიდეთ, — ჩურჩულით მეუბნება ჩემი პარტნიორი.

მე ვეთანხმები და გასვლას ვაპირებთ, მაგრამ...

— დაიცადეთ. ისინი მოვლენ. — მშვიდად ამბობს მოხუცი. — მართლაც, ორ-სამ წუთში ჩვენი დარბაზი კვლავ გაიკვდა.

განვაგრძებთ წარმოდგენა, მაგრამ მეტად ცივად და უხალისოდ. ვფიქრობთ ამ ერთმოქმედებიანი პიესით დავამთავ-

როთ ჩვენი პროგრამა, მაგრამ როდღა დაგვანებეს.

კაცები რომ ასეირნეთ, ჩვენც იმდენი უნდა გვასეიროთო, მოითხოვეს ქალებმა და ჟრიაშული ასტეხეს.

ამ მოთხოვნამ ჩვეს წაგვახალისა. დავდგით მეორე, უფრო საინტერესო კომედია, მესამე, მეოთხე, მეხუთე და პროგრამა ამოვწურეთ, მაგრამ, თქვენც არ მოძიკვდეთ, წასვლას არავინ ააიოებს. გაიმეორეთ, წელან რომ გვაჩვენეთო.

ჩვენც არ დავიზარეთ, ზოგიერთი სცენა გავიმეორეთ, ლექსები წავიკითხეთ და რამდენიმე სიმღერა შევასრულეთ.

„სეირობა“ წარმატებით ჩატარდა, ქალები ძალზე კმაყოფილი დარჩნენ და მასწავლებელ ქალთა ხელით კარგი სადილი და ტკბილეულობა გამოგვიგზავნეს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ გვასინტერესებდა წარმოდგენის მიმდინარეობის დროს ქალების ისეთი უცნაური საქციელი.

— ჩემი ბრალია, — გვითხრა იმ მოხუცმა, კარებთან რომ იჯდა. — ეზოში ხოჯა შევნიშნე, მეგონა აქ შემოვიდოდა და ქალებს ვანიშნე...

ახლა გავიგეთ, რომ „სეირობის“ მოწყობის ინიციატორი თვითონ ყოფილათავისი რძალი და ორი ქალიშვილიც მოეყვანა ოჯახიდან.

სოფელ დიდაჭარაში ფათერაკი შეგვემთხვა. აქ მეოთხედ ვმართავდით საღამო-სეირობას. აქაურები მუდამ კმაყოფილი და მადლიერი იყვნენ ჩვენი. ამჯერადაც კარგად მიგვიღეს. სკოლის დარბაზში სცენა მოგვაწყობინეს, ფარდები მოიტანეს და ბლომადაც შეიკრიბნენ, მაგრამ წარმოდგენის დროს შევნიშნეთ, რომ ზოგიერთი რეპლიკებითა და წამოძახილებით გვაბრკოლებდა. გავაფრთხილეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. დარბაზში სამი მთვრალი ახალგაზრდა შემოსულიყო და ხელს გვიშლიდა. მოთმინებიდან გამოსულმა თავი ვერ შევიკავი და მეტად მწვავე სიტყვები ვაკადრე თავზედ ახალგაზრდებს. ყველას ეგონა, ამდენს არ დამითმობდნენ, მაგრამ ხალხმა ისინი უმტკივნეულოდ გაიყვანა გარეთ.

განვაგრძებთ საღამო. ამოვწურეთ ჩვენი პროგრამა და ხალხიც დაიშალა.

დავრჩით სკოლის შენობაში. გავშალეთ იატაკზე ჩვენი სახელდახელო ლოგინი და დავწვიეთ.

ამხანაგებმა მისაყვედურეს, ძალიან უხეში სიტყვები აკადრე იმ ახალგაზრდებს და რაიმე ხიფათს გადავეციდებითო. მე მათ ვამშვიდებ, მაგრამ, ცოტა არ იყოს, თავდაცვ მემშინია. ვინ იცის, მთვრალ კაცს რაძღენი სიავის გაკეთება შეუძლია!

სუსხიანი ღამეა. ცივა. ბნელა. წვიმის წვეთების შხაპუნი გვესმის. შიმშილიც გვეძალება.

ამ დროს კარებზე კაკუნი გაისმა და ხელის ფარნის შუქი შემოიჭრა ქუჭრუტანაში.

— ისინი არიან. ხმა არ გავცეთ! — მაფრთხილებენ ამხანაგები.

წავიყრუეთ. კაკუნი გაძლიერდა და ბრახუნად იქცა. ახლა აღარ შეიძლება წაყრუება.

— ვინ არის? — გავჩხმაურე მე.

— ჩვენ ვართ! — მოისმის გარედან და მგონია, რომ ეს სწორედ ჩემს მიერ შეურაცხყოფილი ახალგაზრდაა.

— რა გნებაეთ?

— გავგილეთ კარი, როგორ ადრე დაწოლილხართ, — ამბობს მეორე უფრო ბოხი ხმით.

— რაშია, ამხანაგებო, საქმე?! — ვდგები მე, მაგრამ ამხანაგები მიშლიან.

— კაცო, როგორ თუ რაშია. — ახლა მესამე ალაპარაკდა. — ამ სოფელში ნადირები კი არ ცხოვრობენ. ალაპარაკებები ვართ, სახლი და კარი გვაქვს. როგორ შეიძლება ასე! ადგილით, წამობრძანდით, საწოლსაც გიშოვით და საგებ-სახურავსაც.

— მადლობელი ვართ! არაფერი არ გვინდა. — ყველას მაგივრად უბასუხა ერთმა ამხანაგმა.

— ჩვენ ვიცით როგორი მადლობელიც ხართ. მაგრამ უნდა გვაპატიოთ და ახლა ჩვენთან წამობრძანდით, — ამბობს ისევე პირველი და ჩვენ ეჩქი არ გვეპარება, რომ ის გულწრფელია.

ბოროტი განზრახვა რომ ჰქონდეთ, სულ ერთია კარების შემომტვრევაც არ გაუჭირდებათ. კარებს ვაღებ.

შემოდის ოთხი კაცი ხელის ფარნებით.

— ძალიან დიდ ბოდიშს ვიხდით თქვენს წინაშე, მაგრამ ჩვენთან უნდა

წამოხვიდეთ, — გვეუბნება მოსულთა შორის უხნესი გლეხი და ისე გულთბილად გვეპატიჟება, რომ უარის თქმა უხერხულად მიგვაჩნია. მივყევით.

განიერ სახლში, სადაც სინათლე და საამური სითბოა, სუფრა გაუშლიათ. აქ არიან ამ სოფლის მოწინავე ადამიანები და მათ შორის ის სამი ახალგაზრდა, რომლებმაც ისე გვაწყენინეს თავიანთი საქციელით. ისინი ახლა დარცხვენილი და თავდახრილი სხედან და ჩემკენ გამოხედვას ერიდებიან.

შევუდექით სმა-ჭამას. გაჩაღდა სადღეგრძელოები, შემოსძახეს სიმღერა და სუფრა გახალისდა.

ვანშმის დასასრულს ჩემს მიერ განაწყენებულმა ახალგაზრდამ სიტყვა ითხოვა და წამოღდა.

— მე ერთი უსწავლელი კაცი ვარ, მაგრამ ავისა და კარგის გარჩევა შემიძლია, მტერსა და მოყვარეს ვცნობ. ეს ამხანაგები დღეს მეოთხედ არიან ჩვენს სოფელში. ჩვენთვის მათ დიდი სამსახური გაუწყვეიათ. მე მათგან ვისწავლე, რა არის თეატრი და ნამდვილი „სეირობა“. ამიტომ გადავწყვიტეთ ერთი სადილი მიინც გვიჭამა ერთად, ქართველურად. ყველაფერი გვაქონდა, მაგრამ ღვინო გვაკლდა და აბა უინისოდ ჩვენს სუფრას რა შნო უნდა ჰქონოდა. წავედით ხულოში ღვინის საყიდლად. სულმა არ მოგვითმინა და ცოტა დავლიეთ, ცოტას ცოტა მოჰყვა და კარგა მაგრად გამოვითვირით. ღვინო კი მოვიტანეთ, მაგრამ ჰკუა სადღაც მივათესეთ და აქ რას ვაკეთებდით. აღარ ვიცოდით. ვაწყენინეთ ჩვენს სტუმრებსა და მასპინძლებსაც, მაგრამ ეს ერთი და უკანასკნელი შეცდომა უნდა გვაპატიონ როგორც ჩვენმა სტუმრებმა, ისე ჩვენმა მეზობლებმაც. — ახალგაზრდა ჩემთან მოვიდა, ბოდიში მოიხადა და ხელი ჩამომართვა.

ჩვენ გავგახარა მისმა სიტყვებმა და საქციელმა.

მას შემდეგ ბევრჯერ ვყოფილვარ ამ სოფელში, როგორც კეთილი სტუმარი და მეგობარი. მინახავს ის გაზრდილი და დამშვიდებული. შორიდან მოსული აგიტბრივდა დიდი ხანია მას აღარ სჭირდება, საკუთარი თვითმოქმედი წრეები ჰყავს და იგი უწყევს მომსახურებას. თავისი ძალებით მართავენ აქ

„სეირობას“ და თუ ვეწვევით, ჩვენც სიამოვნებით გვასეირებენ. ბევრჯერ ცყოფილვარ მათ მიერ გამართულ „სეირობაზე“ და მუდამ კმაყოფილი დავრჩენილვარ.

* * *

დილაა. შემოდგომის მზე მორცხვად იჭვრიტება ღრუბლებიდან. ჩვენი მანქანა მიიწვევს წინ და აღმოსავლეთით მიემართება. ბევრჯერ ცყოფილვარ ამ კუთხეში, ბევრჯერ გამიგლია ამ განიერი გზით და მუდამ კმაყოფილი და მხიარული დავრჩენილვარ, მაგრამ დღეს განსაკუთრებით კარგ გუნებაზე ვარ. ოცდახუთი წლის წინათ ხისაძირში ფეხით ასულა, დღეს მანქანით მივემგზავრები და ჩემს სიხარულს ეს აორკეცებს. მივემგზავრები, მაგრამ ეს მჯერა, რომ იმ უდაბურსა და გაუფალ ხევში გზა გაიჭრა და მანქანა მიდის.

მივიწვევთ წინ და მალა. ჩვენზე ადრე წასულან ხელოვნების მუშაკებით სავსე ავტობუსები. ენგერ ხაბაძეს მოცეკვავეთა ანსამბლი წაუყვანია, შემოქმედების სახლი მომღერლებითა და მუსიკოსებით გამგზავრებულია. მწერლები და რედაქციის მუშაკები მივყვებით უკან და ხარბად ვსუნთქავთ მთის სუფთა ჰაერს.

აი გავცილდით შუახევის რაიონულ ცენტრს, ავიწიეთ უფრო მალა და მთავარი გზიდან განზე გაჭრილი ჩვენი მანქანა მდინარე სხალთის ხეობაში შევიდა.

ბილიკით ძლივს მივდიოდით ერთ ღროს ამ ადგილას. დიდრონი ქვები გვიცურდებოდა ფეხჩქეშ და გრიალით ეშვებოდა ხევში, ჩვენც რამდენჯერმე დავცურებულვართ და ლამის კლდისთვის შეგვიტოვებია სიცოცხლე.

სოფელ ყინჩაურში მანქანიდან გადმოვედით იქაურობის დასათვალისწინებლად. სოფელს მდინარის მარცხენა ნაპირი უჭირავს, ის თერდობზეა გაშენებული, როგორც აქაური ყველა სოფელი. გამოიშინა ძველთაძველი ეკლესია დგას, საჩარტველოს ისტორიაში სხალთის ტაძრად ცნობილი. უახლო სარწმუნოებასა და თამბაქობელებთან ხანგრძლივ ჭიდილში აქაურ მახოვრებთ შიმოწუნახავთ და შიუნარჩუნებით წინაპართა ეს მნიშვნელოვანი მატერიალური ძეგლი და ახლაც სათუთად უვ-

ლიან მას. იქვე უზარმაზარი ძველისძველი მარანია, რომელიც ერთ ღროს, ალბათ, აქაური ჯიშის ყურძნის წვნით ივსებოდა. დღეს ძველი ჯიშის ვაზი ცოლიკოტურს შეუცვლია და ძველის ნაცვლად ახალი ქვევრები ჩაუშარხავთ მიწაში.

ეკლესიის დათვალისწინებისას ერთი ახალგაზრდა შემოგვიერთდა. მას მკერდზე უნივერსიტეტდამთავრებულის ნიშანი დაუბნევია და წმინდა თბილისური ქართულით გვესაუბრება. ეტყობა, ჩვენზე უკეთ იცის აქაურობის ისტორია.

— ისტორიკოსი ხართ? — ვეკითხები მე.

— არა, ეკონომისტი.
— მაშ ასე კარგად როგორ იცნობთ აქაურობას?
— რატომაც არ უნდა ვიცნობდე ჩემს სოფელს?

— თქვენს სოფელს?
— დიახ, მე ხომ აქაური ვარ!
— ყინჩაურელი?
— დიახ.

— მაშ გემახსოვრებათ ის ძველი ოთხწლიანი სკოლა, კერძო სახლში რომ იყო მოთავსებული, იატაკჩამტვრეული, გამურული და ჭუჭყიანი, ჩვენ რომ ერთხელ საღამო გავმართეთ.

— არა. ამის მსგავსი არა მახსოვს რა. ეს როდის იყო?

— როდის? ამ ოცდახუთი წლის წინათ.

— მე მხოლოდ წელს შემისრულდა ოცდახუთი წელი. — იღიმება იგი.

უხერხულად ვიქეჩავ კეფას. მართლაც, ის როდის იყო? 1933 წელს, ახლა კი 1958 წელია. სრული 25 წელი გავიდა შემდეგ და რად მომივიდა ფიქრად აქაურობის იმდროინდელი სახით აღდგენა? მაშინ ახალფეხადგმული კოლმეურნეობა ტაატით მიდიოდა, ახლა გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ. მაშინ ოცამდე მოსწავლე ძლივს დადიოდა სკოლაში, სოფელში ერთი კაციც არ იყო წერა-კითხვის მცოდნე.

ვევებრთვლა სკოლის შენობა თითქოს პასუხია ჩვენთვის საინტერესო კითხვაზე, ეს ვენახი, ბაღები და თამბაქოს პლანტაციები მეტყველებენ ამ სოფლის შეძლებულ ცხოვრებაზე.

— თქვენი სახელი? — ვეკითხები ჩემს თანამესაუბრეს.

— ოთარი.

— სად მუშაობთ?

— ხულოში, — და ოთარი ბევრ საინტერესო ამბებს გვეყვება ადგილობრივი ცხოვრებიდან.

ხიხაძის ვერ ვცნობ. ეს ის არ არის, მაშინ რომ იყო — იგი გაზრდილა და დამშვენებულია. ნაცნობი მხოლოდ მდინარე დამხვდა და დიდრონი კაკლის ხეები. სხვა ყველაფერი შეცვლილა და სულ სხვაგვარად გამოიყურება. არ ხანს ჯარგვალა სკოლის შენობა. სამაგიეროდ უზარმაზარი შენობა წამოჭიმულა, უამრავი ოთახითა და საკლასო დარბაზებით. ამ სკოლის დირექტორი დიმიტრი ხოზრევანიძე, რომელიც ჩვენი მიწვევის ინიციატორი და ხელმძღვანელია, მასპინძლად გვხვდება და დღევანდელი ზეიმის გეგმას გვაცნობს.

ლენინური კომკავშირის ორმოცი წლისთავს ეძღვნება ჩვენი აქ მოსვლა. ამ თარიღთან დაკავშირებით აწყობენ ხიხაძირელები ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებთან შეხვედრას. ამ ზეიმის ჩასატარებლად აჭაურები ადრინდელი მომზადებულან. სკოლის განიერ ეზოში ესტრადა დაუდგამთ, ლოზუნგები და პლაკატები გამოუქიდნიათ და ალაში აღუმართავთ.

სანამ ზეიმი დაიწყებოდეს, სკოლას ვათვალიერებთ. ენერგიული კაცის ხელი ეტყობა აჭაურობას. ყველაფერი თავის ადგილას და თავის რიგზეა. ავერ, კედელზე, სამი სტენდია ამ სკოლადათავრებულთა სურათებით. თვრამეტ ახალგაზრდას მიუღია სიმწიფის ატესტატი ორი წლის წინათ, მათ შორის ოთხი გოგონაა. წელს კი სამოცდაექვს ახალგაზრდას შორის ოცდაცხრა ქალიშვილს დაუმთავრებია საშუალო სასწავლებელი. ეს მთელი არმიაა ახალგაზრდა ინტელიგენციისა, რომელიც მხოლოდ წელს მიიღეს ხიხაძირის სასოფლო საბჭოში შემავალმა სოფლებმა.

სამაური დღეა. სკოლის ეზოში გროვ-

დება ხალხი. მანქანებით მოდიან ახლომახლო სოფლებიდან კოლმეურნეები და მათი ოჯახის წევრები, სტუმრები, მათ შორის რაიონის ხელმძღვანელი მუშაკებიც.

ზეიმი იწყება.

ესტრადას მოცეკვავეთა ანსამბლი იჭერს. „მოხვეური“ და „განდაგან“ ცვლიან ერთმანეთს. აჭარული და გურული, იმერული და კახური, მეგრული და სვანური სიმღერები და ცეკვები ერთ მთლიან ქართულ ანსამბლს ქმნიან და მაყურებელთა თვალსა და ყურს ატკბობენ და ახარებენ.

სრულიად ახალი ცეკვებით გამოდიან ადგილობრივი გოგონები. ენვერ ხაბაძე ბეჯითად ადევნებს თვალს მათ მოძრაობას და იმანსორებს. ალბათ, ფიქრობს, კიდევ ერთი საუნჯე მოსტაცოს სოფელს, გადაიღოს, გაალამაზოს, გაამდიდროს და კვლავ დაუბრუნოს თავის შემოქმედს, მისცეს ხალხს იგი სრულყოფილი და დამშვენებული.

დადამდა. ელნათურები ვარსკვლავებით აციმციმდნენ. აჭაურ სკოლას საკუთრად აუგია პატარა ელსადგური და მდინარე სხალთის ნენერვია მავთულებში მოუმწყვდევია.

— აბა მოძებნე, სად არის ახლა შენი დელი მურადი? — მეკითხება ამხანაგი დიმიტრი და იქ შეკრებილთ ათვალიერებს. კითხვა ნათელი და გასაგებია.

— მურადი ახლა ბათუმში არის. პასუხისმგებელი ამხანაგია. დიდი საქმე აბარია და ხელმძღვანელობს. ნაილე ხომ თბილისში ვაჰყვა ანდროს! იმასაც დიდი საქმე აბარია. აქ კი თქვენა ხართ მათ ადგილას — ხოზრევიანიძე და გაბაიძე, აბაშიძე და მრავალი სხვა. თქვენ ხომ ყველანი იბრძვით და შრომობთ იმ დიდი საქმისათვის, რომელსაც კომუნისმის საქმეს ვეძახით! — ვუბასუხე მე და მიხარია, რომ ამ კუთხეში, ამ ვიწრო ხევში განთიადი დილად ქცეულა, ბედნიერი ცხოვრება მოუტანია და დამკვიდრებულა.

1958 წელი, ოქტომბერი.



აუბან სხვიზარიძე

საბჭოთა მეურნეობის დაგეგვა

1926 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ლანჩხუთელ თანაკლასელებთან ერთად სამუშაოდ წავედი ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. მაშინ მეურნეობა მუშახელის დიდ ჩაკლებობას განიცდიდა და, ალბათ, ამით იყო გამოწვეული, რომ კომკავშირის ოზურგეთის სამაზრო კომიტეტმა (იგივე გურიის კომიტეტი) განსაკუთრებული საგზურები მოგვცა და გაცილება მოგვიწყო. იმავე საღამოს ჩავედი ჩაქვში. რკინიგზის სადგურზე საზეიმოდ შეგვხვდნენ მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ვასო ჯიმშელიძეშვილი და კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი იონა ფირცხალავა. მეორე დღეს უკვე ჩაის პლანტაციამი ვიყავით და გამოცდილი მეჩაიის ავროტექნიკოს გრიგორიადის ხელმძღვანელობით ჩაის კრეფას ვსწავლობდით. გრიგორიადიმ ქართული კარგად იცოდა, კარგი ხელმძღვანელიც იყო.

რამდენიმე დღეში უკვე ახალბედა მკრეფავები აღარ ვიყავით, დღიურ დავალებებს საგრძნობი გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად ვასრულებდით, რის გამოც იმ დროს არსებული სამკუთხედის წითელ დაფანეც კი მოვხვდით. ჩემთან ერთად მუშაობდნენ ს. ბერაია, შ. გოგუშვილი, ა. ცინაძე, ლ. ჩხაიძე, გ. ებრაელიძე, შ. ზენაიშვილი, დ. დოლიძე, გ. ართმელაძე, გ. ნარსია, პ. ხუნდაძე და სხვები — ყველას ჩამოთვლა

შორს წაგვიყვანდა. ჩაქვის მედამწვანე გორაკები, ზღვის სიახლოვე, ადამიანების გულისხმიერი მოპყრობა სოფელ ჭაბუკებს ძლიერ გვზიზღავდა. ამიტომაც ჩაქვში სამოთხე წელიწადს ვიმუშავეთ.

განსაკუთრებით მაგონდება პოლიტდარგში მეურნეობის დირექტორის მოადგილის ძველი ბოლშევიკის ნიკოლოლიძისა და პარტკომის მდივნის ილია შარაშიძის ყოველდღიური ზრუნვა მუშებისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის.

ჩაქვში იმ დროს მრავალი ეროვნების ადამიანები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ, მათ შორის იყვნენ ბულგარელები, რუმინელები, ჩინელი ლაო ჯინ-ჯაო და კოჩევი. ამ უკანასკნელის ოჯახის წევრები დღესაც ჩაქვში ცხოვრობენ და რუსულ და ქართულ ენებს მშვენივრად ფლობენ.

სადაბო საბჭოს აღმასკომს მაშინ ხელმძღვანელობდა ხალელი ა. ბოლქვაძე. იგი საკმაოდ განათლებული, ენერგიული და საქმიანი კაცი იყო. მისი ინიციატივით გაიხსნა ქართული სკოლები ხალაში, დიდჯამეში (ახლანდელი ჩაისუბანი), გიორგაძეებში, ციხისძირში და სხვა სოფლებში. სკოლებთან შექმნილი იყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კურსები. აქ მოხუცებიც დიდი მონდომებით სწავლობდნენ მშობლიურ ქართულ წერა-კითხვას. ბევრჯერ დამინახავს ბილიკზე სახელმძღვანელოებით დატვირთული,

ცხენებით მიმავალი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ა. ბოლქვაძე, ქობულეთის ჯერ სამაზრო, ხოლო მერე რაიონის განათლების განყოფილების გამგე ილიას ლაზიშვილი და ამავე რაიონის პოლიტგანათლების განყოფილების გამგე ი. თავაძე (ი. ლაზიშვილი ამჟამად ც. ქ. ქობულეთში ცხოვრობს ოჯახით, ხოლო ი. თავაძე მეცნიერ მუშაკია).

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ფართოდ გაშლას. ა. ბოლქვაძის და ღვაწლმოსილი აგრონომის კორტი ქარცივაძის ინიციატივით ყოფილი საუფლისწულო მამულის წიგნთსაცავის ბაზაზე შეიქმნა მუშათა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ხოლო მუშათა კომიტეტმა სათანადო თანხები გამოწავლა და ყოფილი ყაზარმის შენობის ადგილზე პირველი მუშათა კლუბი მოაწყვა. იმ პატარა კლუბის ტრადიციებზე შეიქმნა ამჟამად არსებული საუკეთესო მუშათა კლუბი.

1928 წლის შემოდგომაზე სასოფლო საბჭოს შენობის პირველ სართულზე მოთავსებული კერძო ყავახანა აღმასკომის დადგინებით გააუქმეს. მის მაგიერ მოაწყვეს ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელსაც ერთხანს მეჩხელმძღვანელობდი. ჩვენს ბიბლიოთეკას დიდ ყურადღებას უთმობდნენ მთავარპოლიტგანის აჭარის განყოფილების ხელმძღვანელი მუშაკები ივ. ფარცხალაძე, დ. ჯავახია, ი. თავაძე, დ. ლორთქიფანიძე. მათი პრაქტიკული დახმარებით საქმე კარგად წარიმართა. გარდა ამისა, აღმასკომის თავმჯდომარე ა. ბოლქვაძე მთელი ენერგიით გვიხმარებოდა და მალე ჩაქვის საღაბო ბიბლიოთეკა-სამკითხველო რესპუბლიკაში მოწინავე გახდა.

1929 წლის დამდეგს საქართველოს კე ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის გადაწყვეტილებით შავი ზღვის სანაპიროებზე დაიწყო ჩაის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა. საქართველოს ჩაის სპეციალისტებმა ერთ-ერთი ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად გილადა მიიჩნიეს ეკალ-ბარდითა და ბუჩქნარით დაფარული ოჩხამურის ეწერი მიწები. საერთოდ, ამ მიწა-წყალს საუკუნეების განმავლობაში არ იყენებ-

დნენ. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი დაჭაობებული იყო და ნადირთა და ქვეწარმავალთა ბუდეს წარმოადგენდა. ზაფხულობით აქ გავლაც კი საშიში იყო. მთელი ეს ვეებერთელა მიდამო სოფელ მუხაესტატეს გადმოღმა ისპანოს ქაობამდე, მდინარე ჩოლოქის ნაპირიდან ცეცხლაურის გორებამდე და ლაითურის ველის მიჯნამდე უკაცრიელი იყო. ამავე დროს ნიადაგმცოდნეთა დასკვნით ეს მიწები ჩაის კულტურისათვის საესებით ვარგისი აღმოჩნდა.

საქართველოს სსრ ხელმძღვანელი ორგანოების დადგინებებით, გადაწყდა ოჩხამურის უკაცრიელ ადგილებში ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოწყობა. გასაგებია, რომ ამ საკითხმა მიიპყრო არა მარტო რაიონის, არამედ აჭარის და მთელი საქართველოს მშრომელთა ყურადღება. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წარდგინით ახლად შესაქმნელი საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დაინიშნა ჩაქვის მოწინავე მუშა ახმედ ომერ-ოღლი — ჩაის კულტურის მცოდნე და მოსიყვარული, დაუმრეტელი ენერგიის ადამიანი.

ერთ საღამოს ქობულეთელ მეგობრებთან იუსუფ ცივაძესთან, შებან ლაზიშვილთან და ალი კვიციანიშვილთან ერთად ოჩხამურის ახლად დაარსებულ რკინიგზის ბაქანზე ჩავედით. იქვე იყო ერთადერთი დიდი კარავი, სადაც მოთავსდა მეურნეობის კანტორაც, დირექტორის ახმედ ომერ-ოღლის და მისი მოადგილისა და მთავარი აგრონომის არჩილ ასათიანის საწოლებიც.

პირველ დღეებში ა. ომერ-ოღლი და ა. ასათიანი მარტოდმარტონი მუშაობდნენ და ღამესაც ამ უდაბურ მიდამოში ათევდნენ; ეცნობოდნენ, გეგმავდნენ და ამზადებდნენ ნიადაგს მომავალი მეურნეობის დაფუძნება-მოსაწყობისათვის.

ეგლისში მომავალი მეურნეობის ადგილას ჩავიდა მიწათმომწყობთა ჯგუფი აჭარამიწსახკომის უფროსი მიწათმომწყობის ბორის იშოვეის ხელმძღვანელობით. დაძაბული შრომის შედეგად სარეკორდო ვადაში — ერთ თვეში მომავალი ჩაის მეურნეობის ადმინისტრაციული რუკა მზად იყო.

ამრიგად, აჭარის ასსრ ადმინისტრაცია-

ციულ რუკაზე შეტანილ იქნა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნიშანი — ოჩხამურის რუხი ეწრის ნაცვლად ახლად შექმნილი ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია — 700 ჰექტარი.

ეს იყო 1929 წლის აგვისტო.

დადგა აჭარის ბარაქიანი შემოდგომა — დიდი ლაშქრობის დასაწყისი. ეწერ-ში ახლა კარავის ნაცვლად ოთხოთან-ანი ოდა-სახლი იყო. იქვე, სამხრეთით, ოთხი დიდი მუშათა საცხოვრებელი ბარაკი ააგეს, რომლებშიც დროებით 400-500 კაცის მოთავსება შეიძლებოდა. ცალკე იყო მუშათა სასადილო და ზეგრი სხვა ნაგებობაც შენდებოდა. მშენებელთა ხელმძღვანელმა ნიკა ჯინჭარაძემ დიდი უნარი გამოიჩინა და მალე მოეწყო პატარა ელექტროსადგური, რომლის მეშვეობით მერქანსაც ხერხავდნენ და განათებასაც უზრუნველყოფდნენ ღამის ცვლისათვის.

უნდა ითქვას, რომ პირველ ხანებში ძლიერ ჭირდა ოჩხამურში მუშახელის მოხიდეა. ჭიანჭურდებოდა ჩაის თესვისათვის ნიადაგის მომზადება. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია საქართველოს მთავრობამ და მიიღო სათანადო დადგენილება მუშახელით მეურნეობის უზრუნველსაყოფად. ამის შედეგად უკვე სექტემბერში 1.500-ზე მეტი კაცი შეესია ოჩხამურის ეწერს. მათ შორის სვან-ლენხუმელი ახალგაზრდობა ჭარბობდა.

ამავე პერიოდში შეიქმნა ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომლის მდივანად აირჩიეს მოსე დოლიძე (ამჟამად მუშაობს „ასკანიტის“ წარმოებაში). ნოემბერში შეიქმნა მუშათა კომიტეტიც, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ქობულეთის რაიონის მანქანატრაქტორთა სადგურებისა და მოჯამაგირეთა პროფკავშირის თავმჯდომარე ფოკა გოგუა (ამჟამად საქართველოს ჩიმიური და ნავთობის მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე). ფ. გოგუა კარგი მუშაკი იყო. ნან ერთ-ერთი ახლად აგებული ბარაკი მოკლე დროში გადააკეთებინა კლუბ-სამკითხველოდ და ფართოდ გაშალა

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. საკმაოდ იყო წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, გვექონდა რადიომიმდებიც. კარგად მუშაობდნენ კლუბ-სამკითხველოს თანამშრომლებიც მიხეილ თუთბერიძე და სოსო დუდუჩავა. მალე კლუბთან შეიქმნა სცენისმოყვარეთა, ქართული და რუსული ლიტერატურის და მოჭადრაკეთა თვითმოქმედი წრეები. ფ. გოგუამ სათანადო ორგანოების ჩარევა-დახმარებით მოკლე ხანში მოაგვარა მუშათა საყოფაცხოვრებო საკითხები. გაიხსნა სასურსათო და სამრეწველო საქონლით მოვაჭრი ფარდულეები, მუშათა აბანო, დაარსდა კავშირგაბმულობის განყოფილება. ამუშავდა პურის საცხობი და საგაჭრო. შემოიღეს სპეციალური თერმოსებით ცხელი სადილების მიწოდება მეურნეობის შორეული რაიონებისათვის. კვირაში ორჯერ ეწყობოდა კონცერტები, უჩვენებდნენ კინოფილმებს. საერთოდ დღითიდღე უმჯობესდებოდა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები და ბევრი მუშა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დამთავრების შემდეგაც რჩებოდა მეურნეობაში სამუშაოდ. ასე იქმნებოდა დღეიდანდელი ოჩხამურის ძირითადი მოსახლეობა.

1930 წლის ნოემბერში ფ. გოგუა აირჩიეს მექანიზატორთა და მოჯამაგირეთა პროფკავშირის აჭარის კომიტეტის თავმჯდომარედ. მაშინ ვიყავი ქობულეთის კურორტის ზონის სოფელ თიჭვნარის შრომის სკოლის გამგე-მასწავლებელი, ხოლო სასაფხულო არდადეგების პერიოდში, ქობულეთის რაიონის დავალებით, ვასრულებდი მუშათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას მასობრივი მუშაობის დარგში. ამიტომ მეურნეობიდან ფ. გოგუას წასვლის შემდეგ მუშათა კომიტეტის თავმჯდომარედ მე აირჩიეს.

ამ დროს ჩაის საგაზაფხულო თესვისათვის ვამზადებდით ნიადაგს, მაგრამ საქმეს ძლიერ აფერხებდა დიდი ხნის მკენარეთა ნარჩენი ძირების ამოძირკვა. ამის გამო საქართველოს მიწსახკომმა მეურნეობაში გადმოიყვანა სპეციალური სატრაქტორო ბრიგადა. მაშინდელი მექანიზატორებიდან მაგონდება ტაბატაძე, ილურიძე და უფროსი

მექანიზატორი მ. გიორგაძე (ამჟამად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი).

ტრაქტორების მეშვეობით საქმე კარგად წარიმართა; მთელი ზამთრის პერიოდში მუშაობა არ შეწყვეტილა. მექანიზატორებმა უნარიანად გამოიყენეს მადლიანი თბილი ზამთრის პირობები და ჰექტარი ჰექტარს ემატებოდა — მზადდებოდა ნიადაგი ჩაის თესვისათვის.

მაგრამ... სატრაქტორო ბრიგადაში შემოადგინა ვინმე გაიღამაქინმა და მეორე დღიდანვე დაიწყო მანქანების (ტრაქტორების) დაზიანება, შეფერხება. ეს დიდი უბედურება იყო და დავაწესეთ კომკავშირელთა ფარული მეთვალყურეობა მანქანებისადმი. დავადგინეთ, რომ ნაძირალა გაიღამაქინი საპროფილაქტიკო შესვენების დროს მანქანებს აძრობდა ყვილაზე მეტად მნიშვნელოვან ჭანჭიკებს. საქმე გადავეცით სათანადო ორგანოებს და გაიღამაქინი იმ დღიდანვე იზოლირებულ იქნა. ამის შემდეგ სატრაქტორო ბრიგადა შეუფერხებლად მუშაობდა და გვემებს გადაჭარბებით და მალახარისხოვნად ასრულებდა. დღითიდღე იზრდებოდა ჩაის სათესად მომზადებული ფართობები.

1931 წლის გაზაფხულისათვის სათესი ფართობი 200 ჰექტარს აღემატებოდა, ამასთან დაკავრითი წესით წარმოებდა ახალი ფართობის მომზადება. მეურნეობა დაათვალიერეს რესპუბლიკაში ცნობილმა აგროსპეციალისტებმა (კიტიშვილმა, დიდებულძემ, ა. ნიჟარაძემ, შ. ხატიაშვილმა, კ. ქარცივაძემ, ჯ. ხუნდაძემ, ქ. ბახტაძემ, გ. მხეიძემ, ს. ჩიტაიშვილმა, პრიხოდკომ და სხვებმა. ისინი ქობულეთის პარტრაიკომის მდივნის მოადგილე შ. გოგიბერიძესა და პარტიის საოლქო კომიტეტის მდივან მ. გობეჩიასთან და სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად მთელი დღე დარჩნენ მეურნეობაში, ფეხით მოიარეს ყველა უბანი და ბევრი რჩევა-დარიგება მოგვიცეს.

ასეთი საქმიანი და სასარგებლო თათბირით ყველა კმაყოფილი იყო. ამ თათბირზე განისაზღვრა მრავალი ღონისძიება და აგროწესები. მესამე დღეს ახალ-

გაზრდა მექანიზატორმა გიორგაძემ მეურნეობის ხელმძღვანელობას წარუდგინა რაციონალიზატორული წინადადება ორი ფარცის ერთმანეთზე გადაბმისა და კბილანების მიმატების შესახებ. გიორგაძის საქმიან წინადადებას მეურნეობის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა და ხუთი დღეამის დაძაბული შრომით შვიდი ასეთი ფარცის მოვამზადეთ. გამოცდამ მოლოდინს გადააჭარბა. ამგვარი ფარცის გამოყენებით ნიადაგი ისე მუშავდებოდა, რომ „ავ თვალს არ ენახებოდა“. გამოვინებისათვის მეურნეობის ხელმძღვანელობამ ამხ. გიორგაძე ორი თვის ხელფასით და სიგელით დააჯილდოვა. მიღებული თანხით მ. გიორგაძემ ტრაქტორისტთა საერთო ბინაში კოლექტიური სარგებლობისათვის შეიძინა რადიომიმღები და პატეფონი.

მეურნეობაში ხშირად ეწყობოდა კულტურული ღონისძიებები, იკითხებოდა ლექციები. პირველი ლექცია წაიკითხა ბათუმის ბოტანიკური ბაღის აგრონომმა კიკელიძემ თემაზე „ჩაის კულტურის გაშენების აგროტექნიკა“. საჯარო ლექციები წაიკითხეს აგრეთვე ჩაქვის ჩაის საცდელი სადგურის აგრონომმა პრიხოდკომ, აგრეთვე ექიმმა გიგინეიშვილმა, ქობულეთის რაიონის უფროსმა ექიმმა თერაპევტმა ივ. ერქომაიშვილმა და სხვ.

დადგა 1931 წლის გაზაფხული. მეურნეობის სამი აგრორაიონი ჩაის თესვისათვის უკვე ყოველმხრივ მზად იყო. საზეიმო ვითარებაში გადმოვიტანეთ ჩაქვის საბჭოთა მეურნეობიდან პირველი 150 კილოგრამი თესლი. მოეწყო შაბათობა. დაეთესეთ პირველი ჰექტარები. თესვაში მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობის აგრონომები და სპეციალისტები, პარტიული და საბჭოთა აქტივის წარმომადგენლები. ამ შაბათობას აჭარის გაზეთებმა და „კომუნისტმა“ სპეციალური გვერდები მიუძღვნეს.

შაბათობის დამთავრებისას, საღამოს, მოეწყო სახელდახელო მიტინგი. შემდეგ ლოტბარ არტემ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა კონცერტი.



ჩაის თესვის პირველი დღეებიდანვე მეურნეობაში გამოჩნდნენ ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურენი, ჭაბუკები და ქალიშვილები. მალე მეურნეობაში ორმოცზე მეტმა კომკავშირელმა მოიყარა თავი, ე. ი. ყოველმხრივ მზად იყო ნიადაგი ლენინური კომკავშირული ორგანიზაციის შესაქმნელად.

საქართველოს ალკვ აჭარის საოლქო კომიტეტმა მეურნეობაში სპეციალურად მოავლინა აქტივისტი რ. კომახიძე (ამჟამად აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე). მან სათანადო მუშაობა გასწია კომკავშირული ორგანიზაციის შესაქმნელად. რ. კომახიძეს პრაქტიკულად ვეხმარებოდით ოჩხამურში მომუშავე კომუნისტები და ივლისის ბოლო რიცხვებში უკვე ჩავატარეთ კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტისა და მისი მდივნის არჩევნები. ამ პირველ კომკავშირულ კრებას რ. კომახიძე ხელმძღვანელობდა. კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს ა. გრძელიძე, მოადგილედ — ბ. გეგელია. ოჩხამურის კომკავშირულმა ორგანიზაციამ დიდი როლი შეასრულა მეურნეობის ცხოვრებაში, განსაკუთრებით მის კეთილმოწყობაში.

გაზაფხულის მიწურულში უკვე ორას ჰექტარზე მეტი ფართობი დავთესეთ. ამ საქმეში დიდად შეგვიწყო ხელი როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლამ. მუშები და აგროსპეციალისტები დიდ ინტერესს იჩენდნენ დეკადური შეჯიბრებისადმი. დიდი პოპულარობით სარგებლობდა დამკვირვებლობა. პარტიულ კრებებზე პრაქტიკული დახმარებისათვის ხშირად ვეხსწრებოდა საქართველოს კვ ქობუ-

ლეთის რაიკომის მუშაკი სოფ. ვატარაია (ამჟამად პერსონალური პენსიონერი). სხვათაშორის, მან გვიჩვენა გამოგვევა კედლის გაზეთი. ჩვენ ეს რჩევა ძალიან მოგვეწონა და კრების მსჯელობის საგნად გავხადეთ. პარტიულმა კრებამ იმსჯელა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. კედლის გაზეთის სათანადოდ შევარჩიეთ „ბრძოლა ჩაისათვის“. გაზეთს თერთმეტ ეგზემპლარად ხელით ვამრავლებდით. კედლის გაზეთი „ბრძოლა ჩაისათვის“, გარდა წმინდა საწარმოო ხასიათის საკითხებისა, მოკლედ აშუქებდა აგროტექნიკურ საკითხებსაც. გაზეთში სისტემატურად თანამშრომლობდნენ მთავარი აგრონომი ა. ასათიანი, ახალგაზრდა აგრონომები ვ. მიქელაიშვილი, ივ. კახიძე და გეგეშიძე, მებაღეები და აგროტექნიკოსები გ. ღლონტი, დ. ვასაძე, ვრიგორიანი და სხვები. აქტიური მუშკორები იყვნენ მ. უსტიაშვილი, დ. ნიჟარაძე, შ. ცეცხლაძე, ა. ტაკიძე, მ. ცაცანიდი, ი. გუგავა, ჯ. ხერგიანი, თ. კრავჩენკო, მ. ხომენკო, ს. დუდუჩავა და სხვები. იუმორისტულ განყოფილებას წერილებს აწვდიდნენ ა. საღანიძე და ვ. ციციშვილი. ნიჭიერად ასრულებდნენ კარიკატურებს და მეგობრულ შარუებს მ. თუთბერიძე და ე. ქლენტი.

* * *

ეს მოგონება ნაწილობრივ მაინც იძლევა წარმოდგენას იმ დიდ სიძნელეებზე, რომელთა დაძლევა მოუხდათ საბჭოთა ადამიანებს, უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდობასა და კომკავშირელებს, რათა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ოჩხამურის ყოფილი ეწერი აყვავებულ ბაღნარად ექციათ.



მოთა ქეჩიკა

ეროვნულ თავისებურებათა შესახებ
ქართულ მოთხრობაში

ხომ ხდება ხოლმე ასე: გადაიკითხავთ ქართველი ავტორის მოთხრობას ქართულ ენაზე და გიკვირთ, რომ მასში, გარდა ენისა, თითქმის არაფერი ქართული არ არის — არც ვარგულო, არც ხასიათი, არც თემა. მართალია, ეს უმთავრესად ახალგაზრდა ავტორებს ემართებათ, მაგრამ რამდენადაც ცდილობენ ამგვარ ტენდენციას ერთგვარი მოქალაქეობრივი უფლება მოუპოვეონ და ამას ზოგადადამიანურის ჩვენების საბაზით აკეთებენ, ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში მთელი სიგრძე-სიგანით დგება საკითხი:

რამდენად სწორია ეროვნულ თავისებურებათა უგულებელყოფა, რამდენად შესაძლებელია ზოგადადამიანურის ჩვენება ეროვნულის გვერდის ავლით?

ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ გასულ საუკუნეში ეს საკითხი საკმაოდ მწვავედ აღძრა დიდმა ქართველმა პოეტმა აკაკი წერეთელმა. მან გადაჭრით და მტკიცედ მოითხოვა, რომ ქართველ მწერალს თავის ნაწარმოებებში აესახა ქართული გარემო, ქართული ხასიათი, დემუშავებინა ისეთი თემები, რომლებსაც ქართული სინამდვილე წარმოშობდა. ერთი სიტყვით, ქართველი მწერლის ნაწარმოებს უქვეყლად უნდა ჰქონოდა ქართული ელფერი. რატომ?

იმითმ, რომ „თითოეულ ერს თავისი საკუთარი ერთი მეორისაგან განსხვავებული სახე აქვს და მათ ლიტერატურასაც, როგორც სარკეს ამა თუ იმ ერისას, განსაკუთრებით ელფერი უნდა ედვას. ჩვენი მწერლობაც უტყუარი სარკე უნდა იყოს ქართველობისა.“¹ მასა-

სადამე, აკაკის აზრით, ეროვნული უნდა იყოს უკლებლივ ყველა ხალხის ლიტერატურა და მათ შორის, რა თქმა უნდა, ქართულიც. ე. ი. ამ საკითხს დიდი ქართველი პოეტი განიხილავდა ზოგადთეორიულ ასპექტში და ზოგადი დებულებიდან გამოჰყავდა კერძო დასკვნა ქართული მწერლობის ღრმა ეროვნულობის აუცილებლობის შესახებ. ქართულ მოთხრობაში, წერდა იგი, „უნდა ისახებოდეს საქართველოს მრავალ-ფეროვანი ბუნება მისი მიწა-წყლით, მთა-ბარით, ტყით და ველით და სხვანი. ქართველის გრძნობა-გონება ხორცმეხსმულად უნდა მოძრაობდეს შიგ უმეტეაქლოდ, ზომიერად... თუ ეს არ იქნება, ჩვენი მწერლობაც უმნიშვნელო იქნება, როგორც უბრალო რამ, უსახო ლანდი“¹.

მშვენიერადაა ნათქვამი. მხატვრული პერსონაჟი, რომელშიც ძალუმიად არ იგრძნობა ეროვნული სული, ერთგული ელფერი, მართლაც რომ ლანდია. როგორც ლანდი ვერ მოგვეცემს სრულ წარმოდგენას იმ ადამიანზე, რომელიც მას წარმოქმნის, ისე ეროვნულ სპეციფიკას მოკლებული მხატვრული სახე ვერ იქნება სისხლქარბი და ცოცხალი, ვერ ჩავწვდებით მის შინაგან სამყაროს და უნდა დავეძაყოფილდეთ მხოლოდ ზოგადი გარეგნული ნიშნებით.

ამასვე ამტკიცებდა თავის დროზე დიდი რუსი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი. იგი თვლიდა, რომ ეროვნულის გვერდის ავლით საერთოდ შეუძლებელია შეიქმნას ზოგადკაცობრიული ტიპი. მისი აზრით, ასეთი ტიპი მხოლოდ იმ მწერალს შეუძლია მოგვეცეს, ვინც უაღრესად ეროვნუ-

1 ა. წერეთელი. თხზ., ტ. VI, გვ. 156, 1957 წ.

1 იქვე.

ლია და უნარი შესწევს მთელი სისრულით წარმოსახოს საკუთარი ერის ცხოვრება. არაერთი მსოფლიო, ზოგადი ტიპი შექმნა, მაგალითად, გენიოსმა რუსმა მწერალმა ლევ ტოლსტოიმ, მათ შორის ანა კარენინა, ანდრეი ბოლკონსკი, ნატაშა როსტოვა და სხვები, მაგრამ განა ყველა ისინი ამავე დროს რუსები არ არიან? განა ფლობერის მაღამ ბოვარი ფრანგი არ არის, ან გოეთეს ფაუსტი — გერმანელი? ვის შეუძლია დაასახელოს ისეთი ზოგადკაცობრიული ტიპი, რომელიც არც ერთ ერს არ ეკუთვნოდეს, თავის თავში ან ატარებდეს ამა თუ იმ ერის თავისებურებებს? არავის.

მართალია, „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო აკაკი წერეთელთან კამათში ილია ჭავჭავაძემ ის აზრი განავითარა, თითქოს ტარიელის, ავთანდილისა და სხვა გმირების ქართველებად მიჩნევა რუსთაველის სახელს შეურაცხყოფს, რადგანაც იგი „მსოფლიო გმირებსა ჰხატავდა და არა ქართველებს“, მაგრამ მთელი პირდაპირობით უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში სიმართლე ილიას მხარეზე არ იყო. „რატომ არ შეიძლებაო, — უპასუხებდა აკაკი თავის დიდ თანამესაგრეს, — რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირებიც ერთსა და იმავე დროს ქართველებიც იყონ და საზოგადო, საყოველთაო ტიპებიც? მე რომ სწორეთ ასე მგონია, ნუთუ მით რუსთაველის შემოქმედების ძალს ვამცირებ და ვკვიცხავ მას?.. ნუთუ მართლა ქართველები ისე ყოფილან, რომ მათგან ზოგადი ტიპი და მსოფლიო გმირი არ გამოიხატებოდეს? ჭავჭავაძე კი, ჩანს, სულ სხვა აზრისა არის, სამაგალითოდ შექსპირის გმირები მოჰყავს და იმას კი ივიწყებს, რომ იულიოს კეისარი, ანუ კორიოლანუსი, მართალია, მსოფლიო ტიპები არიან, მაგრამ იმავ დროს ყველაზე უმაღლ რომაელებიც არიან და მათ ზოგადობას ეს არა თუ უშლის რასმე, კიდევ ეწევა!“

ლიახ, „არა თუ უშლის რასმე, კიდევ ეწევა“, ე. ი. ეროვნულ თავისებურებათა ხაზგასმის ხელს უწყობს მსოფლიო ტიპის შექმნას, რამდენადაც მხატვრულ სახეს ხდის უფრო ცხოვრებისეულსა და სრულყოფილს. ეს იმიტომ, რომ მსოფლიო ტიპი წარმოუდგენელია საერთოსთან ერთად არ ატარებდეს კონკრეტულ ნიშან-თვისებებსაც, არ აჩნდეს დროისა და გარემოს დღი. ერთ-ერთი ასეთი კონკრეტული ნიშანი კი უმეკველად ეროვნული თავისებურებაა.

საქმე ის არის, რომ პიროვნება, ადამიანი საზოგადოებრივი მოვლენაა, იგი სხვებთან ერთად მონაწილეობს ცხოვრების სახსრის მოპოვებაში

და ვითარდება მათთან ურთიერთობებში. იმას ნიშნავს, რომ მასზე ზემოქმედებას ახდენს სხვადასხვა პირობები, რომლებიც ქმნიან მისი ცხოვრების გარემოს. სწორედ ამ პირობების, გარემოსა და აღზრდის ზეგავლენით საბოლოოდ ყალიბდება ადამიანის ხასიათი, თვითონ პიროვნება. მასასადამე, ადამიანის ხასიათის ყველა თვისება თუ ნიშანი ისტორიული წარმოშობისაა, შეპირობებულია გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობით. მათგან უმთავრესია, განმსაზღვრელია კლასობრივი, ეკონომიურ-პოლიტიკური ურთიერთობანი და რამდენადაც ეს ურთიერთობანი საერთოა, იმდენად ადამიანს აქვს სხვა ადამიანების მსგავსი ხასიათის თვისებანი და ნიშნები, რომლებიც ასახავენ არსებობის ეპოქის, კლასის, ქვეყნის ცხოვრებაში.

მაგრამ უხეში შეცდომა იქნებოდა გეგფიქრა, თითქოს პიროვნების ხასიათი საერთო ნიშნებით ამოიწურებოდეს. გარდა ამ საერთო ნიშნებისა, რომლებსაც წარმოშობს ერთნაირი კლასობრივი, ეროვნული და სხვა პირობები, პიროვნების ხასიათში შეინიშნება ინდივიდუალური, სპეციფიკური თვისებებიც, რასაც განსაზღვრავს ცხოვრებისა და აღზრდის ინდივიდუალური პირობები. სხვადასხვაა ადამიანთა ოჯახური გარემო, ტრადიციები, სულიერი ინტერესები, აღზრდა, ასაკი და ა. შ. ამასთან ხასიათის საერთო თვისებანი და ნიშნებიც ხომ ინდივიდუალური ფორმით გვლინდება!

ქართული პირობის ერთ-ერთ თვალსაჩინო ოსტატს სერგო კლდიაშვილს აქვს მოთხრობა „პარტიზანები“, რომელიც გვაცნობს ორ სევან ძმას — გიერგილსა და ჯატუსს. ჯატუ უმცროსია, თავდაოიწყებამდე უყვარს ლამაზი, კარგი იარაღი და ამის გამო დანაშაულსაც სჩადის — იგი უფსკრულში გადაიჩხვს პარტიზანთა მეთაურს, რათა დაინარჩუნოს მისი კარაბინი. ამისათვის გიერგილი ძმას სამაგიეროს მიუზღავს. მაგრამ საკითხავია: რამ წარმოშვა ხასიათის ასეთი განსხვავებული, ინდივიდუალური ნიშნები? განსხვავებულმა სულიერმა ინტერესებმა, ტრადიციების განსხვავებულმა ზეგავლენამ, შეგნების დონის სხვადასხვაობამ. აკი პირდაპირ უთხრა გიერგილმა ძმას, როცა შეამჩნია მისი გადაჭარბებული ინტერესი მეთაურის კარაბინისადმი: „იცოდე, შენ მხოლოდ ძმა ხარ, ის კი მეტია ჩემთვის!“

გიერგილის ეს სიტყვები, შეიძლება ითქვას, ხსნის მოთხრობის დედააზრს. მართალია, ჯატუმაც და გიერგილმაც განიცადა ცხოვრების ერთნაირი პირობების, ერთნაირი გარემოს გავ-

1 იქვე, გვ. 94.



ლენა, მაგრამ სხვადასხვა ძალით, რამაც თავი იჩინა პარტიზანთა მეთაურის ბონდო ბასკაია-სადმი დამოკიდებულებაში. ჩატუს, როგორც მთიელს, თავდავიწყებამდე უყვარდა იარალი, მაგრამ გარემომ არა მარტო ასეთი გატაცება ჩანერგა მასში, არამედ სტუმართმოყვარეობის დიდი და კეთილშობილური გრძნობაც. ორივე ეს გრძნობა მთაში ჩვეულებრივია, საერთოა და თითქმის ყოველი მთიელის საკუთრებაა. მაგრამ კონკრეტულ ვითარებაში: ისინი ერთიმეორეს დაუპირისპირდნენ. დიწყო ჩატუს სულიერი ტანჯვა — იარალი თუ სტუმარი. ბონდო ბასკაიამ სცადა დახმარებოდა მას არჩევანში, შეპირდა, როგორც კი სამშვიდობოს გავალ, ამ თვალს შენ გაჩუქებო. მაგრამ ჩატუს არსება ისე მოიცვა კარაბინის რაც შეიძლება მალე და უემპველი დაუფლების სურვილმა, რომ ანგარიში არ გაუწია არაფერს — არც იმას, რომ ბონდო მისი სტუმარი იყო, არც იმას, რომ იგი აჯანყებული ხალხის მეთაური იყო, არც ძმის თხოვნას და დარიგებას — არ იქნა და ვერ დაძლია საბედისწერო სურვილი და საბოლოოდ მისი მსხვერპლი გახდა. სულ სხვაა გიერგილი. მას აქვს სხვა, უფრო ძლიერი მისწრაფებანი, უფრო ძლიერი გრძნობები, ვიდრე იარალის სიყვარული. იგი სულიერ კავშირს, ნათესაობას გრძნობს ბონდოსადმი, თანაუგრძნობს მის საქმეს („შეგიძლია დაეხლო, ის ჩვენი კაცია“ — ეუბნება გიერგილის შესახებ ბასკაია ერთ-ერთ პარტიზანს) და მზად არის ამისათვის საფრთხეში ჩააგდოს არა მარტო საკუთარი სიცოცხლე, არამედ ოჯახიც.

როგორც ვხედავთ, სერგო კლდიაშვილი გიერგილისა და ჩატუს ხასიათში გვიჩვენებს იმ ზოგადს, რაც საერთოა ყველა მთიელში, მაგრამ ამით როდი კმაყოფილდება. ამასთან ერთად იგი გვაცნობს, თუ როგორ გადატყდება ხოლმე ეს ზოგადი, საერთო თვისებები ცალკეულ ადამიანთა ხასიათში, თუ როგორ ინდივიდუალურ ფორმას იღებენ ისინი, როგორ ვლინდება კონკრეტულში აბსტრაქტული. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მწერალი ასახავს კონკრეტულ გარემოს, კონკრეტულ ადამიანებს და მათი ასახვით ასახავს ზოგადსაც, საერთოსაც. მოთხრობის ღირსებაც სწორედ ეს არის. მასში საერთო და ინდივიდუალური გათიშული, ერთი მეორის გვერდით კი არ არიან, არამედ ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს.


რა იქნებოდა, რომ მწერალს ერთმანეთისაგან გაეთიშა საერთო და კერძო, გვერდი აეგლო მოთხრობის პერსონაჟთა სპეციფიკური, მათ შორის ეროვნული თავისებურებებისათვის? სრულიად უეჭველია, რომ ამით ისინი დაკარგავდნენ ცხოვრებისეულ ძალას და იქცეოდნენ სქე-

მებად, ცოცხალი ადამიანების ნაცვლად სტერულ შეგვრჩებოდა მხოლოდ მათი ლანდები. ამა თუ იმადე ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ჩატუ ეროვნულ თავისებურებათა გარეშე — მას მივიჩნევდით ბოროტ ადამიანად და მეტი არაფერი — საესეებით გაუგებარი დარჩებოდა მისი საქციელი, მისი სულის მოძრაობა და მოთხოვნაც დაკარგავდა თავის მნიშვნელობას.

როცა თავის „პარტიზანებს“ ქმნიდა, ს. კლდიაშვილს როდი აინტერესებდა მთიელთა ამა თუ იმ ტრადიციის ჩვენება ან დახასიათება — მათინ მოთხრობა ვერ გასცილდებოდა ეგზოტიკურ ჩარჩოებს. მას სურდა ეჩვენებინა, თუ როგორ დაუპირისპირდა ჩატუ მთელ ხალხს მხოლოდ იმის გამო, რომ იარალის ტრადიციულმა სიყვარულმა მასში ყველა სხვა გრძნობა დაწრდილა და ჩაკლა. ვიერგილმაც იგი მოკლა როგორც ადამიანი, რომელმაც ხალხს ხელმძღვანელი მოუხსო და ამით ფაქტიურად ბარიკადის მეორე მხარეზე, ხალხის მტრების მხარეზე დადგა. პარტიზანთა ხელმძღვანელი კი არა, სხვა ვინმე რომ მოეკლა იარალის გულისათვის, სრულიად აშკარაა, ჩატუ ასეთი მკაცრი განაჩენის მსხვერპლი არ აღმოჩნდებოდა.

ასე დაუპირისპირდნენ კონკრეტულ შემთხვევაში ერთმანეთს ტრადიცია და რევოლუციური შეგნება, ასე გამოაჩინა ცხოვრებამ ტრადიციის დრომოკმულობა და ჩამორჩენილობა. ეს იყო მოთხრობის ამოცანაც და მწერალმა მას მიაღწია საერთოსა და ცალკეულის ერთდროული ასახვით, მათი ორგანული კავშირით, მთიელი ეროვნულ თავისებურებათა ხაზგასმით.

სწორედ ეს ეროვნული თავისებურებანია, ქართულ მოთხრობას რომ აძლევს განუმეორებელ კოლორიტს და ამით ერთიორად საინტერესო ხდება სხვა ერების მკითხველთათვის. ვინ იცის, საბჭოთა მეომრის რამდენი მხატვრული სახე შექმნეს რუსმა, ტაჯიკმა, ლიტველმა თუ უკრაინელმა მწერლებმა, მაგრამ ლადო ვაშალომიძე — ქართული მოთხრობის ერთ-ერთი ბრწყინვალე ოსტატის კონსტანტინე ლორთქიფანიძის ცნობილი მოთხრობის „მწვანე ღილის“ მთავარი პერსონაჟი — მათგან საგრძნობლად განსხვავდება და განსხვავდება უპირველეს ყოვლისა ეროვნულ თავისებურებით, ეროვნული შეფერადებით. ამიტომ არის, რომ ვაშალომიძე კიდევაც ჰგავს სხვა ერის მწერალთა მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებს და კიდევაც განსხვავდება მათგან. საერთოა მათში მგზნებარე პატრიოტიზმი, უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, კომუნიზმის დიადი საქმისადმი, სხვაობას კი, ზოგიერთ სხვა პირობასთან ერთად, ქმნის მათი ეროვნული თავისებურებანი. საკმარისია მოვიგონოთ ვაშალომიძის შეხვედრა გე-



ნერალ ლესელიძესთან, მათი გასაოცარი დიალოგი, რომ მაშინვე თვალწინ წარმოვიდგეთ მშვენიერი იმერეთი, მისი მშვენიერი მკვიდრნი. და რამდენადაც ღრმად, ყოველმხრივ იცნობს მწერალი მშობლიურ ხალხს, მის გულისთქმასა და ყოფაცხოვრებას, რამდენადაც დიდი ოსტატია იგი თავისი საქმისა, იმდენად უფრო მეტი სისრულით იჩენს თავს ეროვნული სპეციფიკა, ხოლო ეს ჩვენი ლიტერატურის, მისი გმირების მრავალფეროვნების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.

სულ ახლახან ქართული პროზის ერთ-ერთმა ჩინებულმა ოსტატმა დემნა შენგელაიამ გამოაქვეყნა ბრწყინვალე მოთხრობა „განძი“, რომელშიც ზოგიერთს მოაგონა ცნობილი ამერიკელი მწერლის ჯონ სტეინბეკის მოთხრობა „მარგალიტი“. და მართლაც, ორივე მოთხრობის თემა თითქმის ერთნაირია. მოთხრობის გმირი იბოვის განძს, მისგან ზოგლის ბედნიერებას, მაგრამ ამაოდ — ბედნიერების ნაცვლად მას უბედურება მოაქვს. გარდა ამ საერთო ამბავისა, ამ ორ მოთხრობას სრულებით არაფერი არა აქვთ საერთო. ორივე მწერალი სულ სხვადასხვაგვარად ავითარებს ნაწარმოებს, ქმნის სახეობით განსხვავებულ ხასიათებს და თავისებურად წყვეტს ძირითად იდეას. ამის გამო დემნა შენგელაიას „განძი“ თავიდან ბოლომდე ეროვნული და თავისთავადია, ისევე როგორც სტეინბეკის „მარგალიტი“.

მართლაც, ქართველი გლეხი საულია — დემნა შენგელაიას მოთხრობის მთავარი პერსონაჟი — მკვეთრად განსხვავდება ამერიკელი მწერლის დაბეჩაფებული და ღატაკი მარგალიტის მაძიებლისაგან. უპირველეს ყოვლისა, ეს თავს იჩენს მათი სოციალური მდგომარეობის რადიკალურ სხვაობაში — ერთი უღარიბესი კერძო მესაკუთრეა, ხოლო მეორე — შეძლებული კოლმეურნე, თავისუფალი მშრომელი, რომელიც თავისთვის, თავისი საზოგადოებისათვის შრომობს. ამ ძირითად განმასხვავებელ მომენტს თან ერთვის ღრმა ეროვნული თავისებურებანი. საულია თავიდან ბოლომდე ქართველი კაცი, ქართველი გლეხია, რომელიც ქართულ გარემოში აღიზარდა და დაეუკაცდა. ქართველია იგი მაშინაც, როცა მის არსებაში უცერად გაცოცხლდა ძველი, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია, და მაშინაც, როცა ძღვეს ამ ფსიქოლოგიას. იგი თავისებურად განიცდის სულიერ დრამას, რაც მასში გამოიწვევა საზოგადოებრივთან კავშირის გაწყვეტამ, ძველთან დაბრუნებამ, და ამან განაპირობა მთლიანად მოთხრობის ღრმა ეროვნული ხასიათი; მისი თავისთავადობა. ვინც არ უნდა წაიკითხოს ეს მშვენიერი მოთხრობა, მაშინვე მიხვდება, რომ მისი ავტო-

რი ქართველია, რომელიც ძლიერ გარჯალობს მშობლიურ ხალხს, ახალ ქართულ სოფელს და უნარი შესწევს სწორად, მართლად და ყოველმხრივად ასახოს სინამდვილე.

ეს ღრმა ეროვნულობა ქართული მოთხრობის ერთ-ერთი საუკეთესო ტრადიციაა და სასიამოვნოა, რომ მას წარმატებით აგრძელებენ და ავითარებენ ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსები, რომლებიც სამწერლო ასპარეზზე ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდნენ. ამას მოწმობს უფნადაც რევაზ ინანიშვილის შესანიშნავი მოთხრობა „ჩურჩხელები“. მის ცენტრშია მრავალქირნახული მოხუცი, რომელიც ქართველი კაცის ერთ-ერთ საუკეთესო მხატვრულ სახედს უნდა მივიჩნიოთ. იგი იმდენად ეროვნულია, რომ ცნობილმა საბჭოთა მწერალმა მარიეტა შაგინიანმა საჭიროდ მიიჩნია საგანგებოდ აღენიშნა ეს, განაზოგადა კერძო ფაქტი და განაცხადა, რომ ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსები ძალიან კარგად იცნობენ „თავისი ქვეყნის ადამიანებს, ქართულ ხასიათებს“ და, ბოლოს, დაასკვნა: „მათს ნაწერებში ნაციონალიზმის ნასახიც არაა, თუმცაღა ეს ყოველივე ეროვნულია ამ სიტყვის უკეთილშობილესი გაგებით, რადგან ყოველი სახე თუ პლასტიკური მოძრაობა იმ ადამიანებისა, ვისაც თხრობა შეეხება, თქვენ მიგანიშნებთ ქართული ეროვნული ხასიათის, უბრალო ხალხის ხასიათის საიდუმლოებაზე“.

და მართლაც, ჩვენი ახალგაზრდა პროზაიკოსები ცდილობენ ნაწარმოებს მისცენ ქართული კოლორიტი, გამოხატონ ქართული გარემო და ხასიათები. რევაზ ინანიშვილთან ერთად ამ მხრივ ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე ილია ბურბუას, გურამ რჩეულიშვილი და სხვები. ილია ბურბუას მოთხრობა „წიქარა“, მაგალითად, გამოირჩევა ქართული სოფლის, ქართული ხასიათების კარგი ცოდნით. საგულისხმოა, რომ მწერალი ნაწარმოების უკვე პირველივე სტრიქონებით ახერხებს ერთბაშად შეგვიყვანოს ქართულ გარემოში და ხაზი გაუსვას თავისი გმირების ეროვნულ ხასიათს. აი თუნდაც ერთი, ჩვენი აზრით, ფრიად დამახასიათებელი დიალოგი:

„—მართლა მეველესავით ნუ ირჩები, შე კაცი. — მას შეუმაღლა მოხუცებულმა. — ჯერ ცხენიდან ჩამოდი, სალაშზე მიპასუხე და საქმეზე მეტე მელაპარაკე. ნამეტანს ნუ გამოყადრებთ თავს ახალგაზრდები. ჩემი ხნის, მგონი, ქვაც არ გლია ჭალაში.“

ცხენიდან ჯერ აღვირი გადმოცურდა, შემდეგ ამ აღვირის ღვედით მომბალი ერმილე.

1) ყურნ. „ცისკარი“, № 6, 1958 წ., გვ. 133.

— თქვენმა ხარმა სალამიც დამავიწყა და ზრდილობაც, მაგრამ ჩემსას მაინც ვიტყვი, დავით ბატონო... მართალი ვარ და ვიტყვი...”

აქ, როგორც ამბობენ, ყველაფერი ქართულია, ყველაფერში ქართული სურნელი იგრძნობა. დასაწინაა იღონდ, რომ მოთხრობის მთავარი გმირი აქაც მოხუცი გლეხია, ისევე როგორც გ. რჩეულიშვილის მოთხრობაში („შემოდგომა ბაბუა კოტეში“),

ამ საყვედურს ის საფუძველი აქვს, რომ ჩვენი ახალგაზრდა პროზაიკოსები ქართული ხასიათების გამოძეგვას უმთავრესად მაშინ ახერხებენ, როცა ქმნიან მოხუცი ადამიანების მხატვრულ სახეებს და რატომღაც კალამი დაღატოვებ, როცა საქმე მიდგება ახალგაზრდობაზე. ისე გამოდის, თითქოს ახალგაზრდა ქართველ ადამიანში არ შეინიშნება ეროვნული თავისებურებანი, კიდევ მეტი, ზოგიერთ შემთხვევაში არ ჩანს არც კლასობრივი თავისებურებანი, საბჭოთა ადამიანის სპეციფიკური თავისებური და ხელში გვრჩება „ზოგადი“ ადამიანი, ადამიანი „საერთოდ“. ეს საშიში, მაგნე ტენდენციაა, რომელიც ქართულ მოთხრობას ეზიდება აბსტრაქტულობისაკენ და ეწინააღმდეგება არა მარტო საუკუნეობით განმტკიცებულ საუკეთესო ტრადიციებს, არამედ სოციალისტური რეალისმის ერთ-ერთ ძირითად პრინციპსაც, კერძოდ, იმ პრინციპს, რომ საბჭოთა მწერლის ნაწარმოები უნდა იყოს შინაარსით სოციალისტური, ხოლო ფორმით — ეროვნული.

ეროვნულ ფორმას კი ქმნის არა მარტო ენა ან გამოხატვის თავისებურებანი, არამედ ამასთან ერთად აუცილებლად ეროვნული გარემო და ეროვნული ხასიათები. უამისოდ შეუძლებელია სინამდვილის სწორად, სრულყოფილად ასახვა, რამდენადაც ეროვნულ და სხვა თავისებურებათა უგულვებლყოფა გარდუვალად გულისხმობს ცალკეულისა და საერთოს, ზოგადისა და კონკრეტულის მექანიკურად გათიშვას. თუ კი ყოველი ადამიანი თავისი ეპოქის, თავისი ქვეყნის შვილია, თავისთავად ცხადია, მის ხასიათში უნდა გამოვლინდეს ამ ეპოქის სული, კლასობრივი, ეროვნული და სხვა ნიშან-თვისებანი, და როცა მწერალი ამ ნიშან-თვისებებს ჩამოაცილებს მხატვრულ სახეს, ამით მხოლოდ გადარბობს მას, დამახინჯებულად, ცალმხრივად წარმოგიდგენს სინამდვილეს, ცხოვრებას. მაშასადამე, ფორმის ეროვნულთან რაიმე „კაპრიზი“ კი არ არის, არამედ მას აუცილებლად მოითხოვს თვით შინაარსი, სინამდვილის სწორად, ყოველმხრივად ასახვის ინტერესები. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ერთი ერის მწერალთა ნაწარმოებები მეორე ერის მკითხველებისათვის იმდენად არის საინ-

ტერესო, რამდენადაც მათი შემწეობით გაეცნობიან სხვა ერის ცხოვრებას, სხვა ხალხების ხასიათს, იდეებსა და მისწრაფებებს.

მიუხედავად ეროვნული ფორმის, ეროვნულ თავისებურებათა ჩვენების ასეთი დიდი მნიშვნელობისა, ზოგიერთი ახალგაზრდა პროზაიკოსი უგულვებლყოფს მას და ცდილობს დასაბუთოს არა კონკრეტული ადამიანი, რომელიც ტიპობრივია მოცემულ გარემოში, არამედ ადამიანი „საერთოდ“, ე. ი. აბსტრაქტული ადამიანი, ასეთ ადამიანზე ვერ იტყვი მუშაა თუ გლეხი, რუსია თუ ქართველი, ჩვენი ეპოქისა თუ სხვისა. იგი არის „ზოგადი“ ადამიანი, მოკლებული სამშობლოს და, მაშასადამე, ფერხორცს, სწორედ მსგავსი ლიტერატურული სახე ჰქონდა მხედველობაში აკაკი წერეთელს, როცა იმეორება ანისსხატის დეკანოზის სიტყვებს, რომელსაც უცნობი ადამიანის გასვენებისას უთქვამს: „არ ვიცი ჩვენიაო, არ ვიცი სხვისიაო, ღმერთმა იცის თუ ვისიაო“.

უთუოდ ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალს რ. ინანიშვილს აქვს ამ მხრივ მეტად საინტერესო მოთხრობა „სევდა“. რა პლანში წარმოგიდგენს ავტორი ისეთ ადამიანურ გრძნობას, როგორიცაა სევდა? აქაც ხომ უნდა გამოჩნდეს საბჭოთა ადამიანის ხასიათის სპეციფიკა? მაგრამ მწერალს ამისათვის არ უზრუნვია და შედარებით იოლად გადაუტრია საკითხი — მან გვიჩვენა ხანდაზმული გენერალი, რომელიც ბაღში შეესწრო, თუ როგორ ერთობოდა მისი ახალგაზრდა მეუღლე ასეთსავე ახალგაზრდა ვაჟთან, და უფრო მეტად რომ გაეცნა ხაზი ახალგაზრდობის ძალისა და სილამაზის მომხიბვლელობისათვის, დაუბრუნებელი გარდასული დროისათვის, მწერალმა უცნობი ვაჟი სპორტსმენად აქცია. გენერალმა ამ ვაჟს სევდიანი თვალები გააყოლა, როცა იგი თავაზიანად გაშორდა ცოლ-ქმარს. ეს არის და ეს.

რა არის ამაში სპეციფიკური საბჭოური, სპეციფიკური ქართული? ჩვენის აზრით, ბევრი არაფერი. ფიზიკურ სიბერეს ვერც ერთი ადამიანი ვერ დააღწევს თავს, რაც უნდა ეცადოს, და ამ ნიადაგზე წარმოქმნილი სევდა, ახალგაზრდობის გახსენება მწერალს ნაკლებ საშუალებას მისცემდა ეჩვენებინა, თუ როგორ განიცდის საბჭოთა ადამიანი ამ ძლიერ გრძნობას, იქნებ საჭირო იყო მწერალს გამოენახა სხვა სიუჟეტი, უფრო მეტყველი, პირადული მკიდროდ დაეკავშირებინა საზოგადოებრივთან, ღრმად ჩასწვდომოდა ცხოვრებას და თვით ცხოვრების წიაღში დაენახა კონკრეტული საბჭოთა ადამიანი, რომლის ქცევაშიც, სხვებთან ურთიერთობაში თავისთავად გამოვლინდებოდა ეს გრძნობა მთელი მისი თავისებურებით?



ზედმეტი არ იქნება საპირისპიროდ გავის-
სენოთ თუნდაც იგივე ვაშლომიძე (კ. ლორთ-
ქიფანიძის მოთხრობიდან „მწვანე ღილი“), რო-
მელიც ძლიერმა სევდამ შეიპყრო სვეტლანას
მოულოდნელი დაღუპვის გამო. მართალია, იგი
გულწაბრობილი და უფრო განდა, მაგრამ მისი
სევდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორღაც
აქტიურია. იგი როდი მიეცა სასოწარკვეთილე-
ბას, პირიქით, კიდევ მეტი შეუბოვრობით ებრ-
ძოდა მომხდურ მტერს, რომელმაც ესოდენ
დიდი უბედურება დაატეხა თავს პირადად მას
და ბევრ მის თანამემამულეს.

ასეთი სხვადასხვაგვარი ჩვენება ერთი და
იგივე გრძნობის იმით უნდა აიხსნას, რომ რ.
ინანიშვილი ამ გრძნობას ხატავს „საერთოდ“
და მისი მოთხრობა ლიტერატურული ასოცია-
ციების შედეგი უფროა, ვიდრე ცხოვრებაზე
პირადი დაკვირვებისა. კ. ლორთქიფანიძე კი
გმირის სევდას ვადმოგვეცემს არა საერთოდ,
არა საზოგადოებრივისაგან მოწყვეტით, არამედ
საზოგადოებრივთან კავშირში, კონკრეტული
ადამიანის ხასიათის განხილვით, ე. ი. ცალკეულის
ასახვით ასახავს ზოგადსაც. ამის გამო ერთი
მოთხრობა ვერ ცილდება კამერულობის ჩარ-
ჩობებს, მოკლებულია მძაფრ სოციალურ ძლე-
რადობას, ხოლო მეორე მეტრძოლი ნაწარმოე-
ბია, დატვირთული დიდი საზოგადოებრივი
შინაარსით.

ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ ახალგაზრდა
მწერლის წარმატებულობა ამ შემთხვევაში გა-
ნაპირობა პერსონაჟების სპეციფიკურ თავისე-
ბურებათა, მათ შორის ეროვნულ თავისებურე-
ბათა უგულებელყოფამ. ავტორს არც კი უტ-
ლია აესახა სინამდვილე, ცხოვრება, მას სურდა
მხოლოდ ერთი რამ — ეჩვენებინა სევდა, რო-
გორც გრძნობა, რომელმაც შეიძლება შეიპყ-
როს ყველა ადამიანი, დამოუკიდებლად დრო-
ისა და ქვეყნისა. და სწორედ აქ შეცდა იგი.
მართალია, სევდა ზოგადადამიანური გრძნობაა,
იგი შეიძლება ყველას დაუფლოს, მათ შორის
საბჭოთა ადამიანსაც, მაგრამ თვითველი მათგა-
ნი მას თავისებურად განიცდის იმის მიხედვით,
თუ რამ წარმოშვა იგი, როგორია მისი წყარო,
ვინ არის ის ადამიანი, რომელიც სევდას მიე-
ცა, და ა. შ. ამიტომ სევდის რაობა რომ გახს-
ნა, აუცილებელია დახატო კონკრეტული ადა-
მიანი მიზეზი მისი თავისებურებებით. ასე რომ
არ იყოს, მაშინ მსოფლიო ლიტერატურაში
საკმარისი იქნებოდა რომელიმე ერთი მწერლის
ერთი მოთხრობა სევდის შესახებ, სხვას სათქ-
მელი აღარ დარჩებოდა.

მსგავსი შეცდომა დაუშვა ახალგაზრდა მწე-
რალმა ლია გოგოშვილმა მოთხრობაში „ღეღა“. მას
განუზრახავს ეჩვენებინა, რომ ქალში დედო-

ბის ინსტინქტი უფრო ძლიერია, ვიდრე მისი
სიყვარული, და ეს საკითხი აგრეთვე ბიოლო-
გიურ ასპექტში განიხილა. მოთხრობის გმირ
ქალიშვილს უყვარს ვაჟი რეზო, მაგრამ მას არ
სურს გაიჩინოს ბავშვები. ამიტომ ქალიშვილს
გული მიუწევს ახალგაზრდა ქვრივი მამაკაცის
გვიხსიკენ, რომელსაც ჰყავს ბავშვი და უყვარს
იგი. დედობის ახალგაღვიძებულ ინსტინქტს ერ-
თვის მეტოქეობის გრძნობა გივის გარდაცლი-
ლი მეუღლისადმი და ქალიშვილში საბოლოოდ
მწიფდება ვადწყვეტილება დატოვოს რეზო და
მიიხოვდეს გივის. რა თქმა უნდა, ასეთი შემთ-
ხვევა შეიძლება მოხდეს, რა თქმა უნდა, შეიძ-
ლება ცხოვრებაში ასეთ ქალიშვილსაც შეეხვ-
დეთ, მაგრამ რა არის მის ხასიათში სპეციფი-
კური საბჭოური, სპეციფიკური ქართული? განა-
ცხადი არ არის, რომ მსგავსი გრძნობა შეიძლე-
ბა დაეუფლოს ყველა დროისა და ყველა ქვეყ-
ნის ქალიშვილს? ასეთი აბსტრაქტულობის გა-
მით ქალიშვილის მხატვრული სახე ვლადიმერ
და სქემას ვერ ცილდება, ხოლო თვითონ ნა-
წარმოები შეიზღუდა კამერულობის ჩარჩოვით,
რასაც ხელი შეუწყო სიტუაციების მეტისმეტმა
ხელოვნურობამაც.

ეროვნულ და სხვა სპეციფიკურ თავისე-
ბურებათა უგულებელყოფა რომ მართლაც აბს-
ტრაქტულობისაკენ ეზიდება ქართულ მოთხრო-
ბას, ამას ცხადყოფს ზოგიერთი სხვა ახალგაზრ-
და პროზაიკოსის ცალკეული ნაწარმოებებიც.
უპირველეს ყოვლისა ეს ჩანს ისეთი დიდი-
ადამიანური გრძნობის გამოხატვისას, როგო-
რიცა სიყვარული. ამ თემაზე ბოლო დროს
ბევრი ნაწარმოები შეიქმნა, მაგრამ ისინი
ძლიერ გვანან ერთმანეთს, გვანან იმიტომ, რომ
ცილობენ საქმე ისე წარმოგვიდგინონ, თით-
ქოს სიყვარული ბიოლოგიური გრძნობაა და
მეტი არაფერი, თითქოს ყველას ერთნაირად
უყვარს და იგი არ ემორჩილება ცხოვრების
რაიმე კანონზომიერებას. ნამდვილად კი ემორ-
ჩილება და იმის მიხედვით, თუ როგორ იცე-
ლება ცხოვრების წესი, იცვლება სიყვარულის
შინაარსი და, მამასადამე, მისი გამოვლინების
ფორმაც. ვის შეუძლია თქვას, რომ ტარიელისა
და ნესტან-დარეჯანის, ვისისა და რამინის,
ტრისტანისა და იზოლდას, ფაუსტისა და მარ-
გარიტის, ონეგინისა და ტატიანას, იაგოსა და
ნუნუს, ჰამლეტისა და ოფელიას, გრიგოლისა
და აქსინისა, ვაშლომიძისა და სვეტლანა ვერ-
შინინას სიყვარული ერთნაირია, არ გამოხა-
ტავს იმ საზოგადოების თავისებურებებს, სა-
დაც მათ ცხოვრება უხდებოდა?

ონეგინისათვის, მაგალითად, სიყვარული
დროის მოკლეა, ვართობაა, საშუალებაა, რო-
მელიც განუყრელ სპლინს უმსუბუქებს, ვაშა-

ლომიძისათვის კი ძალა, აღფრთოვანება, რომელიც ეხმარება მას უკეთ მოიხადოს თავისი ადამიანური მოვალეობა თანამედროვეთა და შთამომავლების წინაშე. თვით ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივ ვალდებულებათა გამო ვაშალომიძე და სვეტლანა დროებით ცილდებიან ერთმანეთს — ერთი მიდის ფრონტზე, მეორე კი რჩება ადგილზე, ზურგში, მკაფიოდ მოწმობს, თუ რა მაღალი მოქალაქეობრივი სულითაა შთაგონებული მათი სიყვარული. ასეთ შეკვეთრ სხვაობას განაპირობებს ონეგინისა და ვაშალომიძის კლასობრივი სხვაობა, ებოქა, დრო. ონეგინის სიყვარული ჩანს ფეოდალური ყოფაცხოვრება, ვაშალომიძის სიყვარულში კი ახალი დრო, ჩვენი ებოქა, ჩვენი ყოფა-ცხოვრება. საყურადღებოა კიდევ ერთი მომენტი: ამ საერთო-კლასობრივთან ერთად საბჭოთა ადამიანის სიყვარულში გამოსჭვივის ღრმა ეროვნულიც. სვეტლანას სიყვარული, მავალითად, ბოლომდე „ამხელს“ რუს გოგონას, ხოლო ვაშალომიძის სიყვარულში, ისევე როგორც მთელ მის ქცევაში, მკაფიოდ ჩანს ქართველი კაცი.

განა ასეთი მკაფიო კლასობრივი და ეროვნული თავისებურებანი ჩანს რ. ინანიშვილის მოთხრობაში „გადასავალზე“, ან ს. დემურხანაშვილის მოთხრობაში „სინანული“? სამწუხაროდ, არა. ორივე ამ ნაწარმოებში სიყვარული წარმოგვიდგება როგორც თამაში, როგორც ხანმოკლე გატაცება, რომელსაც საფუძვლად უდევს მეტოქეობის გრძნობა. ეს იმიტომ, რომ ქალ-ვაჟთა სიყვარული არ ეფუძნება მიზანთა და მისწრაფებათა ერთიანობას და ამის გამო, ბუნებრივია, ყველაფერი განხეთქილებით მთავრდება — ვაჟი სხვას ირთავს, ქალიშვილი სხვას მიჰყვება, თუმცა ცდილობენ ერთმანეთს თავი მოაჩვენონ ბედნიერ ადამიანებად, გამარჯვებულ მეტოქეებად. „მასაც ის სურდა, რომ ანგარიშში მოგებულ მეტოქედ მჩვენებოდა და ისიც ბედნიერ ადამიანს თამაშობდა“, — ამბობს ვაჟი ქალიშვილის შესახებ რ. ინანიშვილის მოთხრობაში. „აბა რა ვიცოდი, თუ თამაში ჯერ არ დამთავრებულყო და გამარჯვების ზეიმიც ნაადრევად იყო“, ამბობს ვაჟი ს. დემურხანაშვილის მოთხრობაში. და ორივე შემთხვევაში სიყვარულის გამაკეთილშობილებელი გრძნობა გვესახება როგორც პატივმოყვარეობის თამაში, როგორც უბრალო რამ გასართობი, რომელსაც შეიძლება ტკივილებიც მოჰყვეს, თუმცა არც ისე მნიშვნელოვანი, რომ სერიოზულად შეგაწუხოს. „გავიდა დრო, არც ისე დიდი, ტკივილი განქარდა“, ამბობს გურამი, რომელიც სატრფომ სხვაზე გაც-

ვალა (ს. დემურხანაშვილის მოთხრობა „სინანული“).

განა ასე უყვართ ერთმანეთი ლადო ვაშალომიძესა და სვეტლანა ვერზინინას კონსტანტინელოპოლითანინის მოთხრობაში „მწვანე ღილი“? რარიც შეუსაბამო, რარიც უცხო და გაუგებარი იქნებოდა, ლადო ვაშალომიძეს რომ ეთქვა: „გავიდა დრო, არც ისე დიდი, ტკივილი განქარდა“. არა, ლადოს ასე არ უყვარდა, მისთვის სიყვარული თამაში არ ყოფილა, მისთვის უცხო იყო მეტოქეობისა და პატივმოყვარეობის გრძნობაც. ეს იმიტომ, რომ ვაშალომიძე ჩვენი დროის ადამიანია, ქართველი კაცია, რომელსაც სიყვარული გულს უხალისებს, კერძოდ ცეცხლს მატებს, ოჯახს ქმნის და ფეხზე აყენებს. და საესებით ბუნებრივია მისი ღრმა მწუხარება, როცა მოულოდნელად დაკარგა თავისი გულის სწორი.

საკითხავია: რატომ ასე მკვეთრად განსხვავდება კონსტანტინელოპოლითანინისა და ზოგიერთი ახალგაზრდა პროზაიკოსის მოთხრობათა გმირები, მათი სიყვარული? სრულიად უბრალო, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი მიზეზის გამო. კ. ლორთქიფანიძემ თავისი გმირები მოთხრობაში შეიყვანა ცოცხალი სინამდვილიდან და, როგორც ცხოვრების შეილებს, მათ არ აკლიათ ფერი და ხორცი. ისინი ჩვენი ახლობლები და ნაცნობები არიან, ისინი თვითონ ჩვენ ვართ. იმიტომ არის, რომ ვაშალომიძესა და ვერზინინას ერთმანეთი უყვართ ისე, როგორც ჩვენ, ე. ი. გულმართლად, მთელი გატაცებით, ადამიანურად.

ასე როდია მოთხრობებში „გადასავალზე“, „სინანული“ და სხვ. მათი პერსონაჟები უფრო ლიტერატურულიდან მოდიან, ვიდრე ცხოვრებიდან, ყოველ შემთხვევაში ძნელია ისინი ჩვენი სინამდვილის, ჩვენი ცხოვრების შეილებად მივიჩნიოთ. არა თუ ჩვენი დროის, არამედ უფრო ადრინდელმა, კერძოდ, მეცხრამეტე საუკუნის ქართულმა მოთხრობამაც არ იცის სიყვარული როგორც თამაში, როგორც მეტოქეობის გრძნობა. მართალია, აღ. ყაზბეგს აქვს მოთხრობა „ელეონორა“, რომლის მთავარი პერსონაჟი უკიდურესი ეგოისტია და სიყვარული პატივმოყვარეობის თამაშად მიაჩნია, მაგრამ არ უნდა დაევიწყოთ, რომ იგი თავადის ქალიშვილია, ე. ი. ისეთ წრეს ეკუთვნის, სადაც სიყვარულის ასეთი გაგება უცხო არ არის. ამდენად, ბუნებრივია, სიყვარულის ელეონორასეულ წარმოდგენას ეროვნულად ვერ მივიჩნევთ. ეროვნულია არა ელეონორას, არამედ ნუნუს, მაყვალას, ჯაჯალასა და სხვ. სიყვარული. სწორედ მათს ტრფობაში ბოვა გამოხატულება ქართულმა ხასიათმა, იმ სიყვარულმა, რომელსაც სულ-

კუნთა მანძილზე უმღეროდა და ახლაც უმღერის ქართველი ხალხი.

აი რატომ უნდა მივიჩნიოთ მოთხრობების „გადასავალზე“ და „სინანული“ პერსონაჟები არაცხოვრებულ, არაეროვნულ ხასიათებად. მათს სიყვარულში ნაკლებად ჩანან საბჭოთა ახალგაზრდები, დღევანდელი ქართველი ქალ-ვაჟნი, რომლებსაც ერთმანეთთან აახლოებს არა შემთხვევითი და წარმავალი რამ, არამედ უპირველეს ყოვლისა მიზანთა და მისწრაფებათა ერთიანობა. ეს კი შედეგად მოჰყვა ეროვნულ ნიშან-თვისებათა, ეროვნული ტრადიციების უგულებელყოფას.

მაგრამ ეროვნულიც არის და ეროვნულიც. ერთი შეხედვით, ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალი თითქოს არ ერიდება ეროვნულის ასახვას, თითქოს ეროვნულ ნიადაგზე დგას, ნამდვილად კი აბსტრაქტულ ხასიათებს ქმნის და სცილდება თანამედროვეობას. ამას მოწმობს თამაზ ბიბილურის მოთხრობა „ჩემი და“. ამ მოთხრობის გმირი, რომელსაც სახელიც კი არა აქვს, არსებითად ჩამორჩენილი ადამიანია, ისევე როგორც მისი მეგობარი დათუნა, რომელიც მას დის ხელს სთხოვს, ხოლო თვითონ ქალიშვილს არაფერს ეკითხება (ყოველ შემთხვევაში, ეს მოთხრობიდან არ ჩანს). დათუნა მზად არის მოიტაცოს საყვარელი ქალიშვილი, რომლის ძმაც მისი განუყრელი მეგობარია. ეს უკანასკნელი კიდევ მზად არის მოჰკლას დათუნა, თუ იგი მუქარას შეასრულებს და მოსტაცებს დას. აშკარაა, ავტორს სურდა ეჩვენებინა ქართველი ახალგაზრდები, მოცა მათი ხასიათის ეროვნული ნიშნები, მაგრამ რატომღაც ისინი, ხასიათის ეს თვისებები, შეუნიშნავს ისეთ დრომოკმულ და უარყოფითს მოვლენებში, როგორიცაა ქალის მოტაცება, ლოთობა და მუშტი-კრივი. და ასეა ყოველთვის, როცა ფორმას აცდლებენ შინაარსს, საერთოს ცალკეულს, როცა ერთმანეთისაგან არ განასხვავებენ ეროვნულსა და ეგზოტიკურს.

როცა ჩვენ ვამბობთ ეროვნულიო, მუდამ ვგულისხმობთ მის შინაარსსაც, დღეს კი ეროვნულს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სოციალისტური შინაარსი, ე. ი. ის, რაც თანამედროვეობით სუნთქავს, რაც ჩვენს დღევანდელობას გამოსახავს. მწერალმა სერიოზული შეცდომა დაუშვა, როცა ანგარიში არ გაუწია დროს, ეპოქას და თანამედროვე ქართველი ჰაბუკები აღჭურვა ხასიათის ისეთი თვისებებით, რომლებიც უკვე მამა-პაპებს აღარ ახასიათებდათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოთხრობაში დამახინჯებულად, არასწორად ისახა სინამდვილე, ჩვენი დღევანდელია. ამ შემთხვევაში საბუთად არ გამოდგება მეტად გავრცელებული მოტივი:

„მაგრამ ხომ ხდება ასე ცხოვრებაში ასეთ შემთხვევებს არ ვხვდებით დღესაც? დიახ, ვხვდებით, ვხვდებით ქალის გატაცებასაც, ლოთობასაც, ჩხუბსაც და კიდევ ბევრ სხვა უარყოფითს მოვლენას, მაგრამ როცა სურთ ეს მოვლენები დადებითად წარმოგვიდგინონ ან ისეთ მოვლენებად, რომლებიც თითქოს გამოხატავენ ჩვენი ცხოვრების არსს, მაშინ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ისინი სცოდავენ სინამდვილის წინაშე.

აი რა შედეგი მოსდევს, როცა ეროვნულს განიხილავს ეპოქისაგან მოწყვეტით. „სუფთა“ სახით, აბსტრაქტულად, როგორც გაქვავებულ მოვლენას, რომელიც „არ სდევს ყამთა ცვლას“, როცა აინტერესებთ თვითონ გრძნობა, როგორც ასეთი, და არ ცდილობენ გრძნობის მეშვეობით ასახონ ცხოვრება, სინამდვილე. როცა „ჩემს დას“ წერდა, ბიბილურს სურდა ეჩვენებინა, თუ როგორ ძლიერია სიყვარულის გრძნობა, რა ძალეზად ეუფლება იგი ადამიანს, და მეტა არაფერი. ამის გამო მივიღეთ აბსტრაქტული ნაწარმოები, რომელსაც არ შეიძლება ჰქონდეს და არცა აქვს რაიმე სერიოზული შემეცნებითი თუ აღმზრდელი მნიშვნელობა.

სულ სხვაა ვიორგი ნატროშვილის მოთხრობა „ზაქროს ბიჭი“. ამ მოთხრობასაც საფუძვლად სიყვარულის გრძნობა უდევს, მაგრამ მწერალმა იგი გვიჩვენა არა „სუფთა“ სახით, ე. ი. არა საზოგადოებრივისაგან მოწყვეტით, არამედ საზოგადოებრივთან მჭიდრო კავშირში, არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად. სიყვარული აქ ძალაა, რომელიც სულიერად ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანს, ესმარება დაძლიოს ხასიათის ზოგიერთი არსებითი ნაკლი, ე. ი. ასრულებს საზოგადოებრივ ფუნქციას. ვინ იცის, როგორ წარმართებოდა ზაქროს ბიჭის გზა ცხოვრებაში, რომ სიყვარულს არ გაენათებინა იგი და არ დაეფიქრებინა თავის საქციელზე. მან შეიგნო, რომ სერიოზული შეცდომა დაუშვა, როცა პატივმყვარე ვაზდა და წარმოიდგინა, თითქოს ხალხზე მალა იდგა, რაკი სამუშაოდ მიიწვიეს პარტიის რაიკომში, და გულწრფელად მოინანია ეს შეცდომა. ამიტომ სავსებით კანონზომიერია, რომ მწერალი და მკითხველიც თანაუგრძობენ მას, უსურვებენ წარმატებას პირადულსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

როგორც ვხედავთ, გ. ნატროშვილი თითქოს არც კი ცდილობდა გამოესახა სიყვარულის დიდი გარდამქმნელი ძალა, თითქოს იგი ამოცანად ისახავდა მარტო ერთ რამეს — ეჩვენებინა, თუ როგორ განვითარდა ზაქროს ბიჭური საბჭოთა ადამიანისათვის შეუფერებელი განდრ-

დების მანია და როგორ დაძლია მან იგი. მაგრამ ამის ჩვენებით მწერალმა ცხადყო სიყვარულის კოლოსალური ძალაც, მისი გამაყვითლებილი და ამაჟღერებელი როლიც საბჭოთა საზოგადოებაში, ქართველი კაცის ცხოვრებაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, მწერალმა კონკრეტულის ასახვით ასახა ზოგადიც, ცალკეულის ჩვენებით გვიჩვენა საერთოც.

ღე გუგუბარია რატომ უნდა ვთქვათ უარი ცალკეულზე, ეროვნულზე ზოგადკაცობრიულსა და საერთოს სახელით? განა ცხადი არ არის, რომ მისწრაფებას ზოგადკაცობრიული გამოხატონ ისე, რომ გვერდი აუარონ კლასობრივ, ეროვნულ და სხვა თავისებურებებს, გარდუვალად მიყვებართ აბსტრაქტულობისაკენ, კონკრეტული ადამიანის გაქრობამდე ლიტერატურაში?

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგადკაცობრიული კი არ უპირისპირდება ეროვნულს, პირიქით, მჭიდრო კავშირშია მასთან როგორც ზოგადი კონკრეტულთან, როგორც საერთო ცალკეულთან და შეიძლება გამოვლინდეს მარტოოდენ ეროვნულის მეშვეობით. სწორედ ამიტომ ზოგადკაცობრიული თვალნათლივ, ხელშესახებად შეუძლია გადმოსცეს მხო-

ლოდ იმ მწერალმა, რომელიც უაღრესად ეროვნულია, და მისი მსოფლიო მნიშვნელობაც იმით განიზომება, თუ რამდენად სრულყოფილად გადმოგვცემს თავისი მშობლიური ხალხის სულს, ეროვნულს. ამრიგად, შემოქმედების ღრმა ეროვნული ხასიათი ღირსებაა და არა ნაკლი.

„დიდი პოეტისათვის, — ამბობდა დიდი რუსი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი, — არ არსებობს იმაზე უფრო დიდი პატივი, ვიდრე ის, რომ იყოს უაღრესად ნაციონალური, იმიტომ რომ სხვანაირად იგი არც შეიძლება დიდი იყოს“.

გენიალური კრიტიკოსის ეს სიტყვები გულში ღრმად უნდა ჩაიბეჭდოს თვითეულმა ახალგაზრდა მწერალმა და თავისი შემოქმედება კი არ მოწყვიტოს, არამედ კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშიროს ქართული მოთხრობის განვითარების გენერალურ გზას, რომელიც გულსხმობს ცხოვრებასთან, დღევანდელობასთან მჭიდრო კავშირს, ღრმა ეროვნულობას, შეუურიგებელ ბრძოლას ყოველგვარი აბსტრაქტულობის წინააღმდეგ.

1 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 607, 1957 წ.



გიორგი ხუნაშვილი

პასუხის პასუხი

როდესაც „ლიტერატურულ გაზეთში“ ვრცელი სტატიის ასეთ სათაურს წავაწყდი „პასუხი ახალგაზრდა კრიტიკოსს“ და პირველივე სტრიქონიდან შევიტყვე, რომ პოეტ ვიქტორ გაბესკირიას ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ჩემი ერთი წერილი გაუხდია განხილვის ობიექტად, მოუთმენლობამ და მღვღვარებამ შემიპყრო. ძლიერ მაინტერესებდა, როგორ შეაფასებდა იგი ჩემს ნაშრომს, მით უმეტეს, რომ ვიქტორ გაბესკირია უაღრესად პრინციპული და გულახდილი ლიტერატორის რეპუტაციით სარგებლობს. მეც დრამად პატივისმცემელი ვარ მისი, ადრე სიყვარულით დამიწერია წერილი მის ლირიკულ ლექსებზე, მაგრამ, პირდაპირ უნდა ვთქვა, ამჯერად მოლოდინი არ გამომართლდა. ვ. გაბესკირიამ, ჩემი აზრით, ბევრ რაიმეში უსაფუძვლოდ დამდო ბრალი.

ვ. გაბესკირია წერს: ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ მესამე ნომერში დაბეჭდილია გ. ხუნაშვილის წერილი „თანამედროვე პოეზიის ზოგიერთი თავისებურების შესახებ“. არსებითად ეს წერილი წარმოადგენს პასუხს ჩემს ერთ წერილზე, რომელიც „ლიტერატურულ გაზეთში“ დაბეჭდა.

მკითხველი, რომელსაც ხსენებული ჩემი წერილი არ წაუკითხავს, მართლაც იფიქრებს, აქ სადაო რა უნდა იყოსო. მე კი, რადგან თვითონ ვარ იმ წერილის ავტორი, დაბეჯითებით ვიტყვი, რომ იგი მე არ დამიწერია ვ. გაბესკირიას ერთი წერილის პასუხად. მართალია მხოლოდ ის, რომ ვ. გაბესკირიას ორიოდ დებულება გავაკრიტიკე სტატიის მესამე ნაწილში, სადაც თანამედროვე პოეტიკის ზოგიერთ საკითხს შეეხებ. პირველი ორი ნაწილი ჩემი წერილი-

სა კი სულ სხვა საკითხებისადმი მიძღვნილი, რაზედაც ვ. გაბესკირიას წერილში „ერთი წერილის გამო“, სადაც იგი ვ. ასათიანს ეკამათება, სიტყვაც არ არის თქმული. არსებითად ეს წერილი დავეწრე იმიტომ, რომ არასწორად მიმაჩნდა თანამედროვე პოეზიის თავისებურებათა განსაზღვრა მხოლოდ პოეტიკაში მომხდარი ცვლილებებით. საფუძველი ახალი პოეტური ფორმების წარმოქმნისათვის თვით ახალი ცხოვრების შინაარსში, რევოლუციის დიდი ეპოქის ხასიათშია საძიებელი. ჩემი წერილის პირველი ორი ნაწილიც სწორედ იმ მოტივების, განწყობილებების დახასიათებას მოვანდომე, რომელიც მთავარი მდინარების სახით მკვიდრდებოდა ჩვენს განახლებულ ყოფაცხოვრებაში. ვ. გაბესკირიამ აქ, ეტყობა, საკბილო ვერაფერი იპოვა, თუმცა ერთ ადგილას მაინც გადაწვდა (ამაზე ქვემოთ) და მთელი წერილი მის წინააღმდეგ დაწერილად მიიჩნია და ამით სამოქმედო ასპარეზი გაიფართოვა. მაგრამ ეს ასე თუ ისე საკითხის მეორე მხარეა. მთავარია, რა მიიჩნია პატივცემულ მწერალს ჩემს წერილში სადაო დებულებად, ასეთი კი, როგორც დასაწყისშივე აფრთხილებს მკითხველს, ჩემს წერილში მრავლად ყოფილა.

ვ. გაბესკირია გამოცდილი პოლემიკოსია და იცის, თუ როდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ დარტყმას, პირველ არგუმენტს. ამ მიზნით მან გამოიყენა ჩემი წერილის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ჩვენი სათაყვანო კლასიკოსები ილია და აკაკი რუსული პოეზიიდან ნერგავდნენ ქართულ ლექსში ქორესა და დაქტილის შერთმების ტრადიციას. შეხედეთ, რა გაბედა ახალგაზრდა მწერალმა, ილიას და აკაკის ლექსი დაუწუნაო. იგი სწორედ იქ

წყვეტს ციტატას, სადაც მე ასე თუ ისე განმარტავ ჩემს დებულებას და სრულიადაც არ ვამცირებ ამ ორი ბუმბერაზის დამსახურებას ქართული ლექსის განვითარების ისტორიაში. თავს ნებას მივცემ და ვ. გაბესკირიას მიერ ჩემი წერილიდან მოტანილ ციტატას გავაგრძელებ: „...ერთსა და იმავე ბრუნვაში ან „სა“-ზე დაბოლოებული რითმები სწორად ქმნიდნენ ლექსებში მონოტონურ ელერადობას, რაც საკმაოდ აუხეშებდა ლექსის მუსიკალობას. მაგრამ თავისთავად მეცხრამეტე საუკუნის პოეტებიც იყო სიახლე უწინდელთან შედარებით. სავსებით ბუნებრივია, რომ მეოცე საუკუნის პოეზიის განვითარება ტექნიკური სრულყოფისკენაც წარმოართა და სრული რითმების კარგი ტრადიცია უკვე შეიქმნა. ასეთივე ნოვატორი რუსული ლექსისა იყვნენ ვ. მაიაკოვსკი და ა. ბლოკი“. ეს რაც შეეხება რითმების ტექნიკას. და განა შეუზღვევდა ამ მხრივ პარალელის გავლება მეცხრამეტე საუკუნის პოეტებთან და დღევანდელი ლექსის ტექნიკურ მიღწევათა ხაზგასმა?

ვ. გაბესკირია განაგრძობს: „ჩვენ აქ არ ვეხებით საკითხს თანამედროვე ლექსის სიახლის შესახებ (საინტერესოა რატომ? — გ. ხ.). თანამედროვე საბჭოთა პოეზია სრულიად ახალი ეპოქაა ლიტერატურის ისტორიაში, მაგრამ ამ სიახლეს ხუზაშვილი იქ არ ეძებს, სადაც ის ნამდვილად შესამჩნევია და სადაც მთელი ძალით იგრძნობა“. იქნებ მართლა ასეა? მე ვწერ:

„მაჟალიოდ გამოიკვეთა თანამედროვე პოეზიის საერთო სტილი, მისი მთავარი ტენდენციებისა და იდეების სფერო, ჩამოყალიბდა მისი პათოსი, როგორც გამოხატულება ახალი ადამიანის სულიერი აღნაგობისა, თავისუფალი შრომის, ოპტიმისტური სულისკვეთების პიროვნება, ძლიერი და დრამატული ადამიანი გახდა ამ ახალი პოეზიის ლირიკული გმირი... საკმარისია ითქვას, რომ თანამედროვე პოეზიაში სკულპტურულად გამოიკვეთა ახალი ადამიანის ფიგურა, არსებითად გაიხსნა მისი ხასიათის ძირითადი ნიშნები.. ამან განაპირობა ახალი მხატვრული ფორმების წარმოქმნაც.. ახალი ეპოქის გიგანტურ ძვრებს ვეღარ დაიტევს ტკბილხმოვანი ჩანგი ლირიკისა, ახალი სიმღერების დაკვრა ძნელად თუ მოხერხდება ძველ საკრავზე. ამიტომ თვით პოეზიის ინსტრუმენტი საჭიროებს შეცვლას ახალი მრავალფეროვანი ორკესტრის შესაქმნელად“ და ა. შ. აი აქ ვეძებ მე თანამედროვე პოეზიის სიახლეს, „სადაც ის ნამდვილად შესამჩნევია და სადაც მთელი ძალით იგრძნობა“. ამაზეა დაწერილი ჩემი წერილის პირველი ორი ნაწილი.

ვ. გაბესკირია განაგრძობს: „ახლა მთავრების შესახებ: ჯერ ერთი მთელი მეცხრამეტე საუკუნის პოეზია საუკეთესო როგორც ჯვარედინი, ისევე შინაგანი რითმებით დაწერილი ლექსებით, ეს ითქმის კერძოდ ილიასა და აკაკის ლექსებზე. მეორეც, განა თანამედროვე პოეტები არ წერენ ისეთ ლექსებს, რომლებშიც არც ჯვარედინი რითმებია და არც შინაგანი, მაგრამ კარგ ლექსებად კი მიგვაჩნია?“ ჯერ-ერთი, მე ვლპარაკობ არა იმაზე, რომ ჯვარედინი რითმა მეოცე საუკუნის პოეტებმა აღმოაჩინეს. რითმას გააჩნია. მე გარკვევით აღენიშნავ საღი, კეთილხმოვანი რითმების შექმნას, ალიტერაციის, ლექსში ბერძნობით და ფერწერითი ელემენტების შეჭრას, მრავალფეროვან რიტმს და სხვ. განა მე გარკვევით არ ვწერ შემდეგს: „არსებითი, რაც ჩვენს პოეზიას განასხვავებს მეცხრამეტე საუკუნის პოეზიისაგან, ესაა რიტმულ-ინტონაციური თავისებურება, პოეტური მეტყველების ხასიათი, რაც ყველა საუკუნის პოეზიას სხვადასხვა აქვს მსოფლმხედველობისა და ესთეტიკური კულტურის შესაბამისად. ესაა „შინაგანი რიტმი“, რომელსაც ქმნის არა ლექსის ყალიბი, არამედ ლექსში გამოსატქმელი შინაარსი, თვითონ ავტორის ინტონაციის თავისებურება“. ან მეორეგან: „ქართული ლექსის დღევანდელი სახე შეცვალა ჩვეულებრივი ყოფითი მეტყველების, სასაუბრო ენის შეცვლამაც. უფრო მეტიც, ახალმა ტექნიკურმა გარემომ, ადამიანთა ყოფაში ახალი საგნებისა და ნივთების შემოჭრამ, ტელეფონების, რადიოსა და ტელევიზორის ეპოქამ ლექსიც თავისებურად აახიანა“.

ვ. გაბესკირია კი მიყიფინებს, გინდა თუ არა, ჯვარედინ და შინაგანი რითმებს ახალი პოეზიის მიღწევად მიიჩნეო და ჩახრუხაძიდან დ. თუმანიშვილამდე ჩამოთვლის პოეტებს, რომელთაც ჰქონდათ ან არ ჰქონდათ ჯვარედინი და შინაგანი რითმები. განა მე იქვე არ ვწერ: „შინაგანი რითმების სირთულე ბესიკსაც ახასიათებდა („ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო“...), მაგრამ სწორედ სახობტო პოეზიაში ან სატრფიალო ლირიაში ეს იყო „ენამზეობის“ ნიმუში, ხოლო თვით ლექსის აზრობრივ მხარეს ორგანულად ზოგჯერ არ ერწყმოდა, რაოდენ დიდ სხვაობაა ამ მხრივც. ტუბიძის ლექსში! აი-ღეთ, თუნდაც, მისი „ატმის ყვავილები“, სადაც სტრიქონთა მუსიკა გადმოსცემს ქარის მოძრაობას, ქმნის განწყობილების შესაფერის რაღაც თავისებურ მღელვარე ტონს“. ამის შემდეგ მომყავს „ატმის ყვავილები“ და „ქარის ქრის“ ნაწყვეტები. საოცარია, ამის შემდეგ რა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ჯვარედინი და შინაგანი რითმები (რომლითაც თურმე დ. თუმანიშვილიც წერდა — გ. ხ.) მე მიმაჩნდეს თანამედროვე

პოეზიის მიღწევად? რითმა და რიტმი პოეზიის ისეთი კომპონენტებია, რომლებიც განსაზღვრავს მის ფორმას, რა თქმა უნდა, შინაარსთან ერთად. ამ მხრივ თანამედროვე პოეტთა ნოვატორული მიღწევების უგულვებელყოფა ამ პოეტთა შემოქმედებითი სიახლის უგულვებელყოფას ნიშნავს მეტნაკლებად. სწორედ ესაა თანამედროვე პოეზიის ნიჰილიზმი. ამას ვერ ხედავს ან პრინციპულად არ ხედავს ვ. გაბესკირია. რატომ არ იწერება დღეს ოღა, ტრიოლეტი, სონეტი, კანცონა ან სხვა კანონიკური ფორმები ლექსისა? რატომ ემთხვეოდა ამ სახეობათა პოპულარობა გარკვეულ ეპოქებს, გარკვეული საზოგადოების სულიერ მოთხოვნებს? რა გასაკვირია, რომ დღევანდელი პოეტური კულტურისათვის ქორეჟა და დაქტილის შერითმვის პრინციპი მოძველებული იყოს? განა ვ. მაიაკოვსკის არ უყვარდა პუშკინი, რომ ეუბნება, ცოცხალი რომ იყო, იამბების წერას თავს მიანებებდით? რევოლუციის პოეტი, რომელმაც იცოდა, რომ „წყალსადენი მიღების ფლიტაზე ნოქტიურნის დაკვრა“ საძნელო იყო, სწორედ ფორმის ნოვატორობას მოითხოვდა და წარუღის მეგვიდარეობიდან იღებდა ყოველივე ცოცხალს და არა მუმიას. ბოლოს და ბოლოს, რა გამოდის? პოეტური ხერხების, ახალი რითმების, რიტმის ან სხვა ელემენტების ძიება ფორმალისმი ყოფილა. ჯერ-ერთი, მე ხაზგასმით ვწერ, რომ „არ ვგულისხმობ რითმების თვითმიზნურ, ფორმალისტურ ძიებას დღევანდელი ლექსის სიახლის მომასწავებლად“. მეორეც, იქვე, სადაც პოეზიის სიახლეებზე ვლაპარაკობ, დავძენ: „პოეზიის ტექნიკასაც აქვს თავისი უკიდურესობანი. ინერცია ლირიკის დაყვანისა მშრალ ტექნიკიზმამდე მეტნაკლებად ყველა მოდერნისტს ახასიათებდა. ხლებნიკოვი ისე წერდა ლექსებს, რომ მისი წაითხევა შეიძლებოდა უკულმა, როგორც არაბული ან სპარსული ნაწერებისა. ამგვარი რამე ტაბიძესაც აქვს აქა-იქ (აი, დროშა აშორდია, აერების სიბერეა)“. საბედნიეროდ არც ერთი ქართული პოეტის შემოქმედება არ არის დამძიმებული ამნაირი ცოდვებით“.

ვ. გაბესკირია გვერდს უვლის ამ სტრიქონებს, დეტალურად, სიტყვა-სიტყვით განიხილავს ჩემს მიერ საილუსტრაციოდ მოყვანილ ლექსს „ქარხალი“ და ასკვნის: „ამ ლექსს, რომელსაც კიდევ ორი ტაეპი მოსდევს (და ამ ორ ტაეპზე სიტყვას არ ძრავს ვ. გაბესკირია — გ. ხ.) ეწოდება „ქარხალი“ და დაწერილია 1916 წელს, მე მგონია, დამეთანხმება მკითხველი, რომ ძნელია ამ ლექსს „ვირტუოზულად დახატული პეიზაჟი“ ვუწოდოთ. ეს ლექსი ფორმალისტურ ლექსად იმის გამო მიმაჩნია,

რომ ალიტერაცია ამ ლექსში ხელგულწოდ არის შექმნილი...“ ჩემის აზრით კი ეს ლექსი არ არის ფორმალისტური, თუნდაც იმიტომ, რომ აქ ალიტერაციის, როგორც თვითმიზნური ფორმის, შექმნა არ არის პოეტის ამოცანა. ალიტერაცია აქ განგება გამოყენებული სოფლის კოლორიტული სურათის შესაქმნელად, ბგერწერა ფერწერასთან არის შეხამებული. უფრო მეტიც, არც მარტო პეიზაჟის შექმნა სურდა ავტორს. მას უნდა განგეცადენ ვინოს სურათი და თავისი დამოკიდებულება, უფრო სწორად განწყობილება, შორს დარჩენილ სიყმაწვილეზე სინანული გამოხატოს: „ო, სიყმაწვილე! აწი არასდროს იმგვარად აღარ ამეტყველებდი“. რა ფორმალისმიია ეს?

ვ. გაბესკირიას არ მოსწონს ამ ლექსში სიტყვები: „ბობრი“, „აბრკელი“ და „ბობორიკა“. მაგრამ ეს სიტყვები არსებითად არღვევს ლექსის აზრობრივ შინაარსს, მის შინაგან ლოგიკას? პირიქით, აძლიერებს კოლორიტს. ვთქვათ, ეს ლექსი მართლაც არ ახასიათებს სწორად ვ. ტაბიძის რთულ და ნოვატორულ პოეტურ ხელოვნებას. ეს არსებითად ცვლის დებულებას ამ დღი პოეტის მეტად თავისებური, ნოვატორული პოეზიის შესახებ? ვთქვათ, „ქარხალი“ არ არის სწორი მაგალითი ჩემი დებულების საილუსტრაციოდ. თვითონ ვ. გაბესკირიამ ხომ კარგად იცის, რომ ვ. ტაბიძის მიერ პოეზია იმის მაგალითია, თუ როგორ განახლდა მეოცე საუკუნის პოეტური აზროვნება. მაშ რაში სჭირდება მას ამ ლექსის განქიქება და შემდეგ ვ. ტაბიძის მეორე ლექსის ქება, აქაოდა პოეტი არ გამინაწყენდესო? მხოლოდ იმიტომ, რომ მკითხველი დაარწმუნოს, ახალგაზრდა კრიტიკოსი ფორმალისტურ ლექსს აქებს, მე კი რეალისტური პოეზია მომწონსო. არსებითად ჩემს მიერ მოყვანილი ნიმუში და ის ლექსი, რომელიც პატივცემულ ვ. გაბესკირიას მიაჩნია ვ. ტაბიძის პოეზიისათვის დამახასიათებლად, სრულიად არ არის სხვადასხვა მხატვრულ პრინციპზე შექმნილი. არსებითად რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან ამ ორი ლექსის ფინალი:

„ო, სიყმაწვილე! აწი არასდროს
ამგვარად აღარ ამეტყველებდი“.
„ისევ ამწვანდა მდელი და კორდი!
დავდივარ, ვწუხვარ და მენანება“.

ვ. გაბესკირიას თურმე უფლება აქვს სტრიქონი „გაშალა ველი ნელმა ნიავმა“ ასე ვრცლად აღიქვას: „პოეტმა ნიავს იმგვარი ძალა მიანიჭა, თითქოს მან ველის საბურველი ისე გადასწია (?) როგორც შეიძლება გადასწიოს ადამიანის ხელმა სცენის ფარდა“. მე კი უფლება არ მქონია დავინახო სოფლის კოლორიტული სურ-

საქართველო
საბჭოთაო

რათი ასეთი დეტალების მეოხებით: ეზოში ბაჰ-ბურა მურა, მწვანედ აყვავებული ბაო, ვაზის ბარდებში ჩადგმული სურა, ბირკვილთან ქა-რისაგან მირეკილი ბატები, გადაბეღლი კახამ-ბალი და ბეოლა, შორის ქალის ხმა, რომელიც „ღოი ღოის“ იძახის, უცებ წამოსული წვიმა, ახმაურებული ისლი და ჩეტლები... რატომ? თურმე იმიტომ, რომ ეს დეტალები კოფლის ფერების მკვეთრად გადმოქვემო კოლორიტული სიტყვებით და ალიტერაციით შექმნილი მკა-ფიო ლირიკული მელოდიითაა გაერთიანებული პოეტურ კომპოზიციაში, რატომაა მაშინ ფორ-მალისტური ეს ლექსი?

წავიღეთ უფრო შორს და იმ მეთოდით, რო-მლითაც ვ. გაბესკირია არჩევს ჩემს მიერ მო-ტანილ სტრიქონებს, ახლა მის მიერ შერჩეუ-ლი ნიმუში გავარჩიოთ. დაახლოებით ასეთ სურათს მივიღებთ: „წინაპართაგან წავიდა ყვე-ლა, სხვა ხალხის ისმის აქ ყრიაშული“. „ხალ-ხის“ ნაცვლად აქ „ადამიანები“ უნდა იყოს, რადგან სხვა ადამიანები მოვიდნენ და არა „სხვა ხალხი“, მაგრამ სტრიქონში „ადამიანები“ არ ჩაეტია და „ხალხი“ ჩასწერა პოეტმა. ან რას ნიშნავს „ნელი ნაავი“, „ჩქარი ნაავი“ ვის გა-უგიაო. ან რას ნიშნავს „აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი მასზე ოცნებას დამეგვანება“. როგორ უნდა დამეგვანოს „ლერწი“ და „ყლორტი“ ოცნებას? ან რას ნიშნავს „ისევ ამ-წევანდა მდელი და კორიდა“. მდელი ხომ მწვა-ნე ბალახია. რომ თქვა, კორიდი ამწვანდა მდე-ლოთით კიდევ მესმის. აი, დაახლოებით ასე-თია ვ. გაბესკირიას კრიტიკული ანალიზის მე-თოდი, მაგრამ განა ასე უნდა „წაევიკოხოო“ ლექსი?

აქვე შევნიშნავთ, რომ ეს ლექსი, რომელიც აგრეთვე რევოლუციამდელ დაწერილი, არ არის დამახასიათებელი ვ. ტაბიძის პოეზიისათვის. მელოდიურობის პრინციპზეა შექმნილი ძირითა-დად მისი პოეტური შედეგები. ხოლო ასეთი პოეტისათვის ვერაფერი სახარბიელოა „ყველა და ფესშიშეგლა“, „ნიაგმა და მამა“, „წიადში და ვენახში“ გართმევა. არც ეს ფრაზაა მელო-დიური: „სასხლავით ხელში დადის ვენახ-ში“. მას რაში დასჭირდა ვ. გაბესკი-რიას ამ ლექსის მოყვანა ნიმუშად? სწორედ იმიტომ, რომ მასში ნაკლებ ან სრულიად არ იგრძნობა მეოცე საუკუნის პოეზიისათვის და-მახასიათებელი სიხალენი რიტმის, რითმის, ინ-ტონაციის სფეროში. აქ არ იგრძნობა გალაკტი-ონის მანერა.

ამასთანავე სანამ მე „ჭარხალზე“ ჩამოვხე-დებდი სიტყვას პოეტურ პეიზაჟთან დაკავში-რებით, საკმაოდ ვრცლად მოვიტანე ნიმუშე-ბი გ. ტაბიძის პოეზიიდან („ჩვენ, პოეტები სა-ქართველოსი“, „ბოძთან ტრამაჟის ელოდა მგზავრი“, „ერთხელ საღამოთი“, „ქარი ქრის, ქარი ქრის“, „ატმის ყვავილები“). აქ უკვე ვერ იტყოდა ვ. გაბესკირია ფორმალიზმითა და არც არაფერი თქვა, თვალი აარიდა მათ.

საბოლოოდ ვ. გაბესკირია იქამდე მიდის, რომ არც ჩემს მიერ აღნიშნულ ზოგიერთ თავი-სებურებას მიიჩნევს თანამედროვე პოეზიისათ-ვის დამახასიათებლად, არც თვითონ ამბობს რა-შია ეს სიხალე. იგი საერთოდ უარყოფს ყო-ველგვარ ძიებას ხელოვნებაში, თითქოს ლექ-სები ისე იწერებოდეს, როგორც ბალახი ამო-დის მიწიდან. იგი წერს: „ჭემმარტი პოეტო ყოველთვის ადვილად პოულტობს ფორმას თა-ვისი ლექსებისათვის, ვინაიდან ფორმის თვით სათქმელი კარნახობს. ფორმალისტი პოეტი კა მუდამ ფორმის ძიებაშია“. განა ეს სიმართლეა? გამოდის, რომ მიაიკოვსკი არ ყოფილა ჭემმარ-ტი პოეტი. იგი ხომ პოეტური ფორმის მიე-ნებას სირთულით და სიძნელით რადიუმის მო-პოვებას ადარებდა. იოლი მხოლოდ მარტივი ლექსების წერაა, უფრო სწორად, ისე წერა, როდესაც პოეზიის „საყოველთაო არსენალი-დან“ სესხულობენ გამომსახველობით ხერხებს. ყველა ნამდვილი პოეტი ფორმის ძიებაშია, ნო-ვატორობისაყენ ისწრაფვის.

დასასრულ მსურს შევხვდეთ ბრალდებას, თით-ქოს მე საბჭოთა მკითხველის უპატივცემულო-ბას ვიჩენდე. წინა სტატიაში აღვნიშნე, რომ მოწოდება პრიმიტიული, ადვილად გასაგები ლექსებისაყენ ჩვენი მკითხველის უპატივ-ცემულობაა-მეთქი, ვ. გაბესკირია ამის გამო მეუბნება, შენ თვითონ უპატივცემულოდ ეკი-დები ჩვენს მკითხველებს, როდესაც წერ, ჭემ-მარტი ხელოვნების ქმნილებათა გაგება-დაფა-სება გარკვეულ ესთეტიკურ კულტურას მოით-ხოვსო. ვინა ჩვენს შორის მართალი, დე ისევ მკითხველმა განსაჯოს.

რედაქციისაგან: ბეჭდავს რა გ. ხუხუშ-ვილის საბასუხო სტატიას, რედაქცია დამთავრე-ბულად არ თვლის დისკუსიას თანამედროვე პოეზიის სიხალეთა შესახებ და მოვლის, რომ ამ საკითხზე თავიანთ აზრს გამოთქვამენ ჩვენი კრიტიკოსები, პოეტები, მწერლები, მკითხვე-ლები.



აჭარის ისტორიისა და დღევანდელი სარკმ

(აჭარის სახელმწიფო მუზეუმის არსებობის 50 წელი)

აჭარის სახელმწიფო მუზეუმს არსებობის ნახევარი საუკუნე შეუსრულდა. იგი დაარსდა ორმოცდათი წლის წინათ, როცა ბათუმის მოწინავე საზოგადოებრიობა დიდად დაინტერესებულა კულტურული კერების შექმნით.

როგორც ქალაქის თვითმმართველობის საარქივო მასალებიდან ირკვევა, ზოგიერთ სასწავლებელთან მაშინ არსებობდა საბავშვო მუზეუმები და სწორედ მათი შეერთებით სურდათ ერთი საქალაქო მუზეუმის შექმნა. ამ საქმეს თაოსნობდნენ ბათუმის მოწინავე ადამიანები გ. ყურული, დ. კლიაშვილი, გ. ვოლსკი, ი. ანდრონიკაშვილი, ი. მესხი, გ. ელიავა და სხვები, აგრეთვე პროგრესულად განწყობილი მასწავლებლები ნ. გომანი, ნ. ჯაყელი, ი. დლონტი, ლახარდი, მ. შარაშიძე და სხვები. ყველაზე მეტად აქტიურობდა ხელგარჯილობის მასწავლებელი ნიკოლოზ ნიკოლოზისძე გომანი.

ბათუმის სასწავლებლების ინსპექტორმა მ. კირბიჩმა საზოგადოებრიობის მოთხოვნით ქალაქის გამგეობას წარუდგინა მოხსენება პუშკინის სახელობის სასწავლებელთან საბავშვო მუზეუმის დაარსების შესახებ. საბჭოს სხდომას საკითხი განუხილავს, მაგრამ სპეციალური გადაწყვეტილება ვერ გამოუტანია. ამის შემდეგ ამ საქმის მოგვარება მიუზღვიათ მასწავლებლებისათვის დლონტისა და ლახარდისათვის, რომელთაც სათანადო მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინათ ქალაქის თავ ანდრონიკაშვილთან და ხმოსან გ. ყურულთან. საარქივო მასალებით დასტურდება, რომ 1908 წლის 19 მარტს ქალაქის საბჭოს 28 ხმოსნის მონაწილეობით გამარ-

თულ სხდომაზე მოუწონებია ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის ერთობლივი დასკვნა პუშკინის სახელობის საქალაქო სასწავლებელთან საბავშვო მუზეუმის გახსნის შესახებ.

ამრიგად, უკვე 1908 წელს გაუხსნიათ საბავშვო მუზეუმი. ეს ჩანს ბათუმის ქალაქის თავის 1914 წლის 20 მარტის № 1553 ბრძანებიდანაც. იქ ნათქვამია, რომ ბათუმის პუშკინის სახელობის სასწავლებლის მუზეუმის გამგედ 1908 წლის პირველი ოქტომბრიდან დანიშნულია ნიკოლოზ ნიკოლოზისძე გომანი.


მუზეუმის გაფართოების გამო 1910 წლის 9 მაისიდან იგი გადაუტანიათ ქალაქის საბჭოს შენობის პირველ სართულში და მისთვის ერთი ოთახი დაუთმიათ. 1912 წლის 15 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს დადგენილებით იგი გადაუკეთებიათ საქალაქო მუზეუმად.

ასეთ პირობებში მუშაობდა მუზეუმი აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე.

1925 წლიდან იგი გადაუკეთებიათ აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმად. ამავე წლიდან მუზეუმი გადაუტანიათ ყოფილ სამხედრო ტაძარში, სადაც დარჩენილა 1930 წლამდე. სინესტის გამო ამ ტაძარში დიდალი ექსპონატი გაფუჭებულა. ამიტომ 1930 წლის 25 იანვრიდან იგი მაშინდელი ხაზინის შენობაში მოუთავსებიათ, სადაც ამჟამადაც იმყოფება.

მუზეუმმა ფართო გვემინი მუშაობა დაიწყო 1939 წლიდან. მიეწყო სამი ძირითადი გამოფენა ბუნების, ისტორია-ეთნოგრაფიისა და სოციალისტური მშენებლობის დარგების მიხედვით.

ექსპოზიციები ეწყობა წინასწარ, სათანადო



გეგმის საფუძველზე. მუზეუმის მთავარი მიზანია შეისწავლოს აჭარის წარსული, ხალხის გმირული ბრძოლების ისტორია, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, ძეგლები, ბუნებრივი სიმდიდრე, სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის მიღწევები. გეგმიანი ექსპედიციების შედეგად შესაძლებელი გახდა მუზეუმისათვის შეგვეგროვებინა ძვირფასი უნიკალური ექსპონატები, იშვიათი ხელნაწერები და ფოლკლორული მასალები.

თუ 1939 წლამდე მუზეუმს არ გააჩნდა არც ერთი ხელნაწერი, ამჟამად მის ფონდში 1.100-ზე მეტი ხელნაწერია. აქ დაცულია ქართული, რუსული, სომხური, არაბული, სპარსული და თურქული ხელნაწერები. მათ შორის აღსანიშნავია ლომან ქარცივაძის ასტრონომიული ხასიათის არაბული მასალები, პეტრე პირველის დღიურები—მოგზაურობა ეგროპაში, რომელიც გადაწერილია ცნობილი ხელნაწერიდან 1792 წელს, რუსეთ-იპონიის ომის მონაწილის პოლკოვნიკ პოპანდოპოლის ორტომიანი მოგონება, მარიამ დედოფლის სიგელი, ი. თაყაიშვილის ხელნაწერთა არქივი, აკაკი წერეთლის ძმის დავით წერეთლის ქართული და თურქული ნაწერები და სხვა.

მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომლებმა მოკლე დროში დაამუშავეს ორასზე მეტი შრომა. ბევრი მათგანი მოწონებულია და გადაეცა დასაბეჭდად.

ბუნების განყოფილების პროფილიდან მომზადდა მრავალი შრომა, მათ შორის ლ. შარაძის, ე. ჩხაიძის, ვ. კობრეიძის, ვ. ციხოცის, დ. მამფორისა და სხვ.

ისტორიის დარგში გვაქვს ვ. იაშვილის, შ. რუსიძის, ვ. ჭანტურიას, ა. ქათამაძის, ს. ყუფარიას, მ. სულემანოვის და სხვ. შრომები.

აჭარაში ბლომად მოიპოვება მატერიალური კულტურის ძვირფასი ძეგლები. თითქმის ყველა სოფელში ნახავთ მათ. მუზეუმმა დიდი მუშაობა გასწია ამ ძეგლების შესასწავლად. აჭარის ციხე-სიმაგრეების, ეკლესიებისა და ხიდების შესწავლის შემდეგ მუზეუმმა 1957 წელს გამოსცა თავისი შრომების პირველი კრებული „ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში“, ხოლო 1957 წელს გამოვიდა მუზეუმის შრომების მეორე კრებული. ამჟამად გამოდის მესამე კრებული.

საბჭოთა პერიოდის განყოფილებაში წარმოდგენილია სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის წარმატებათა ამსახველი მასალები. გამოკვლევები და შრომები ამ დარგში მოაოვებულ მიღწევებსაც

მიეძღვნა. დასახლებულ განყოფილებაში დამუშავებულია თ. ადამიას, შ. რუსიძის, ლ. შარაძის, დ. ოლოვანიშნიკოვის, პ. კობაძისა და სხვათა შრომები.

როგორც ძველ, ისე საბჭოთა პერიოდის ფოლკლორულ მასალებს ამუშავებენ ჯ. ნოღაიძელი, ნ. ნოღაიძელი, ე. მახარაძე და სხვები. მუზეუმის ფოლკლორული ფონდი ძლიერ მდიდარია.

მუზეუმში სათანადო ყურადღება ეთმობა ექსპონატებზე მეცნიერული პასპორტის შედგენას.

მუზეუმის კოლექციები და სამუზეუმო საგნები წინასწარ დაგეგმვით გროვდება. ფონდების გამდიდრებაში დიდად გვეხმარება ექსპედიციები.

ამჟამად მუზეუმში 50 ათასი ექსპონატია, მათგან ბუნების განყოფილებაში—6.261, ოქტომბრის რევოლუციამდელ განყოფილებაში — 19.781 და საბჭოთა პერიოდის განყოფილებაში — 21.736.

ჩვენს მუზეუმს დიდადღი დამთავალიერებელი ეტანება. იგი დაათვალიერეს ჩინეთის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების ტურისტებმა. მათთვის მოეწყო 42 ექსკურსია.

შთაბეჭდილებათა წიგნში მოწონების გამოხატველი სიტყვები ჩაწერა რუმინელმა პოეტმა „ვეფხისტყაოსნის“ რუმინულად მთარგმნელმა ვ. კერნახმა: „დიდი ინტერესით დავათვალიერე მუზეუმი, მრავალფეროვანი ექსპონატები დამეხმარა უკეთ გაცნობოდი აჭარას, ხოლო ამ გზით კიდევ უფრო ნათლად — საქართველოს მისი ძველი, მდიდარი და ღრმა კულტურით“.

შთაბეჭდილებათა წიგნში გულთბილი სიტყვები ჩასწერეს აგრეთვე სსრ კავშირის მრეწველობისა და არქიტექტურის აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა მაკაროჩიძემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ევროპის ხალხთა სექტორისა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის გამგემ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ჩეხოვსკაროვმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდიელმა წევრმა ნ. ხლოპკოვმა, ძველმა ბოლშევიკმა ქ. კიევის მცხოვრებმა ლ. ბაბკოვმა, უკრაინის სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ანონჩენკომ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა კალისტრატემ, პოეტმა აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინ-

1 დ. წერეთელი 1878-1881 წლებში მაჭახლის ხეობის უფროსად მუშაობდა.



ნო ინსტიტუტის პროფესორებმა მამალაძემ, ზურაბიშვილმა და სხვებმა.

კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მოსახლეობის ადგილზე მომსახურება მოძრავი გამოფენებით. მეცნიერ მუშაკებს გამოფენები მიაქვთ კლუბებში, კულტურის სასლებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ფაბრიკა-ქარხნებში და სხვაგან, აწყობენ ახსნა-განმარტებით საუბრებს, ლექციებს.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმთან არსებობს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც დიდ დახმარებას უწევს არა მარტო ადგილობრივ, არამედ სხვადასხვა ქვეყნიდან და ქალაქიდან ჩამოსულ მეცნიერ მუშაკებს, ასობრანტებს, სტუდენტებს. ბიბლიოთეკაში დაცულია ძვირფასი იშვიათი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რომლებსაც აჭარის სხვა ბიბლიოთეკებში ვერ ნახავთ. მუზეუმის ბიბლიოთეკა მნიშვნელოვნად გამდიდრდა, წიგნების რიცხვი ოცდაათი ათასამდე აღწევს.

მუზეუმში მოწყობილია სხვადასხვა განყოფილება.

ბუნების განყოფილება გვაცნობს აჭარის გეოლოგიურ თავისებურებებს, ნიადაგების სახეებს, კლიმატის ამსახველ გრაფიკებს და ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებს.

რევოლუციამდელი პერიოდის განყოფილებაში წარმოდგენილი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპონატები, ფოტოსურათები, მხატვრული ტილოები, მკაეტები ასახავენ აჭარის ისტორიულ წარსულს, მოკიდებული ადამიანთა საზოგადოების უძველესი პერიოდიდან.

აქ წარმოდგენილია ბრინჯაოს პერიოდის კულტურის ძეგლები — ნაჯახები, კოლხური ცულები, თახები, წალღები, საფხეკები, ბრინჯაოს ზოდები, ჩამოსასხმელი ხელსაწყოები, რომლებიც ცხადყოფენ აჭარაში ბრინჯაოს იარაღების წარმოებას.

ექსპონაციაში წარმოდგენილია კოლხეთის ციხე-ქალაქი ც გონიასა და ციხისძირის (პეტრას) ფოტოსურათები, კოლხური იალქნიანი გემის ე. წ. კოლხეთის მოდელი (VIII-IX საუკუნის), აჭარის ტერიტორიაზე ნაპოვნი მატერიალური კულტურის ძეგლები, ტაძრის ორნამენტური ქვის ფრაგმენტები ძველი ქართული წარწერით. აქვე თავმოყრილია ხიხაძირის ხეობის მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი, იგი ამ მხრივ ყველაზე მდიდარია მთელ აჭარაში.

დარბაზში წარმოდგენილია აჭარის ყოფის დამახასიათებელი ნივთები, ხის ორნამენტიანი კარები, საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო ნაგებობათა მოდელები (წყლის წისქვილი, სა-

სიმინდე, გლეხისა და ბეგის სახლი და სასოფლო-სამეურნეო იარაღები).

დარბაზის ცენტრშია რევოლუციამდელი პერიოდის აჭარელი გლეხის ოჯახი — „ინტერიერი“.

ცალკე კარდაშია მუსიკალური ინსტრუმენტები: დოლი, ჩონგური, გუდის ჭიბონი და სხვ. გამოფენილია პატრუქიანი, კაჟიანი და ფისტონიანი თოფები, დამბანები (ფეშტონები), სხვადასხვა ფორმის ხმლები და ხანჯლები. ყურადღებას იპყრობენ ვერცხლის ნივთები, რომლებიც შესანიშნავია თავიანთი ორნამენტებით, ინკრუსტაციითა და საერთოდ შესრულების მაღალი ტექნიკით. აქვეა შინამრეწველობისა და ხელსაქმის ნიმუშები: წინდები, თორები (ქამრები), სხვადასხვა სახის ქსელები და სხვ.

ამავე განყოფილებაში წარმოდგენილია რუსეთთან საქართველოს შეერთებისა და სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ამსახველი მასალები.

XVI საუკუნიდან დაწყებული რუსეთთან აჭარის შეერთებამდე სამხრეთ საქართველოში, კერძოდ აჭარაში, არ შეწყვეტილა სულთნის თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლა. XVIII საუკუნის მიწურულიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას მეთიხედი საუკუნის მანძილზე ხელმძღვანელობდა სელიმ ხიმშიაშვილი.

თურქეთის ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლებაში გადაწყვეტი რული შეასრულა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომმა. დიდი რუსი ხალხის დახმარებით აჭარა კვლავ შეუერთდა დედასამშობლოს — საქართველოს.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში რუსეთის მხარეზე იყო არა მარტო აჭარის მოსახლეობა, არამედ ზოგიერთი ბეგიც. მაგალითად, დიდი ღვაწლი შეუძღვის რუსეთთან აჭარის შეერთებაში მორიგ ბეგ ხიმშიაშვილს. ფოტოსურათები ასახავენ 1877-1878 წლების ომის ეპიზოდებს სამხრეთ საქართველოს, კერძოდ აჭარის ტერიტორიაზე.

მეორე სართულის პირველი დარბაზი უკავია მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ექსპონატებს. განყოფილების შესავალი ნაწილის დიდ ფარზე წარმოდგენილია დოკუმენტები, ფოტოები და მხატვრული სურათები, რომლებიც ასახავენ 1918-1921 წლების ამბავს. ცნობილია, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოში შეიქმნა მენშევიკური მთავრობა, რომელმაც საქართველო მთლიანად მოწყვიტა საბჭოთა რუსეთს და იგი ევროპის იმპერიალიზტებს ჩაუვდო ხელში.

ბათუმის მშრომელები ბოლშევიკების მეთაურობით შეუდრეკლად ებრძოდნენ ოკუპან-

ტებს. სპეციალურ ფარზეა დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის სურათები. კედლის ცენტრალურ ადგილას მოთავსებულია სურათი, რომელიც ასახავს 1920 წლის საპირველმართო დემონტაჟის, რომელზეც სიტყვიტ გამოდის ბათუმის ბოლშევიკების ხელმძღვანელი სერგო გუბელი (მემპარიაშვილი).

1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დადგენილებით (იხ. დეკრეტი № 54) შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. დარბაზის ფარებზე წარმოდგენილია ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, კოფეინის, მანქანათმშენი ქარხნების, სამკერვალო ფაბრიკის, ციტრუსკომბინატის, ბუქნარის ეთერ-ზეთოვანი ქარხნის, ფანერისა და ლუდსახდელი ქარხნების, თევზჭერის კომბინატის, ჩაის ფაბრიკების, ავტოტრანსპორტის, რკინიგზის, ნავსადგურისა და სხვა საწარმოთა ფოტოსურათები და სხვა მასალა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე აჭარა სოფლის მეურნეობის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი კუთხე იყო. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ დაიწყო მისი ნამდვილი აღმავლობა. ცალკე ფარზე ნაჩვენებია მიწის დეკრეტი, რომლის საფუძველზე მემამულეებს ჩამოერთვათ მიწები და გადაეცათ გლეხებს. აქვეა 1921-1928 წლების აჭარის სოფლის მეურნეობის ამსახველი ფოტოსურათები. შემდგომი ფარები მოგვითხრობენ კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაზე. ამჟამად აჭარაში მძლავრად ვითარდება თანამედროვე ტექნიკის ბაზაზე დაყრდნობით მოწინავე სოფლის მეურნეობა. შექმნილია 166 კოლმეურნეობა და 20 საბჭოთა მეურნეობა.

მეორე დარბაზის ბოლოს წარმოდგენილია ორი სასოფლო-სამეურნეო არტელის — მახინჯაურისა და ურების კოლმეურნეობათა ფერმები, რომლებსაც საქართველოში პირველი ადგილი უკავიათ.

აჭარაში სულ ორმოცდახუთი მილიონერი კოლმეურნეობაა. მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია ბობოყვათის კოლმეურნეობა, რომელიც მუზეუმში მონოგრაფიულადაა წარმოდგენილი.

საკმაოდ დიდი ადგილი უკავია კულტურის განვითარებას. საბჭოთა ხელისუფლების დამ-

ყარებამდე აჭარა ძლიერ ჩამორჩებოდა კულტურის მხრივ, წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი მხოლოდ შვიდ პროცენტს შეადგენდა და ისიც მხოლოდ ბათუმში. ბავშვები რელიგიურ სასწავლებელში — მედრესეში სწავლობდნენ (მაკეტი — სწავლა მედრესეში). დღეს სულ სხვა სურათია. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველა ღონისძიებას ახორციელებენ ჩვენი მომავალი თაობის განათლებულ აღამიანებად აღზრდისათვის.

აჭარა, ისე როგორც საქართველო, განთქმულია კურორტებით. აქ ყოველწლიურად ათასობით დამსვენებელი და ტურისტი ჩამოდის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან. სანიმუშოდ წარმოდგენილია დასასვენებელი სახლის „იალქნის“ მაკეტი.

სტენდებზე ნაჩვენებია აჭარის ბიბლიოთეკების ნაყოფიერი მუშაობა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა.

ნაყოფიერად მუშაობენ აჭარის მწერლები. მოსახლეობას კულტურულ მომსახურებას უწყვეტ სახელმწიფო დრამატული თეატრი, აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, სახელმწიფო ფილარმონიის აჭარის განყოფილება. აჭარის ხელოვანთა შემოქმედებას დათმობილი აქვს ცალკე სტენდი.

დღითიდღე ფართოვდება მეგობრობა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებთან; ცალკე კარადაში მოთავსებულია იგლავის მოსწავლეთა მიერ გამოგზავნილი საჩუქრები. ექსპოზიციაში წარმოდგენილია იშვიათი ჩინური ნივთები. ცნობილია, რომ ჩაქვში გასული საუკუნის დამლევა და XX საუკუნის დამდევს ცხოვრობდა და მუშაობდა ჩაის საუკეთესო სპეციალისტი ლაო ჯონ-ჯაუ, რომელმაც ოცდაათი წელი დაჰყო აქ. სამშობლოში გამგზავრების წინ მან აჭარის სახელმწიფო მუზეუმს დაუტოვა აქ წარმოდგენილი ჩინური ნივთები — სპილოს ძვლის უნაგირი და ბურთულა, ბამბუკის ჩინური ქოლგა, ქუდი და სხვ.

სახელმწიფო მუზეუმის ორმოცდაათი წელი დიდი მოვლენაა აჭარის კულტურულ ცხოვრებაში და ეს უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მუზეუმის თანამშრომლებს. მათ შემდგომ უნდა გაამდიდრონ მუზეუმი ახალი ექსპონატებით და უფრო ფართოდ გააჩაღონ სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა.



ზვირვის შიდაი

ტრავიკული ხელოვნებისათვის

აფექტის მდგომარეობაში თავისთავად, მიუხედავად იმისა, მიმართულია მისი საგანი ჩვენი გაუმჯობესებისა თუ გაუარესებისაკენ, არის რაღაც მიმზიდველი; ჩვენ ვისწრაფვით მოვხვდეთ ასეთ მდგომარეობაში, თუნდაც ეს ერთგვარ მსხვერპლად დაგვიჯდეს. ჩვენს ყოვლად ჩვეულებრივ სიამოვნებათ ეს მისწრაფება უღვევს საფუძვლად; ხოლო აფექტი ნდომისაკენ იქნება მიმართული თუ ზიზღისაკენ, სასიამოვნო იქნება თავისი ბუნების მიხედვით თუ გამაწვალებელი, აქ ნაკლებ მნიშვნელოვანია. პირიქით, გამოცდილება გვასწავლის, რომ უსიამოვნო აფექტი უფრო მიმზიდველია, და, ამგვარად, აფექტით გამოწვეული სიამოვნება უკუშეფარდებითაა მისივე უსიამოვნო მიმართ. ჩვენი ბუნებისათვის საყოველთაო მოვლენაა, რომ სამაწუხარო, საშინელი, თვით შემზარავიც კი დაუძლეველი ჯადოსნური ძალით გვიზიდავს, რომ მწუხარებისა და საშინელების მოვლენები თანაბარი ძალით გვაფრთხილებს და კვლავ გვიტაცებს. მკვლევარის ამბის მომთხრობს ყველანი მოლოდინით აღსაყენი ერთკამიან ვარს; ჩვენ ხარბად ვნთქავთ ავანტიურისტულ ზოპარს მოჩვენებათა შესახებ და მით უფრო ხარბად, რაც უფრო ყალბზე გვიდგება თმა.

უფრო ცხოვლად მქოვენდება ეს გრძობა ნაღველი მჭერტელობის საგნებთან. ნაპირიდან დახახული ქარიშხალი, რომელიც მთელ ფლოტს იღუპავს, ისევე ძლიერ დაატკობდა ჩვენს ფანტაზიას, როგორც ჩვენს მგრძობობაზე გულს შეაძრწუნებდა; ძნელი იქნებოდა ლუკრაციუსთან ერთად გვეფიქრა, რომ ეს ბუნებრივი სიამოვნება თითქმის აღქმულ საფრთხესთან ჩვენი საკუთარი უშიშროების შეპირისპირებისაგან წარმოდგებოდეს, რაოდენ მრავალრიცხოვანია ბრბო, რომელიც დამნაშავეს წამების ადგილზე მიაცილებს! არც სამართლიანობის დაკმაყოფილებული სიყვარულით გამოწვეულ სიამოვნებას და არც დამოშინებული შურისძიების არაკეთილშობილურ სიხარულს არ ძალუძს ამ მოკლენის ახსნა. შეიძლება მაყურებელთა გულმა კიდევაც მიუტყვა ამ უბედურს და უგულწრფელის თანატანჯვან შეიძლება უკვე ზრუნავს მის

გადასარჩენად; და მაინც მაყურებელში მეტნაკლებად იძვრის ცნობისმოყვარე სურვილი მიაპყროს თვალი და ყური მისი ტანჯვის გამოხატულებას. თუ კარგი აღზრდისა და უფაქიზესი გრძობის ადამიანი აქ გამოხატვის შეუდგენს, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ეს მიდრეკილება სრულიად არ არსებობდეს მასში, არამედ იმიტომ, რომ მას ან თანატანჯვის მტკივნეული ძალა სძლევს, ან მართებულობის კანონები ზღუდავენ. ბუნების ტლანქი შვილი, რომელსაც ნატიფი ადამიანობის არავითარი გრძობა არ ლაგმავს, სრულიად მოურიდებლად ეძლევა ამ ძლიერ მიდრეკილებას. მამასადამე, ამ მიდრეკილებას საფუძველი უნდა ჰქონდეს ადამიანური სულის თავდაპირველ უნარში და ზოგადი ფსიქოლოგიური კანონით უნდა აიხსნეს.

მაგრამ თუ ჩვენ ამ ტლანქ ბუნებრივ გრძობას ადამიანური ბუნების ღირსებასთან შეუთავსებლად მივიჩნევთ და ამას გამო ვითაყილებთ მასზე დავაფუძნით კანონი მთელი მოდგმისათვის, მაინც საკმაოდ მოიპოვება მონაცემები, რომლებიც სრულიად უეჭველს ხდიან მტკივნეული განცდებით გამოწვეული სიამოვნების ნამდვილობასა და ზოგადობას. საპირისპირო მიდრეკილებათა ან მოვალეობათა მძაფრი ბრძოლა, რომელიც იმისათვის, ვინც მას განიცდის, უბედურების წყაროა, ჩვენ, მხოლოდ, სიამოვნებას გვგვრის; ჩვენ სულ უფრო აღმაკალი სიამოვნებით ვადევნებთ თვალყურს ენების განვითარებას იმ უფსკურლამდის, რომელშიც იგი თავის უბედურ მსხვერპლს ითრევს. იგივე ნაზი გრძობა, რომელიც ფიზიკური ტანჯვის სანახაობით ან მორალური ტანჯვის ფიზიკური გამოხატულებით გვზარავს, წმინდა მორალური ტანჯვისადმი თანაგრძობისას მხოლოდ მით უფრო ტბილ სიამოვნებას განგვაკვივინებს. საყოველთაო ის ინტერესი, რომელსაც ამგვარი საგნების აღწერისადმი ვიჩენთ.

ცხადია, ეს შეეხება გაზიარებულ ანუ თანაგრძობა აფექტს, რადგან ის მჭიდრო მიმართება, რომელშიც იმყოფება თავდაპირველი აფექტი ჩვენს ბედნიერების ინსტინქტთან. ჩვეულებრივ იმდენად ძლიერ გვიპყრობს და გვეუფლება-

რომ ჩვენ აღარ გვრჩება ადგილი იმ სიამოვნებისათვის, რასაც ყოველგვარი ეგოისტური მისწრაფებისაგან განთავისუფლებული აფექტი თავისთავად გვანიჭებს. ასე მძღვას ყველაფერს მწუხარების გრძნობა იმის გულში, ვისაც ნამდვილად ეუფლება მტანჯველი ვნება, როგორც არ უნდა აღავრთოვანებდეს მსმენელსა თუ მაყურებელს მისი სულიერი მდგომარეობის აღწერა. მიუხედავად ამისა, თვით თავდაპირველი მტანჯველი აფექტი სულ მთლად როდია მოკლებულთ სიამოვნებას იმისათვის, ვინც მას განიცდის; ოღონდ ამ სიამოვნების ხარისხები განსხვავებულია ადამიანის სულიერ თვისებათა მიხედვით. მიუხედავად, ეჭვი, მიში რომ სიტუპობებს არ განვადიდებინებდეს, მაშინ ახარტული თამაში მწუხარებელი ნაკლებ მიმზიდველი იქნებოდა, მაშინ შლეგური სიამაყით არ გადაეშვებოდნენ საფრთხეში, მაშინ სხვისი ტანჯვისადმი თვით თანაგრძნობაც კი ვინც გამოიყვევდა უტხოველეს სიამოვნებას სწორედ უძლიერესი იღუწიის მომენტში და შენაცვლების უმდილეს საფეხურზე. მაგრამ ამით იმის თქმა კი არ გვიწად, რომ უსიამოვნო აფექტი თითქოს თავისთავად იწვევდეს სიამოვნებას; ამის მტკიცებას, ალბათ, არავინ მოინდომებდა; საკმარისია, თუ სულის ასეთი მდგომარეობა იძლევა ისეთ პირობებს, მხოლოდ რომელსაც დროსაც შესაძლებელია გარკვეული სახის სიამოვნება განვიცადოთ. ამგვარად, ის ადამიანი, რომლის სული უპირატესად ასეთი ემაყოფილების შესაგრძნობად არის განწყობილი და უპირატესად მას ესწრაფვის, უფრო ადვილად შეუროვდება ამ უსიამოვნო პირობებს და ვნების უმძაფრეს ქარიშხალშიც სულ მთლად არ დაკარგავს თავის თავისუფლებას.

ჩვენი გრძნობისეული ან ზნეობრივი ძალისადმი საგნის მიმართებიდან გამომდინარეობს უმყოფილება, რასაც უსიამო აფექტების დროს განვიცდით, ისევე როგორც სასიამოვნო აფექტების დროს სიამოვნებას სწორედ ამავე წყაროდან მომდინარეობს. იმ მიმართების მიხედვით, რომელშიც იმყოფება კაცის ზნეობრივი ბუნება მის გრძნობად ბუნებასთან, განისაზღვრება თავისუფლების ის ხარისხიც, რის შენარჩუნებაც აფექტის დროს შეიძლება; ხოლო რაკი მორალში, როგორც ცნობილია, ჩვენთვის არავითარი არჩევანი არ არსებობს, გრძნობადი მისწრაფება კი, პირიქით, გონების კანონმდებლობას ემორჩილება და ამგვარად ჩვენს უფლებებაშია, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს, ცხადია, რომ ყველა იმ აფექტის დროს, რომლისავე ეგოისტურ მისწრაფებასთან აქვს საქმე, შესაძლებელია სრული თავისუფლება შევინარჩუნოთ და დავიმორჩილოთ ის ხარისხი, რომელსაც აფექტმა უნდა მიადლოს. ეს ხარისხი სუსტდება იმის შესაბამისად, რამდენადც მორალური გრძნობა ადამიანში უზენაეს ხელი-სუფლებას ინარჩუნებს ბედნიერების ინსტიქტის მიმართ და ანგარებითი ერთგულება თავისი ინდივიდუალური მე-ს მიმართ გონების ზოგადი კანონებისადმი მორჩილებით კლებულობს. ამგვარად, ასეთი ადამიანი აფექტის მდგომარეობაში ნაკლებად იგრძნობს საგნის მიმართების მისი ბედნიერების ინსტიქტისადმი

და, მამასადამე, ნაკლებად განიცდის უსიამოვნებას, რომელიც მხოლოდ ამ მიმართებისაგან წარმოიშობება; პირიქით, იგი მით უფრო შეამჩნევს იმ მიმართებას, რომელშიც იმყოფება სწორედ ეს საგანი მის ზნეობასთან. და სწორედ ამიტომ მით უფრო მგრძნობიარე იქნება იმ სიამოვნებისადმი, რომელსაც ზნეობრივისადმი მიმართება არცთუ ისე იშვიათად მგრძნობილობის უმძაფრეს ტანჯვაში ურევს. სულის ამგვარ განწყობას სრული უნარი შესწევს თანატანჯვის სიამოვნება იგემოს და თვით თავდაპირველი აფექტიც თანატანჯვის საზღვრებში შეიწეროს. აქედან დიდი ღირებულება ცხოვრების ფილოსოფიას, რომელიც ზოგად კანონებზე გამუდმებული მითითებით აუძღურებს ჩვენი ინდივიდუალობის გრძნობას, გვასწავლის დიდი მთლიანობის კავშირში დაკარგვით ჩვენი პატარა თვითობა და ამით შესაძლებლობას გვაძლევს ჩვენს თავს ისე მოვექცეთ, როგორც უცხოვს. ეს ამაღლებული სულიერი განწყობილება ხედაობს მტკიცე და ფილოსოფიურ სულთა, რომლებიც თავის თავზე შეუწყვეტილი მუშაობის წყალობით მიეჩვივნენ ეგოისტური მისწრაფების დაკლებას. თვით უმძაფრესი დანაკლისიც ვერ გადაცდნენ ამ ნაღვლიანობის საზღვრებს, ხოლო ასეთ ნაღვლიანობას ყოველთვის შეიძლება თან ახლდეს გარკვეული სიამოვნება. მხოლოდ ისინი, რომელთაც უნარი შესწევთ თავის თავს გასცდნენ, ტანჯიან იმ უპირატესობით, რომ თანაუგრძნონ თავის თავს და საკუთარი ტანჯვა თანაგრძნობის ნახ ანარეკლში განიცადონ.

უკვე თქმულიც საკმაოდ შეიცავს ნიშნებს, რომლებიც ჩვენს ყურადღებას მიაპყრობენ იმ სიამოვნების წყაროებს, რომელსაც გვიანიჭებს აფექტი თავისთავად და უპირატესად სამწუხარო. როგორც ვნახეთ, ეს სიამოვნება უფრო დიდია მორალურ სულეში და მით უფრო თავისუფლად მოქმედებს, რაც უფრო დამოუკიდებელია სული ეგოისტური მისწრაფებისაგან. ეს სიამოვნება გაცილებით უფრო ცხოველია და ძლიერი მწუხარების აფექტის დროს, სადაც თავშეყვარებაა შელახული, ვიდრე სიხარულის აფექტის დროს, რომელიც თავშეყვარების დამყოფილებას გულისხმობს. ამგვარად, ეს სიამოვნება მატულობს, როცა ეგოისტურ მისწრაფებას ბლაღვენ, და კლებულობს, როცა ამ მისწრაფებას ელოოსივებიან. მაგრამ ჩვენ სიამოვნების მხოლოდ ორი წყარო გიცით: ბედნიერებისადმი მისწრაფების დამყოფილება და მორალური კანონების აღსრულება; ამგვარად, სიამოვნება, რომლის მიმართაც შეიძლება დამტკიცდეს, რომ ის პირველი წყაროდან არ მომდინარეობს, თავის სათავეს უსათუოდ მეორედან უნდა იღებდეს. ამგვარად, ჩვენი მორალური ბუნებიდან მომდინარეობს სიამოვნება, რომლის წყალობითაც ჩვენ მტანჯველი აფექტების გამოსახვა აოჯავრთოვანებს და თავდაპირველად ნაგრძნობი-კი გარკვეულ შემთხვევაში სასიამოვნოდ აგვადილებს.

მრავლანობიან უცდიან თანატანჯვის სიამოვნების ახსნა; მაგრამ ამ გადაწყვეტათაგან მეტად მცირე შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩათვალოს, რადგან მოკლების საფუძველს უმალ თანხლებს გარემოებაში ეძიებდნენ, ვიდრე თვით აფექტის ბუნებაში. ბევრისათვის

თანატანჯვის სიამოვნება სხვა არა არის რა, თუ არა სულის სიამოვნება თავისავე მგრძობიარეობით; სხვებისათვის — ძალების მძაფრი მოქმედებით, სურვილის უნარის ცხოველი მოქმედებით გამოწვეული სიამოვნება, მოკლე, მოქმედებისადმი მისწრაფების დაკმაყოფილებით გამოწვეული სიამოვნება; მესამეთა აზრით, იგი გამოძინებარობს ხასიათის იმ ზნეობრივად მშვენიერ თვისებათა გამოძლევიდან, რომლებსაც ცხადყოფს უბედურებასა და ვნებასთან ბრძოლა. მაგრამ მუდამ აუხსენელი რჩება, რატომ გვიზიარებს ყველაზე ძლიერ თანატანჯვის საგნებში სწორედ წამება, საყოფიერ ტანჯვა, მამის როდესაც, მათი განმარტების თანახმად, მღელვარებით გამოწვეული სიამოვნების დასახელებული მიზეზებისათვის ტანჯვის უფრო სუსტი ხარისხი ამკარად უფრო ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო. ჩვენს ფანტაზიაში აღძრული წარმოდგენების ცხოველყოფილობასა და სიძლიერეს, ტანჯვის განმცდელ პიროვნებათა ზნეობრივ სიდიადეს, თანატანჯვის განმცდელი სუბიექტის რეფლექსიას, მართალია, ძალუძს გაზარდოს მღელვარებით გამოწვეული სიამოვნება, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ იმ მიზეზებს, რომლებიც ამ სიამოვნებას წარმოშობენ. უსუსური სული ტანჯვა, ბოროტმცოდნის მწუხარება, ცხადია, გერ ვგანივებს ამ სიტუაციებს; მაგრამ სწორედ იმიტომ ვერა, რომ ისინი ვერ აღძრავენ ჩვენს თანატანჯვას იმ ძალით, როგორც ტანჯული გმირი ან მებრძოლი სათნო ადამიანი, ამრიგად, მუდამ ხელახლა ისმის პირველი კითხვა, რატომ სწორედ ტანჯვის ხარისხი განსაზღვრავს მღელვარებით გამოწვეული სიამოვნების სიამოვნების ხარისხს, და ამ კითხვას შეუძლებელია სხვათაირი პასუხი გაეცეს, თუ არა ის, რომ სწორედ ჩვენს მგრძობიარეობაზე ზემოქმედება არის სულის იმ ძალის აღძვრის პირობა, რომლის მოქმედებაც წარმოშობს ხოლმე სიამოვნებრივი ტანჯვით გამოწვეულ სიამოვნებას.

ეს ძალა სხვა არააფერია, თუ არა გონება, და რამდენადაც მისი თავისუფალი გამოვლინება, როგორც აბსოლუტური თვითმოქმედება, მოქმედების სახელს იმსახურებს უბირატესად, რამდენადაც სული მხოლოდ თავის ზნეობრივ ქცევაში გრძნობს თავს სრულიად დამოუკიდებლად და თავისუფლად, ცხადია, ამდენად მოქმედებისადმი დაკმაყოფილებული მისწრაფება არის ის, რისგანაც სათავეს იღებს მწუხარების მღელვარებით გამოწვეული ჩვენის სიამოვნება. მაგრამ ეს არის არა წარმოდგენათა მრავლობა, არა მათი ცხოველყოფილობა, არა სურვილის უნარის ქმედითობა საერთოდ, არამედ გარკვეული სახეობა წარმოდგენებისა და გარკვეული, გონების მიერ წარმოშობილი ქმედითობა სურვილის უნარისა, რაც ამ სიამოვნებას საფუძვლად უდევს.

ამგვარად, გაზიარებულ აფექტში სიერთოდ არის რაღაც მიმზიდველი, რადგან იგი მოქმედებისადმი მისწრაფებას აკმაყოფილებს; ამას უკეთ აკეთებს მწუხარების აფექტი, რადგან იგი ამ მისწრაფებას უფრო მეტად აკმაყოფილებს. მხოლოდ თავისი სრულყოფილი თავისუფლების მდგომარეობაში, მხოლოდ თავისი

გონიერი ბუნების შეცნობაში ავლენს სული თავის უმაღლეს მოქმედებას, რადგან იგი მხოლოდ აქ იყვხებს იმ ძალას, რომელიც ყოველგვარ წინააღმდეგობას აღემატება.

ამგვარად, სულის ის მდგომარეობა, რომელიც უბირატესად ამ ძალას ავლენს, ამ უმაღლეს მოქმედებას იწვევს, ყველაზე უფრო მიზანშეწონილია გონიერი არსებისათვის და ყველაზე უფრო აკმაყოფილებს მოქმედებისადმი მისწრაფებას; ამგვარად, ეს მდგომარეობა დაკავშირებული უნდა იყოს უმაღლეს სიამოვნებასთან. ასეთ მდგომარეობაში გვგვადებს ჩვენ მწუხარების აფექტი, და მით გამოწვეული სიამოვნება სწორედ იმდენად უნდა აღემატებოდეს სიხარულის აფექტებით გამოწვეულ სიამოვნებას, რამდენადაც ჩვენი ზნეობრივი უნარი ჩვენს გრძნობას უნარზე მაღლა დგას.

იმას, რაც მიზანთა მთლიან სისტემაში მხოლოდ დაქვემდებარებული წევრია, ხელოვნება აცალკევებს ამ კავშირისათვის და თავის მთავარ მიზნად ისახავს. ბუნებისათვის სიამოვნება შეიძლება იყოს მხოლოდ არაპირდაპირი მიზანი; ხელოვნებისათვის კი იგი უმაღლესი მიზანია. ამგვარად, უმთავრესად ხელოვნების მიზანს შეადგენს ის, რომ ის უმაღლესი სიამოვნება, რომელსაც მწუხარების მღელვარება შეიცავს, არ უგულებელყოს. ხოლო იმ ხელოვნებას, რომელიც თანატანჯვის სიამოვნებას განსაკუთრებით თავის მიზნად ისახავს, ეწოდება ტრაგიკული ხელოვნება უზოგადესი გაგებით.

ხელოვნება თავის მიზანს ახორციელებს ბუნების მიზანების საშუალებით, იმით, რომ ასრულებს იმ პირობებს, რომელთა დროსაც შეისაძლებელი ხდება სიამოვნება სინამდვილეში, და ბუნების განცალკევებულ ღონისძიებებს ამ მიზნისათვის აერთიანებს გონიერული გეგმის მიხედვით, რათა ის, რასაც ბუნება მხოლოდ თავის მერობხარისხიდან მიზნად თვლიდა, განახორციელოს როგორც თავისი საბოლოო მიზანი. ამგვარად, ტრაგიკული ხელოვნება ბუნებას მიზანავს იმ ქცევაში, რომელსაც ძალუძთ უმთავრესად თანატანჯვის აფექტის გამოწვევა.

ამგვარად, ტრაგიკულ ხელოვნებას რომ ზოგადად განვუსაზღვროთ მისი მეთოდი, უწინარეს ყოვლისა საჭიროა იმ პირობების ცოდნა, რომელთა დროსაც, ჩვეულებრივი გამოცდილების მიხედვით, ყველაზე უფრო უქმელოდ და ყველაზე ძლიერ წარმოიშვება ხოლმე მღელვარების სიამოვნება. მაგრამ ამასთან იმ გარემობასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომელიც მას ზღუდავს ან სულაც სპობს.

ორ დაპირისპირებულ მიზეზზე მიგითითებს გამოცდილება, რომლებიც მღელვარებით გამოწვეულ სიამოვნებას აბრკოლებენ: როდესაც თანატანჯვა მეტად სუსტია, ან როდესაც იგი ისე მძლავრად აღიძვრება, რომ გაზიარებული აფექტი თავდაპირველი აფექტის ცხოველყოფილობას იძენს. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ან იმ შთაბეჭდილების სისუსტე, რომელსაც ჩვენ თავდაპირველი ტანჯვისაგან ვიღებთ, და ამ შემთხვევაში გამბობთ, რომ გულცივი დაჯერებით და არც მწუხარებას განვიციდით და არც სიამოვნებას: ან ამის მიზეზი ძლიერ შერგრძნებშია, რომლებიც განცილილ შთაბეჭდილებებს ეჯახებიან და სულში თავიანთი უბირატესობით

თანატანჯვის სამოვებებს ან ასუსტებენ ან სულაც ახშობენ.

იმის მიხედვით, რაც წინა სტატიაში დამტკიცდა ტრაგიკული სახეებით გააოჩხვეული სიამოვნების მიზეზის შესახებ, ყოველ ტრაგიკულ მღელვარებას თან ახლავს რაღაც მიზანშეუწონლობის წარმოდგენა, რომელიც, უკეთეს მღელვარება სისამოვნო უნდა იქნეს, შეუძლებელია თითებს უმაღლესი მიზანშეუწონილობის წარმოდგენასზე. ამ ორი საპირისპირო წარმოდგენის ურთიერთმიმართებაზე დამოკიდებული, მღელვარებას სიამოვნება მოჰყვება თუ უსიამოვნება. მიზანშეუწონლობის წარმოდგენა უფრო ცნობილი, ვიდრე მისი საპირისპირო, თუ მიუღწეველი მიზანი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მიღწეული, სულერთია, ყოველთვის უსიამოვნება დასლევს. ეს ობიექტურად შეიძლება შეინებოდეს ადამიანთა ძილდმას საერთოდ, ან მხოლოდ განსაკუთრებულ ინდივიდუუმებს სუბიექტურად.

როდესაც უბედურების მიზეზით გამოწვეული უსიამოვნება მეტად ძლიერია, მაშინ იგი ასუსტებს ჩვენს თანატანჯვას იმის მიმართ, ვინც ამ უბედურებას განიცდის. ორი სრულად განსხვავებული გრძობა არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ერთნაირი ძალით ბატონობდეს სულში. ტანჯვის მიზეზისადმი გულსიყრობა გაბატონებულ აფექტად იქცევა, და ყოველმა სხვა გრძობამ უნდა დაიხიოს მის წინაშე. ასე სუსტდება ჩვენი თანაგრძობა მიუხედავად, როდესაც უბედური, ვისთვისაც უნდა თანაგრძობა, თავისი საკუთარი მიუტყვებელი მიზეზის გამო იღუბება, ან თავისი განსჯისა და საკულმოკლეობის გამო თავს ვერ აღწევს დალოებას, თუმცა შეიძლოა კი. ჩვენს თანაგრძობას უბედური და მისი უმადური ქალიშვილებისაგან გარისხული ღირსადმი ცოტას როდი ჯერებს ის გარემოება, რომ ამ ბაღლად ქცეულმა მოზუცმა ასე ქარაფშტულად გასცა თავისი გვირგვინი და თავისი სიყვარული ასე განუსჯელად გაუთაწილა ქალიშვილებს. კრონეგკის ტრაგედიაში „ოლინტი და სიფრონიას“ ის უსამინელესი ტანჯვა, რასაც ჩვენს თვალწინ განიცდის თავისი რწმენის ეს ორი წამებული, მხოლოდ სუსტად აღმართა ჩვენს თანატანჯვას, ისევე როგორც მათი ამაღლებული გმირობა ჩვენს გაოცებას, რადგან მხოლოდ უგუჟურმა შეიძლება ჩაიდინოს ისეთი საქციელი, რომლის წყალობითაც ოლინტი თავისი თავი და მთელი თავისი გრიც დაღუბების პირამდის მიჰყავს.

ჩვენი თანატანჯვა არა ნაკლებ სუსტდება, როდესაც ის, ვინც უბედურების მიზეზია, რომლის უდანაშაულო მსხვირბლთაც უნდა თანაგრძობა, ჩვენს სულს ზიზღით აესიბს. ტრაგიკული პოეტი ყოველთვის ზიანს მიიყვანებს თავისი ნაწარმოების უმაღლეს სრულყოფილებას. თუ არ ძალუძს იოლად წყვიდეს ბოროტ-მოქმედის გარეშე და თუ იძულებულია ტანჯვის სიღრმე ბოროტების სიღრმისაგან გამოიყვანოს. ამ მტკიცებას ადასტურებენ შექსპირის იაგო და ლედი მაკბეტი, კლოპატრა „როქსელანდში“. დრანტ მორი „ყაჩაღებში“. პოეტი, რომელსაც კარგად ესმის თავისი ჩემმარტი სარგებლობა, არასოდეს არ გამოიყვანს უბედურებას ბოროტი ნებისაგან, რომელსაც უბედურება განსუზრავს, მით უფრო ნაკლებ განსჯის ნაკლებობისაგან, არამედ გარემოებათა

იძულებისაგან. უკეთეს უბედურება მორალური წყაროდან არ მომდინარეობს, ვრამედ მხოლოდ გარეგანი საგნებისაგან, რომელთაც არც ნება გააჩნიათ და არც ნებას ემორჩილებიან. მაშინ თანატანჯვა უფრო სუფთაა და, ყოველ შემთხვევაში, მას მორალური მიზანშეუწონლობის წარმოდგენა ვერ შეასუსტებს. მაგრამ მაშინ თანატანჯობა მაყურებელს ვერ გათავისუფლებს ბუნებაში მიზანშეუწონლობის უსიამოვნო გრძობისაგან, რასაც ერთადერთი ძალუძს ამ შემთხვევაში იხსნას მორალური მიზანშეუწონლობა. გაცილებით უფრო მაღალ საფეხურს აღწევს თანატანჯვა, როდესაც მის ობიექტებად ხდება რაგორც ის, ვინც ტანჯავს, ისე ამ ტანჯვის მიზეზი. ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, ვიდრე, როდესაც უქანასკნელი არც ჩვენს სიძულვილს იწვევს და არც ზიზღს, არამედ თავისი მიღრეკილების საწინააღმდეგოდ მიდის იქამდის, რომ უბედურების მიზეზი ხდება. გერმანული „იფიგენიას“ განსაკუთრებული სილამაზე სწორედ ის არის, რომ თავარიდის მეფე, ერთადერთი კაცი, რომელიც გზაზე ეღობება ორენტესა და მისი დის სურვილებს, არასოდეს არ კარგავს ჩვენს პატივისცემას და ბოლოს და ბოლოს თავსაც გვაყვარებს.

ამგვარ აზღუდვებელს კიდევ უფრო აღემატება ის, რომლის დროსაც უბედურების მიზეზი არამეტუ არ ეწინააღმდეგება ზნეობას, არამედ მხოლოდ ზნეობის საშუალებით არის შესაძლებელი, და როცა ურთიერთტანჯვა მხოლოდ იმ წარმოდგენისაგან წარმოიშობება, რომ ტანჯვას თვითონ იწვევს. ასეთია ჰიმენესა და როდიოგოს მღვთმარება პიერ კონრელის „სიდში“, რომელიც, რაც შეეხება კვანძის შეკვრას, უცილოდ ტრაგიკული სცენის ოსტატური ნაწარმოებია. ღირსების გრძობა და შვილური მოვალეობა აღებინებს როდიოგოს ხელში იარაღს სატრფოს მამის წინააღმდეგ, ხოლო მამაცობა ძლევს მოაპოვებინებს მასზე; ღირსების გრძობა და შვილური მოვალეობა გადააქცევს ჰიმენეს, მოკლული ქალიშვილს, როდიოგოს საშინელ ბრალმდებლად და მდიგენლად. ორივენი თავიანთი გრძობის წინააღმდეგ მოქმედებენ, გრძობისა, რომელიც ისეთი შიშით თრთის დევნილი არსების უბედურების გამო, როგორი გულმოდგინებთაც მორალური მოვალეობა აიძულებს მოუხმონ და უბედურებისა. ამგვარად, ორივენი ჩვენს უდიდეს პატივისცემას იმსახურებენ, რადგან ისინი თავიანთი გულისწაღების ფასად მორალურ მოვალეობას ასრულებენ; ორივენი უბედურებად ადაგზნებენ ჩვენს თანატანჯვას, რადგან ნებაყოფლობით და ისეთი მიზეზის გამო ტანჯვებიან, რაც მათ უაღრესი პატივისცემის ღირსად ზღის. ამგვარად, აქ ჩვენს თანატანჯვას საწინააღმდეგოდ გრძობა იმდენად ნაკლებ აბრკოლებს, რომ ის, პირიქით, ორკეცი ძალით ეგზნება; მხოლოდ იმ გარემოებას, რომ შეუთავსებელია ადამიანი უბედურებად ღირსი იყოს ბედნიერებისა და უბედურებაში კი ჩავარდეს, შეუძლოა მწუხარების დროებით დაეჩრდილა ჩვენი სიმშაბიურის სიამოვნება. რამდენად ხელსაყრელია უკვე ისიც, რომ ეს ჩვენი უმყოფილება მიზანშეუწონლობით არავითარ მორალურ არსებას არცნება, არამედ ყოველად უწყინარი მოვლენას, აუცილებლობას, შეეხება, მაინც ბრმა მორჩილება ბედის წინა-

შე მუდამ დამამცირებელია და შეურაცხყოფელი თავისუფალი თვითგანმსაზღვრელი არსებისათვის. ეს არის ბერძნული სცენის უჩინებულესი პიესების ნაკლი, რადგან ყველა ამ პიესაში ბოლოს და ბოლოს აუცილებლობას მიმართავენ და ჩვენი გონებისათვის, რომელიც გონივრულობას მოითხოვს, კვანძი მუდამ გაუხსნელი რჩება. მაგრამ უმაღლეს საფეხურზე, რომელსაც მორალურად აღზრდილი ადამიანი აღწევს და სადამღისაც შეუძლია ამაღლება ამაღლებებელ ხელოვნებას, ეს ნაკლიც ქრება და მასთან ერთად იფანტება ამ ადამიანის უსიამოვნების ყოველგვარი ჩრდილი. ეს ხდება მაშინ, როდესაც თვით ეს ბედით უკმაყოფილებაც მოხსნება და იგი საგანთა ტრადიციული რიგი კავშირის, ამაღლებული წესრიგის, კეთილი ნების წინათგარძნობაში ან უკეთ გარკვეულ შეცნობაში იკარგება. მაშინ მორალური შესაბამისობით გამოწვეულ ჩვენს სიამოვნებას უერთდება გამაცხოველებელი წარმოდგენა უაღრესად სრულყოფილი მიზანშეწონილობისა ბუნების დიად მთლიანობაში და ამ მიზანშეწონილობის ის მიჩვევებითი დაარღვევა, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში მწუხარებას გვეკვრის, ჩვენი გონებისათვის მხოლოდ იმის სტიმულია, რომ მან ზოგად კანონებში ამ განსაკუთრებული შემთხვევის გამართლება გამოძიონოს და ცალკეული დისონანსი დიად პარმონიაში მოხსნას. ტრაგიკული მღელვარების ამ წმინდა სიმაღლემდის ბერძნული ხელოვნება არ ამაღლებულა, რადგან არც ბერძენთა ხალხური რელიგია და არც თვით ფილოსოფია არ უშუქებდათ მათ ასე შორს. ახალ ხელოვნებას, რომელიც სარგებლობს იმ უბრატესობით, რომ უფრო წმინდა ფილოსოფიისაგან იღებდეს სუფთა მასალას, საშუალება აქვს ეს უმაღლესი მოთხოვნაც შეასრულოს და, ამგვარად, ხელოვნების მთელი მორალური ღირსება განავითაროს. თუ ჩვენ, თანამედროვენი, მართლაც იძულებული ვართ უარი ვთქვათ ბერძნული ხელოვნების აღდგენაზე, რადგან საუკუნის ფილოსოფიური სული და საზოგადოდ თანამედროვე კულტურა პოეზიას არ სწყალობს, ეს გარემოება ნაკლებ დამღუბველად მოქმედებს ტრაგიკულ ხელოვნებაზე, რომელიც უბრატესად ზნეობას იძვარება. ჩვენი კულტურა შიშობდება მის უნაზღაურებლეს იმ ზარალს, რასაც იგი საერთოდ ხელოვნებას აყენებს.

როგორც ტრაგიკული მღელვარება საწინაღმდეგო წარმოდგენათა და გრძნობათა ჩარევით სუსტდება და ამის გამო მის მიერ გამოწვეული სიამოვნებაც კლებულობს, ასევე, ამის საწინააღმდეგოდ, შეიძლება ტრაგიკულმა მღელვარებამ თავდაპირველ აფექტთან მეტრისმეტი მიახლოებით ისეთ საფეხურს მიაღწიოს, რომელიც გადაჭარბებულ მწუხარებას იწვევს. აღნიშნული იყო, რომ უსიამოვნება აფექტის დროს წარმოიშვება მისი საგნის მიმართებისაგან ჩვენი მგრძნობელობისადმი, ისევე როგორც აფექტის მიერ გამოწვეული სიამოვნება თვით აფექტის მიმართებისაგან ჩვენი ზნეობისადმი. ამგვარად, მგრძნობელობასა და ზნეობას შორის უნდა ვივარაუდოთ გარკვეული მიმართება, რომელიც

განსაზღვრავს უსიამოვნების მიმართებას სიამოვნებისადმი მწუხარების მღელვარების დროს, და რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს ან შებრუნდეს ისე, რომ ამასთანავე მღელვარებით გამოწვეული სიამოვნებისა და უსიამოვნების გრძნობა არ შებრუნდეს ან საპირისპიროდ არ შეიცვალოს. რაც უფრო ცხოვრად იღვიძებს ხოლმე ჩვენს სულში მგრძნობელობა, მით უფრო სუსტად მოქმედებს ზნეობა და, პირიქით, რაც უფრო კარგავს თავის ძლიერებას პირველი, მით უფრო მტკიცდება მეორე. ამგვარად, მან, რაც ჩვენს სულში მგრძნობელობის სიჭარბეს იწვევს, აუცილებლად, რაკი ეს ზნეობას ზღუდავს, უნდა შეამციროს მღელვარებით გამოწვეული ჩვენი სიამოვნება, რომელიც მხოლოდ ამ ზნეობისაგან მომდინარეობს; ყოველივე ის, რაც ჩვენს სულში ზნეობას ფრთას ასხამს, თავდაპირველ აფექტშიც კი ნეტარს ართმევს მწუხარებას. ხოლო ჩვენი მგრძნობელობა ნამდვილად აღწევს ამ სიჭარბეს, როდესაც ტანჯვის წარმოდგენა იმდენად ცხოველია, რომ არავითარ შესაძლებლობას აღარ ვეცდით ვახიარებულნი აფექტი თავდაპირველისაგან, ჩვენი საკუთარი მე ტანჯვის განმცდილი სუბიექტისაგან ანუ ჭეშმარიტება პოეზიისაგან განვასხვავოთ. ასევე აღწევს მგრძნობელობა სიჭარბეს, როდესაც მას მისი საგნების შექუჩებითა და თვალისმომკრელი სინათლით, რომელსაც ჰყენს მათ აღძრული წარმოსახვა, საზრდო ეძლევა. არაფერია იმაზე უფრო გონივრული, რომ მგრძნობელობა კვლავ თავის საზღვრებში დავაბრუნოთ, როგორც ზეგრძნობადი, ზნეობრივი იღვებოს დამხმარე, რომელზეც დათარგუნვილი გონება აღნიშნავს, როგორც სულიერ საყრდენებზე, რათა გრძნობათა მრუმე ატმოსფეროს ზემოთ ნათელ ჰორიზონტებს მისწვდეს. აქედან მოდის ის დიდი მომხიბვლელობა, რაც ყველა განათლებული ხალხისათვის ჰქონდა დრამატულ დილოგში სათანადო ადგილას ჩართულ ზოგად ჭეშმარიტებებსა და ზნეობრივ სენტენციებს, და მათი ხშირად გადაჭარბებულად ხმარება, რასაც უკვე ბერძენები მიმართავდნენ. ზნეობრივი სულსათვის არაფერია ისე სასურველი, როგორც ტანჯვის ხანგრძლივი მდგომარეობის შემდეგ გრძნობითი მორჩილებისაგან თვითმოქმედებისათვის გაღვიძება და კვლავ თავისუფლების მოპოვება.

ასე მრავალია მიზეზი, რომლებიც ჩვენს თანატანჯვას ზღუდავენ და ტრაგიკული მღელვარებით გამოწვეულ სიამოვნებას გზაზე ეღობებიან. ახლა უნდა ჩამოვთვალოთ ის პირობები, რომელთა დროსაც თანატანჯვა მძაფრდება და მღელვარების სიამოვნება უთუოდ და უძლიერესად აღიძვრება.

ყოველი თანატანჯვა გულისხმობს ტანჯვის

წარმოდგენებს და უკანასკნელია სიცოცხლის, ქვეყნობის, სისრულისა და ხანგრძლიობის მიხედვით წარმართება პირველის დაძაბულობის ხარისხი.

1) რაც უფრო ცხოველია წარმოდგენები, მით უფრო ესწრაფვის სული მოქმედებას, მით უფრო ღიზიანდება მისი მგრძობელობა და, მაშასადამე, მით უფრო ძლიერი იქნება სულის ზნეობრივი უნარის წინააღმდეგობა. მაგრამ ტანჯვის წარმოდგენების მიღება შეიძლება ორი განსხვავებული გზით, რომლებიც შთაბეჭდილების სიცოცხლისათვის ერთნაირად ხელსაყრელი როლია. შეუღარებლად უფრო ძლიერ მოქმედებს ჩვენზე ის ტანჯვა, რომლის მოწამენიც ვართ, ვიდრე ის, რომლის შესახებ პირველად მოთხრობით ან აღწერით გავიგებთ. პირველი იწვევს ჩვენი წარმოსახვის თავისუფალ თამაშს და, როდესაც უშუალოდ ეხება ჩვენს მგრძობელობას, უმოკლესი გზით აღწევს ჩვენს გულს. მოთხრობისას, პირიქით, განსაკუთრებული ზოგადამდის უნდა ავიყვანოთ და შემდეგ ამ გზით შევიცნოთ. ამგვარად, უკვე განსჯის ამ აუცილებელი ოპერაციის გამო შთაბეჭდილების ძალა ზევრად კლებულობს. ხოლო სუსტი შთაბეჭდილება განუყოფლად ვერ დაუფლება სულს და საშუალებას მისცემს უცხო წარმოდგენებს ხელი შეუშალოს მის მოქმედებას და ყურადღება გაფანტონ. ძალიან ხშირად თხრობას მოქმედი პირების სულიერი მდგომარეობიდან მთხრობელის სულიერ მდგომარეობაში გადაყვავართ, რაც წყვეტს თანატანებისათვის ესოდენ აუცილებელ ილუზიას. რაჟი მთხრობელი ხშირად თავის საკუთარ პიროვნებაში იჭრება, მოქმედებაში და ამიტომ ჩვენს თანამონაწილე აფექტშიც უსათუოდ მყუდროება ჩამოვარდება; ეს ხდება მაშინაც, როდესაც დრამატული პოეტი დიალოგის დროს ისე ღრმად შეტოვავს, რომ მოლაპარაკე პირს ისეთ მოსაზრებას წარმოაქმევიწინებს, რასაც მხოლოდ გულგრილი მყუდრებელი შეიძლება ამბობდეს. საეჭვოა, რომ ამ ნაკლისაგან თავისუფალი იყოს ჩვენი თუნდაც ერთი ახალი ტრაგედია, მაგრამ ეს ნაკლი მხოლოდ ფრანგულმა ტრაგედიებმა აქციეს წესად.

ამგვარად, საჭიროა უშუალო, ცოცხალი თანდასწრება და თვალსაჩინოება, რომ ჩვენს წარმოდგენებს ტანჯვაზე ის ძალა მიეცეს, რასაც მდღევარების მაღალი ხარისხი მოითხოვს.

2) მაგრამ შეიძლება მივიღოთ ტანჯვის უცხოველესი შთაბეჭდილებები და რაიმე შესამჩნევ თანატანჯვა კი არ განვიცადოთ, თუ ამ შთაბეჭდილებებს ქვეყნობისა აკლია. ჩვენ უნდა ჩამოვყავლივით ცნება იმ ტანჯვის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა უნდა მივიღოთ; ამისათვის საჭიროა ამ ცნების შეთანხმება რაღაც ისეთთან, რაც უკვე არსებობს ჩვენში. თანატანჯ-

ვის შესაძლებლობა სახელდობრ ემყარება ჩვენსა და ტანჯვის განმცდელ სუბიექტს შორის მსგავსების აღქმას ან ვარაუდს. ყველგან, სადაც ეს მსგავსება შესამჩნევია, თანატანჯვა აუცილებელია, სადაც მსგავსება არ არის, შეუძლებელია. რაც უფრო თვალსაჩინო და დიდია მსგავსება, მით უფრო ცხოველია ჩვენი თანატანჯვა; რაც უფრო უმნიშვნელოა პირველი, მით უფრო სუსტია მეორეც. თუ ჩვენ უნდა განვიცადოთ სხვისი აფექტი, მაშინ აუცილებელია თვით ჩვენში არსებობდეს ამ აფექტის ყველა შინაგანი პირობა, რათა გარეგანმა მიზეზმა, რომელიც თავისი შეერთებით შინაგან პირობებთან აფექტს წარმოშობს, ჩვენზეც მსგავსი ზემოქმედება შეძლოს. ჩვენ უნდა შეგვეძლოს, ყოველგვარი იძულების გარეშე, შევუნაცვლოთ ჩვენი პიროვნება სხვას, მიეყვანულად გადავიყვანოთ ჩვენი საკუთარი მე მის მდგომარეობაში. მაგრამ როგორღა შესაძლებელი სხვისი მდგომარეობა ვიგრძნობთ, თუ მანამდის ამ სხვაში არ ვიმყოფებოდით?

ეს მსგავსება სულის მთელ საფუძველზე ვრცელდება, რამდენადაც ეს საფუძველი აუცილებელია და ზოგადი. მაგრამ ზოგადობასა და აუცილებლობას უმთავრესად ჩვენი ზნეობრივი ბუნება შეიცავს. მგრძობელობა შეიძლება სხვაანაირად განისაზღვროს შემთხვევითი მიზეზებით; თვით ჩვენი შემეცნების უნარი ცვალებად პირობებზეა დამოკიდებული; მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ზნეობა ემყარება თავის თავს და სწორედ ამიტომ ყველაზე უკეთ მას შეუძლია მოგვეცეს ამ მსგავსების ზოგადი და უტყუარი მასშტაბი. ამგვარად, წარმოდგენას, რომელსაც ჩვენი აზროვნებისა და მგრძობელობის ფორმის შესატყვისად ვთვლით, რომელიც უკვე გარკვეულ ნათესაურ კავშირშია ჩვენს აზრებთან, რომელსაც ადვილად სწვდება ჩვენი სული, ქვეყნობის ეფუძნება. თუ ეს მსგავსება ეხება ჩვენი სულის თავისებურებას, ზოგადადამიანური ხასიათის განსაკუთრებულ დანიშნულებას ჩვენში, რომელიც შეიძლება ამ ზოგადი ხასიათის დაუზიანებლად განყენებულად განვიზოროთ, მაშინ ეს წარმოდგენა ქვეყნობისა მხოლოდ ჩვენთვის; თუ ის ეხება ზოგადსა და აუცილებელ ფორმას, რომელიც მთელი მოდგმის დამახასიათებლად უნდა ვიგულოთ, მაშინ ქვეყნობისა ობიექტურად უნდა ჩაითვალოს. რომელიც თავისი სუბიექტური ქვეყნობისა იყო ბრუტუს პირველის განაჩენი, კატონის თვითმკვლელობა. იმ წარმოდგენებისა და გრძობების სათავე, რომელთაგანაც ამ ორი კაცის მოქმედება გამომდინარეობს, არის არა უშუალოდ ზოგადი, არამედ შუალოდ განსაკუთრებულად განსაზღვრული ადამიანური ბუნება. მათთან ერთად ეს გრძობები რომ

გავიზაროთ, ამისათვის საჭიროა რომელიმე შეხედულებები გვექონდეს ან უნარი შეგვეყვედეს წამიერად მაინც შევითვისოთ ისინი. პირიქით, საჭიროა იყო საერთოდ აღამიანი, რომ უაღრესად აგადელოს ლეონიდეს გმირულმა თავგანწირვამ, არისტიდეს მშვიდმა მორჩილებამ, სოკრატეს ნებაყოფლობითმა სიკვდილმა, რომ ცრემლმად დაიღვარო დარბოსის საშინელი ბედუქუდმართობის გამო. ასეთ წარმოდგენებს, წინააღმდეგ პირველისა, ობიექტურ ჭეშმარიტებას ვანიჭებთ, რადგან ისინი ყველა სუბიექტის ბუნებას ეთანხმებიან და ამიტომაც ისეთი მკაცრი ზოგადობა და აუცილებლობა ახასიათებთ, თითქოს ყოველგვარი სუბიექტური პირობებისაგან დამოუკიდებელი იყვნენ.

სხვათა შორის სუბიექტურად ჭეშმარიტი აღწერა, რაკი ის შემთხვევით განსაზღვრებაზე დამოკიდებული, არ უნდა ავირიოთ თვითნებურ აღწერასთან. და ბოლოს, სუბიექტური ჭეშმარიტებაც აღამიანური სულის ზოგადი აღნაგობისაგან მომდინარეობს. ოღონდ ეს აღნაგობა განსაკუთრებულ გარემოებათა გამო განსაკუთრებულად განისაზღვრება და ორიენი ამ ჭეშმარიტების თანაბრად აუცილებელ პირობებს წარმოადგენენ. კატონის გადაწყვეტილება სუბიექტურადაც აღარ იქნებოდა ჭეშმარიტი, იგი რომ აღამიანური ბუნების ზოგადი კანონების საწინააღმდეგო ყოფილიყო. ოღონდ ეს არის, რომ უკანასკნელი სახის წარმოდგენათა შემოქმედების არე უფრო ვიწროა, რადგან ისინი სრულიად სხვადასხვა დანიშნულებას გულისხმობენ, ვიდრე ზოგადნი. ტრაგიკულ ხელოვნებას შეუძლია დიდი ინტენსიური მოქმედებით გამოიყენოს ისინი, თუ უარს იტყვის ექსტენსიურ მოქმედებაზე; მაგრამ მისი უნაყოფიერესი მასალა მაინც მუდამ იქნება უთუო ჭეშმარიტება, ოღონდ აღამიანური აღამიანურ მიმართებებში, რადგან ტრაგიკულ ხელოვნებას მხოლოდ მათი საშუალებებით შეუძლია უზრუნველყოს ჭეშმარიტების ზოგადობა, ისე რომ უარი არა თქვას შთაბეჭდილების სიძლიერეზე.

3) ტრაგიკულ აღწერას სიცხოველესა და ჭეშმარიტებასთან ერთად, მესამედ, სისრულეც მოეთხოვება. ყოველივე, რაც გარედან უნდა იქნეს მოცემული, რათა სული განზრახულ მოძრაობაში მოვიდეს, წარმოდგენაში უნდა აშორდეს. თუ რომელიმე განწყობილმა მკაყრებელმა კატონის სულიერი მდგომარეობა უნდა აითვისოს, უკეთუ მან თავისად უნდა მიიჩნოს ამ რესპუბლიკელს უკანასკნელი გადაწყვეტილება, მაშინ ამ გადაწყვეტილების საფუძველი არა მარტო რომაელის სულში უნდა იპოვოს, არამედ გარემო პირობებშიც, მას თვალწინ უნდა გადაეშალოს მისი როგორც გარეგანი, ისე შინაგანი მდგომარეობა მთელი მი-

სი ურთიერთკავშირითა და მოცულობით, ერთობლივად არ უნდა აკლდეს განსაზღვრებათა იმ ჯაჭვს, რომელთანაც დაკავშირებულია რომაელის უკანასკნელი გადაწყვეტილება, როგორც აუცილებელი. საერთოდ, თვით აღწერის ჭეშმარიტებაც შეუტეხიბელია ამ სისრულის გარეშე, რადგან მხოლოდ მდგომარეობათა მსგავსებას, რომელიც ჩვენ საგნებით უნდა განვჭვრიტოთ, ძალუძს გაამართლოს ჩვენი მსჯელობა. გრძნობათა მსგავსების შესახებ, რადგან მხოლოდ გარეგანი და შინაგანი პირობების შეერთებით წარმოიშვება აფექტი. თუ გადასაწყვეტია, მოვიტყეოდით თუ არა ჩვენ კატონსავე, მაშინ უწინარეს ყოვლისა უნდა ჩაუფიქრდეთ კატონის მთელ გარეგან მდგომარეობას, და პირველად მხოლოდ მაშინ გვექნება უფლება დავუპირისპიროთ ჩვენი გრძნობები მისას, გამოვიტანოთ დასკვნა მსგავსებაზე და ვიმსჯელოთ მის ჭეშმარიტებაზე.

აღწერის სისრულე შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ცალკეული წარმოდგენებისა და შეგრძნებების შეერთების საშუალებით, რომლებიც ერთმანეთს ისე მიემართებიან როგორც მოქმედება და მიზეზი და თავიანთ ურთიერთკავშირში ერთ მილიანს ქმნიან ჩვენი შემეტყვნისათვის. ყველა ამ წარმოდგენამ, თუ მათ ცხოვლად უნდა აგვადელვონ, უშუალო შთაბეჭდილება უნდა მათხდინონ ჩვენს მგრძნობელობაზე და, რაკი მოთხრობის ფორმა მუდამ ასუსტებს ამ შთაბეჭდილებას, ისინი თანადროულმა მოქმედებამ უნდა აღძვრას. ამგვარად, ტრაგიკულის აღწერის სისრულისათვის საჭიროა მთელი რიგი ცალკეული თვალსაჩინო მოქმედებანი, რომლებიც ტრაგიკულ მოქმედებას როგორც მთლიანს უნდა უკავშირდებოდნენ.

4) ბოლოს, ტანჯვის წარმოდგენები ხანგრძლივად უნდა მოქმედებდნენ ჩვენზე, რომ უაღრესი მღელვარება აღძვრას. აფექტი, რომელშიც სხვისი ტანჯვა გვაგვლავს, იძულებს მდგომარეობა და ჩვენი ვისწრაფვით თავი დავადწიოთ მას, ამასთან ადვილად ქრება თანატანჯვისათვის ესოდენ აუცილებელი ცთუნება. ამგვარად, სული ძალით უნდა მივაჯაჭვოთ ამ წარმოდგენებს და წავართვათ საშუალება ნაადრევად დააღწიოს თავი ცთუნებას. ამისათვის საკმარისი არაა მარტოდენ წარმოდგენათა სიკხოველე და შთაბეჭდილებათა სიძლიერე, რომლებიც ჩვენს მგრძნობელობას ეუფლებიან; რადგან რაც უფრო მძაფრად აღიძვრება აღქმის უნარი, მით უფრო ძლიერ იწევს თავს სულის საწინააღმდეგო ძალა, რათა ეს შთაბეჭდილება დაძლიოს. მაგრამ პოეტმა, რომელსაც ჩვენი აღლევა სურს, არ უნდა შეასუსტოს ეს თვითმოქმედი ძალა, რადგან სწორად ამ ძალის ბრძოლა მგრძნობელობის ტანჯვასთან შეიცავს იმ მაღალ სიამოვნებას, რასაც მწუხარების მღელვარება გვანიჭებს. უკეთუ სული, მიუხედავად თავისი საწინააღმდეგო თვითმოქმედებისა, მაინც მიჯაჭვული უნდა იყოს ტანჯვის შეგრძნებებზე, მაშინ აუცილებელია ეს უკანასკნელი პერიოდულად ოსტატურად შეაწყვი-

ტოტ და საწინააღმდეგო შეგარბნებებიც კი შევცვალოთ, რათა შემდეგ ძალმოცემული დაბრუნდნენ და პირველი შთაბეჭდილების სიცხველვით უფრო ხშირად განახლონ. შეგარბნებათა ცვა უძლიერესი საშუალებაა დაქანტულობის წინააღმდეგ, შეჩვევის შეძრქმელების წინააღმდეგ. ეს ცვლება ახალისებს ამომშრალ გარბნებობას და შთაბეჭდილებათა გრადაცია აღძრავს თვითმოქმედ ძალას შესატყვისი წინააღმდეგობისათვის. ეს ძალა განუწყვეტლად უნდა მოქმედებდეს, რათა დიცივას თავისი თავისუფლება გარბნებლობის ძალმომრეობისაგან, მაგრამ უნდა გვიმარჯვოს მშობლ და არამც და არამც არ უნდა დამარცხდეს ბრძოლაში; თუ არა, პირველ შემთხვევაში აღარ იქნება ტანჯვა, მეორე შემთხვევაში მოქმედება, მაგრამ ხომ სწორედ ორივეს მეორეთა აღძრავს მღელვარებას. ამ ბრძოლის ოსტატურად წარმართვაში იმალება სწორედ ტრაგიკული ხელოვნების დიდი საიდუმლოება, აქ აჩენს იგი მთელ თავის ბრწყინვალებას.

ამისათვის აუცილებელია აგრეთვე მთელი რიგი ცვლებადი წარმოდგენების ანუ მიზანშეწონილი შეკავშირება სხვადასხვა, ამ წარმოდგენების შესატყვისი მოქმედებათა, რომლებზეც მთავარი მოქმედება და მის მიერ გამიხსნული ტრაგიკული შთაბეჭდილება ისე ეხვევა, როგორც ნართი თითბეტარზე, და, ბოლოს და ბოლოს, სულს გაუფლგველ ბადესავით შემოხვევა. ხელოვანი, თუ ასეთი შედარება მეტატივია, ჯერ ბეჯითად კრებს იმ საგნის სხივებს, რომელსაც იგი თავისი ტრაგიკული მიზნის იარაღად იყენებს, და ისინი მის ხელში იქცევიან ელვად, რომელიც ყოველ გულს აღანთებს. თუ ახალბედა ხელოვანი შიშისა და საშინელების მთელ ჭეჭიჭეხილი ერთბაშად და უშედეგოდ უშენს სულს, გამოცილილი ოსტატი ნელნელა, მტერე დარტყმებით აღწევს მიზანს და სწორედ იმით სულერთიან მსჭვალავს სულს, რომ მას ასე ნელ-ნელა და თანდათანობით აღვლვება.

თუ ჩვენ ახლა შეგვაჩემბთ აქამდელო გამოკვლევის შედეგებს, მაშინ ეს არის შემდეგი პირობები, რომლებიც დაფუძნელად უღვეს ტრაგიკულ მღელვარებას. ჯერ-ერთი, ჩვენი თანატანჯვის საგანი უნდა ეუთუნოდეს ჩვენს გვარს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ხოლო მოქმედება, რომელსაც ჩვენ უნდა თანაფუგრძნოთ, მორალური უნდა იყოს, ე. ი. თავისუფლების სფეროს უნდა ეუთუნოდეს. მეორეც, ტანჯვა, მისი წყაროები და მისი ხარისხები სრულად უნდა გვეუწყოს ერთმანეთთან დაკავშირებულ მოვლენათა სახით, სახელდობრ, მესამედ, წარმოდგენილ იქნეს გრძობადად, არა შუალობით აღწერის გზით, არამედ უშუალოდ მოქმედებით გამოსახული. ყველა ამ პირობას ხელოვნება აერთიანებს და ასრულებს ტრაგედიაში.

თანახმად ამისა, ტრაგედია იქნებოდა პოეტური მიზანქა ურთიერთშეკავშირებული მოვლენებისა (დამთავრებული მოქმედებისა), რომელიც აღამიანს გეაჩვენებს ტანჯვის მდგომარეობაში და მიზნად აქვს ჩვენი თანატანჯვის გამოწვევა. ჯერ-ერთი, ტრაგედია არის მოქმედების მიზანქა. მიზანქვის ცნება განასხვავებს მას პოეზიის სხვა გვარებისაგან, რომლებიც მხოლოდ მოუთ-

ხრობენ ან აღწერენ. ტრაგედიაში ცალკეული მოვლენები მათი წარმოშობისთანავე წარმოდგებიან წარმოსახვის ან გრძნობის წინაშე უშუალოდ, რაიმე შესამის შეურველად. ეპოპეა, რომანი, მარტივი მოთხრობა უკვე თავიანთი ფორმის მიხედვით შორს სწევენ მოქმედებას, რადგან მკითხველსა და მოქმედ პირთა შორის შეჰყავთ მომთხრობი. მაგრამ, როგორც ცნობილია, შორეული და წარსული ასულტებს შთაბეჭდილებასა და თანაგრძნობის აფექტს; ახლანდელი აძლიერებს მას. ყველა მოთხრობითი ფორმა ახლანდელს წარსულად ხდის, ყოველი დრამატული ფორმა წარსულს ახლანდელად ხდის.

მეორედ, ტრაგედია არის მიზანქა მთელი რიგი მოვლენებისა, მოქმედებათა. არა მარტოდენ ტრაგიკულ პირთა გრძნობებსა და აფექტებს, არამედ აგრეთვე მოვლენებს, რომელთაგანაც ისინი წარმოიშენენ და რომელთა საბაბითაც გამოიშლავნდნენ, გამოსახავს იგი მიზანქით; ამით განსხვავდება აგი პოეზიის ლირიკულ სახეობათაგან, რომლებიც, მართალია, ასევე პოეტურად ბაძვენ სულის გარკვეულ მდგომარეობას, მაგრამ არა მოქმედებას. ელვების, სიმღერას, ოდას შეუძლია მიზანქით თვალწინ გადაგვიშალოს პოეტის ახლანდელი სულიერი მდგომარეობა, შეპირობებული განსაკუთრებული გარემოებით (იქნება ეს მისი საკუთარი პიროვნებისა თუ იდეალურისა), და ამდენად ისინიც ტრაგედიის ცნებას ექვემდებარებიან, მაგრამ კიდევ არ შეადგენენ მას, რადგან მხოლოდ გრძნობათა გამოსახვით ისახლვებიან. კიდევ უფრო არსებითი განსხვავება პოეზიის ამ სახეობათა განსხვავებულ მიზანში მდგომარეობს.

მესამედ, ტრაგედია არის დასრულებული მოქმედების მიზანქა. ცალკეული შემთხვევა, რაგინდ ტრაგიკულიც უნდა იყოს, ვერავითარ ტრაგედიას ვერ მოგვემს. მიზეზისა და მოქმედების სახით ერთმანეთთან დაკავშირებულ მრავალი მოვლენა მიზანშეწონილად უნდა შეკავშირდეს ერთ მთლიანად, რათა შევიცნოთ ჭეშმარიტება, ე. ი. წარმოდგენილი აფექტის, ხასიათის და სხვა მისთანათა შეთანხმება ჩვენი სულის ბუნებასთან, რასაც ერთადერთს ემყარება ჩვენი თანაგრძნობა. თუ ჩვენ არა ვგრძნობთ, რომ მსგავს გარემოებაში ჩვენც ასე დავიტანჯებოდით და ვიმოქმედებდით, მაშინ ჩვენი თანატანჯვა არ აღიძვრება. მაშასადამე, საქმე იმაშია, რომ ჩვენი თვალყურით ვაღვენთ წარმოდგენილ მოქმედებას მთელ მის ერთობლობაში, რომ დაგინახოთ, თუ როგორ მოედინება ეს მოქმედება მისი შესრულებლის სულიდან ბუნებრივი თანდათანობით, გარეგნულ ვითარებათა ზეგავლენით, ასე წარმოიშვა, იხრდება და მთავრდება ჩვენს თვალწინ იდიპოსის ცნობისმოყვარეობა, ოტელოს ექვიანობა. მხოლოდ ასე შეიძლება ამოივსოს ის დიდი უფსკრული, რომელიც არსებობს უდანაშაულო სულის სიმშვიდესა და დამნაშავის სინდისის ქენჯანს შორის, ბედნიერის გორიზ გულდაჯერებულობასა და მის საშინელ დაღუპვას შორის, მოკლედ, მკითხველის მშვიდ სულიერ განწყობილებასა დასაწყისში და მისი გრძნობების მამფრ აღელვებას შორის მოქმედების დასასრულს.

საჭიროა მრავალი ერთმანეთთან დაკავშირებული შემთხვევა, რათა ჩვენში გამოიწვიოს სულიერი მოძრაობის ცვლა, რომელიც დაჭიმავს ყურადღებას, დაძაბავს ჩვენს სული სხვადასხვას, გამხსნევებს მოქმედებისადმი დაქანტულ მისწრაფებას და მისი დაყოვნებული დაკმაყოფილებით მით უფრო აღანთებს მას. მგრძობიანობის ტანჯვის წინააღმდეგ სული სხვადასხვად იბრუნებს ხსენს, თუ არა ზნეობაში. ზნეობის ძალეზად აღსაძრავად, მასასადავად, ტრაგიკულმა ხელოვანმა უნდა გაახანგრძლივოს მგრძობიანობის მარტვილობა; მაგრამ ესეც უნდა დააკმაყოფილოს, რათა პირველის გამარჯვება მით უფრო მძიმე და სასახლო იქნეს, რიზე შესაძლებელია მხოლოდ ბრძნულად შერჩეული და ამ განზრახვასთან დაკავშირებული მთელი რიგი მოქმედებებით.

მეოთხედ, ტრაგედია არის პოეტური მიბაძვა თანატანჯვის ღირსი მოქმედებისა და ამით იგი უპირისპირდება ისტორიულს. ისტორიული იქნებოდა ის, ისტორიულ მიზანს რომ ისახავდეს, რომ მიისწრაფოდეს გადმოსცეს ის, რაც მოხდა და როგორც მოხდა. ამ შემთხვევაში ის მკაცრად უნდა იცავდეს ისტორიულ სიმართლეს, რადგან ის მხოლოდ ნამდვილად მომხდარიას ზუსტი ასახვით აღწევს მიზანს. მაგრამ ტრაგედიას პოეტური მიზანი აქვს, სახელდობრ, იგი გამოსახავს მოქმედებას, რათა ავგადელოვოს ამ ძელეუარების საშუალებით დავცატკბოს. ამგვარად, თუ იგი ამუშავებს მოცემულ მასალას თავისი მიზნის შესაბამისად, იგი სწორედ ამიტომ თავისუფალი უნდა იყოს მიბაძვაში; მას უფლება აქვს, კიდევ მეტი, ის ვალდებულა ისტორიული სიმართლე პოეზიის კანონებს დაუმორჩილოს და მოცემული მასალა თავისი საჭიროების შესატყვისად დაამუშაოს. მაგრამ რაჲი მას თავისი მიზნის, ძელეუარების, მიღწევა მხოლოდ ბუნების კანონებთან სრული თანხმობის პირობით შეუძლია, ამიტომ იგი, მიუხედავად თავისი ისტორიული თავისუფლებისა, ემორჩილება ბუნებრივი სიმართლის მკაცრ კანონს, რომელსაც საწინააღმდეგოდ ისტორიულისა პოეტურ სიმართლეს უწოდებენ. ამგვარად, გასაგებია, ისტორიული სიმართლის მკაცრად დაცვისას როგორ არაშეიათად ზიანი ადგება პოეტურს და, პირიქით, ისტორიული სიმართლის ტრანჟად დარღვევისას მით უფრო მოგებულს რჩება პოეტური სიმართლე. რაჲი ტრაგიკული პოეტი, ისე როგორც საზოგადოდ ყოველი პოეტი, მხოლოდ პოეტური სიმართლის კანონს ემორჩილება, ისტორიული სიმართლის ყოვლად სინდისიერი დაცვა მას ვერ გაათავისუფლებს თავისი პოეტური მოვალეობისაგან, და ვერც პოეტური სიმართლის დარღვევს, ვერც ინტერესის უქონლობის გამამართლებელ გარემოებად გამოადგება. ამიტომ ტრაგიკული ხელოვნებაზე, და სეგრითოდ პოეზიაზე, მეტისმეტად შეზღუდულ წარმოდგენას ამჟღავნებს ისტორიის სამსჯავროს წინაშე დააყენო ტრაგედიის პოეტი და მკუის დარიგება მოსთხოვო იმას, ვინც უკვე თავისი სახელის მიხედვით მხოლოდ ძელეუარებისა და სიმოვნების გამოწვევას კისრულობს. მაშინაც კი, როდესაც თვით პოეტი ისტორიული სიმართლის წინაშე მხდალი მორჩილების გამო უარს ამბობს

ხელოვანის პრივილეგიაზე და მღელღელს, რომელიც ლევის ნებას ისტორიის თავისი იურისდიქცია გაავრცელოს მის ქმნილებაზე, ხელოვნება მიინც სრული უფლებით იწვევს მას თავის სამსჯავროში, და „პერმანის სიკდილო“, „მინონა“, „ფუსტ ფონ შტომბერგი“, რაჲი ისინი აქ გამოცდას ვერ მიუერენ, სამულო ტრაგედიებად ჩაითვლებიან, მიუხედავად კოსტიუმისა, ხალხისა და დროის ხასიათის ბუნქტუალური დაცვისა. მეზუთედ, ტრაგედია არის მიბაძვა მოქმედებისა, რომელიც აღამიანებს ტანჯვის ძელეუარებისაში გვიჩვენებს. გამოთქმა „ადამიანებს“ სრულიად არაა აქ ზედმეტი და უნდა აღინიშნოს ის საზღვრები, რომლებითაც შეზღუდულია ტრაგედია თავისი საგნების არჩევაში. მხოლოდ მგრძობიანად მორალური არსების, როგორც ჩვენა ვართ, ტანჯვის შეუძლია გამოიწვიოს ჩვენი თანატანჯვა. ამგვარად, არსებანი, რომლებიც არავითარი ზნეობას არ ემორჩილებიან, როგორადაც ხალხის ცრუმორწმუნეობა ან პოეტის წარმოსახვა ხატავს ბოროტ დემონებს, და ადამიანები, რომლებიც მით ჰგვანან, შემდეგ არსებანი, რომელნიც თავისუფალი არიან მგრძობიანობის იძულებისაგან, როგორადაც ჩვენ წმინდა ინტელიგენციები წარმოგვიდგენიან, და ადამიანები, რომელნიც უფრო მეტად, ვიდრე ამის ნებას ადამიანური სისუსტე იძლევა, აღწევენ თავს ამ იძულებას, თანაბრად გამოუხსადებარნი არიან ტრაგედიისათვის. სეგრითოდ უკვე ცნება ტანჯვისა და განსაკუთრებით ისეთი ტანჯვისა, რომელსაც ჩვენ უნდა თანავუგრძნოთ, განსაზღვრავს, რომ მისი საგანი მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. წმინდა ინტელიგენცია არ შეიძლება იტანჯებოდეს, და ადამიანურ სუბიექტს, რომელიც არაჩვეულებრივად უახლოვდება ამ წმინდა ინტელიგენციას, არ შეუძლია პათოსის მაღალი ხარისხი აღძრას, რადგან იგი თავის ზნეობრივ ბუნებაში სწრაფად პოულობს თავშესაფარს სუსტი მგრძობიანობის ტანჯვის წინააღმდეგ. თავიდან ბოლომდე სიმართლად, ზნეობის არმქონე სუბიექტს, და ისეთებს, რომლებიც მას უახლოვდებიან, მართალია, უნარი შესწევთ ტანჯვის საშინელ სიმადლეს მიადწიონ, რადგან მათი მგრძობიანობა დაუძლეველი ძალით მოქმედებს, მაგრამ ზნეობრივი გრძობის მხარდაჭერას მოკლებულნი, ისინი ამ წამების მსხვერპლი ხდებიან, ხოლო ჩვენ უკმაყოფილებითა და ზიზით შევაქცეით ხოლმე ზურგს ტანჯვას, ყოვლად უმწეო ტანჯვას, გონების აპოლოტურ უმოქმედობას. ამგვარად ტრაგიკული პოეტი სამართლიანად აძლევს უპირატესობას ნარევე ხასიათს და მისი გმირის იდეალი ერთნაირადაა დაშორებული როგორც მთლიანად ცუდს, ისე სრულყოფილს.

დაბოლოს, ტრაგედია აერთიანებს ყველა ამ თვისებას, რათა გამოიწვიოს თანატანჯვის აფექტი. მრავალი იმ ღონისძიებათაგან, რომელთაც ტრაგიკული პოეტი მიმართავს, შესაძლებელია კარგად იქნეს გამოყენებული სხვა მიზნისათვის, მაგალითად, მორალური, ისტორიული და სხვა მიზნისათვის; მაგრამ ის გარემოება, რომ პოეტი ამ მიზანს ისახავს და არა სხვას, ათავისუფლებს მას ყველა იმ მოთხოვნისაგან, რომლებიც

ამ მიზანთან არ არიან დაკავშირებული, მაგრამ ამავე დროს ავალდებს მას ყველა აქამდის წა-მოყენებული წესის გამოყენებისს ამ უკანას-კნელი მიზნით ინელმძღვანელოს.

იმ უკანასკნელ საფუძველს, რომელსაც ემყარება პოეზიის გარკვეული სახეობის ყველა წესი, ეწოდება პოეზიის ამ სახეობის მიზანი; საშუალებათა იმ ერთობლიობას, რომლის მეშვეობითაც პოეზიის სახეობა თავის მიზანს აღწევს, ეწოდება მისი ფორმა. ამგვარად, მიზანი და ფორმა უზუსტეს მთავრდება იმყოფებიან ერთმანეთთან. მიზანი განსაზღვრავს და აუცილებლობით აწესებს ფორმას და მიზნის შესრულება წარმატებით დატული ფორმის შედეგია.

რაკი პოეზიის ყოველი სახეობა თავის საკუთარ მიზანს მისდევს, სწორედ ამიტომ თავისი საკუთარი ფორმით განსხვავდება დანარჩენებისაგან, რადგან ფორმა ის საშუალება, რომლის მეშვეობითაც იგი თავის მიზანს აღწევს. სწორედ ის, რაც განსაკუთრებით ასხვავებს მას დანარჩენებისაგან, უნდა ასხვავებდეს მას იმ თვისებათა გამო, რომლებიც მხოლოდ მას ახასიათებს. ტრაგედიის მიზანია მღელვარება; მისი ფორმა იმ მოქმედების მიზანია, რომელსაც ტანჯვა მოსდევს. პოეზიის მრავალ სახეობას შეუძლია თავის საგნად ჰქონდეს ტრაგედიის მსგავსი მოქმედება. პოეზიის მრავალ სახეობას შეუძლია დაისახოს ტრაგედიის მიზანი, მღელვარება, თუმცა არა როგორც უმთავრესი მიზანი. ამგვარად ტრაგედიის განმასხვავებელი მიზანი მდგომარეობს ფორმის მიმართებაში მიზანთან, ე. ი. ხერხებსა და საშუალებებში, თუ როგორ ამუშავებს იგი თავის საგანს თავისი მიზნის გათვალისწინებით, თუ როგორ ახორციელებს იგი თავის მიზანს თავისი საგნის მეშვეობით.

უკეთეს ტრაგედიის მიზანი ის არის, რომ თანატანჯვის აფექტი გამოიწვიოს, ხოლო მისი ფორმა საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც იგი ამ მიზანს აღწევს, მაშინ ამაღლებელი მოქმედების მიზანია ყველა იმ პირობის განხორციელება უნდა იყოს, რომელითა საფუძველზეც თანატანჯვის აფექტი ყველაზე უფრო ძლიერ აღიძვრება. ამგვარად, ტრაგედიის ფორმა ყვე-

ლაზე უფრო ხელსაყრელია, რათა თანატანჯვის აფექტი გამოიწვიოს.

პოეზიის სახეობის ნაწარმოები სრულყოფილია, თუ მასში პოეზიის სახეობის საკუთარი ფორმა მისი მიზნის მისაღწევად საუკეთესოდ არის გამოყენებული. მაშასადამე, სრულყოფილია ტრაგედია. რომელშიც ტრაგედიული ფორმა, სახელდობრ ამაღლებელი მოქმედების მიზანია, საუკეთესოდ არის გამოყენებული თანატანჯვის აფექტის გამოსაწვევად. ამგვარად, ყველაზე უფრო სრულყოფილი იქნება ის ტრაგედია, რომელშიც აღძრული თანატანჯვა იმდენად სიუჟეტის მოქმედების შედეგი არაა, რამდენადაც საუკეთესოდ მოხმარებული ტრაგედიული ფორმისა. ასეთი შეიძლება ტრაგედიის იდეალად ჩაითვალოს.

მრავალი ტრაგედია, სხვათა შორის აღსანიშნავი მაღალი პოეტური მშვენიერებით, დრამატული თვალსაზრისით დასაწყენებელია, რადგან ტრაგედიის მიზნის მიღწევას არ ცდილობენ ტრაგედიული ფორმის საუკეთესო გამოყენებით; სხვები კი ავღ დასაწყენებელია იმიტომ, რომ ისინი ტრაგედიის ფორმის საშუალებით სხვა მიზანს აღწევენ, ვიდრე ტრაგედიისას. ბევრი ჩვენი საყვარელი პიესა გვაღელვებს მხოლოდ და მხოლოდ სიუჟეტის საშუალებით, და ჩვენ ან დადსულოვნების ან უყურადღებობის გამო მასალის ამ თვისებას დამსახურებლად ვუთვლით მოუხერხებელ ხელოვანს. სხვა შემთხვევებში ჩვენ სრულიად აღარ გვახსოვს ის განზრახვა, რის გულისთვისაც შეგვკრიბა თეატრში პოეტმა, და კმაყოფილი, რომ სასაამოვნოდ გავერთეთ წარმოსახვისა და კუჭამახვილობის ბრჭყვიალა თამაშით, ვერც კი ვამჩნევთ, რომ ჩვენ ცივი გულით ვტოვებთ დარბაზს. განა პატივისცემის ღირსმა ხელოვნებამ (ხოლო ასეთია ის, რომელიც ვსიტყვება ჩვენი არსების ღვთაებრივ ნაწილს) თავისი საქმე ასეთი ქონაგების საშუალებით უნდა აწარმოოს ასეთი მსაჯულების წინაშე? საზოგადოების არმომკითხობა მხოლოდ შეუთანა ნიქს ახალისებს, მაგრამ გენიას შეუტრაცხოფს და აფრთხობს.

გერმანულიდან თარგმნა რუგოველმა.



ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ბარჯეომ

... ივნისის წყნარი საღამოა. ბათუმის ზღვის-
პირა პარკში რეპროდუქტორის ირგვლივ ზღვა
ხალხია. ყოველ წამს მათ ახალი ნაკადი ემატე-
ბა.

— რაშია საქმე? — გაკვირებით კითხულობს
ერთი.

— ფეხბურთს გადმოსცემენ შევეციდან.

— ჩვენები თამაშობენ?

არა, იმ დღეს საბჭოთა ფეხბურთელები არ
თამაშობდნენ. ყოველ რიგს თაისი ფინალურ
ასპარეზობაში ერთმანეთს შეხედნენ ბრაზილი-
ისა და შევეციის გუნდები. მიუხედავად ამისა,
რადიოსთან თავმოყრილი გულშემატკივრები,
ისევე როგორც მილიონობით სხვა მათი „კო-
ლეგები“, ძალზე მწვავედ განიცდიდნენ თამა-
შის მსვლელობას, ხოლო როცა შეხვედრის უკა-
ნასკნელი წუთი მიიწურა და ბრწყინვალე გა-
მარჯვების აღსანიშნავად ბრაზილიელებს სტა-
დიონზე ოვაცია გაუშაროეს, მათ სიხარულს
რადიომსმენელებიც შეუერთდნენ და ტაშით გა-
მონატეს თავიანთი აღტაცება. ყველას პირზე
ეკერა აქამდე უცნობი გვარები: „ბელე“, „გა-
რინჩა“, „დიდი“. მათ იმეორებდა დიდი
და პატარა, როგორც ერთ დროს „პაიჭაძეს“,
„ჭეველავას“, „ფედოტოვს“. გულშემატკივრები
არ ტოვებდნენ არც ერთ ჟურნალსა და გაზეთს,
სადაც კი მოთხრობლი იყო მეექვსე მსოფლიო
ჩემპიონატის შესახებ.

გავიდა რამდენიმე დღე და ჩვენს ქალაქს ამ
ბრძოლების საკუთარი თვალით მნახველი ცნო-
ბილი სპორტსმენი და რადიოკომენტატორი
ნ. ოზეროვი ეწვია. ბათუმელებმა სტუმარი აღ-
ყაში მოამწყვდიეს. შეუძლებელი იყო ყველა
კითხვაზე პასუხის გაცემა. ბათუმში რომ მოე-
ლიოდი, — გვითხრა საუბარში ოზეროვმა, —
გადაწყვეტილი მქონდა შევეციის „ცეზ-ცხელე-
ბის“ შემდეგ ცოტა დამესვენა. რასაკვირველია,
გულშემატკივართა იერიშებს მოველოდი, მაგ-

რამ ასეთი რამ ვერც კი წარმომედგინა. სიმა-
რულე გითხრათ, სასტუმროდან ვასვლისაც კი
მეშინოდა.

ქალაქის საზოგადოების თხოვნით ნ. ოზერო-
ვმა მეტად საინტერესო მოხსენება წაიკითხა შე-
ვეციის ტურნირის შესახებ.

ამ ამბების შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგ-
რამ ინტერესი მსოფლიო ჩემპიონატის გარშე-
მო ოდნავადაც არ შენელებულა. მილიონობით
გულშემატკივარი, ფეხბურთის სპეციალისტები,
სპორტული მიმომხილველები კვლავ „საქმის
კუთხში არიან“. მსოფლიოს პრესის ფურც-
ლებზე გულდამით განიხილავენ შეჯიბრების
შედეგებს. ეს წერილები სხვადასხვანაირი ხა-
სიათისაა. ბევრია მათში სადავო, მიუღებელი,
მაგრამ რაც უნდა სხვადასხვანაირი აზრი არსე-
ბობდეს, ერთი რამ მაინც ნათელია — ბრაზი-
ლიის გუნდი მსოფლიოს ღირსეული ჩემპიონია.
ბრაზილიელი სპორტსმენები საყოველთაოდ
აღიარებული ფეხბურთის დიდოსტატები არიან.

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელის ჟან სნე-
ნეს ის ნამდვილი ფეხბურთი, რომელზეც იგი
ოცნებობდა. ბრაზილიელების გამარჯვება —
ეს არის მოქნილობის, მოხერხებულობის ზეიმი.
ძალისმიერმა ფეხბურთმა კრახი განიცადა.

„ისეთ გუნდებთან, როგორცაა საბჭოთა კავ-
შირის, ინგლისისა და უელსის ნაკრები, თამა-
ში ძნელია, რადგან ისინი ძალისმიერ ფეხბურთს
იყენებენ“, — განაცხადა ბრაზილიის ნაკრების
წევრმა დიდმა ბრაზილიელებმა წარმატებით
გადალახეს ეს სიძნელეც.

ბრაზილიელები საუკეთესოდ იყენენ მომზა-
ლებული ფიზიკურად. მათი გუნდი მტკიცედ
შერტულ ერთ მთლიან კოლექტივს წარმოადგენ-
და. რაც შეეხება მათ მთავარ იარაღს — ტექ-
ნიკას, ამ მხრივ ბრაზილიელები ნამდვილი ვირ-
ტუოზები არიან.

ბრაზილიელთა გამარჯვება შემთხვევითი როლი იყო. ბრაზილიას სამართლიანად უწოდებენ „ყავისა და ფეხბურთის ქვეყანას“. მიუხედავად იმისა, რომ ამ თამაშს იქ დიდი ხნის ისტორია არა აქვს (65 წელი, დაახლოებით როგორც ჩვენში), ფეხბურთი ბრაზილიაში ეროვნული თამაშია. აქ უყვართ იგი. მაგრამ ეს სიტყვები ძალიან ცოტას ნიშნავს. არ შევცდებით, თუ ვიტყვით — ბრაზილიელები დავადებული არიან ფეხბურთით. ისინი ძალზე განიცდიან მათი გუნდის გამარჯვებასაც და დამარცხებასაც. 1950 წლის 16 ივლისს ყველაზე უფრო ტრაგიკული თარიღია ბრაზილიის ისტორიაში: ბრაზილიელებმა საკუთარ მოედანზე წააგდეს მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩი ჟურუგაის გუნდთან. მიულოდნელმა უბედურებამ ადგილზე გააქევა ორასი ათასამდე მყურებელი. ისინი გვიან ღამემდე არ დაშლილან. საყოველთაო გლოვა ერთ კვირაზე მეტს გაგრძელდა. ზოგჯერ მატჩის დროს ადვოკატებისაგან მყურებლებს გული უსკდებათ. ეს არის ერთი უკიდურესობა. ახლა მეორეც: წელს გამარჯვებულ ბრაზილიელებს ტრიუმფით შეხვდნენ. რიო-დე-ჟანეიროში არნახული ზეიმი გაიმართა. ქუჩაში მილიონნახევრამდე კაცი გამოვიდა. ნაკრების წევრები ეროვნული გმირები და მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სპორტსმენები გახდნენ. ბევრ მათგანს მხოლოდ მეტსახელებით იცნობენ.

თი ბრაზილიის ნაკრების წევრები: მეკარე სანტოს ნევეს ფილმარი; მცველები: ნილტონ დე სორდი, ნილტონ სანტოსი, ჯალმა სანტოსი; ნახევარმცველები: ჰიდერალდო ლუის ბელინი, სოზე ელი მირანდა „ზიტო“, ორლანდო პეცანა ცარვალჰო; თავდამსხმელები: მანუელ ფრანცისკო დოს სანტოს „გარინჩა“, ვალდირ პერიერა „რიდი“, ედვალდო იზიდიო ნეტო „გავა“, ედვალდო ალვესუ სანტაროსა „პედე“, მარიო ჟორჯე ლობო „ზავადო“, სოზე ჟოაო ალტაფინი „მატოლა“.

ყველა ისინი მეტნაკლებად თანაბარი სიძლიერის სპორტსმენები არიან და თამამად შეიძლება შევიყვანოთ ე. წ. — „მსოფლიო ნაკრებში“. მიუხედავად ამისა, მათგან მაინც შეიძლება გამოვარჩიოთ რამდენიმე კამეაზა ვარსკვლავი.

პირველ რიგში ეს უნდა ვთქვათ გარინჩას შესახებ. თი რას ამბობს ცნობილი ფრანგი მიმოხილველი გაბრიელ ანო: „50 წლის მანძილზე მე არ მინახავს ყოველმხრივ ასე გამოჩენილი მარჯვენა გარემარბი. მე ფიქრობ, რომ ერთადერთი დამნაშავე საბჭოთა გუნდის დამარცხებაში ბრაზილიელებთან არის გარინჩა“.

ნ. ოზეროვა გვიამბო: — საბჭოთა გუნდის

მარცხენა მცველმა ბ. კუზნეცოვმა ორი შეხვედრა კარგად ითამაშა და შევეცის გაზეთებმა იგი შეაქეს. წარმატებით გამხნეებულნი გამოვიდა კუზნეცოვი მესამე თამაშზე. ერთი შეხედვით, მისი მოწინააღმდეგე — „სათადარიგო“ მოთამაშე, რომელიც იმ დღეს პირველად გამოდიოდა ნაკრებში, არ იყო ძლიერი, მაგრამ აი მსაჯმა მისცა ნიშანი, ბურთი მიიღო გარინჩამ და დაიწყო „ჯოჯოხეთური ცეკვა“ — ეშმაკური ფინტი და კუზნეცოვმა მხოლოდ მოწინააღმდეგის ნომრის წაკითხვა მაასწრო. ასეთი რამ ხშირად მეორდებოდა. კუზნეცოვმა, როგორც შემდეგ თვითონ აღიარა, ამჟამად წააგო ბრძოლა.

ამჟამად ბრაზილიაში მიმდინარეობს კამპანია, რომ ქალაქ პაუ გრანდეს, სადაც გარინჩა დაიბადა, შეეცვალოს სახელი და ეწოდოს „გარინჩა“.

მეტად პოპულარული ფეხბურთელია დიდი. ის არის ნაკრების ღირსიერი, რომელიც ბრწყინვალედ ფლობს ურთულეს ტექნიკურ ილეთებს, მათ შორის „ხმელ ფოთოლს“, რომლის დროსაც შეუძლებელია ბურთის მიმართულების გამოცნობა.

ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშეა მარცხენა შუამარბი პელე. იგი მხოლოდ 17 წლისაა, მაგრამ დიდს სიტყვებით რომ ვთქვათ, „მას ფეხბურთსა და თავში უკვე ფეხბურთელის 17 წლის სტაჟი აქვს. პელე მალე გახდება მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე“. შევეცის ტურნირის დამთავრების შემდეგ პელეს გადაეცა პრიზი ყველაზე ეფექტური და ლაკონიური ფინტით გატანილი გოლისათვის: ფინალური მატჩის უკანასკნელ წუთზე მოწინააღმდეგის კარისაგან რვა მეტრის დაშორებით პელემ ერთ კვადრატულ მეტრზე მოატყუა ორი მცველი, ფეხით აიგდო ბურთი თავზე და შემდეგ კარში გაგზავნა. მშობლიურ ქალაქ ბაურუსაგან პელემ საჩუქრად მიიღო სახლი და მანქანა. ქალაქის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს პელეს სახელი და მასზე ასეთი წარწერა გამოიკრას: „პელე, მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში, 17 წლის“. პელემ საყოველთაო აღიარება მოიპოვა და ფეხბურთის საქმისნებმა მის ხელში ჩასაგდებად ნამდვილი ნადირობა გამართეს. სამლოოდ, გამარჯვება დარჩა ქალაქ მადრიდის „რეალს“, რომელმაც იგი 720 ათას შვეიცარიულ ფრანკად იყიდა. აღსანიშნავია, რომ „რეალის“ თავდასხმა მთლიანად უცხო ქვეყნების ფეხბურთელებისაგან შედგება, რომელთა შორის არიან კობა, დი სტეფანო და პუშკაში. ესპანეთის მეორე კლუბმა „ატლეტიკო მადრიდი“ ექვს მილიონ პუეტად იყიდა ბრაზილიელთა ცენტრალური თავდამსხმელი ვავა.



გაიყიდა აგრეთვე მაცოლა, რომელიც იტალიელთა გუნდში ითამაშებს.

მიუხედავად ამისა, ბრაზილიურმა ფეხბურთმა არც თუ ისე საგრძნობი დანაკლისი განიცადა. მოვეხსინით ბრაზილიელ სპორტულ ჟურნალისტს ლაურუ ანდრადის: „ამჯამად ჩვენ იმდენი ძლიერი ფეხბურთელი გვყავს, რომ მათგან შეიძლება ჩამოვაყალიბოთ 10 გუნდი, რომლებიც თამაშის კლასით ახლანდელი ეროვნული ნაკრების თანაბარი იქნება“.

შვეიცის ჩემპიონატის პრიზიორებიდან ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა საფრანგეთის გუნდმა, განსაკუთრებით მისმა თავდასხმამ, სადაც გამოირჩეოდნენ კოპა და ფონტენი. ამ უქანსკენლმა მოწინააღმდეგეთა კარში ბურთების სარეკორდო რაოდენობა — 13 გაიტანა, როცა საუკეთესო სწრაფი პრიზად თოფი გადასცეს, ფონტენმა თქვა — 13 თარსი რიცხვია. უკეთესი იყო გამეტანა 14 ბურთი ან შეგჩერებულყოფივი 12-ზე. ფონტენზე მონადირენიც ბევრნი აღმოჩნდნენ. „ნადელი“ ტრადიციულად ესპანელებს დარჩათ. მომავალი წლიდან ფრანგი ფეხბურთელი ესპანეთის ერთ-ერთ გუნდში ითამაშებს.

ახლა იმ გუნდებზე, რომლებმაც წარუმატებლად ითამაშეს. შვეიციაში ინგლისის ეროვნული ნაკრების დამარცხებამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. „ინგლისი მსოფლიო ჩემპიონობას მანამდე ვერ მოიპოვებს, სანამ ფეხბურთელებს არ გავგზავნით საბავშვო ბაღში, რომ ხელახლა ისწავლონ თამაში“, — ასე წერდა ინგლისის გაზეთი „სანდი ექსპრესი“. მკაცრად გააკრიტიკეს აგრეთვე დასავლეთ გერმანიის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების ნაკრები გუნდების თამაში.

კრიტიკას ვერც საბჭოთა ნაკრები და მისი ხელმძღვანელები გადაურჩნენ.

ტურნირის დაწყებამდე ჩვენი ფეხბურთელებს ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტად თვლიდნენ. ბრაზილიელთა ნაკრების მწვრთნელმა ფეოლამ დასავლეთ გერმანიის ჟურნალ „კიკერის“ კორესპონდენტთან საუბარში ასე განაცხადა: „მე ვერ ვხედავ სიძნელეს ინგლისთან ან ავსტრიისთან შეხვედრაში. პირიქით, რუსეთს ძა-

ლიან ძლიერ გუნდად ვთვლი. მე ძალიან მომეწონა დინამოელთა გამოსვლები ბრაზილიაში... ჩვენ რუსებთან ერთად ვიქნებით რვა უძლიერეს გუნდს შორის და, ალბათ, შევხვდებით ფინალში“.

მხოლოდ სანახევროდ გამართლდა ფეოლას სიტყვები. ჩვენი გუნდი მეოთხედფინალამდე მივიდა. ობიექტური მიზეზების მიუხედავად, ერთი რამ ცხადი გახდა: საბჭოთა გუნდი სათანადოდ მომზადებული არ აღმოჩნდა ასეთი ძნელი ასპარეზობისათვის.

არასახარბილო სურათი შეიქმნა. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შეიკვალა ნაკრების ხელმძღვანელობა და დაისახა მთელი რიგი ღონისძიებანი. მთელი სიმკაცრით ითქვა, რომ ჩვენ ჩამოვრჩებით ტექნიკურად, რომ არა გვყავს მაღალტექნიკური, ექსტრაკლასის ფეხბურთელები, არა გვყავს ჩვენი გარინჩა. აი რას ამბობს ინგლისელი ფეხბურთის სპეციალისტი ვილი მესლი: „საბჭოთა ფეხბურთელები ახლა უფრო საინტერესოდ თამაშობენ, ვიდრე წინათ, ისინი ატარებენ კომბინაციებს და აქვთ კარგი სისწრაფე, მაგრამ მათ ისევ არა ჰყავთ ცალკეული გამოჩენილი ფეხბურთელები, რომელთა გარეშე არასოდეს არ იქნება დიდი ფეხბურთი“.

სად ვიპოვოთ საბჭოთა გარინჩა? — ამ კითხვაზე რომ სწორი პასუხი გავცეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ ფეხბურთელთა ეროვნული თავისებურებანი, ტემპერამენტი, ხასიათი და კლიმატიც კი. „ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა გარინჩას უნდა ველოდოთ უფრო მტკვრის ნაპირებიდან, ვიდრე ნევის სანაპიროდან“, — წერს ჟურნალი „სპორტივნიე ივრი“.

თუ გავიხსენებთ, რომ „მტკვრის ნაპირებზე“ აღიზარდნენ ისეთი ფეხბურთელები, როგორცაა ბ. პაიჭაძე, გ. ჯეჯელავა, ა. ლოლობერიძე, ზემოთ მოყვანილ სიტყვებს შეიძლება დავეთანხმოთ.

საბჭოთა გარინჩა არის, მაგრამ მას უნდა მონახვა და აღზრდა. ამაშია ჩვენი ფეხბურთის მომავლის საფუძველი.

გ. ალექსიძე.



კატრიოტული ლექსები

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე აჭარაში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედი აღიზარდა. ამ ორიოდ წლის წინათ მათ რიგებს კიდევ ერთი ნიჭიერი შემოქმედი — ლევან გელაძე შეემატა. 1954 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი. ამის შემდეგ იგი სისტემატურად აქვეყნებს ლექსებს საოქტო და რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე.

1957 წელს გამოქვეყნდა ლ. გელაძის ლექსების პირველი კრებული „მაღალი მთიდან“, რომელმაც მკითხველის მოწონება დაიმსახურა. მისი პოეტური შესაძლებლობა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოვლინდა ლექსების მეორე წიგნში „მწვანე აკვანი“, რომელიც ახლახან გამოსცა აჭარის სახელგამმა.

საერთო შთაბეჭდილება, რაც ამ კრებულის წაკითხვისას გრჩებათ, ასეთია: ყველა ლექსს ასულდგმულს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სამშობლოს დაუცხრომელი სიყვარული. პოეტი უმღერის განახლებულ სამშობლოს, სადაც ყოველ მხარეში, ეზოსა თუ სახლში ბედნიერება სუფევს.

ლექსში „მწვანე აკვანი“, რომლითაც კრებული იხსნება, პოეტი აცოცხლებს საქართველოს ამაყ ბუნებას და მის ფონზე წარმოგვიდგენს ჩვენი სამშობლოს წინსვლასა და ძლიერებას.

ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე პატარა ლირიკული ლექსი „წყარო“, რომელშიც წყაროს სახით გამოხატულია სიცოცხლის ძალა.

ლ. გელაძის ლექსებში კოლორიტულადაა გადმოცემული აჭარაში გავრცელებული ხალხური ჩვეულებები, დღესასწაულები და სხვ. ლექსებში „შუამთობა“, „გვიფერხეო“, „შვიდი ბაირალი“ და სხვ. პოეტი მკითხველის წინაშე აცოცხლებს უძველეს ქართულ ხალხურ ჩვეულებებს, რომლებიც განამტკიცებდნენ გმირო-

ბას, სამშობლოს სიყვარულს, მეგობრობასა და ურთიერთობათვისცემას.

ხალხთა შორის მეგობრობის თემისადმი მიძღვნილი ლექსი „აფხაზ მასპინძელს“:

და ერთმა გრძნობამ სამუდამოდ

შეგვადულაძა,

მამულის მიწამ ამ ერთობას სიცოცხლე მისცა.

ლ. გელაძე თავის ლექსებში გამოავლინა ისტორიული მოვლენების მხატვრული აღქმისა და გააზრების უნარი. ლექსში „ყანლი“ პოეტი გვახედებს აჭარის შორეულ, შავზნელ წარსულში. აჭარაში ყვაოდა ქართული კულტურა, ხარობდა ქართული ვაზი „...მთებში ჭექქდა მკაზხელა და ლამაზებს არ ეხურათ თალხი ჩადრი“. მაგრამ ვერაგმა მტერმა — სულთნის თურქეთმა თავისი სისხლიანი ხელი აღმართა... პოეტი აღწერს, თუ როგორ ავაზაკურად დაესხნენ თავს თურქი დამპყრობლები აჭარას:

წამოუძღვა ალი-ხანი ურიცხვ სპათა,

გადმოსერა ღრმანის ტყე და მთა ჭანჭანი,

მოდოდა ქართველის მტერი მგლურად,

თარსად,

რომ ჩვენს ცაზე დაებინა მვის

ჩახჩახი...

სამას წელს ბატონობდნენ თურქები აჭარაში, მაგრამ მათ ვერ მოჰკლეს ქართული ენა, ვერ ჩაქრეს აჭარელის გულში სამშობლოს სიყვარულის ცეცხლი.

ქართულ პოეზიაში მტკიცედ დამკვიდრდა მშობლის თემა. იშვიათად თუ მოიპოვება ისეთი პოეტი, რომელსაც არ გაეცოცხლებინოს დედის სათნო, კეთილი სახე, მაგრამ ცოტაა დაწერილი მამაზე. ლ. გელაძის ლექსი „მამის აღერსი“ ერთგვარად ავსებს ამ ხარვეზს. პოეტი სიყვარულით ხაზავს მამის რეალურ სახეს.

სარეცენზიო კრებულში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სიყვარულის თემასაც. ლ. გელა-



ძის სატრფიალო ლექსები აქტიურად ეხმარებოდა ცხოვრებას. პოეტი უმღერის ჯანსაღ სიყვარულს.

საზოგადოებრივი ფვალსაზრისით მეტად საინტერესოა ლექსი „დაზავება“, რომელშიც პოეტმა ერთმანეთს დაუპირისპირა ორი ძალა — სიყვარული და სისხლის აღების ტრადიცია და გვიჩვენა, თუ როგორ ამარცხებს კეთილი ბო-

როტს, თუ როგორ ძლია სიყვარულმა სიკვდილი.

სარეცენზიო კრებულს აქვს ნაკლიც. მასში გვხვდება სუსტი, გაუმართავი სტრიქონები, უხეში შედარებები და ა. შ. ახალგაზრდა პოეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ლექსის მხატვრულ დონის ამაღლებას და კიდევ უფრო სრულყოს ისინი.

ბ. თეთრაძე

„სამართველოს კომკავშირი დიდი სამამულო ომის პერიოდში“

მიმდინარე წლის ოქტომბერში მთელმა საბჭოთა ხალხმა ფართოდ აღნიშნა ლენინური კომკავშირის სახელოვანი ორმოცი წლისთავი.

ლენინური კომკავშირი კომუნისტური პარტიის ღირსეული თანაშემწეა. პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით მან არაერთხელ ისახელა თავი როგორც ჩვენი სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში, ისე შემოქმედებითს შრომაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი წვლილი დიდი სამამულო ომის პერიოდში, როცა წყდებოდა ჩვენი ქვეყნის ბედ-იბაღი.

მთელ საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად დიდი სამამულო ომის წლებში გამიზნა და მამაცობის მრავალი მაგალითი გვიჩვენა საქართველოს კომკავშირმა. სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს ნიკოლოზ ჩახვაშვილის წიგნი „საქართველოს კომკავშირი დიდი სამამულო ომის პერიოდში“, რომელიც ამას წინათ გამოცემის თბილისის საბლიტგამმა.

სარეცენზიო წიგნი შედგება ორი თავისაგან. პირველ თავში „საქართველოს კომკავშირელები სამამულო ომის ფრონტებზე (1941-1945 წლებში)“ ვრცლად არის განხილული საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლა სამხედრო საქმის დაუფლებებისათვის, ქართველი კომკავშირელების მონაწილეობა გმირი ქალაქების — მოსკოვის, ლენინგრადის, სევასტოპოლისა და სტალინგრადის დაცვაში, მათი გმირული ბრძოლა ჩრდილო კავკასიაში, ტამანის ნახევარკუნძულისა და ყირიმის განთავისუფლებისათვის და სხვ. აქვე მოთხრობილია ქართველი კომკავშირელების მონაწილეობა პარტიზანულ ბრძოლებში.

როგორც ცნობილია, 1941 წლის შემოდგომაზე მტერი უშუალოდ მოსკოვს მიადგა. მოსკოვის დაცვა მთელი საბჭოთა ხალხის უპირველესი ამოცანა გახდა. პიტლერელები იმედოვნებდნენ, რომ საბჭოთა არმიის პირველი წარუმა-

ტებლობისთანავე სსრ კავშირის ხალხებს შორის თავს იჩენდა უთანხმოება და სსრ კავშირი დაიშლებოდა. მაგრამ მოხდა პირიქით, საბჭოთა ხალხები განსაცდელის ყამს კიდევ უფრო მკიდროდ დაირაზმნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო და მტერს მოსკოვიდან მეორე მსოფლიო ომში პირველი მძლავრი დარტყმა აგემეს.

ნიკოლოზ ჩახვაშვილის წიგნში ვრცლად არის დახასიათებული საქართველოს კომკავშირის წარგზავნილთა საბრძოლო დამსახურება მოსკოვის დაცვაში.

ავტორის სამართლიანი თქმით, დიდი სამამულო ომის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი რუსული დიდების ქალაქის — სევასტოპოლის გმირული დაცვა. სხვა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად სევასტოპოლის დაცვაში თავი გამოიჩინეს ა. იაშვილმა, დ. მანუილმა, მ. კურატაშვილმა, ალ. ყორჯილიანმა, შ. კობაძემ, შ. დავითაშვილმა და სხვა ქართველმა კომკავშირელებმა. განსაკუთრებით გაითქვა სახელი უფროსმა ლეიტენანტმა ბაირამ ბერიძემ. მან მტრის გრიგალისებური ცეცხლის ქვეშ შესანიშნავი ოპერაცია ჩატარა და, მიუხედავად იმისა, რომ მიძიმე კონტუზია მიიღო, ბრძოლის ველი არ დატოვა სარდლობის საბრძოლო ამოცანის შესრულებამდე.

ნიკოლოზ ჩახვაშვილის წიგნის ერთ-ერთი დიდი რესურსი ის არის, რომ იგი მოგვითხრობს აგრეთვე ქართველი კომკავშირელების გმირულ ბრძოლაზე ლენინგრადთან, სტალინგრადთან, ოდესასთან, ჩრდილო კავკასიაში, ტამანის ნახევარკუნძულზე, ყირიმსა და სხვ. ავტორს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ქართველი კომკავშირელების საბრძოლო გზის არც ერთი მხარე.

მკითხველი აქვე იპოვის ქართველ პარტიზანთა მამაცური ბრძოლის ამსახველ მასალებს. ქართველი პარტიზანები მტერს უღმობლად ანა-

დგურებდნენ. მაგალითად, მარტო დ. ბაქრაძის პარტიზანულმა რაზმმა მოსპო 5 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, გაანადგურა 67 ტანკი, 19 ქვემეხი, 300-ზე მეტი ავტომანქანა, დაამსხვრია 9 ეშელონი, ხელთ იგდო 8 სარკინიგზო ეშელონი დიდძალი სამხედრო ქონებით.

მ. ქასრელიშვილის პარტიზანულმა რაზმმა 1944 წლის 8-13 აპრილის განმავლობაში ასობით პიტლერელი გაყლიტა და 265 ჯარისკაცი და ოფიცერი ტყვედ წამოიყვანა.

სარეცენზიო წიგნში მკითხველი ფართოდ გაეცნობა იმ ქართველი კომკავშირელების საბრძოლო გზას, რომელთაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ. კერძოდ, ვრცლად არის მოთხრობილი მზიურ აქარის წარგზავნილის მოიერიშე ავიაციის მფრინავის ისრაფილ ჯინჭარაძის იშვიათი შამაცობა სამამულო ომის ფრონტებზე.

ი. ჯინჭარაძე 10 საბრძოლო ვაფრენისათვის დააჯილდოვეს, წითელი ვარსკვლავის ორდენით, 30 საბრძოლო ვაფრენისათვის — სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით. გარდა ამისა, სარდლობის დავალებათა სანამუშოდ შესრულებისათვის ი. ჯინჭარაძემ მიიღო უმაღლესი მთავარსარდლობის ოთხი მაღლობა, არმიის სარდლობის ხუთი მაღლობა, კორპუსისა და დივიზიის მეთაურების შვიდი მაღლობა.

საყოველთაოდ სახელმძიმევილი მებრძოლი ი. ჯინჭარაძე 92-ე საბრძოლო ვაფრენის დროს გმირული სიკვდილით დაიღუპა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ღირსეულად დააფასა სამშობლოს წინაშე მისი დამსახურება და 1944 წლის თებერვალში მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა.

სარეცენზიო წიგნის მეორე თავი „საქართველოს კომკავშირის გმირული შრომა დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941-1945 წლები)“ დაწვრილებით მოგვითხრობს ქართველი კომკავშირელების თავდადებულ შრომას ზურგში.

სამამულო ომის წლებში კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობაში, ვაიზარ და გაფართოვდა ორასოვანთა მოძრაობა. შრომაში გმირობისა და შამაცობის მაგალიტებს იძლეოდნენ ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავლ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის მალარობის, ქუთაისისა და ბათუმის სამრეწველო საწარმოების, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და სხვა საწარმოთა მუშა კომკავშირელები.

ბათუმის სავაგონო დეპოს კომკავშირულმა ბრიგადამ ხუთი საათის განმავლობაში გამოუშვა ერთი სამგზავრო ვაგონი. ეს იყო იშვიათი მოვლენა ამ ტიპის საწარმოთა ისტორიაში. საორთქლმავლო დეპოში კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირული კომიტეტის მდივანი ნარსია ზელმძღვანელობდა, ოთხ საათში დაამთავრა ორთქლმავლის შეკეთება. ბათუმის რკინიგზის კომკავშირელებმა ერთი დღის მუშაობით თავდაცვის ფონდში გადარიცხეს 6,552 მანეთი.

წარმატებით იბრძოდნენ საქართველოს სოფლის კომკავშირელებიც. ამის შესახებ მკითხველი სარეცენზიო წიგნში ბევრ საინტერესო მასალას გაეცნობა.

ღირსებასთან ერთად სარეცენზიო წიგნი დაზღვეული არ არის ნაკლოვანებებისაგან. მაგალითად, საქართველოს კომკავშირის ბრძოლა და შრომა დიდი სამამულო ომის პერიოდში ზოგ შემთხვევაში განხილულია საკ. ალკ საერ. თო საქმიანობისაგან იზოლირებულად, მისგან მოწყვეტით. ხშირად ავტორი განიხილავს მცირე მნიშვნელობის ფაქტებსაც კი, მაგრამ ნაკლებია განზოგადებანი, არის მსგავსი ფაქტების გადმოცემის შემთხვევებიც. ჩვენი აზრით, შეიძლებოდა მათი გაერთიანება და განზოგადება.

3. ცეპიჩაჰი.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



- ნ. ქეიშვილი, ქართველი პარტიზანები ფაშისტებისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ტირაჟი 5000, 128 გვ. ფასი 4 მან. 60 კაპ.
- აღ. ჩხაიძე, უგვირგვინო იუბილარი. ტირაჟი 3000, 152 გვ. ფასი 2 მან. 50 კაპ.
- ს. ნიჟარაძე, მიხრობებითი გამოთვლების ელემენტები. ტირაჟი 1000, 104 გვ. ფასი 3 მან.
- საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აჭარაში. ტირაჟი 1000, 170 გვ. ფასი 11 მან.
- ი. მელია, ბედნიერება. ტირაჟი 1000. 68 გვ. ფასი 1 მან. 50 კაპ.
- მ. ღლონტი, ს. უსკოვა. აჭარის ასსრ (სასოფლო-სამეურნეო გამოცემა). ტირაჟი 2000, 40 გვ. ფასი 2 მან.
- ლ. გელაძე. მწვანე აკვანი. ტირაჟი 1000, 84 გვ. ფასი 1 მან. 50 კაპ.
- ბ. რფრუა. ერთტომეული. ტირაჟი 1000, 356 გვ. ფასი 8 მან.
- ჟან რასინი. ფედრა. ტირაჟი 2000, 84 გვ. ფასი 2 მან.
- რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიკური უნივერსიტეტის შრომები. ტ. VI. ტირაჟი 500, 312 გვ. ფასი 19 მან. 20 კაპ.
- ფერდინანდ დიუშენი. თამილა. ტირაჟი 40.000, 196 გვ. ფასი 6 მან.
- კ. რუსიძე. ნაზიბროლა. ტირაჟი 10.000, 408 გვ. ფასი 10 მან.
- რუსული ენისა და ლიტერატურის ზოგიერთი საკითხები. ტირაჟი 1000, 96 გვ. ფასი 4 მან. 50 კაპ.
- ჯ. ჯაყელი. განცდილი დღეები. ტირაჟი 3000, 188 გვ. ფასი 4 მან. 70 კაპ.
- ი. სიხარულიძე. აჭარის ტოპონიმთა, ტირაჟი 1000, 248 გვ. ფასი 15 მან.
- ნ. ყორღანია, აჭარაში მზარდი კაკლისებრთა ზოგიერთი ღირსებანი. ტირაჟი 1000, 80 გვ. ფასი 3 მან. 10 კაპ.
- ნ. პატარაია, აჭარის კომკავშირული ორგანიზაციის ისტორიიდან. ტირაჟი 10.000. 168 გვ. ფასი 3 მან.
- აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა (სტატისტიკური კრებული). ტირაჟი 1000, 100 გვ. ფასი 4 მან. 40 კაპ.
- ნ. ახვლედიანი, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის გზამკვლევი. ტირაჟი 3000, 124 გვ. ფასი 4 მან. 50 კაპ.
- ლ. კალანდარიშვილი, ბ. პირადოვი. შორეულიმეგობარი. ტირაჟი 3000, 124 გვ. ფასი 3 მან. 50 კაპ.
- აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები. ტ. III, ტირაჟი 1000, 132 გვ. ფასი 6 მან.
- შ. როყვა. რაც მიყვარს. ტირაჟი 1000, 132 გვ. ფასი 2 მან.
- ნ. გვარამიშვილი. ნაკადულები. ტირაჟი 2000, 178 გვ. ფასი 5 მან.
- ს. უღენტე. ზღვისპირეთის საღამოები. ტირაჟი 4000, 228 გვ. ფასი 5 მან.
- გ. ბაბილოძე, სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში (1921-1927 წ.). ტირაჟი 1000, 294 გვ. ფასი 10 მან.
- ე. აბრამიშვილი. ზურაბ ანტონოვი. ტირაჟი 2000, 136 გვ. ფასი 3 მან.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/XII — 58 წ. ნაბეჭ ფორმათა რაოდენობა 6.
ემ 00706. შეკვეთა № 6530. ქაღალდის ზომა 70X108. ტირაჟი 3000.



საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Батумская типо-литография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Батуми ул. Люксембург, 22.

6 71
შანი 4 856.


წარმომადგენელი
წიგნიერების

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ლიტერატურული აჭარა“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ